



კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ანა გურიელი

სადოქტორო პროგრამა - სამართალი

წარდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

მოსამართლის უფლებამოსილება სასამართლო მედიაციის წარმართვის
პროცესში

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თეიმურაზ თოდრია

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

თბილისი, 0192, საქართველო

საავტორო უფლება © 2019 წელი, „ანა გურიელი“

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

სამართლის ფაკულტეტი

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავცანით ანა გურიელის დისერტაციას სათაურით: „მოსამართლის უფლებამოსილება სასამართლო მედიაციის წარმართვის პროცესში“ და ვაძლევთ მას რეკომენდაციას კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წინაშე რომ მიეცეს მსვლელობა მის განხილვას სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

ხელმძღვანელი: თეიმურაზ თოდრია

სამართლის დოქტორი,

თბილისის ღია უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

რეცენზენტი: ლევან დუნდუა

სამართლის დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის

ასოცირებული პროფესორი

რეცენზენტი: ნათია ჩიტაშვილი

სამართლის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

„05 ივლისი“, 2019 წელი

დოქტორანტი: ანა გურიელი

დასახელება: „მოსამართლის უფლებამოსილება სასამართლო მედიაციის წარმართვის პროცესში“

ფაკულტეტი: სამართალი

აკადემიური ხარისხი: „ „ _____ 2019 წელი

ინდივიდუალური პროვზების ან ინსტიტუტების მიერ ზემოთ მოყვანილი დასახელების დისერტაციის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული დანიშნულებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტს.

ავტორის ხელმოწერა

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე. ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცულ მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა იმ მცირე ზომის ციტირებებისა, რომლებიც მოითხოვს მხოლოდ სპეციფიკურ მიმართულებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია სამეცნიერო ნაშრომის შესრულებისას) და მათზე იღებს პასუხისმგებლობას.

ანოტაცია

სასამართლო მედიაციის პროცესში მოსამართლის უფლებამოსილება და მისი აქტიურობის ფარგლების საერთაშორისო განვითარების ტენდენციებთან ჰარმონიზირებული რეგულირება მნიშვნელოვნად განსაზღვრავს როგორც მედიაციის ინსტიტუციონალიზაციის პროცესში არსებული გამოწვევების დაძლევის შესაძლებლობებს, აგრეთვე სასამართლო სისტემის სრულყოფას, სახელმწიფოს მასშტაბით აყალიბებს დავის გადაწყვეტის საშუალებების ფუნქციონირების ეფექტიან და მოქნილ სისტემას. აღნიშნულის სამართლებრივი მოწესრიგება, სამართლის სუბიექტთა ინტერესების განხორციელებისა და სამართლებრივი ცნობიერების ჩამოყალიბების წინაპირობაა.

შესაბამისად, კვლევაში განვითარებული მსჯელობა, ეფუძნება მოსამართლის როლის გააქტიურებისა და უფლებამოსილებების ზრდის პრინციპს სამოქალაქოსამართლებრივი დავების სასამართლო მედიაციის პროცესში, რომელიც ადეკვატური სამართლებრივი ინსტრუმენტებით საზოგადოებრივ ურთიერთობებზე რეაგირების მოხდენის მცდელობად უნდა შეფასდეს. შედეგის თვალსაზრისით, მიღებული რეკომენდაციების განხორციელება არსებითად, წაახალისებს დავების გადაწყვეტის საშუალებებისადმი მიმართვიანობას შორის ბალანსის ჩამოყალიბებას, სახელმწიფოს მასშტაბით უზრუნველყოფს მართლმსაჯულების განმახორციელებელი ერთიანი ჯაჭვის გაუმჯობესებას.

ნაშრომის მიზანია მოსამართლის უფლებამოსილებების დადგენა სასამართლო მედიაციის პროცესში და მოსამართლე-მედიატორის ინსტიტუტის საკანონმდებლო დონეზე განმტკიცების პერსპექტივის წარმოჩენა, რომელიც ვერ განხორციელდებოდა მედიაციის, როგორც ინსტიტუტის სამართლებრივი ბუნებისა და კონცეპტუალური მახასიათებლების კვლევის გარეშე. მით უფრო, რომ საქართველოში მედიაცია

ახალ ინსტიტუტად მიიჩნევა და მასთან დაკავშირებულ არსებით საკითხებში სამეცნიერო კვლევების დეფიციტი შეინიშნება. შესაბამისად, ნაშრომში შესწავლილია ისეთი საკითხები, როგორიცაა მედიაციის ცნება, ძირითადი ნიშნები, მიზნები და ამოცანები, რაც, ფასდება როგორც მოსამართლის როლის განმსაზღვრელი წინაპირობები, სასამართლო მედიაციის წარმართვის პროცესში; შეფასებულია მედიაციის მიმართება დავის გადაწყვეტის სხვა საშუალებებთან; იკვეთება მოსამართლის გამორჩეული როლი სასამართლო მედიაციის პროცესში; დადგენილია სასამართლო და სასამართლოს გარე მედიაციის თანაფარდობა; ამასთან, კვლევის მიზნებისათვის განსაკუთრებული აქტუალობის მქონეა სასამართლო მედიაციის ორ ფორმას - სასამართლო/სასამართლოსმიერი და სასამართლოსთან არსებულ მედიაციას შორის განსხვავების დადგენა; მით უფრო, რომ მიმდინარე პერიოდში საქართველოში არსებული რეგულირება არ ითვალისწინებს სასამართლო მედიაციის მითითებული ორი ფორმის გამიჯვნის შესაძლებლობებს. ამასთან, საკვლევი საკითხის სრულყოფის მიზნით, მედიაცია ფასდება როგორც ეთიკურ პრინციპებზე დაფუძნებული პროცესი და განისაზღვრება პროცესის მონაწილეთა, მათ შორის, მოსამართლეთა ეთიკური ბოჭვის სტანდარტები.

მოსაზრებათა კომპლექსური ანალიზისა და ურთიერთშეჯერების შედეგად დგინდება, რომ მედიაცია მოქალაქეთა სამართლებრივი დაცვის ერთ-ერთ ქმედით საშუალებად უნდა იყოს აღიარებული, რამეთუ, იგი ემსახურება მხარეთა პრიორიტეტების განხორციელებასა და სამომავლო ურთიერთობების შენარჩუნებას იმ პირობებში, როდესაც, რიგ შემთხვევებში, სასამართლო დავა მხარეთა ინტერესებს ვერ ახორციელებს და მათი უფლებების დაცვა მხოლოდ ფორმალურ, აღუსრულებელ სამართლებრივ ინსტრუმენტად რჩება.

ნაშრომში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა შედარებითსამართლებრივ ანალიზს, რამეთუ, ამ გზით მკაფიოდ წარმოჩინდება ქართულ სამართლებრივ სივრცეში მედიაციასთან დაკავშირებული არსობრივი საკითხების ხარვეზი.

აღნიშნულის მნიშვნელობას გამოკვეთს ქართული სამართლის განხილვა თანამედროვე სამართლის უნიფიკაციის პროცესის განუყოფელ ნაწილად. ე.ი. კვლევა გლობალურ ანალიზზეა ორიენტირებული და ამ შემთხვევაშიც, დასკვნები და შედეგები განისაზღვრება საერთაშორისო სამართლებრივ სივრცეში დამკვიდრებული ანალოგიური ინსტიტუტების ანალიზის გზით.

ნაშრომი მიზნად ისახავს სასამართლო მედიაციის მოდელის კვლევას საქართველოში. კერძოდ, მოსამართლის როლთან დაკავშირებული ხარვეზული საკანონმდებლო სისტემის სრულყოფის აუცილებლობის დადასტურებას და ქმედითი რეკომენდაციების შემუშავებას, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს როგორც მედიაციის ინსტიტუტთან დაკავშირებული გამოწვევების დაძლევის შესაძლებლობებს, აგრეთვე სასამართლო სისტემის ფუნქციონირების გაუმჯობესებას. მორიგებითი დავების გადაწყვეტის გამოცდილება ქართულ სამართალში ფასდება, როგორც მედიაციის ინსტიტუციონალიზაციის ისტორიული წინაპირობა; ყურადღება ეთმობა სასამართლო მედიაციის მომწესრიგებელი საკანონმდებლო რეგლამენტაციის ანალიზს; ხორციელდება თბილისის საქალაქო სასამართლოს მედიაციის პროექტის პრაქტიკული ასპექტების ეფექტიანობის შეფასება; და რაც ყველაზე რელევანტურია - განვითარების უკანასკნელი ტენდენციების ანალიზის შემდგომ, განისაზღვრა სასამართლო მედიაციის საკანონმდებლო რეგულირებასთან დაკავშირებული გამოწვევები. აღნიშნული აქტუალურად მიიჩნევა იმდენად, რამდენადაც მოსამართლეთა აქტიური ჩართულობით სასამართლო მედიაციის ფორმების წარმატებული ფუნქციონირება, დავის გადაწყვეტის საშუალებების ერთიან ჯაჭვში ინდივიდუალურ შემთხვევებში წარმოადგენს არა მხოლოდ კერძო ინტერესის საგანს, არამედ, საჯარო მნიშვნელობის მქონე ფაქტს, რომელიც რიგ სამართლებრივ კულტურებში საზოგადოების საჭიროებების ანალიზის საფუძველზე აღმოცენდა, და

შესაბამისი წინაპირობების არსებობისას, ჰპოვა საკანონმდებლო რეგლამენტაცია.

ნაშრომში იკვეთება საქართველოში სასამართლო მედიაციის ფორმების საკანონმდებლო დონეზე გამოჯვნის აუცილებლობა, მათი ურთიერთალრევის საფრთხეების აღმოფხვრის მიზნით. შესაბამისი ტერმინების - სასამართლოსთან არსებული და სასამართლო/სასამართლოსმიერი მედიაციის საკანონმდებლო დონეზე განმტკიცების საჭიროება. დგინდება სასამართლოსთან არსებულ მედიაციასთან დაკავშირებული ფუნდამენტური საკითხების ხარვეზული რეგულირების სამართლებრივი მოწესრიგების აუცილებლობა და მოსამართლის უფლებამოსილების ფარგლების შესაძლო გაფართოება; მიეთითება მედიატორისადმი წარდგენილი მოთხოვნები მედიაციის წარმოების პროცესში და მოსამართლე განიხილება როგორც მედიატორი - იკვეთება სასამართლო მედიაციის შესაბამისი ფორმის დამკვიდრების პერსპექტივა საქართველოში; შედარებითსამართლებრივი თვალსაზრისით მიმოიხილება რიგ სახელმწიფოთა მასშტაბით წარმატებულად შეფასებული მოსამართლე-მედიატორის ინსტიტუტი; ფასდება ფაქტი, მოსამართლე-მედიატორთა მიმართ იგივე მოთხოვნები უნდა გავრცელდეს, რაც მედიატორთა მიმართ, თუ განსხვავებული; დგინდება პროცესის მონაწილეთა ეთიკური ბოჭვის საკითხის განსაზღვრის მნიშვნელობა სასამართლო მედიაციის პროცესში და მოსამართლის მიერ მედიაციის წარმოებისას ის განიხილება არა მხოლოდ როგორც სამოსამართლეო, არამედ უპირატესად მედიაციის ეთიკური სტანდარტებით ბოჭვის ადრესატი; ანალიზდება სასამართლო მედიაციის პროგრამების იმპლემენტაციის აუცილებლობა სასამართლო სისტემაში და სასამართლოს კოორდინაციის შესაძლებლობა სასამართლოს გარე მედიაციის სერვისის მიმწოდებელ პირებთან. კვლევა აგრეთვე თვალსაჩინოს ხდის ადვოკატის როლთან დაკავშირებული საკითხების რეგულირების საჭიროებას წარმომადგენლობის შემთხვევაში

მედიაციის პროცესში და მოსამართლეს წარმოაჩენს, როგორც ადვოკატთა მიმართ წარდგენილ მოთხოვნათა შესრულების გარანტს.

შესავალში დასმული საკითხების გათვალისწინებით, დასკვნაში წარმოდგენილია კვლევის შედეგები და საკანონმდებლო რეკომენდაციები, რაც უზრუნველყოფს ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზაციას თანამედროვე საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან, სასამართლო სისტემის სრულყოფას, სასამართლო მედიაციის წარმოების პროცესში მოსამართლის უფლებამოსილების დადგენის გზით.

Annotation

The role of the judge and his/her scope of authority in the court-annexed and judicial mediation processes, and its proper, harmonized regulation to the international development trends, may determine the solution of the challenges faced in the process of the institutionalization of mediation and also, the challenges existing in the Judicial System. It may establish the functioning of effective and flexible system of dispute resolution forms. In addition, the legislative regulation of the subject, can be assessed as a prerequisite for realizing the interests of the persons and the establishment of legal conscience.

Considering this fact, the argumentation undertaken within the study, which is based on the principle of activating the role of judges and increasing their powers in the court-mediation process, should be assessed as a possibility to influence the public relations, with adequate legal instruments. This will substantially encourage, to maintain the balance between the use of dispute resolution forms, ensure the perfection of the united chain of dispute resolution system.

The purpose of the work, which includes the determination of the scope of judicial authority in the court-annexed mediation process and the prospect of the introduction of the judicial mediators institute, could not have been implemented without studying the legal nature of mediation, as well as its conceptual characteristics. Moreover, mediation in Georgia is considered as a new institution and there is a lack of scientific research about the essential issues related to it. Accordingly, the research answers the questions concerning the notion of mediation, its signs, goals and objectives; Mediation is interpreted with other means of dispute resolution forms; The difference between mandatory and voluntary mediation is established; The judges special role in the process of mediation is discussed; Besides, the two forms of court mediation - court-annexed

mediation and judicial mediation processes are evaluated, as it has special significance for the purposes of this study. This is considered to be actual, as the current regulation in Georgia does not consider the possibility of separating them. Besides, in order to excel the study, mediation is evaluated as a process, based on the ethical principles. Considering this fact, the ethical standards, including the ethical standards concerning judge's, are being determined.

As a result of the complex analysis and the reconciliation, it is stated, that mediation can be admitted as one of the effective ways to ensure legal protection, as it contributes to the implementation of the priorities of the parties and the future maintenance of the relationships, while in a number of cases, litigation in the court can not ensure the realization of the best interests of the parties and the protection of their rights can only remain as a unfulfilled legal instrument.

Important place in the dissertation work is provided for comparative analysis, as the incomplete legislative arrangement of substantive issues related to mediation in the Georgian legislation, will be clearly demonstrated on the basis of the comparison with the legislation of those states, which are admitted to be progressive in this field of law; The significance of abovementioned fact, may be confirmed by considering Georgian law as an integral part of the unification process of the modern law. So, the research is oriented to global analysis and the conclusions and results obtained, are determined by the consideration of established institutions in the international jurisdictions.

It should be emphasized, that the discussion carried out in the research, fully supports the development of court-annexed mediation and the establishment of judicial mediation in Georgia, confirming the necessity to complete the defective legislative regulation regarding the scope of authority and the role of the judge in the process. The historical experience connected with the settlement of disputes by negotiation in Georgian law, has been assessed as a prerequisite of mediation

institutionalization; Attention is paid the analyses of existing legislative regulation. Evaluation of the practical aspects of the Mediation Project of Tbilisi City Court has been evaluated; And what is most important - Challenges related to the legislative regulation of mediation, the possibility of coordination of the court with volunteer mediation providers and the regulation of the role of judges in the civil disputes mediation process, as a ancillary in order to overcome existing institutional challenges, is discussed. This is considered significant, because the successful operation of mediation with other the means of dispute resolution in the unified chain, is not only the subject of private interest in every individual case, but also must be assessed as an important fact for the public, as the institute of mediation has been arised based on the needs of society in the different states and after ensuring the proper preconditions, the legislative reglamentation has been provided.

In particular, the necessity of legal regulation of the procedures concerning mandatory mediation and the need of expanding the role of judges in the civil disputes mediation process is being demonstrated. The requirements towards the mediator during the mediation of civil disputes are being established and the judge is considered as a mediator – the prospect of implementing judiciary mediation institute, is discussed; judicial mediation institute, that has been evaluated as a successful experience in a number of states, is discussed. The determination of the ethical fibers of the participants in the mediation of civil disputes is being assessed and the judge is being indicated as the addressee of the ethical standards; It is assessed that the requirements considered for the mediators shall also apply to the judge-mediators. The importance of determining the issue of ethical fibers of the participants of the process is being indicated and in the case of the process of judicial mediation, the judge is considered not only as an addressee of the ethical standarts of the judges, but also as the addressee of the

ethical standards of mediation; The necessity of implementing mandatory / judicial mediation programs in the court system is indicated and the coordination between the court and volunteer mediation providers is being recommended. The survey carried out also demonstrates the need for regulating issues related to the role of a lawyer in the process of mediation and presents the judge, as a guarantee in the process of the fulfillment of these requirements;

At the end of the study, considering the aims set out in the research, the findings and the recommendations are presented concerning the issue of the expansion of the judge's role in the mediation process of the civil disputes, which is seen as a way to ensure the harmonization of national legislation to international standards, the way to excel the judiciary system.

სარჩევი

1. შესავალი	16
2. მედიაციის ინსტიტუტის სამართლებრივი ბუნება, მისი კონცეპტუალური მახასიათებლები და მათი გავლენა მოსამართლის როლზე მედიაციის წარმართვის პროცესში	24
2.1. მედიაციის ცნება, ძირითადი ნიშნები, მიზნები და ამოცანები, როგორც მოსამართლის როლის განმსაზღვრელი წინაპირობები სასამართლო მედიაციის პროცესში	25
2.2. სასამართლო და სასამართლოს გარე მედიაციის თანაფარდობა	32
2.2.1. სასამართლო მედიაციის დადებითი და უარყოფითი მხარეები	33
2.2.2. სასამართლოს გარე მედიაციის დადებითი და უარყოფითი მხარეები	40
2.3. მედიაციის ურთიერთმიმართება დავის გადაწყვეტის სხვა სამართლებრივ საშუალებებთან	43
2.3.1. მედიაციის ურთიერთმიმართება სასამართლოსთან, მოსამართლის როლის კონცეპტუალური განსხვავება ტრადიციული სასამართლო საქმისწარმოებისა და სასამართლო მედიაციის წარმართვის პროცესებს შორის	43
2.3.2. მედიაციის ურთიერთმიმართება არბიტრაჟთან	47
2.4. მედიაცია, როგორც ეთიკურ პრინციპებზე დაფუძნებული ინსტიტუტი და მოსამართლე, როგორც ეთიკური სტანდარტებით ბოჭვის ადრესატი	52
2.4.1. ეთიკური ბოჭვის ფარგლების დადგენის მნიშვნელობა და აღნიშნული საკითხის კონცეპტუალური სრულყოფის შედეგები	52
2.4.2. ეთიკური ბოჭვის ადრესატები	54
2.4.3. მედიაციის ფუძემდებლური ეთიკური პრინციპები, მათი გავლენა ინსტიტუციონალური განვითარების ხარისხსა და მოსამართლის როლზე სასამართლო მედიაციის წარმართვის პროცესში	55
2.4.4. ეთიკის, როგორც სამართლებრივად არამბოჭავი სტანდარტების აღსრულების აუცილებლობა	65
2.5. მედიატორისადმი/მოსამართლე-მედიატორისადმი წარდგენილი მოთხოვნები, როგორც მედიაციის ფუნდამენტური მიზნებისა და ამოცანების უზრუნველყოფის მექანიზმი	66
2.5.1. მედიატორის/მოსამართლე-მედიატორის ცოდნა და კომპეტენცია	67
2.5.2. მედიატორის/მოსამართლე-მედიატორის პიროვნული უნარები ..	68
2.5.3. მედიატორის/მოსამართლე-მედიატორის მიერ სავალდებულოდ განსახორციელებელი ქმედებები	69
2.5.4. მედიატორთა/მოსამართლე-მედიატორთა სერტიფიცირება და მედიაციის პროვაიდერი სუბიექტების ჩართულობის აუცილებლობა მედიაციის ინსტიტუციონალიზაციის პროცესში	74

2.6. ადვოკატის უფლებამოსილების ფარგლების განსაზღვრა, როგორც მედიაციის პრინციპების განხორციელების სამართლებრივი ინსტრუმენტი და მოსამართლე, როგორც მათ მიმართ წარდგენილი მოთხოვნების შესრულების გარანტი.....	76
2.6.1. ადვოკატისადმი წარდგენილი მოთხოვნები.....	78
2.6.2. ადვოკატის მიერ სავალდებულოდ განსახორციელებელი ქმედებები	79
3. მედიაციის ინსტიტუტისა და ამ პროცესში მოსამართლის უფლებამოსილების რეგულირების კონცეფციები უცხოურ სამართლებრივ სისტემებში.....	83
3.1. მედიაციის რეგულირება ამერიკის შეერთებული შტატების სამართლებრივ სივრცეში და მოსამართლის უფლებამოსილებების რეგულირების მახასიათებლები.....	85
3.1.1. მედიაციის ისტორიული განვითარება და მიდგომათა უკანასკნელი ტენდენციები მოსამართლის უფლებამოსილებასთან დაკავშირებით სასამართლო მედიაციის წარმართვის პროცესში.....	86
3.1.2. მედიაციის რეგულირება ფედერალურ დონეზე ინსტიტუტის ისტორიული განვითარების კვალდაკვალ.....	93
3.1.3. უნიფიცირებული აქტი.....	95
3.1.4. მედიაციისა და ამ პროცესში მოსამართლის უფლებამოსილების რეგლამენტაცია შტატების მაგალითზე.....	97
3.2. კანადის მედიაციის მოდელი და მოსამართლის უფლებამოსილების განმსაზღვრელი სისტემის ფორმირება სასამართლო მედიაციის პროცესში .	101
3.2.1. მედიაციის დამკვიდრებისა და განვითარების ტენდენციები.....	102
3.2.2. სასამართლო/სასამართლოსმიერი მედიაციის (Judicial mediation) კონცეფცია და მისი სამართლებრივი მახასიათებლები.....	104
3.2.3. მოსამართლის უფლებამოსილება სასამართლო მედიაციის ვადების განსაზღვრისას.....	107
3.2.4. სახელმწიფოებრივი მასშტაბის სამედიაციო პროგრამები, როგორც სასამართლო სისტემის ინტეგრალური ნაწილი	109
3.3. მედიაციის მომწესრიგებელი სისტემის ფორმირება გერმანულ სამართალში და მოსამართლის უფლებამოსილების ფარგლები სასამართლო მედიაციის წარმოებისას	112
3.3.1. სასამართლო/სავალდებულო მედიაცია	114
3.3.2. მომრიგებელი მოსამართლის კონცეფცია გერმანულ კანონმდებლობაში	116
3.3.3. სასამართლოს გარე მედიაცია	119
4. სასამართლო მედიაციის მოდელი საქართველოში და მოსამართლის უფლებამოსილებასთან დაკავშირებული ხარვეზული საკანონმდებლო რეგულირების მოწესრიგების აუცილებლობა	120

4.1. მორიგებითი დავების გადაწყვეტის გამოცდილება ქართულ სამართალში, როგორც მედიაციის ინსტიტუციონალიზაციის ისტორიული წინაპირობა.....	122
4.2. სასამართლო მედიაციის მომწესრიგებელი საკანონმდებლო რეგლამენტაციის ანალიზი მედიაციის დამკვიდრებული ფორმისა და არსის განსაზღვრის თვალსაზრისით.....	128
4.3. თბილისის საქალაქო სასამართლოს მედიაციის პროგრამის პრაქტიკული ასპექტების ეფექტიანობის შეფასება.....	130
4.4. მედიაციის განვითარების სამართლებრივი და პრაქტიკული ტენდენციები.....	132
4.5. სასამართლო მედიაციის საკანონმდებლო რეგულირებასთან დაკავშირებული გამოწვევები, სასამართლოს კოორდინაციის შესაძლებლობა სასამართლოს გარე მედიაციის პროვაიდერ პირებთან და მოსამართლის უფლებამოსილების ფარგლების სამართლებრივი ბუნების რეგულირება, როგორც არსებული ინსტიტუციონალური გამოწვევების დაძლევის წინაპირობა.....	136
4.5.1. სასამართლოსთან არსებულ მედიაციასთან დაკავშირებული საკითხების სამართლებრივი მოწესრიგების აუცილებლობა და მოსამართლის უფლებამოსილების ფარგლები აღნიშნულ პროცესში	139
4.5.2. სასამართლო/სასამართლოსმიერი მედიაციის დანერგვის პერსპექტივა საქართველოში.....	143
4.5.3. პროცესის მონაწილეთა ეთიკური ბოჭვის საკითხის განსაზღვრის მნიშვნელობა სასამართლო მედიაციის პროცესში და მოსამართლე, როგორც ეთიკური სტანდარტების მოთხოვნათა ადრესატი	152
4.5.4. მედიაციის პროგრამების იმპლემენტაციის აუცილებლობა სასამართლო სისტემაში და სასამართლო მედიაციის განმახორციელებელ სუბიექტთა კოორდინაციის შესაძლებლობა სასამართლოს გარე მედიაციის პროვაიდერ პირებთან.....	154
4.5.5. მედიაციის პროცესში წარმომადგენლობის შემთხვევაში ადვოკატის როლთან დაკავშირებული საკითხების სამართლებრივი რეგულირების საჭიროება და მოსამართლე, როგორც ამ მოთხოვნათა შესრულების გარანტი	158
5. დასკვნა	160

1. შესავალი

კონფლიქტი ადამიანთა ურთიერთობების განუყრელი ნაწილი და ყოფის ბუნებრივი კომპონენტია. როგორი მოწესრიგებულიც არ უნდა იყოს საზოგადოებრივი ყოფა და როგორ გამართულადაც არ უნდა მუშაობდნენ სამართლებრივი ინსტიტუტები, სოციალურ კონფლიქტებს თავიდან ვერ ავიცილებთ, რადგან ის ადამიანთა ურთიერთობის თანმდევი მოვლენაა.¹ საუკუნეებია, ცივილიზებულ საზოგადოებაში კონფლიქტის გადასაწყვეტად ადამიანები მიმართავენ სასამართლოს, რომელიც თავის მხრივ უზრუნველყოფს მართლმსაჯულების რეალიზაციას სამართალწარმოების რეგულირებადი საპროცესო სამართლის მეშვეობით.² შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ამდენივე ხანია იურისტები არ წყვეტენ ფიქრს დავის გადაწყვეტის ახალი, კიდევ უფრო ეფექტიანი და ყაირათიანი მეთოდების მოსაძიებლად.³ შესაბამისად, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალებებმა, მათ შორის მედიაციამ, ადგილი დაიმკვიდრა თითქმის მთელი მსოფლიოს მასშტაბით.⁴

საქართველოში მედიაციის ინსტიტუტი მხარდაჭერილია სახელმწიფო პოლიტიკით, რაც გამოიხატა მისი მარეგულირებელი ნორმების საკანონმდებლო დონეზე განმტკიცებით. 2011 წლის 21 ნოემბერს საქართველოს პარლამენტში ინიცირებულ იქნა საკანონმდებლო პაკეტი საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებების შეტანის შესახებ.⁵ ინიცირებული ნორმის განმარტებითი ბარათის მიხედვით,

¹წულაძე ა., სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2016, გვ. 6.

²ლობჯანიძე გ., სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია, თბილისი, 2017, გვ. 142.

³Goldsmith J., Ingen-Housz A., Pointon G., ADR in Business: Practice and Issues Across Countries and Cultures, Vol. II, Kluwer Law International, 2011, p.4.

⁴ცერცვაძე გ., მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, თბილისი, 2011, გვ. 14.

⁵იხ. parliament.ge ბოლოს გამოხმობილია: 11.10.2017.

კანონპროექტის მიღების მიზნებს წარმოადგენდა დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალების - მედიაციის ინსტიტუტის დამკვიდრება. კანონპროექტის მიზნად რაიონულ (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოებში სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფა, მოდავე მხარეთა შორის დავის ურთიერთშეთანხმებით დასრულების ხელშეწყობა მიეთითა.⁶

აღნიშნულის მიუხედავად, საქართველოს რეალობაში მედიაცია განიხილება როგორც ახალი ინსტიტუტი. ჯერჯერობით, ქართველი კანონმდებელი მხოლოდ ეპიზოდური რეგულირებით შემოიფარგლება და მედიაციის რეგულირებასთან დაკავშირებული დისკუსია ახლა იწყება.⁷ სახელმწიფოს მასშტაბით მოქმედ მართლმსაჯულების განმახორციელებელ ინსტიტუტთა ერთიან სისტემაში მის წარმატებულ ფუნქციონირებას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს საფუძვლიანი მეცნიერული კვლევების განხორციელება, ინსტიტუტის შესწავლის მიზნით ფუძემდებლური საკითხების დამუშავება, რისი დეფიციტიც ქართულ სამეცნიერო სივრცეში ერთმნიშვნელოვნად შეინიშნება. გარდა ამ მიმართულებით კვლევების დეფიციტისა, შესრულებული ნაშრომის სამეცნიერო ღირებულებასა და აქტუალობას განაპირობებს ის, რომ მიმდინარე პერიოდამდე, საკანონმდებლო რეგულირების მიღმა დარჩენილი მედიაციასთან დაკავშირებული რიგი მატერიალური, პროცესუალური თუ ეთიკური საკითხები; ურთიერთმიმართება მედიაციის ორ ფორმას - სასამართლო მედიაციას (რომელსაც სავალდებულო მედიაციის სახელწოდებითაც მოიხსენიებენ) და სასამართლოს გარე/კერძო მედიაციას შორის (რომელსაც ნებაყოფლობით მედიაციასაც უწოდებენ); თავის მხრივ, სასამართლო მედიაციის ფორმები, რაც მოიაზრებს სასამართლოსთან არსებული (Court-annexed mediation) და

⁶კანონპროექტის განმარტებითი ბარათი, იხ.: parliament.ge ბოლოს გამოხმობილია: 11.10.2017.

⁷ცერცვაძე გ., მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი თბილისი, 2013, გვ. 17.

სასამართლო/სასამართლოსმიერი მედიაციის⁸ (Judicial mediation) წარმოების შესაძლებლობას; და რაც განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს ნაშრომის მიზნებიდან გამომდინარე - მოსამართლის როლი და მისი აქტივობის ფარგლები სასამართლო მედიაციის თითოეული მითითებული ფორმის განხორციელებისას, რომლის მართებული და საერთაშორისო განვითარების ტენდენციებთან ჰარმონიზირებული რეგულირება მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მედიაციის ინსტიტუციონალიზაციის პროცესში წამოჭრილი გამოწვევების დაძლევის შესაძლებლობებს. შესაბამისად, განხორციელებული კვლევა ერთგვარად ეფუძნება მოსამართლის როლის გააქტიურების ხელშეწყობის პრინციპს, რაც, უზრუნველყოფს ადეკვატური სამართლებრივი საშუალებებით საზოგადოებრივ ურთიერთობებზე რეაგირებას.⁹ აღნიშნული, არსებითად წახალისებს დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის ფორმების გამოყენებას, რათა მხარეებმა სადავოდ გამხდარი სამართლებრივი ურთიერთობების ტრანსფორმირება განახორციელონ გონივრული სარგებლის მიღების წყაროდ. ე.ი. ვინაიდან, სამართლის პროფესიის მხარდი მოთხოვნები დღის წესრიგში აყენებს მითითებულ დარგში არსებული რეგულაციების თანამედროვე განვითარების ტენდენციებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას, მოსამართლის როლთან დაკავშირებული კონცეფციების სამართლებრივი მახასიათებლები სასამართლო/სასამართლოსმიერი თუ სასამართლოსთან არსებული მედიაციის პროცესში მოწესრიგებას საჭიროებს. შესაბამისად, ნაშრომი ასახულებს მოსამართლის უფლებამოსილებების ზრდას სასამართლოსთან არსებული მედიაციის პროცესში და განსაზღვრავს, სასამართლო/სასამართლოსმიერი მედიაციის ინსტიტუტის განვითარება თუ

⁸სასამართლო მედიაციის ფორმების გამოიყენის მიზნებისათვის, შემოგვსვენს რეკომენდაცია, ქართულ სამართლებრივ სისტემაში ტერმინი „judicial mediation“ იურიდიულ სამეცნიერო მიმოქცევაში შემოვიდეს „სასამართლო/სასამართლოსმიერი მედიაციის“ სახელწოდებით, და არა „სასამართლო მედიაციის“ ცნებით, რამეთუ ის თავად წარმოადგენს სასამართლო მედიაციის ერთ-ერთ ფორმას (იხ. ნაშრომში წარმოდგენილი მსჯელობა).

⁹ლობჟანიძე გ., სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია, თბილისი, 2017, გვ. 331.

უზრუნველყოფს ისეთი სახელმწიფოებრივი ინტერესის მიღწევას, როგორიცაა მართლმსაჯულების ერთიანი ჯაჭვის სრულყოფა. აღნიშნული, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს სასამართლო სისტემის სრულყოფას და შესაბამისად, მოქალაქეთა ნდობის ზრდას ხელისუფლების შესაბამისი შტოს მიმართ. აღნიშნულ საკითხს აქვს არა მხოლოდ თეორიული მნიშვნელობა და ხელს უწყობს მედიაციის ინსტიტუციონალიზაციას, არამედ, უზრუნველყოფს პრაქტიკის სწორი მიმართულებით განვითარებას, სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელებას, რადგან სამართლებრივი დავების კანონიერი და ეფექტიანი აღმოფხვრის ერთიანი სისტემის შექმნა სახელმწიფოს უპირველესი ვალდებულებაა მოქალაქეთა წინაშე.

როგორ განისაზღვრება მედიაცია? ფართოდ გავრცელებული შეხედულების შესაბამისად, ეს არის მხარეთა თავისუფალ ნებაზე დამყარებული პროცედურა, რომლის დროსაც დავის საბოლოოდ გადაწყვეტის უფლების არმქონე მედიატორი სისტემატურად ხელს უწყობს მხარეთა შორის კომუნიკაციას, რათა, შესაძლებელი გახადოს მოდავეთა თვითპასუხისმგებლობაზე დამყარებული შეთანხმების მიღწევა. მეოცე საუკუნის 70-80-იან წლებში, ეს ინსტიტუტი სწრაფად განვითარდა ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა: აშშ, ავსტრალია, კანადა, ინგლისი და უელსი.¹⁰ თანამედროვე შეფასებებით, აღიარებულია მედიაციით დავის გადაწყვეტის რიგი დადებითი შედეგები. მათ შორის, პროცესის ხარჯების შემცირება, დავის სწრაფი გადაწყვეტა, მხარეთა შორის ურთიერთობების შენარჩუნება და გარემოება, რომ იმ შემთხვევაშიც, თუ მედიაციის საშუალებით ვერ ხერხდება დავის საბოლოო გადაწყვეტა, მხარეები აღიარებენ ამ გზით კომუნიკაციის აღდგენის შესაძლებლობას.¹¹ ამასთან, მედიაცია მოქალაქეთა სამართლებრივი

¹⁰Alexander N., Global Trends in Mediation: Riding the Third Wave, Centrale für Mediation, Otto Schmidt Verlag DE, 2003, p. 7.

¹¹Munroe C., Court-Based Mediation in Family Law Disputes: An Effectiveness Rating and Recommendations for Change, Probate Law Journal, Issues 2-3, 1996, p.113.

დაცვის ერთ-ერთ ქმედით საშუალებად უნდა იყოს აღიარებული, რამეთუ, იგი ემსახურება მხარეთა პრიორიტეტების განხორციელებასა და სამომავლო ურთიერთობების შენარჩუნებას მაშინ, როდესაც რიგ შემთხვევებში, სასამართლო დავა მხარეთა რეალურ ინტერესებს განუხორციელებელს ხდის, იწვევს რესურსების ფუჭ ხარჯვას და მათი უფლებების დაცვა მხოლოდ ფორმალურ, აღუსრულებელ სამართლებრივ ინსტრუმენტად რჩება, რაც თავის მხრივ, შესაძლებელია იწვევდეს სასამართლოს ავტორიტეტის შელახვას.

დღეისათვის, საქართველოში მოქმედ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობას საფუძვლად უდევს დისპოზიციურობის, შეჯიბრებითობისა და მხარეთა თანასწორობის პრინციპები. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს, ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.¹² აღნიშნული დათქმა მკაფიოდ აყალიბებს შეჯიბრებითობის პრინციპის არსს, ადგენს მხარეთა მიერ მითითებული საკითხების დამოუკიდებლად განსაზღვრის სავალდებულო ხასიათს. ამავდროულად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრავს, რომ საქმის გარემოებათა გასარკვევად, სასამართლოს შეუძლია საკუთარი ინიციატივით მიმართოს მხოლოდ კოდექსით გათვალისწინებულ ღონისძიებებს.¹³ ამრიგად, სამოქალაქოსამართლებრივი დავების სასამართლო მედიაციის პროცესში სასამართლოს ეძლევა შესაძლებლობა გამოიჩინოს ინიციატივა იმ ფარგლებში, რასაც ამას სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს. შესაბამისად,

¹²საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 4(1).

¹³იქვე, მუხლი 4(2).

ჩვენი ნაშრომის მიზანია წვლილი შეიტანოს სამოქალაქოსამართლებრივი დავების სასამართლო მედიაციის პროცესში მოსამართლეების როლთან დაკავშირებული საკითხების კვლევაში. განისაზღვროს, თუ რამდენად საკმარისად შეიცავს საქართველოს კანონმდებლობა ნორმებს, რომელიც უზრუნველყოფს აღნიშნული თვალსაზრისით მოსამართლის აქტიურობას, რაც, თავის მხრივ, უშუალოდ უკავშირდება და არსობრივად განსაზღვრავს ერთის მხრივ, როგორც მედიაციის ინსტიტუციონალიზაციის პროცესში გამოვლენილი გამოწვევების დაძლევის შესაძლებლობებს, აგრეთვე სასამართლო სისტემის ეფექტურ ფუნქციონირებას. ნაშრომის ამოცანაა, ერთი მხრივ, შესწავლილ იქნეს მედიაციის ინსტიტუტი, მისი გამოვლინების შესაძლო ფორმები საერთაშორისო სამართლებრივ სივრცეებში და მეორე მხრივ, განისაზღვროს ის საუკეთესო სინთეზი ქართული რეალობისთვის, რომლის დანერგვაც წარმატებული იქნება; ამ მიზნით მიმოვიხილეთ მოსამართლე-მედიატორის ინსტიტუტის წარმატებული გამოცდილება რიგ სახელმწიფოთა მასშტაბით; ჩამოვაყალიბეთ ხედვა მოსამართლის უფლებამოსილების გაფართოებისა სასამართლოსთან არსებული მედიაციის წარმოებისას (ვინაიდან, მიმდინარე დრომდე საქართველოში სასამართლო მედიაცია მხოლოდ ამ ფორმით დაინერგა). ასევე, ჩამოვაყალიბეთ კონცეფცია საქართველოში სასამართლო/სასამართლოსმიერი მედიაციის დასანერგად, რაც სრულყოფს სასამართლო სისტემას, ხელს შეუწყობს მართლმსაჯულების განხორციელების ეფექტური ბერკეტების შექმნას.

სამართალშემოქმედებითი საქმიანობის შედეგების, კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების ხარისხის მიხედვით მსჯელობენ სახელმწიფოზე სრულად, მისი დემოკრატიულობის, ცივილიზაციის, კულტურის დონეზე, რადგანაც საზოგადოება ყოველთვის ვერ იღებდა ზუსტ და სრულყოფილ სამართლებრივ გადაწყვეტილებებს.¹⁴ შესაბამისად, შიდასახელმწიფოებრივი

¹⁴ლობჯანიძე გ., სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია, თბილისი, 2017, გვ. 329.

რეგულირება უნდა ეფუძნებოდეს და ითვალისწინებდეს ეროვნულ და მორალურ ღირებულებებს, ასევე სოციალურ ურთიერთობათა კულტურას. კანონშემოქმედებითი პროცესი არ უნდა განხორციელდეს აღნიშნულ სფეროში რომელიმე უნივერსალური აქტის ავტომატური რეცეფციით.¹⁵ აუცილებელია საქართველოში არსებული რეგულირებისა და სხვა სახელმწიფოების წარმატებული პრაქტიკის ანალიზი. მიდგომათა ურთიერთშეჯერების შედეგად კი საკითხის ადეკვატური გადაწყვეტის შეთავაზება. აღნიშნულის გათვალისწინებით, კვლევის ფარგლებში დასახული მიზნები ხორციელდება სამართლის მოდერნიზებული ინსტიტუტების სისტემური კვლევის საფუძველზე.

ნაშრომის მეთოდოლოგიურ საფუძვლად გამოვიყენეთ როგორც ზოგადმეცნიერული - ისტორიული, აგრეთვე, სპეციალური - ნორმატიული და შედარებითსამართლებრივი კვლევის მეთოდები. ისტორიული მეთოდის გამოყენებით აიხსნება სამართლებრივ კულტურებში ცნებებისა და კონცეფციების აღმოცენების, განვითარებისა და სამართლებრივ სივრცეებში დამკვიდრების განმაპირობებელი საფუძვლები. ნორმატიული კვლევის მეთოდის საშუალებით განვახორციელეთ ნორმათა სამართლებრივი ანალიზი მათი ურთიერთკავშირში განხილვისა და ეროვნული სამართლის სისტემაში კუთვნილი ადგილის განსაზღვრის გზით. შედარებითსამართლებრივი მეთოდის გამოყენებით შევისწავლეთ უცხო სახელმწიფოთა წარმატებული გამოცდილება, რაც საფუძვლად დაედება წარმოდგენილ საკანონმდებლო რეკომენდაციებს.

განხორციელებული კვლევა ხუთი თავის სახით ჩამოყალიბდა. შესავლის შემდგომ, მეორე თავის ფარგლებში დგინდება მედიაციის სამართლებრივი ბუნება და მისი კონცეპტუალური მახასიათებლები; აისახა

¹⁵Rovine A., Contemporary Issues in International Arbitration and Mediation, The Fordham Papers, 2015, p. 116.

თანაფარდობა სასამართლო და სასამართლოს გარე/ნებაყოფლობით მედიაციას შორის; განისაზღვრა სასამართლო მედიაციის გამოვლინების ორი შესაძლო ფორმა - სასამართლო/სასამართლოსმიერი და სასამართლოსთან არსებული მედიაციის სახით; ჩამოყალიბდა მედიაციის ურთიერთმიმართება დავის გადაწყვეტის სხვა საშუალებებთან; ამავე თავის ფარგლებში მედიაცია განისაზღვრა როგორც ეთიკურ პრინციპებზე დაფუძნებული პროცესი და მიეთითა, მოსამართლის მიერ მედიაციის წარმოებისას რომელი პრინციპებით იქნება ის შებოჭილი-მედიატორის თუ ზოგადი სამოსამართლეო; განხორციელდა მედიატორისადმი წარსადგენი მოთხოვნების სისტემატიზაცია, რამეთუ, აღნიშნული შეფასდა როგორც მედიაციის პროცესის მიზნებისა და ამოცანების უზრუნველყოფის მექანიზმი; განისაზღვრა, მოსამართლეს მედიაციის წარმოებისას იგივე კრიტერიუმები წარედგინება, თუ განსხვავებული.

მესამე თავი მოიცავს ამერიკის შეერთებული შტატების, კანადისა და გერმანიის მედიაციის მოდელის განხილვას, რამეთუ, მითითებული სამართლებრივი სისტემები გამოირჩევიან როგორც მედიაციის ინსტიტიციონალიზაციის მაღალი ხარისხით, აგრეთვე, სხვა სახელმწიფოთა სამართალზე გავლენის გამოცდილებით. ამასთან, მედიაციის ინსტიტუტისა და სასამართლო მედიაციის წარმოებისას მოსამართლის უფლებამოსილების სრულყოფილი კვლევისათვის მნიშვნელოვანი იყო გარკვეულწილად მსგავსი და ამავედროულად, კონცეფტუალური თვალსაზრისით, ურთიერთგანსხვავებული სისტემური რეგულირების ანალიზი.

ნაშრომის მეოთხე თავის ფარგლებში, შესავალში დასახული მიზნების განხორციელებისათვის შევისწავლეთ სასამართლო მედიაციის მოდელი საქართველოში. კერძოდ, მიმოვიხილეთ მორიგებითი დავების გადაწყვეტის ისტორიული გამოცდილება ქართულ სამართალში. განხორციელდა სასამართლო მედიაციის მომწესრიგებელი კანონმდებლობის ანალიზი. აისახა

თბილისის საქალაქო სასამართლოს მედიაციის პროექტის პრაქტიკის შედეგები და სასამართლო მედიაციის რეგულირებასთან დაკავშირებული გამოწვევები, რომელთა დაძლევის პროცესში მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს მოსამართლის უფლებამოსილებების გაფართოება. განისაზღვრა მედიაციის პროგრამების იმპლემენტაციის აუცილებლობა სასამართლო სისტემაში; დასაბუთდა მოსამართლეთა ჩართულობის საჭიროება აღნიშნული თვალსაზრისით; ჩამოყალიბდა კონცეფცია სასამართლო მედიაციის ფორმის - სასამართლო/სასამართლოსმიერი მედიაციის ინსტიტუტის განვითარებასთან დაკავშირებით და აისახა ჩვენი ხედვა სასამართლო მედიაციის განმახორციელებელ სუბიექტთა კოორდინაციის საჭიროების თაობაზე სასამართლოს გარე მედიაციის პროვაიდერ პირებთან.

კვლევის შედეგები ჩამოყალიბდა მეხუთე თავში დასკვნის სახით. შემოთავაზებულია შემაჯამებელი თეზისები და რეკომენდაციები ქართული კანონმდებლობის სრულყოფის, მედიაციის ინსტიტუციონალიზაციისა და თანამედროვე განვითარების სტანდარტებთან ჰარმონიზაციის მიზნით. თითოეული შემოთავაზებული საკანონმდებლო რეკომენდაცია გამოირჩევა მეცნიერული სიახლითა და პრაქტიკული მნიშვნელობით. სამართლებრივი ნორმები ხომ სწორედაც იურიდიული და საკანონმდებლო პრაქტიკის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს შესაბამისი ინსტიტუტების მოღვაწეობის შედეგად ჩნდება.¹⁶

2. მედიაციის ინსტიტუტის სამართლებრივი ბუნება, მისი კონცეპტუალური მახასიათებლები და მათი

¹⁶ლომჯანიძე გ., სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია, თბილისი, 2017, გვ. 252.

გავლენა მოსამართლის როლზე მედიაციის წარმართვის პროცესში

მოსამართლის უფლებამოსილების ფარგლების მეცნიერული ანალიზი სამოქალაქოსამართლებრივი დავების სასამართლო მედიაციის პროცესში უნდა ეფუძნებოდეს როგორც საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტების კვლევას, აგრეთვე, მედიაციის სპეციფიკის გათვალისწინებით, მისი არსებითი მახასიათებლების განსაზღვრას, რამეთუ, მედიაციის სამართლებრივი მნიშვნელობისა და ფუნდამენტური ღირებულებების კვლევის გარეშე, რომლებიც თანაბარმნიშვნელოვნად ვრცელდება მედიაციის ნებისმიერი ფორმის წარმოებისას, მოსამართლის როლის შეფასება აღნიშნულ პროცესებში, ვერ იქნებოდა ჯეროვანი. მოსამართლის როლის სპეციფიკა მედიაციის პროცესში, უნდა ეფუძნებოდეს სწორედ ინსტიტუტის სამართლებრივი ხასიათისა და კონცეპტუალური მახასიათებლების სისტემურ ანალიზს, რაც მის როლს განასხვავებს სტანდარტული სამოქალაქო სამართალწარმოების პროცესში გამოვლენილისაგან. ამასთან, ვინაიდან, მედიაცია საქართველოში ახალ ინსტიტუტად განიხილება, ქართული სამართლებრივი სივრცე მითითებული თვალსაზრისით განიცდის სამეცნიერო კვლევების სიმწირეს, რაც ადასტურებს რიგი საკითხების კვლევის საჭიროებას, რომელთაც არსებითად დაეფუძნება მიღებული შედეგები.

2.1. მედიაციის ცნება, ძირითადი ნიშნები, მიზნები და ამოცანები, როგორც მოსამართლის როლის განმსაზღვრელი წინაპირობები სასამართლო მედიაციის პროცესში

ალბერტ აინშტაინი მიუთითებდა: „ინტელექტის გამოვლინების ნამდვილ ნიშანს წარმოადგენს წარმოსახვის უნარი და არა ცოდნა“ (1929 წლის

26 ოქტომბრის ინტერვიუ).¹⁷ ერთ-ერთი კრიტერიუმი, რითაც შესაძლებელია შეფასდეს წარმოსახვის უნარის არსებობა, არის დავის გადაწყვეტის გზების მოძიების შესაძლებლობა. სამართლის თანამედროვე განვითარების ტენდენციებისა და მზარდი უნიფიკაციის პირობებში მხარეებს აქვთ შესაძლებლობა დავის გადაწყვეტისას შეარჩიონ სასამართლო სამართალწარმოება, არბიტრაჟი, მედიაცია, მოლაპარაკება, ექსპერტის შეფასების საფუძველზე გადაწყვეტილების მიღება ან სხვა.¹⁸

მედიაცია მოლაპარაკების მცდელობაა, სადაც ნეიტრალური პირი - მედიატორი დაპირისპირებულ მხარეებს ან/და მათ წარმომადგენლებს ეხმარება კონფლიქტის ურთიერთსასარგებლო შეთანხმებით დასრულებაში. ის შეთანხმების პირობებზე გავლენას არ ახდენს, მედიაციის პროცესს უძღვება და მონაწილე მხარეებს ეხმარება შეთანხმებას მიაღწიონ უფრო სწრაფად, ვიდრე ისინი ამას დამოუკიდებლად შეძლებდნენ. ამასთან, მედიატორი წარმოადგენს დამოუკიდებელ, მიუკერძოებელ პირს, რომელიც მხარეებს ეხმარება კონსენსუსის მიღწევაში. მედიაციის მთავარი არსი და დანიშნულება, რაც მისი გამოვლინების ნებისმიერი ფორმის შემთხვევაში დომინირებს გახლავთ ის, რომ აღდგეს და შენარჩუნდეს ის ურთიერთობები, რაც მხარეთა შორის არსებობდა. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მედიაციის ერთ-ერთი მიზანი სოციალურია და წარმოადგენს უპირატესად ადამიანური ურთიერთობების შენარჩუნებას.¹⁹ მედიაციაში მთავარი არის კონკრეტულ ინტერესებზე აქცენტირება და მხარეების კონცენტრაცია აღნიშნული მიმართულებით (Harvard Concept).²⁰

¹⁷ en.wikipedia.org.

¹⁸ Benzidi S., Med-Arb: How to Mitigate the Risk of Setting aside or Refusal of Recognition and Enforcement of a Med-Arb Award, American Journal of Mediation, 2017, p. 2.

¹⁹ ცერცვაძე გ., მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, თბილისი, 2013, გვ. 11.

²⁰ Fisher R., Ury W., Getting To Yes: Negotiating Agreement without Giving In, 1993, p. 59.

მეტიც, მედიაციას შეუძლია განახორციელოს არამხოლოდ კონკრეტული პირების ცნობიერების ტრანსფორმაცია ყოველი ინდივიდუალური საქმისწარმოების პირობებში, არამედ, მოახდინოს საზოგადოების დამოკიდებულების შეცვლა დავის გადაწყვეტის საშუალებებთან მიმართებაში, მისი უპირატესობების საჯარო აღიარებისა და მის მიმართ ნდობის ჩამოყალიბების შემთხვევაში. მედიაციის, როგორც დავის ალტერნატიულ საშუალებაზე საუბრისას, მისი ეფექტიანობის დასაბუთების მიზნით გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ იმ დავებიდან, რომელთა გადაწყვეტასაც მათი საშუალებით ცდილობენ, მხოლოდ ორიდან ათ პროცენტამდე გრძელდება სასამართლოში.²¹

მედიაციის არსებითი ნიშანია ისიც, რომ მისი წარმატებული დასრულება ნიშნავს ორივე მოდავე მხარის „მოგებულ პოზიციას“, მაშინ, როდესაც დავის ტრადიციული გადაწყვეტის საშუალებები ეფუძნება პრინციპს „მოგება-წაგება“, რაც ერთი-ერთი მხარის არახელსაყრელ მდგომარეობაში უპირობო აღმოჩენას ითვალისწინებს.²² გასათვალისწინებელია ისიც, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ მედიაცია არ დასრულდება შეთანხმებით, მისმა მართებულმა განვითარებამ შესაძლებელია ზეგავლენა იქონიოს დამკვიდრებული ატმოსფეროს შეცვლასა და შემდგომი საპროცესო მოქმედებების მეტად ხელსაყრელ მსვლელობაზე.²³ ამასთან, მედიაციის პოპულარობა არსებითად განსაზღვრა მისმა ეთიკურ პრინციპებზე დაფუძნებულ პროცესად ფორმირებამ,²⁴ რაც შესაძლებელია გახდეს საზოგადოების ნდობის ზრდის საფუძველი, მისი, როგორც საკანონმდებლო დონეზე მხარდაჭერილი ინსტიტუტის მიმართ.

²¹Pepper R., Mandatory Mediation: Ontario's Unfortunate Experiment in Court-Annexed ADR, Advocates' Quarterly, 1998, p. 410.

²²Bannink F., Solution Focused Mediation, Trial Excellence, 2008, p. 13.

²³Hughes P., Mandatory Mediation: Opportunity or Subversion, Windsor Yearbook of Access to Justice, 2001, p. 177.

²⁴Sherill J., Ethics for lawyers representing clients in mediation, Americal journal for mediation, 2012, p. 29.

მედიაციის ინსტიტუტისა და აღნიშნულ პროცესში მოსამართლის უფლებამოსილების ფარგლების კვლევისას, დასაწყისშივე რელევანტურად მიიჩნევა დარგის მასშტაბით მნიშვნელოვნად აღიარებული სამართლის ინსტრუმენტების ნაწილის მითითება, რამეთუ, ამ აქტების ფარგლებში განმტკიცებული ფუძემდებლური დებულებები მკაფიოდ ასახავენ მედიაციის სამართლებრივ ბუნებას. თითოეული აქტი შემუშავდა სამართლის საუკეთესო ექსპერტების მიერ, რომლებიც მოქმედებდნენ საკუთარი პროფესიული კომპეტენციის საფუძველზე. შესაბამისად, სამეცნიერო საზოგადოებებში მათ ეროვნული კანონმდებლობის შევსებისა და სრულყოფის წყაროდ მიუთითებენ.

მედიაციის პროცესის მარეგულირებელ აქტებს შორის მათი მნიშვნელობის თვალსაზრისით, სახელდებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისიის (UNCITRAL) მოდელური კანონი საერთაშორისო კომერციული მედიაციის შესახებ (Model Law on International Commercial Conciliation, 2002).²⁵ იგი ითვალისწინებს ერთგვაროვანი წესების დამკვიდრებას მედიაციის პროცესთან დაკავშირებით, რათა წახალისოს და განავრცოს მისი გამოყენება, შეავსოს ზოგიერთ სახელმწიფოში სამართლის შესაბამის დარგში ნორმატიული აქტის არარსებობით გამოწვეული გაურკვევლობა.²⁶ მოდელური კანონი განსაზღვრავს მედიაციის პროცედურის მომწესრიგებელ ნორმებს. დარეგულირებულია ისეთი საკითხები, როგორიცაა: მედიატორის დანიშვნა; პროცესის დაწყება, წარმართვა და დასრულება; ურთიერთობის მახასიათებლები მხარეებსა და მედიატორს შორის; კონფიდენციალურობის პრინციპი; პროცესის ფარგლებში მოპოვებული მტკიცებულებების

²⁵იხ. <http://www.uncitral.org>. ბოლოს გამოხმობილია: 27.11.2018.

²⁶უნსიტრალის მოდელური კანონები წარმოადგენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ რეზოლუციის სახით მიღებულ აქტებს, გაეროს წევრი ქვეყნების შიდა კანონმდებლოსათვის მოდელურ წყაროდ გამოსაყენებლად. მათ არ გააჩნიათ სავალდებულო ხასიათი.

სასამართლო სამართალწარმოებაში გამოყენების შესაძლებლობა; მედიატორის არბიტრად ქცევის საკითხი; მედიაციის წარმოების შედეგად მიღწეული შემაჯამებელი შეთანხმების ძალაში შესვლა.²⁷ აღსანიშნავია, რომ 2018 წელს, აღნიშნულ აქტში შეტანილი იქნა ცვლილებები. მათ შორის სახელწოდება ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: UNCITRAL მოდელური კანონი საერთაშორისო კომერციული მედიაციისა და მედიაციის შედეგად მიღწეული შეთანხმებების თაობაზე (UNCITRAL Model Law on International Commercial Mediation and International Settlement Agreements Resulting from Mediation (2018)).²⁸ მოდელური კანონის მე-3 მუხლის მე-7 ნაწილის შესაბამისად, ის არ ვრცელდება ისეთ შემთხვევაზე, როდესაც მოლაპარაკების პროცესში მედიატორად ერთვება პირი, რომელიც აქამდე ჩართული იყო როგორც მოსამართლე, ან არბიტრი.

აღსანიშნავია ევროპარლამენტისა და ევროპის საბჭოს 2008 წლის 21 მაისის დირექტივა სამოქალაქო და კომერციული მედიაციის ასპექტებთან დაკავშირებით. მითითებული დირექტივის²⁹ მოქმედება ვრცელდება ისეთ საქმეებზე, როცა სასამართლო საკუთარი ინიციატივით სთავაზობს მხარეებს მედიაციის პროცესში ჩართვას, ან, როდესაც კონკრეტული სახელმწიფოს ნაციონალური სამართალი სავალდებულო მედიაციის წარმოებას ითვალისწინებს. აღსანიშნავია, რომ იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული სახელმწიფოს მასშტაბით მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მოსამართლესაც ეძლევა მედიაციის წარმართვის შესაძლებლობა, დირექტივა ამ ფორმის პროცესზეც გავრცელდება. დირექტივაში ასახული პრინციპები ეფუძნება ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს და ითვალისწინებს ევროკავშირის ძირითად უფლებათა ქარტიით განმტკიცებულ ფასეულობებს.

²⁷ ცერცვაძე გ., მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, თბილისი, 2013, გვ. 35.

²⁸ იხ. Uncitral.org ბოლოს გამოხმობილია: 27.11.2018.

²⁹ იხ. eur-lex.europa.eu ბოლოს გამოხმობილია: 27.11.2018.

მისი მიზანია გააადვილოს საზოგადოების წვდომა დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ საშუალებებთან. მათ შორის, მედიაციის გამოყენებით შესაძლებელი გახადოს მიუკერძოებელი გადაწყვეტილებების მიღება, რაც მიიღწევა მედიაციისა და სასამართლო პროცესის დაბალანსებული გამოყენებით.³⁰

2008 წლის 2008/52/EC დირექტივა, (DIRECTIVE 2008/52/EC OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 21 May 2008 on certain aspects of mediation in civil and commercial matters),³¹ რომელიც განსაზღვრავს მედიაციის შესახებ სამოქალაქო და კომერციული საკითხების სხვადასხვა ასპექტებს, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს აკისრებდა ვალდებულებას დადგენილი წესით მიეღოთ სავალდებულო იურიდიული ძალის მქონე რეგულაციები იმ მიზნით, რომ 2011 წლის 21 მაისამდე ყველა წევრი სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობა შესაბამისობაში ყოფილიყო აღნიშნული დირექტივის მოთხოვნებთან. მითითებული დირექტივის ფარგლებში აქცენტი ხორციელდება მედიაციის პროცესის ხარისხზე (მუხლი 4), მედიაციის პროცესში მიღწეული შეთანხმების აღსრულების უზრუნველყოფაზე (მუხლი 6), კონფიდენციალურობის პრინციპზე (მუხლი 7), მხარეთა უფლებაზე, სურვილის შემთხვევაში გააჩნდეთ არბიტრაჟისათვის ან სასამართლოსათვის მიმართვის შესაძლებლობა (მუხლი 8). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სავალდებულო სახით მედიაციის დანერგვა, რასაც მითითებული აქტი ითვალისწინებს, არ მოიაზრებს მედიაციის, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმის სავალდებულო სახით გამოყენებას, არამედ, გულისხმობს სავალდებულო სახით ევროპის კავშირის წევრი ქვეყნების მხრიდან საკუთარ საკანონმდებლო სისტემაში ამ ინსტიტუციის შესახებ მარეგულირებელი ნორმების ინტეგრირებას, თუ არ ჩავთვლით მსოფლიოს

³⁰ცერცვაძე გ., მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, თბილისი, 2013, გვ. 47.

³¹ იხ. eur-lex.europa.eu ბოლოს გამოხმობილია: 27.11.2018.

რამდენიმე ქვეყანას, სადაც მედიატორთა სავალდებულო სახით დანერგა (მაგ. ავსტრალია, რომელმაც დააკანონა, ყველა შტატში მოსამართლეების უფლებამოსილება, მხარეებს აიძულონ მედიატორში ჩართვა).³²

ევროკავშირის მასშტაბით მოქმედებს მედიატორთა ქცევის ევროპული კოდექსი (European Code of Conduct for Mediators, 2004)³³. აღნიშნული კოდექსი განამტკიცებს მედიატორის ფუნქციონირების პრინციპებს. მათ შორის: მედიატორის მიერ საქმის განხილვის შემთხვევაში, შესაბამისი კომპეტენციის გამოვლენის აუცილებლობას; მედიატორის მიერ კონკრეტულ საქმესთან მიმართებით მედიატორის წარმოების პასუხისმგებლობის აღების წინაპირობებს; მედიატორის დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის პრინციპს; მედიატორის პროცედურასთან დაკავშირებულ რიგ საკითხებს; სამართლიანობის პრინციპს; პროცესის დასასრულს გასათვალისწინებელ ტექნიკურ საკითხებს; კონფიდენციალურობის პრინციპს.

მედიატორის ზემოაღნიშნული მახასიათებლებისა და რიგი სამართლებრივი ინსტრუმენტების მიმოხილვის გათვალისწინებით დგინდება, რომ მედიატორის ინსტიტუტის იმგვარი პოპულარობა, რაც დღესდღეობით არსებობს, განაპირობა მისმა შემდეგმა არსებითმა ნიშნებმა: მედიატორი ინტერესებზე და არა უფლებებზე დამყარებული პროცესია; მედიატორის შეთავაზება მხარეთათვის არამბოჰავია; მედიატორის პროცესი კონფიდენციალურია; მედიატორის პროცესში შეთანხმება ნებაყოფლობითია.³⁴ შესაბამისად, მოსამართლის როლი სასამართლო მედიატორის წარმოებისას, ეფუძნება მითითებულ ღირებულებებს, რაც გამოკვეთს განსხვავებას მისი

³²ყანდაშვილი ი., საქართველოში მედიატორის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასამართლო ფორმები, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იურიდიული ფაკულტეტი, თბილისი, 2018, გვ. 177.

³³ იხ. ec.europa.eu ბოლოს გამოხმობილია: 27.11.2018.

³⁴წულაძე ა., სასამართლო მედიატორის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2016, გვ. 13.

2.2. სასამართლო და სასამართლოს გარე მედიაციის თანაფარდობა

როგორც აღინიშნა - თანამედროვე სამართალს შეეხო ცვლილებების ეტაპი (Wind of change) და ამ ცვლილებებს შორის დომინირებს მედიაცია.³⁵ მედიაციის ძირითადი ფორმების თვალსაზრისით დომინირებს: სასამართლო (სავალდებულო) და სასამართლოს გარე (კერძო) მედიაცია, რომელიც ნებაყოფლობითი მედიაციის სახელწოდებითაც მოიხსენიება. ნაშრომის მიზნებისათვის არსობრივად მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ თავის მხრივ სასამართლო მედიაცია ორგვარია: 1. სასამართლოსთან არსებული მედიაცია (Court-annexed mediation³⁶), რომელიც ინსტიტუციურად არის კოორდინაციაში სასამართლოსთან, თუმცა, პროცედურულად აბსოლუტურად დამოუკიდებელია სასამართლოსგან, როგორც ცალკე მდგომი ინსტიტუცია.³⁷ 2. სასამართლო მედიაცია (Judicial mediation)³⁸, რომელიც დაკავშირებულია სასამართლოსთან შენობისა და პერსონალის კუთხით. მედიაციის მსგავსი ფორმის დროს, მედიატორი შეიძლება იყოს მოქმედი მოსამართლე,³⁹ მოსამართლეს შესაძლებელია მიენიჭოს მედიატორი-მოსამართლის სტატუსი, თუკი ის დააკმაყოფილებს ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებულ, საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. რამდენადაც შესავალში აღინიშნა - ამ ნაშრომის ფარგლებში სასამართლო მედიაციის ეს უკანასკნელი ფორმა (Judicial

³⁵Goyder B., Mediation and the law, University of Durham, Student Law Journal, 1992, p. 35.

³⁶Steffek F., Mediation, in The Max Planck Encyclopedia of European Private Law, Vol. II, Basedow J., Hopt J.K., Zimmermann R., Stier A., Oxford University Press, Oxford, 2012, p.1163.

³⁷Lindblom P.H., Progressive Procedure, Iustus, 2017, p. 422.

³⁸Brunet E., Judicial mediation and signaling, Nevada law journal, 2002, p. 232.

³⁹Steffek F., Mediation und Güterichterverfahren, Zeitschrift für Europäisches Privatrecht, (ZEuP) #3, Verlag C.H.Beck, München, 2013, p. 538. მითითებულია: ყანდაშვილი ი., საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასამართლო ფორმები, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იურიდიული ფაკულტეტი, თბილისი, 2018, გვ. 184.

mediation) განისაზღვრება როგორც სასამართლო/სასამართლოსმიერი მედიაცია, რათა არ მოხდეს მისი აღრევა სასამართლო მედიაციასთან, რომლის მხოლოდ ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს ის.

მედიაციის კომპლექსური ფორმების გამოყენებისა და სრულყოფილი რეგულირების თვალსაზრისით, აღსანიშნავია ავსტრიის გამოცდილება, სადაც მედიაციის შესახებ კანონი 2004 წელს ამოქმედდა და სადაც მითითებული ფორმებია დამკვიდრებული: ა) კერძო მედიაცია (Private mediation); ბ) სასამართლოსთან არსებული მედიაცია (Court-annexed mediation) და უშუალოდ გ) სასამართლო მედიაცია (Judicial Mediation).⁴⁰

2.2.1. სასამართლო მედიაციის დადებითი და უარყოფითი მხარეები

სასამართლო მედიაციის დროს ხორციელდება მიმდინარე საქმის გადამისამართება სასამართლოს განხილვიდან მედიაციის პროცესში. მედიატორის/მოსამართლე-მედიატორის წარმოებაში ხვდება იმ კატეგორიის საქმე, რომელიც სასამართლო საქმისწარმოების წესით განიხილება მოსამართლესთან, რომელიც უშუალოდ მხარეებს ათანხმებს მედიაციის ინიცირებაზე. აგრეთვე, განირჩევა რიგი სამართლებრივი სისტემები, სადაც მხარეთა თანხმობის გარეშე იწყება სასამართლო მედიაცია. საქმე ხვდება სასამართლო მედიატორის წარმოებაში, რომელიც, რიგ შემთხვევაში, არის მედიატორთა რეესტრში არსებული შესაბამისი პროცედურით აკრედიტირებული მედიატორი, ან უშუალოდ სასამართლოს მოხელე/მოსამართლე. ამ უკანასკნელის შემთხვევაში უნიფიცირებული მიდგომაა, რომ მოსამართლე საქმისწარმოების სასამართლო წარმოებაში

⁴⁰Sippel L., Comparative Aspects Between the Nordic Countries and Austria: Court Mediation in or Out? Turku University of Applied Sciences, 2014, pp. 185-209.

გაგრძელების შემთხვევაში აღნიშნული საქმის განმხილველი მოსამართლე ვერ იქნება.⁴¹

ნებისმიერ სახელმწიფოში, სასამართლო მედიაციის ნებისმიერი ფორმის დამკვიდრებისას, როგორც წესი, ადგილი აქვს აზრთა სხვადასხვაობას მის ეფექტიანობასთან დაკავშირებით. აღნიშნულის გამომწვევ მიზეზად იურიდიულ ლიტერატურაში სახელდება ის, რომ სასამართლო მედიაციის შემთხვევაში, მხარეები ერთგვარად იძულებულნი ხდებიან მიიღონ მონაწილეობა პროცესში, რომელიც, როგორც წესი, ნებაყოფლობითობით ხასიათდება⁴² და აღნიშნული პრინციპი ნაციონალური თუ საერთაშორისო სამართლებრივი კანონმდებლობით გათვალისწინებული აქტების რეგულირების ფარგლებში ექცევა.

სასამართლო მედიაციის მოწინააღმდეგეთა მხრიდან გამოითქმის მოსაზრება იმის თაობაზეც, რომ მოსახლეობის პრიორიტეტული ინტერესი არის სამართლიანობის შეგრძნება. არა კომპრომისი, არა ეფექტიანობა, არა პროცესის სიიაფე, არამედ უპირატესად სამართლიანობა.⁴³ ე.ი. ზოგიერთ შემთხვევაში, მხარეთა ინტერესების დაკმაყოფილების საუკეთესო საშუალებად მიიჩნევა არა მორიგება, არამედ, დავის მესამე პირის (მოსამართლის ან არბიტრის) მიერ გადაწყვეტა.⁴⁴ საყურადღებოა, რომ მედიაციის საშუალებით დავის გადაწყვეტა, მართლაც, არ შეიძლება იყოს მისაღები ყველასთვის - მათ შორის იმ პირებისათვის, რომლების ინტერესთა დაკმაყოფილებაც მხოლოდ

⁴¹Ulrich H., in Klowait J., Gläßer U., MediationsGesetz, Handkommentar, Nomos, Baden-Baden, 2014, p. 87. მითითებულია: ყანდაშვილი ი., საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იურიდიული ფაკულტეტი, თბილისი, 2018, გვ. 189.

⁴²Hanks M., Perspectives on Mandatory Mediation Forum: Appropriate Dispute Resolution, University of New South Wales Law Journal, 2012, p. 929.

⁴³Eisele G., No to Mandatory Court-Annexed ADR From the Bench, Thomas law journal litigation, 1991, p. 3.

⁴⁴Glick T., Creative Mediation, North Charleston, 2012, p. 99.

სასამართლო განხილვის გზითაა შესაძლებელი.⁴⁵ მედიაცია ვერ იქნება წარმატებული ვერც გამოკვეთილად არათანასწორი მხარეების დავის შემთხვევაში.⁴⁶ მათ შორის, საქმეზე “კალიფორნიის ეუდსაიდი ჰოუმსი რივერსადის (პირველი ინსტანციის) უმაღლესი სასამართლოს წინააღმდეგ“, სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სამედიაციო შეთანხმებაც შესაძლებელია დაექვემდებაროს გაუქმებას, თუ მედიაციის პროცესი მიუღებელია მხარისათვის. მაშინ, როდესაც სავალდებულო მედიაციის პროცესში მონაწილეობა მიუღებელია საოჯახო დავის ერთ-ერთი მხარისათვის, მედიაციაზე უარის თქმის უფლება სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს.⁴⁷

ყველა მოქალაქეს უნდა ჰქონდეს წვდომა სამართალთან და აღნიშნული უნდა უზრუნველყოს სასამართლომ. თუმცა, ყოველთვის გასაგები არ არის, რას ნიშნავს აღნიშნული ცნება. რიგ შემთხვევებში მას აიგივებენ სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასთან. თუმცა, მითითებული ახსნა არ შეიძლება ჩაითვალოს საუკეთესოდ. სამართალთან წვდომა უნდა განისაზღვროს როგორც მოქალაქეთა შესაძლებლობა, გადაჭრან კონფლიქტები მშვიდობიანი გზით. ამ თვალსაზრისით, სამართალთან წვდომა მოიაზრებს იმგვარი გარანტიების შექმნას, რა შემთხვევაშიც პირებს ექნებათ შესაძლებლობა მიიღონ სასურველი შედეგები. ამასთან, ტრადიციული სასამართლო წარმოება არ შეიძლება ჩაითვალოს ერთადერთ სივრცედ, სადაც შესაძლებელია სამართლიანობის მიღწევა ან/და მისი შეფასება. თანამედროვე მიდგომების შესაბამისად, ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალებებს, მათ შორის მედიაციას, გააჩნიათ რესურსი მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ

⁴⁵Ware J., Principles of Alternative Dispute Resolution, Second edition, Printed in the United States of America, 2003, p. 311.

⁴⁶Leviton C., Greenstone L., Elements of Mediation, Printed in the United States of America, 2004, p. 38.

⁴⁷Woodside Homes of California v. The Superior Court of Riverside, 107 Cal. APP. 4th Dist., 2003.

მითითებულ პროცესში.⁴⁸ როგორც ამას ბილეველდის (გერმანია) უნივერსიტეტის სოციოლოგიის პროფესორი ნიკლას ლუმანი⁴⁹ (1927-1998) განმარტავს, ადამიანს არ შეუძლია შეიმეცნოს სამყარო მთელი თავისი სირთულით. ადამიანი განწირულია ამ სირთულის რედუქციისათვის(შემცირებისათვის).⁵⁰ სწორედ სამყაროს სირთულის შემცირების ერთ-ერთ მცდელობად შეიძლება შეფასდეს ადამიანების სურვილი, განახორციელონ კონფლიქტების მშვიდობიანი გზით გადაწყვეტა.

იმავეს ადასტურებს პრაქტიკა - აშშ-ში საკითხის კვლევის შედეგად ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორმა კრეიგ მაქვინმა განაცხადა, რომ ისეთ შემთხვევებშიც კი, როდესაც მხარეები რომელთაც არ სურდათ მედიაციის პროცესში ჩართვა, თუმცა სასამართლო მედიაციის წესების შესაბამისად ერთვებიან პროცესში, მისი დასრულების შემდგომ, პროცესს აფასებენ როგორც სამართლიანს. აგრეთვე კმაყოფილებას გამოთქვამენ პროცედურული საკითხების შეფასებისას. აღნიშნულ გარემოებას ავტორმა უწოდა მედიაციის პარადოქსი.⁵¹ ნაშრომის მიზნებიდან გამომდინარე გასათვალისწინებელია ისიც, რომ რამდენადაც ეს სასამართლო მედიაციის პრაქტიკამ ცხადყო, მხარეებისთვის უმეტესად მისაღებია მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საქმის მედიაციისათვის გადაცემის თაობაზე. მეტიც, მოსამართლის ამ გადაწყვეტილებას ისინი ხშირად დადებითად ხვდებიან, რამეთუ, მხარის მიერ მორიგების სურვილის გაცხადება (მედიაციისადმი მიმართვის შეთავაზება) მოწინააღმდეგე მხარის მიერ

⁴⁸Vieira L., Designing a Court-Annexed Mediation Program for Civil Cases in Brazil: Challenges and Opportunities, Pepperdine Dispute Resolution Law Journal, 2015, p. 2.

⁴⁹დაიბადა 1927 წელს ლუნებურგში (გერმანია). იურისპუდენციას სწავლობდა ფრაიბურგში, ხოლო მოგვიანებით ჰარვარდში. 1968 წლიდან იყო სოციოლოგიის პროფესორი ბილეველდის (გერმანია) უნივერსიტეტში.

⁵⁰ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბილისი, 2004, გვ. 187.

⁵¹Jacqueline N., Mediation Exceptionality Symposium - Against Settlement: Twenty-Five Years Later, Fordham Law Review 2009, p. 1254.

აღიქმება, როგორც სუსტი სამართლებრივი პოზიციით გამოწვეული კომპრომისი.⁵²

რეალურად, განსახილველი საკითხი არ გახლავთ ის, დავის ალტერნატიული გადაწყვეტა არის სასამართლო დავაზე უკეთესი თუ არა. მნიშვნელოვანია ის, რომ შესაბამისი საკანონმდებლო რეგულირების არსებობის შემთხვევაში, ეს პროცესი მხარებს აღჭურავს სხვადასხვა ტიპის დავების გადაწყვეტის პროცესში რიგი შესაძლებლობებით. საინტერესოა ისიც, თუ რა თვალსაზრისით ახდენს გავლენას დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეს ფორმა სასამართლო სისტემაზე და თავის მხრივ, რამდენად ცვლის სასამართლო მედიაციის ინსტიტუტს.⁵³ სასამართლო მედიაციის წარმოების პირობებში, მაშინ, როდესაც ადგილი აქვს დავის გადაწყვეტის ორი საშუალების ერთგვარ სინთეზს, მით უფრო, თუკი სამართლებრივი სისტემა ითვალისწინებს მოსამართლის მიერ მედიაციის წარმართვის შესაძლებლობას (Judicial mediation), გარდაუვალი ხდება ურთიერთგავლენის არსებობა. შესაძლებელია ითქვას, რომ მოსამართლეთა სპეციალიზაციამ მედიაციაში და მოსამართლე-მედიატორის სტატუსის მიღებამ, შეიძლება მნიშვნელოვნად განსაზღვროს მათი პროფესიული თვალსაწიერის გაფართოება, შრომის შედეგიანობა, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს სასამართლო სისტემის ერთგვარ გარდაქმნას და საზოგადოების მხრიდან ხელისუფლების შესაბამისი შტოს მიმართ ნდობის ამაღლებას.

შესაბამისად, იმ პირობებში, როდესაც რიგ კრიტიკოსთა აზრით, მედიაციის კულტურის დამკვიდრების პროცესში სასამართლო მედიაცია უკან გადადგმული ნაბიჯია, რაციონალისტებს მიაჩნიათ, რომ მედიაციის

⁵²Blackshaw I., TMC Asser Instituut (La Haye), Sport, Mediation and Arbitration, T.M.C. Asser Press, Hague, 2009, p. 243.

⁵³Ward E., Mandatory Court-Annexed Alternative Dispute Resolution in the United States Federal Courts: Panacea or Pandemic Symposium: Transatlantic Perspectives on Alternative Dispute Resolution, St. John's Law Review, 2007, p. 79.

პროცესის არაფორმალური ხასიათისა და მხარეთა მიერ გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უფლებიდან გამომდინარე, (რაც ერთმნიშვნელოვნად არ იზღუდება სასამართლო მედიაციის წარმოებისას), პროცესში სავალდებულო მონაწილეობის დაწესება ვერ მოახდენს გავლენას მის ნებაყოფლობით ბუნებაზე იმდენად, რომ ხაზი გადაესვას იმ სიკეთეს, რისი მიღწევაც მისი დახმარებით შეიძლება.⁵⁴ შესაბამისად, თანამედროვე სამართლებრივ სისტემებში გაზიარებულია მიდგომა, რომ სასამართლო მედიაციის ეტაპის გავლა, არ შეიძლება წარმოადგენდეს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლის, კერძოდ - სასამართლოსათვის მიმართვის უფლების დარღვევას, რადგან, მედიაციის წარუმატებლად დასრულების შემთხვევაში მხარეებს არაფერი ზღუდავს მოითხოვონ საქმის გადაწყვეტა სტანდარტული სასამართლო საქმისწარმოებით. თავის მხრივ, სასამართლო მედიაციის პროცესიც მხარეთა ინტერესების განხორციელებას ემსახურება. უფლება კი სხვა არაფერია, თუ არა სამართლებრივად დაცული ინტერესი.⁵⁵

ამასთან, სასამართლო მედიაციის მომხრეები საკუთარი არგუმენტის დასაცავად ხშირად მოუხმობენ ხოლმე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებას საქმეზე „ემნიგდეინი დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ“, რომლის შესაბამისად, სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლება არ არის აბსოლუტური და ის შეიძლება ექვემდებარებოდეს შეზღუდვას, თუ ეს შეზღუდვა ემსახურება კანონიერ მიზანს და დაცულია პროპორციულობა გამოყენებულ ზომასა და მისაღწევ მიზანს შორის.⁵⁶

აღსანიშნავია, რომ მართალია, სასამართლოთა განტვირთვა და სახელმწიფო რესურსების დაზოგვა როგორც სასამართლო, ისე სასამართლოს გარე

⁵⁴Alexander N., Four Mediation Stories from Across the Globe, *RabelsZeitschrift fur Auslanisches und Internationals Privatrecht (the Rabel Journal)*, No. 4, 2010, p. 745.

⁵⁵ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბილისი, 2004, გვ. 183.

⁵⁶*Ashingdane vs. The United Kingdom*, Judgment of the European Court of Human Rights, Application No. 8225/78, 1985, para., p. 57.

მედიაციის დამახასიათებელი თანმდევი შედეგია, მაგრამ სასამართლო მედიაციის გამოყენებით ზემოაღნიშნული უპირატესობები გაცილებით აშკარაა და ფართო მასშტაბებს იღებს. პარალელურად, მედიაციის ეფექტიანი მუშაობა საჭიროებს სასამართლოების ადმინისტრაციულ მხარდაჭერას, რაც, სასამართლო მედიაციის დროს მეტად არის უზრუნველყოფილი, ვიდრე სასამართლოს გარე მედიაციის წარმოების პირობებში.⁵⁷ მით უფრო, თუკი ეროვნულ-სამართლებრივი სისტემა ითვალისწინებს მოსამართლის ფართო უფლებამოსილებებს სასამართლო მედიაციის პროცესში ან/და ნაშრომში განხილულ მოსამართლე-მედიატორის ინსტიტუტს.

- აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო მედიაციის დადებითი მხარეები შემდეგი სახით განისაზღვრება:
 - სასამართლო მედიაცია სამართლის სუბიექტებს აძლევს შესაძლებლობას, მიაღწიონ სამართალთან წვდომას კონფლიქტების მშვიდობიანი გადაწყვეტის გზით, მას შემდეგაც კი, რაც, მათ მიერ სასამართლოში სარჩელი არის შეტანილი.
 - სასამართლო მედიაციისათვის საქმის დაქვემდებარებას სამართლის სუბიექტები ხშირად დადებითად ხვდებიან, რამეთუ, მათ მიერ სასამართლოს გარე მედიაციისადმი მიმართვის შეთავაზება, მოწინააღმდეგე მხარის მიერ, შესაძლებელია, აღქმული იქნას, როგორც სუსტი სამართლებრივი პოზიციით გამოწვეული კომპრომისი.
 - სასამართლო მედიაციის გამოყენების შემთხვევაში, მედიაციის უპირატესობები გაცილებით ფართო მასშტაბებს იღებს, რამეთუ, ამ შემთხვევაში, უზრუნველყოფილია ადმინისტრაციული მხარდაჭერა.

⁵⁷წულაძე ა., სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2016, გვ. 23.

- თავის მხრივ, მედიაში სპეციალიზაცია, უზრუნველყოფს მოსამართლეთა პროფესიული თვალსაწიერის გაფართოებას, მათი შრომის ეფექტიანობას, რაც, თავის მხრივ, განსაზღვრავს სასამართლო სისტემის ერთგვარ გარდაქმნას, საზოგადოების მხრიდან ხელისუფლების შესაბამისი შტოს მიმართ ნდობის ამაღლებას.
- რაც შეეხება სასამართლო მედიაციის უარყოფით მხარეს, დომინირებული მოსაზრების შესაბამისად, ის გამოიხატება მის სავალდებულო ხასიათში. თუმცა, მითითებული არგუმენტის ოპონირება შესაძლებელია. სასამართლო მედიაციის წარუმატებლად დასრულების შემთხვევაში, თუ მხარეები ამ პროცესში ვერ დაინახვეს სამართლიანობის შეგრძნების დაკმაყოფილების რესურსს, მათ არაფერი ზღუდავთ საქმის გადაწყვეტა სტანდარტული სასამართლო საქმისწარმოებით მოითხოვონ.

2.2.2. სასამართლოს გარე მედიაციის დადებითი და უარყოფითი მხარეები

დამკვიდრებული შეხედულების შესაბამისად, მედიაციის წარმატების ალბათობა მატულობს შემდეგი გარემოებების არსებობის შემთხვევაში: მოდავე მხარეთა შორის უკვე არსებობს ურთიერთთანამშრომლობის სხვა შემთხვევა; დავა არ გრძელდებოდა ხანგრძლივად; არსებობს მორიგების იძულების გარე ფაქტორები; გართულებული სამართლებრივი ურთიერთობა არის დაბალი ან საშუალო სიმწვავის;⁵⁸ მხარეებს აქვთ გაცნობიერებული საკუთარი მიზნები;⁵⁹ არსებობს შესაძლებლობა, რომ კლიენტი მედიაციის საშუალებით მიიღებს უფრო ფასეულ შედეგებს, ვიდრე ეს მოხდება კონფლიქტის გაგრძელების შემთხვევაში; მხარეთათვის ძნელი ან შეუძლებელია პირდაპირი მოლაპარაკების წარმოება;⁶⁰ მედიაციის წარმოება,

⁵⁸Domenici K., Littlejohn W., Mediation Empowerment in Conflict Management, Printed in the United States of America, Second edition, 2001, p. 41.

⁵⁹იქვე, გვ. 42.

⁶⁰Folberg G., Mediation The Roles of Advocate and Neutral, Second edition, Printed in the United States of America, 2011, p. 242.

აგრეთვე, მაშინაა მიზანშეწონილი, თუკი ორივე მხარეს სურს ერთმანეთისაგან რაიმეს მიღება.⁶¹ გამართლებულია მაშინაც, როდესაც: მხარეთა შორის არსებობს კომუნიკაციის პრობლემა; სახეზეა მათ კულტურათა შორის სხვაობა; ამავე საქმეზე დავის გადაწყვეტის სხვა საშუალება აღმოჩნდა წარუმატებელი და მხარეებს გააჩნიათ სურვილი დავა გადაიჭრას განსხვავებული ინსტიტუტის გამოყენებით.⁶² ამასთან, დამკვიდრებული შეხედულების შესაბამისად, ზოგიერთ შემთხვევაში, ერთი მხარის მცდელობა, აწარმოოს მოლაპარაკება, შესაძლებელია, დასრულდეს უშედეგოდ, თუკი მოწინააღმდეგე მხარე არ არის ამით დაინტერესებული, ვერ ხედავს აზრს მოლაპარაკებაში.⁶³

ყოველივე აღნიშნულის შეჯერების შედეგად, სასამართლოს გარე/ნებაყოფლობითი ნებაყოფლობითი მედიაციის მომხრეები, როგორც წესი, აპელირებას ახდენენ შემდეგზე: ვინაიდან, ნებაყოფლობითი მედიაციის შემთხვევაში სახეზეა ორივე მხარის ნება, ეს შესაძლებელია გახდეს მედიაციის წარმატებით დასრულების საწინდარი,⁶⁴ განსხვავებით სასამართლო მედიაციის შემთხვევებისაგან, რა დროსაც, მხარეთაგან შესაბამისი ნება შესაძლებელია არ არსებობდეს.

ამის მიუხედავად, სასამართლოს გარე მედიაციის მიმართ სკეპტიკური პირებისაგან როგორც წესი, ისმის კითხვა: თუკი მხარეს აქვს ძლიერი პოზიცია, რატომ უნდა სურდეს სასამართლო განხილვის ნებაყოფლობით თავიდან აცილება?⁶⁵ ერთი შეხედვით, აღნიშნული არგუმენტი დასაბუთებულია, თუმცა, თანამედროვე მიდგომები და პრაქტიკა მის საწინააღმდეგოდ

⁶¹Hames S., Negotiation, Closing Deals, Settling Disputes, and Making Team Decisions, Printed in the United States of America, 2012, p. 11.

⁶²Folberg J., Rosenberg J., Barrett R., Use of ADR in California Courts: Findings & Proposals, University of San Francisco Law Review, Vol 26, 1992, p. 410.

⁶³Luecke R., Harvard Business Essentials Your Mentor and Guide to Doing Business Effectively Negotiation, Printed in the United States of America, 2003, p. 46.

⁶⁴Pel M., Referral to Mediation a Practical Guide for an Effective Mediation Proposal, The Hague, 2008, p. 71.

⁶⁵Abramson I., Mediation Representation Advocating as a Problem-solver in any Country or Culture, Second edition, Printed in the United States of America, 2010, p.156.

მეტყველებს. სამართლებრივ სივრცეებში დამკვიდრებული ტენდენციების შესაბამისად, მოწინააღმდეგე მხარისათვის მედიაციის საშუალებით დავის გადაწყვეტის შეთავაზება არ ნიშნავს სისუსტის გამოვლენას. შესაძლებელია, ეს ქმედება ამგვარად აღიქმებოდა ჯერ კიდევ ათი წლის წინ, თუმცა ვითარება ამ თვალსაზრისით შეცვლილია.⁶⁶

მეორე არგუმენტი, რომელიც ნებაყოფლობითი მედიაციის მოწინააღმდეგეთა მხრიდან გამოითქმის, შემდეგია: მაშინ, როდესაც მხარეები წინასწარ არ შეთანხმებულან დავის წარმოშობის შემთხვევაში მედიაციისათვის მიმართვის თაობაზე, როგორ უნდა შეთანხმდნენ აღნიშნულზე, თუ მათ შორის კონფლიქტი უკვე გაღვივებულია? აღნიშნულ კითხვაზე მრავალი პასუხი არსებობს, თუმცა ყველაზე სარწმუნოა ის მოსაზრება, რომ სასამართლოს გარე/ნებაყოფლობითმა მედიაციის ინსტიტუტმა საზოგადოებასთან სწორი კომუნიკაციით თავად უნდა მოახერხოს თავისი დადებითი მხარეების შესახებ საზოგადოების ცნობიერების გაზრდა. მორიგებით დასრულებული ყოველი საქმე ხომ მედიაციის განვრცობის საუკეთესო შესაძლებლობებს ქმნის.⁶⁷

- კვლევის შედეგად დგინდება, რომ სამეცნიერო საზოგადოებაში სასამართლოს გარე მედიაციის უპირატესობის სახით, როგორც წესი, მიეთითება მასში მონაწილეობის ნებაყოფლობითი ხასიათი.
- რაც შეეხება სასამართლოს გარე მედიაციის უარყოფით მხარეებს, მათი არსი შემდეგი სახით განისაზღვრება:
 - თუკი მხარეს აქვს ძლიერი სამართლებრივი პოზიცია, მას შესაძლებელია არ სურდეს სასამართლო განხილვის ნებაყოფლობით თავიდან აცილება.

⁶⁶Berman J., Mediation's Evolution in Social: Where it has been and where it is going, Published in Advocate Magazine, 2012, p. 2.

⁶⁷წულაძე ა., სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2016, გვ. 26.

- როდესაც მხარეები წინასწარ არ შეთანხმებულან დავის წარმოშობის შემთხვევაში, მედიაციისათვის მიმართვის თაობაზე, კონფლიქტის წარმოშობის შემდეგ, ისინი, შესაძლებელია, სრულებით ვერ შეჯერდნენ აღნიშნულზე.

2.3. მედიაციის ურთიერთმიმართება დავის გადაწყვეტის სხვა სამართლებრივ საშუალებებთან

მედიაციის კონცეპტუალური მასახიათებლების კვლევისას, მნიშვნელოვნად მიიჩნევა მისი ურთიერთმიმართების დადგენა დავის გადაწყვეტის სხვა საშუალებებთან. ამასთან, ვინაიდან, მეტად აქტუალურია სასამართლოსა და არბიტრაჟთან მიმართების საკითხი, მოცემულ შემთხვევაში, ყურადღებას მათზე გავამახვილებთ. განვიხილავთ მოსამართლის როლს სასამართლო საქმისწარმოებისას, რაც ცხადყოფს განსხვავებას მისი როლისაგან სასამართლო მედიაციის პროცესში. გამოიყოფა არბიტრის როლი, არბიტრაჟის განხორციელებისას და გამოვიკვლევთ პრაქტიკაში დამკვიდრებულ მიდგომებს.

2.3.1. მედიაციის ურთიერთმიმართება სასამართლოსთან, მოსამართლის როლის კონცეპტუალური განსხვავება ტრადიციული სასამართლო საქმისწარმოებისა და სასამართლო მედიაციის წარმართვის პროცესებს შორის

მედიაციასა და სასამართლო წარმოებას შორის არსებულ განსხვავებებზე მსჯელობისას, სამეცნიერო კვლევებზე დაყრდნობით, ყურადღება, არსებითად, შემდეგ მახასიათებლებზე მახვილდება:

მედიაციის წარმოების შემთხვევაში, პროცესის მონაწილეები (მათ შორის მოსამართლეები, სასამართლოსმიერი მედიაციის წარმოებისას) ერთიანდებიან დასმული საკითხების გადაჭრის მეთოდების მოძიების თვალსაზრისით. პროცესის მიზანს წარმოადგენს გადაწყვეტის საუკეთესო გზების მიგნება.

ამასთან, იქმნება შესაძლებლობა, მორიგების პირობები შეედაროს სასამართლოს გზით დავის გადაწყვეტის შემთხვევაში მიღებულ შედეგებს. სასამართლო პროცესისაგან განსხვავებით, ხდება არა მხოლოდ დასმული საკითხების მოკვლევა, არამედ, შესაძლებელია კონფლიქტის განმაპირობებელი ფარული მიზეზების აღმოფხვრაც. მედიაცია მხარეებს აძლევს შესაძლებლობას, აწარმოონ პირდაპირი მოლაპარაკება, რაც ზრდის ოპონენტის პოზიციის აღქმისა და ანალიზის ალბათობას. იქმნება ემოციური ბარიერების დაძლევის შესაძლებლობაც.⁶⁸

გასათვალისწინებელია, რომ მხარე არ უნდა შეეცადოს მედიაციის პროცესის მოგებას.⁶⁹ სასამართლო საქმისწარმოებისაგან განსხვავებით, მედიაციის პროცესში არავინ, და არც მოსამართლე, არ აპირებს მტყუან-მართალის ფაქტობრივ გამოკვლევას.⁷⁰ მხარეებს, აგრეთვე, ექმნებათ რეალისტური მოლოდინები საქმესთან დაკავშირებით, რაც, ასევე ხელს უწყობს მათი ცნობიერების ამაღლებას.⁷¹ ე.ი. სასამართლოსაგან განსხვავებით, მედიაცია არსობრივად არის პროცესი, რომელიც უზრუნველყოფს იმ საკითხებს, რაც ადამიანებისათვის არის მნიშვნელოვანი. ესენია: ურთიერთობები, სამართლიანობის დამკვიდრება, ემოციები, ურთიერთპატივისცემა, ჩართულობა, პრობლემის გადაჭრა. ადამიანებს აქვთ საშუალება, გაუზიარონ ერთმანეთს გულისტკივილი, გამოთქვან აზრი, ისაუბრონ საკუთარი საჭიროებების შესახებ.⁷²

⁶⁸Weil R., *Mediation in a Litigation Culture: The Surprising Growth of Mediation in New York*, 2011, p. 9.

⁶⁹Folberg G., *Mediation The Roles of Advocate and Neutral*, Second edition, Printed in the United States of America, 2011, p. 262.

⁷⁰Kovach K., *Mediation Principles and Practice*, Third edition, Printed in the United States of America, 2004, p. 152.

⁷¹Weil R., *Mediation in a Litigation Culture: The Surprising Growth of Mediation in New York*, 2011, p. 9.

⁷²Beer J., Packard C., *The Mediator's Handbook*, Forth edition, Printed in Canada, 2012, p. 5.

აღსანიშნავია, რომ მედიატორს/მოსამართლე-მედიატორის აქვს შესაძლებლობა თითოეულ მხარესთან ინდივიდუალური, კერძო შეხვედრები გამოიყენოს ინფორმაციის მიღების წყაროდ. აღნიშნულ პროცესში, მხარეები შეიძლება იყვნენ უფრო გულწრფელნი, ვიდრე ოპონენტის თანდასწრებით სასამართლო დარბაზში. მედიატორს უყალიბდება შთაბეჭდილება თითოეული მხარის ინტერესებსა და პრიორიტეტებზე. შედეგად, მას ექმნება შესაძლებლობა განახორციელოს იმგვარი შეთავაზება, რასაც, დამოუკიდებლად, ვერც ერთი მხარე ვერ შეძლებდა⁷³ და რისი შესაძლებლობაც არც მოსამართლეს ეძლევა სამოქალაქოსამართლებრივი დავის წარმოებისას.

მედიაციის პოპულარიზაციის განმაპირობებელ ერთ-ერთ წინაპირობად მიჩნევა ისიც, რომ მითითებული პროცესის წარმოების შემთხვევაში, მხარეებს ენიჭებათ შედეგების განსაზღვრისა და მათ შინაარსობრივ მხარეზე უშუალო ზეგავლენის მოხდენის საშუალება.⁷⁴ მედიაციის პროცესში გადაწყვეტილებას იღებენ მხარეები და არა მედიატორი⁷⁵ ან მოსამართლე-მედიატორი. გადაწყვეტილება ეფუძნება მათ პასუხისმგებლობას, ისინი ვერ მიიღებენ მითითებას, მიაღწიონ თუ არა კონკრეტული შინაარსის შეთანხმებას.⁷⁶

რიგ შემთხვევებში, შესაძლებელია დაისვას კითხვები სასამართლოსმიერ მორიგებასა და მედიაციის კონცეპტუალურ მსგავსებასთან დაკავშირებით. სასამართლოსმიერი მორიგების შემუშავების პროცესში შესაძლოა მოსამართლეს ჩაერთოს - როგორც შუამავალი, კანონის მცოდნე, დამხმარე პირი, რომელიც დაინტერესებულია, რომ დავა მორიგებით დასრულდეს. მოსამართლის, როგორც პროფესიონალის, ჩართულობა მოლაპარაკებების

⁷³Goldberg S., Green E., Sander F., Litigation, Arbitration or Mediation: A Dialogue, ABA Journal, 1989, p. 70.

⁷⁴Gitchell L., Plattner A., Mediation: A Viable Alternative to Litigation for Medical Malpractice Cases, DePaul Journal of Health Care Law, 1999, p. 422.

⁷⁵Greenwood M., How to Mediate Like a Pro - 42 Rules for Mediating Disputes, Printed in the United States of America, 2008, p. 12.

⁷⁶Domenici K., Littlejohn S., Mediation Empowerment in Conflict Management, Printed in the United States of America, Second edition, 2001, p. 135.

პროცესში აისახება მოლაპარკებით მიღწეულ შედეგებზე.⁷⁷ ასეთი „ჩართვა“ არა მხოლოდ თავად სასამართლოს ინიციატივაა, არამედ, უფრო ხშირად, მხარეებისა და მათ შორის, ადვოკატების სურვილიცაა.⁷⁸ თუმცა, რეალურად, სასამართლო მედიაცია მისი არსითა და პროცესში ჩართული მედიატორის როლით სასამართლოსმიერი მორიგებისაგან არსობრივად განსხვავდება. სასამართლო საქმისწარმოებისას მხარეები შესაძლებელია კონკრეტული ნორმების გავლენის ქვეშ მოექცნენ, პროცესი არ იძლევა საკითხისადმი შემოქმედებითად მიდგომის შესაძლებლობას, მაშინ, როდესაც მედიაციის პროცესში სამართლის როლი და მნიშვნელობა არ ბოჭავთ მხარეებს. მედიაციის დროს ორივე მხარე შეუზღუდავია მიდგომებში, მიაღწიონ შეთანხმებას იმაზე, რაც მათ ინტერესებში თავსდება. მნიშვნელოვანი მხოლოდ ისაა, რომ ეს ინტერესები ორივე მხარისთვის იყოს მისაღები, რაზეც იხარჯება კიდევ მედიაციაში რესურსი.⁷⁹ შესაბამისად, განსხვავება ძალზედ თვალშისაცემია, რადგან მოსამართლე საქმის გადაწყვეტის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირია, მაშინ, როდესაც მედიატორს მსგავსი უფლებამოსილება არ გააჩნია.⁸⁰ მედიაციის პროცესში მხარეებს უადვილდებათ ნეიტრალური მესამე პირის წინაშე მათი რეალური ინტერესების და პოზიციების დაფიქსირება, ესმით რა, რომ ეს კონფიდენციალური პროცესია და რომ ის ვერ იღებს საქმეზე რაიმე სახის მბოჭავ გადაწყვეტილებას, მაშინ, როდესაც სასამართლოსმიერი მორიგების პროცესში, მოსამართლის წინაშე

⁷⁷იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 22 სექტემბრის განჩინება საქმეზე: #ას-790-747-2015.

⁷⁸მამაიაშვილი თ., მორიგება, როგორც სამოქალაქო საქმის წარმოების დამთავრების საფუძველი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2017, გვ. 85.

⁷⁹Trams K., Die Mediationsvereinbarung-eine vertragsrechtliche Analyse, Tectum Verlag, 2008, p. 13. მითითებულია: ყანდაშვილი ი., საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იურიდიული ფაკულტეტი, თბილისი, 2018, გვ. 36.

⁸⁰Hopt J.K., Steffek F., Mediation: Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, p. 16.

მხარეებს უწევთ პოზიციების დაფიქსირება, ეს შესაძლებელია ერთგვარ დისკომფორტს უქმნიდეთ. ისინი აანალიზებენ იმ გარემოებას, რომ შეუთანხმებლობის შემთხვევაში, იგივე მოსამართლე, რომელსაც ექნება ინფორმაცია მხარეების მორიგების მიზნით დაფიქსირებული პოზიციებისა და მათი წინაპირობების შესახებ, შეუთანხმებლობის შემთხვევაში, წარმოადგენს გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილ პირს. მოსამართლის შინაგანი რწმენა შესაძლოა გავლენის ქვეშ აღმოჩნდეს, როდესაც მორიგების მიზნით მოისმენს მხარეთა გულწრფელ მოსაზრებებს.⁸¹

ყოველივე აღნიშნული, რაც ერთგვარად განსაზღვრავს მედიაციის სუბსტანციას და მის განსხვავებას სასამართლოსაგან, ასახავს კონცეფციას მოსამართლის გამორჩეულ როლთან მიმართებაში იმ სახელმწიფოთა მასშტაბით, სადაც ეროვნული კანონმდებლობა ითვალისწინებს მოსამართლის მიერ მედიაციის წარმართვის შესაძლებლობას. რამეთუ, მოსამართლის მიერ წარმართული მედიაცია არის სტანდარტული მედიაცია, რა დროსაც ადგილი აქვს პროცესის ჩვეულებრივ მიმდინარეობას, რომელზეც მედიაციის პრინციპები ვრცელდება. არსობრივი განსხვავება კი ერთადერთია და მხოლოდ მედიატორის სტატუსში მდგომარეობს.⁸²

2.3.2. მედიაციის ურთიერთმიმართება არბიტრაჟთან

ხშირად მედიაციას მოიხსენიებენ, როგორც არბიტრაჟის პროცესის ნაწილს, ვინაიდან, რიგ შემთხვევებში არბიტრებიც ორიენტირებულნი არიან მხარეთა ინტერესებზე მორგებული შედეგის დადგომაზე.⁸³ თუმცა, განსხვავება

⁸¹Eidenmüller H., Verhandlungsmanagement durch Mediation, in Henssler L.K (Hrsg) Mediation in der Anwaltspraxis, Deutscher Anwaltverlag, 2.Aufl, 2004, 62. მითითებულია: ყანდაშვილი ი., საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასამართლო ფორმები, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იურიდიული ფაკულტეტი, თბილისი, 2018, p. 35.

⁸²Brunet E., Judicial mediation and signaling, 2002, Nevada law Journal, 232-233.

⁸³Dendorfer R., Lack J., The Interaction between Arbitration and Mediation: Vision v Reality, Dispute Resolution International journal, 2007, p. 74.

მითითებული ორი ინსტიტუტის სახელმძღვანელო პრინციპებს შორის არსებითია. კერძოდ, მედიაციისა და არბიტრაჟის ურთიერთმიმართებასა და მათ შორის არსებულ განსხვავებებზე მსჯელობისას მკვლევართა ყურადღება შემდეგ ფუნდამენტურ საკითხებზე მახვილდება: 1. არბიტრაჟი გამოირჩევა რეგულირების მაღალი ხარისხით, მაშინ როდესაც მედიაციის წარმოებასას აღნიშნული სტანდარტი შედარებით დაბალია. 2. არბიტრაჟის შემთხვევაში განსახილველ საკითხს წყვეტს მესამე პირი, ხოლო მედიაციის პროცესში მხარეთა მიერ მიიღება მათსავე ინტერესებზე დაფუძნებული გადაწყვეტილება. 3. პროცედურული თვალსაზრისით, არბიტრაჟი მიმდინარეობს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. მედიაციის პროცესი აგრეთვე, მიმდინარეობს ლოგიკური პროცედურების დაცვით, თუმცა, დასაშვებია საკითხის გამეორებითი შეფასება, ხელახალი განხილვა, მხარეთა სურვილის შესაბამისად, მოქნილი გრაფიკის შემუშავება და სხვა.⁸⁴ 4. მართალია, არბიტრაჟისათვის თავდაპირველი მიმართვა ხორციელდება ორივე მხარის თანხმობის არსებობის შემთხვევაში, თუმცა შემდგომ, მისი პროცედურები იძენს სავალდებულო ხასიათს. მედიაციის შემთხვევაში მხარეს ნებისმიერ დროს ეძლევა შესაძლებლობა უარი განაცხადოს კონკრეტულ პირობათა მიღებაზე. 5. არბიტრაჟის მიმდინარეობისას, მხარეები ძირითადად, წარმოდგენილნი არიან ადვოკატების მეშვეობით, ხოლო, მედიაციის პროცესი, არცთუ იშვიათად, მათი მონაწილეობის გარეშე მიმდინარეობს.⁸⁵ მითითებულ გარემოებებზე დაყრდნობით, რიგ სამართლებრივ კულტურებში, მათ შორის, გაერთიანებულ სამეფოში მკვიდრდება მიდგომა, რომ ADR ძირითადად მედიაციასა და მის ფორმებს მოიაზრებს, რომელსაც მესამე ნეიტრალური პირი

⁸⁴იქვე გვ. 77.

⁸⁵იქვე, გვ. 78.

ახორციელებს, ხოლო არბიტრაჟი განიხილება, როგორც სასამართლოს „ახლო ბიძაშვილი“.⁸⁶

აღსანიშნავია ისიც, რომ ზემოხსენებული განმასხვავებელი კრიტერიუმები თანაბარმნიშვნელოვნად ვრცელდება მედიაციის ნებისმიერი ფორმით წარმოებისას, მათ შორის, იმ შემთხვევაშიც, თუ სამართლებრივი სისტემა ითვალისწინებს მედიაციის მოსამართლის მიერ წარმართვის შესაძლებლობას - სასამართლო/სასამართლოსმიერი მედიაციის (Judicial mediation) ინსტიტუტს.

ზოგიერთი კრიტიკოსის მოსაზრების შესაბამისად, არბიტრაჟის პროცედურა არის უფრო სწრაფი, შედარებით იაფი და რიგ შემთხვევებში, ვიწრო სპეციფიკის დავების გადაწყვეტის თვალსაზრისით, არბიტრებს შესაძლებელია გააჩნდეთ მეტი კომპეტენცია.⁸⁷ თუმცა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მითითებულ რისკს ერთნაირად გამორიცხავს რიგ სამართლებრივ სივრცეებში აღმოცენებული ზემოხსენებული პრაქტიკა, რაც ითვალისწინებს მედიაციის წარმართვის შესაძლებლობას მოსამართლის მიერ.

მედიაციისა და არბიტრაჟის ურთიერთმიმართებაზე მსჯელობისას, მნიშვნელოვნად მიიჩნევა ე.წ. მედ-არბის პროცესის (Med-Arb) არსის განსაზღვრაც. როგორც ტერმინის ანალიზის შედეგადაც დგინდება, ეს არის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის მექანიზმი, რომელიც აერთიანებს მედიაციისა და არბიტრაჟის ნიშნებს, ახდენს მათ კონსოლიდაციას. ეს არის ჰიბრიდული პროცესი, რომლის ფარგლებშიც გამოიყოფა ორი ეტაპი. პირველ ეტაპზე მხარეები ცდილობენ მიაღწიონ შეთანხმებას მესამე პირის დახმარებით, რომელიც ითავსებს მედიატორის როლს. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ პირველი ეტაპის წარმოების ფარგლებში შეთანხმება ვერ განხორციელდება, მხარეები ერთვებიან მეორე ეტაპში. იწყება არბიტრაჟის

⁸⁶Willis T., Wood W., *Alternative Dispute Resolution in Golden J., Lamm C., International Financial Disputes, Arbitration and Mediation*, Oxford University Press, Oxford, 2015, p. 72.

⁸⁷Bethel T., *Wrongful Discharge: Litigation or Arbitration*, *Journal of Dispute Resolution*, 1993, p. 289.

ფაზა, რა დროსაც იგივე პირი, რომელიც ასრულებდა მედიატორის ფუნქციებს, ითავსებს არბიტრის როლს. პროცესში ჩართვის თვალსაზრისით, ეს არის ნებაყოფლობითი პროცესი, რომლის მსვლელობაც გამოირიცხება მხარეთა თანხმობის გარეშე.⁸⁸ ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ რიგ შემთხვევებში კრიტიკოსთა მიერ ისმის კითხვები აღნიშნული პროცესის ეთიკურ თუ სამართლებრივ ასპექტებთან დაკავშირებით,⁸⁹ მკვლევართა უმრავლესობა ავითარებს მოსაზრებას, რომლის შესაბამისად, მითითებული ორი პროცესის კომბინაციისა და ურთიერთქმედების შედეგად, მიიღწევა სრულყოფა და უკეთესი შედეგები.⁹⁰ მათ პოზიციას განაპირობებს მხარეთა ინფორმირებულობა მასზე, რომ პროცესი ნებისმიერ შემთხვევაში დასრულდება კონკრეტული, სამართლებრივად მბოჭავი შედეგით და არ იარსებებს მისი სასამართლოში გაგრძელების საფრთხე.⁹¹

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით შედარებითსამართლებრივი თვალსაზრისით აღსანიშნავია, რომ მაგალითად, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მასშტაბით გათვალისწინებულია მედიაციის წარმოების შესაძლებლობა მათ შორის არბიტრაჟისა და სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას, რაც მედიაციას წარმოაჩენს, როგორც სახელმწიფოში არსებული დავის გადაწყვეტის ერთიანი სისტემის ერთ-ერთ ინტეგრალურ ნაწილს. კერძოდ, ადგილობრივ და საერთაშორისო არბიტრაჟებს შესაბამისი რეგულაციების შესაბამისად, შესაძლებლობა ეძლევათ, აწარმოონ მედიაცია საარბიტრაჟო პროცედურის დაწყებამდე. 1983 წლის კანონში არბიტრაჟის რეგულირების შესახებ ერთმნიშვნელოვნად განისაზღვრა, რომ „არბიტრაჟმა საქმის წარმოების დაწყებამდე უნდა აწარმოოს მედიაცია“. ჩინეთში არსებული

⁸⁸Benzidi S., Med-Arb: How to Mitigate the Risk of Setting aside or Refusal of Recognition and Enforcement of a Med-Arb Award, American Journal of Mediation, 2017, p. 4.

⁸⁹იქვე, გვ. 9.

⁹⁰Dendorfer R., Lack J., The Interaction between Arbitration and Mediation: Vision v Reality, Dispute Resolution International journal, 2007, p. 76.

⁹¹იქვე, გვ. 83.

მოქმედი რეგულაცია, აგრეთვე, ითვალისწინებს არბიტრის მიერ მედიაციის წარმოების შესაძლებლობას საარბიტრაჟო პროცედურების დაწყებამდე. ჩინეთის საერთაშორისო საარბიტრაჟო ინსტიტუციებში შესაძლებელია მედიაციის წარმოება ორივე მხარის თანხმობის შემთხვევაში. აგრეთვე მაშინ, თუ მედიაციის წარმოების სურვილს გამოთქვამს ერთ-ერთი მხარე, ხოლო მეორე აღნიშნულზე ერთმნიშვნელოვან უარს არ განაცხადებს. არბიტრს გააჩნია უფლებამოსილება, აწარმოოს მედიაცია იმ ფორმითა და მიდგომით, როგორცეც თავად ჩამოყალიბდება.⁹²

აღსანიშნავია ისიც, რომ მედიაციას მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ჩინეთის სამოქალაქო სამართალწარმოების პროცესშიც - სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად, სამოქალაქო საქმის განმხილველ მოსამართლეს ან სასამართლო შემადგენლობას შეუძლიათ დავის გადაწყვეტა თავდაპირველად სცადონ მედიაციით, თუ მხარეები იქნებიან თანახმა, ან თუ ცალსახა უარს არ განაცხადებენ აღნიშნულზე. მედიაციის პროცესში შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში, ხდება სამართლებრივად მბოჭავი აქტის ხელმოწერა.⁹³ მნიშვნელოვანია ისიც, რომ ჩინეთის სამართლებრივ კულტურაში, სასამართლო სამართალწარმოება ისტორიულად არ იყო წახალისებული. აღნიშნულით აიხსენება ისიც, რომ 1910 წლამდე ჩინეთში არ მოქმედებდა სამოქალაქო სამართალწარმოების მარეგულირებელი აქტი,⁹⁴ მაგრამ თანამედროვე სახელმწიფოში განვითარების უახლესი ტენდენციები ითვალისწინებს დავის ალტერნატიული საშუალებების გამოყენების ფართო შესაძლებლობებს.

⁹²Jun G., Mediation, Arbitration and Litigation: Dispute Resolution in the People's Republic of China, UCLA Pacific Basin Law Journal, 1996, p. 125-126.

⁹³იქვე, გვ. 127.

⁹⁴იქვე, გვ. 133.

2.4. მედიაცია, როგორც ეთიკურ პრინციპებზე დაფუძნებული ინსტიტუტი და მოსამართლე, როგორც ეთიკური სტანდარტებით ბოჭვის ადრესატი

სახელმწიფოს მიერ ნებისმიერი საშუალების საკანონმდებლო დონეზე განმტკიცება ნიშნავს პასუხისმგებლობის აღებას, შესაძლებლობის ფარგლებში განისაზღვროს ყველა - მათ შორის ეთიკური სტანდარტი, რაც საჭიროდ მიიჩნევა მოქალაქეთათვის მაქსიმალური სარგებლის უზრუნველყოფის მიზნით. ეთიკა, მისი არსის გათვალისწინებით, მოკლებულია ზუსტი განსაზღვრის შესაძლებლობას. ზოგადად, ის შეიძლება განიმარტოს, როგორც გარკვეული პროფესიული ჯგუფისათვის აღიარებული ქცევის წესების ერთობლიობა.⁹⁵ ეთიკურად ითვლება დამკვიდრებულ პროფესიულ სტანდარტებთან შესაბამისი ქცევა.⁹⁶

2.4.1. ეთიკური ბოჭვის ფარგლების დადგენის მნიშვნელობა და აღნიშნული საკითხის კონცეპტუალური სრულყოფის შედეგები

თანამედროვე რეალობაში, ეთიკური ქცევის სტანდარტების არსებობა, მრავალი პროფესიის მახასიათებელია. თუმცა, ერთ-ერთი შეხედულების შესაბამისად, მედიაციის პროცესში ქცევის წესების დადგენა, იმთავითვე გულისხმობს კონცეპტუალურ წინააღმდეგობას მის ბუნებასთან, რამეთუ, მისი არსობრივი ნიშნული ნებაყოფლობითობა და არამბოჭავი ხასიათია, ხოლო პროცესის მოქნილობა მედიაციის ერთ-ერთი უპირატესობა.⁹⁷ აღნიშნულის

⁹⁵Wilson B., Mediation Ethics: An Exploration of Four Seminal Texts, 12 Cardozo journal Conflict Resolution, 2010-2011, p. 122. მითითებულია: ჩიტაშვილი ნ., მედიაციის ეთიკის რეგულირების ფარგლები და ეთიკის სტანდარტით ბოჭვის ადრესატები, სამართლის ჟურნალი, თსუ იურიდიული ფაკულტეტი, გამოცემა 1, 2016, გვ. 25.

⁹⁶Merriam Webster's Collegial Dictionary, p. 398 (10th ed., 1993), მითითებულია: Kovach K.K., Mediation, Principles and Practice, 3rd ed., Thomson West, United States of America, 2004, p. 39. მითითებულია: ჩიტაშვილი ნ., მედიაციის ეთიკის რეგულირების ფარგლები და ეთიკის სტანდარტით ბოჭვის ადრესატები, სამართლის ჟურნალი, თსუ იურიდიული ფაკულტეტი, გამოცემა 1, 2016, გვ. 25.

⁹⁷Kovach K.K., Mediation, Principles and Practice, 3rd ed., Thomson West, United States of America, 2004, p. 396. მითითებულია: ჩიტაშვილი ნ., მედიაციის ეთიკის რეგულირების ფარგლები და

მიუხედავად, მედიაციის პროცესში ეთიკური სტანდარტების უპირობო მნიშვნელობა და მათი არსებობის აუცილებლობა საერთაშორისო სამართლებრივ სივრცეში აღიარებულია. ამავდროულად, ვინაიდან, მედიაცია ინტერდისციპლინურ სფეროსთან დაკავშირებული კატეგორიაა, მომიჯნავე პროფესიული ეთიკის სტანდარტების⁹⁸ მათზე ავტომატური გავრცელება, არ იქნება გამართლებული. ასევე არ შეიძლება ითქვას, რომ მედიატორები მათი თავდაპირველი ძირითადი პროფესიის წესებით უნდა აიყვნენ შებოჭილნი, რამეთუ, ეს წესები შესაძლებელია უადგილო, შეუთავსებელი აღმოჩნდეს მედიაციის კონტექსტისათვის.⁹⁹ საერთო ჯამში, სხვა სფეროს პროფესიული სტანდარტები არათუ არსობრივად შეუთავსებელია მედიაციასთან, არამედ, ხშირად ერთმნიშვნელოვნად ეწინააღმდეგება მედიაციის ფარგლებში მოქმედ ზოგიერთ (მაგალითად მედიატორის ნეიტრალურობის) პრინციპს,¹⁰⁰ რაც, მეტად გამოკვეთს მედიაციის სფეროში დამოუკიდებელი ეთიკური სტანდარტების დადგენის აუცილებლობას.¹⁰¹

აღნიშნული მოსაზრება განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს მოსამართლეთა მიერ მედიაციის წარმოებისას, რამეთუ, საერთაშორისო თუ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით განმტკიცებული მოსამართლის ეთიკის წესები რამდენადმე განსხვავდება ეთიკური ბოჭვის იმ სტანდარტებისაგან, რაც მოსამართლეთა მიერ მედიაციის წარმოებისას მოქმედებს. ამასთან, მედიაციის პროცესში ეთიკური ბოჭვის სტანდარტების

ეთიკის სტანდარტით ბოჭვის ადრესატები, სამართლის ჟურნალი, თსუ იურიდული ფაკულტეტი, გამოცემა 1, 2016, გვ. 26.

⁹⁸მათ შორის, არც სამოსამართლეო ეთიკის სტანდარტების-მოსამართლეთა მიერ მედიაციის წარმოების შემთხვევაში.

⁹⁹Kovach K., *Mediation, Principles and Practice*, 3rd ed., Thomson West, United States of America, 2004, p. 397. მითითებულია: ჩიტაშვილი ნ., მედიაციის ეთიკის რეგულირების ფარგლები და ეთიკის სტანდარტით ბოჭვის ადრესატები, სამართლის ჟურნალი, თსუ იურიდული ფაკულტეტი, გამოცემა 1, 2016, გვ. 26.

¹⁰⁰იქვე, გვ. 397.

¹⁰¹Furlan F., Blumstein E., Hofstein N., *Ethical Guidelines for Attorney-Mediators: Are Attorneys Bound by Ethical Codes for Lawyers When Acting as Mediators?*, 14 J. Am. Acad. Matrimonial Law, 1997, p. 267- 331.

განსაზღვრისას, ფუძემდებლური წესის სახით უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნულ პროცესში მოქმედ, აღიარებულ ეთიკურ პრინციპებს შორის არ უნდა არსებობდეს რაიმე დადგენილი იერარქია, არ შეიძლება, წინასწარ განისაზღვროს რომელიმე სტანდარტის იმთავითვე აღიარებული უპირატესობა და უნივერსალურობა.¹⁰² გონივრული ბალანსის დაცვით უნდა შეფასდეს კონკრეტული პრინციპის გამოყენების ფარგლები ყოველი საქმის ინდივიდუალიზაციის პირობებში.

2.4.2. ეთიკური ბოჭვის ადრესატები

გამომდინარე იქედან, რომ მედიაციის პროცესში ეთიკური ბოჭვის ფარგლების დადგენა დასაბუთებულია, უპირატესი საკითხი, რაც განხილვას ექვემდებარება, არის ის, თუ ვინ უნდა იყოს ეთიკური ბოჭვის ადრესატი. გადაწყვეტილი ასეა - მედიაციის სტანდარტების დადგენა გულისხმობს არა მხოლოდ მედიატორის, არამედ, მხარეებისა და მათი წარმომადგენლების ეთიკური ბოჭვის ფარგლების განსაზღვრას. მეტიც, ეთიკური ბოჭვის ადრესატებად მოიაზრებიან მედიაციის პროვაიდერი ორგანიზაციები და სასამართლოც.¹⁰³ ამასთან, სასამართლო ეთიკური ბოჭვის ადრესატად უნდა განიხილებოდეს სასამართლო მედიაციის ორივე განხილული ფორმის - როგორც სასამართლო/სასამართლოსმიერი, აგრეთვე სასამართლოსთან არსებული მედიაციის წარმოების შემთხვევაში, თითოეულის მახასიათებლების გათვალისწინებით, შესაბამისი უფლებამოსილებების განხორციელებისას.

¹⁰²ჩიტაშვილი ნ., მედიაციის ეთიკის რეგულირების ფარგლები და ეთიკის სტანდარტით ბოჭვის ადრესატები, სამართლის ჟურნალი, თსუ იურიდული ფაკულტეტი, გამოცემა 1, 2016, გვ. 33.

¹⁰³იქვე, გვ. 37.

2.4.3. მედიაციის ფუძემდებლური ეთიკური პრინციპები, მათი გავლენა ინსტიტუციონალური განვითარების ხარისხსა და მოსამართლის როლზე სასამართლო მედიაციის წარმართვის პროცესში

ეთიკური ბოჭვის ფარგლების დადგენა აუცილებელია - ეთიკური პრინციპები, რომელსაც მედიაციის პროცესი უნდა დაეფუძნოს, არ უნდა იყოს საკამათო, თუმცა ის გარემოება, თუ როგორი უნდა იყოს მონაწილეთა ქცევა კონკრეტულ შემთხვევებში, ხშირად წარმოადგენს აზრთა სხვადასხვაობის საგანს.¹⁰⁴ შესაბამისად, აუცილებელია განისაზღვროს სამოქალაქო სასამართლებრივი დავების მედიაციის ფუძემდებლური პრინციპები და მათი მოქმედების ფარგლები. ხოლო ის, თუ რა ფორმით გამოიხატება თითოეული პრინციპი თითოეულ განსახილველ შემთხვევაში, შესაძლებელია პრაქტიკაში გახდეს განხილვის საგანი.

მითითებული საკითხების მარეგულირებელი სამართლებრივი ინსტრუმენტის სახით უნდა გამოიყოს ევროკავშირის მასშტაბით მოქმედი მედიატორთა ქცევის ევროპული კოდექსი.¹⁰⁵ ხოლო, აშშ-ის მასშტაბით ეთიკის წესების დადგენის სფეროში ლიდერად შესაძლებელია ჩაითვალოს კოლორადოს შტატის დავების გადაწყვეტის ცენტრი,¹⁰⁶ რომელმაც, 1982 წელს, პირველად შეიმუშავა მედიატორთა ქცევის კოდექსი. აღნიშნული აქტი ამავე წელს მიიღო კოლორადოს მედიაციის საბჭომ.¹⁰⁷ 1986 წელს მსხვილმა ინტერდისციპლინურმა ასოციაციამ – დავების გადაწყვეტის სპეციალისტების საზოგადოებამ (SPIDR)¹⁰⁸ – მიიღო ეთიკის წესები და გაავრცელა მათი მოქმედება დავის გადაწყვეტის პროცესში მონაწილე ყველა ნეიტრალურ

¹⁰⁴Kallipetis M., Mediation ethics in Europe, Dovenschmidt Quarterly law journal, Issue 2, 2014, p. 65.

¹⁰⁵European Code of Conduct for Mediators, 2004.

¹⁰⁶CDR Associates in Boulder, Colorado.

¹⁰⁷Colorado Mediation Council.

¹⁰⁸Society of Professionals in Dispute Resolution.

პირზე, მათ შორის, მედიატორზე.¹⁰⁹ მას შემდეგ, აშშ-ის მასშტაბით მიიღეს ეთიკური საკითხების მომწესრიგებელი მრავალი აქტი. აღსანიშნავია, რომ აშშ-ს მასშტაბით მოქმედებს ეროვნული დონის (National level) ორი ძირითადი კოდექსი. ერთი, მხრივ The Model Standards of conduct for mediators (Joint standards), რომელიც შემუშავებულია AAA-ს (American Arbitration Association), ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის (ABA) და კონფლიქტის გადაწყვეტის ასოციაციის მიერ (Association for Conflict Resolution) 1994 წელს. ხოლო მეორეს მხრივ - Model Standards of Practice for Family and Divorce mediation.¹¹⁰

ამასთან, მედიაციის ეთიკის დამოუკიდებელი კოდექსები მიიღეს მაგალითად, შემდეგმა სახელმწიფოებმა: ავსტრიამ, ბულგარეთმა, საბერძნეთმა, პოლონეთმა, მალტამ, რუმინეთმა.¹¹¹ უნდა გამოიყოს იურიდიული საზოგადოების (ინგლისი და უელსი) სამოქალაქო და კომერციული მედიაციის პრაქტიკის კოდექსი,¹¹² იურიდიული საზოგადოების (ინგლისი და უელსი) საოჯახო მედიაციის პრაქტიკის კოდექსი,¹¹³ დავების ეფექტიანი გადაწყვეტის ცენტრის (CEDR) ქცევის კოდექსი ნეიტრალური პირებისათვის,¹¹⁴ Mediation College -ის მედიატორების პრაქტიკის კოდექსი,¹¹⁵ Core Solutions Group-ის მედიატორთა ქცევის კოდექსი (შოტლანდია),¹¹⁶ Civil Mediation Council-ის კოდექსის პროექტი მედიატორთა პრაქტიკისთვის,¹¹⁷ NMI

¹⁰⁹Kovach K., *Mediation, Principles and Practice*, 3rd ed., Thomson West, United States of America, 2004, p. 397. მითითებულია: ჩიტაშვილი ნ., მედიაციის ეთიკის რეგულირების ფარგლები და ეთიკის სტანდარტით ბოჭვის ადრესატები, სამართლის ჟურნალი, თსუ იურიდიული ფაკულტეტი, გამოცემა 1, 2016, გვ. 30.

¹¹⁰ ცერცვაძე გ., მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი თბილისი, 2013, გვ. 14.

¹¹¹Esplugues C., Louis M., *New Developments in Civil and Commercial Mediation*, Global Comparative Perspectives, IusComparatum, Springer International Publishing Switzerland, 2015, p. 55.

¹¹²Law Society (England and Wales) *Code of Practice For Civil/Commercial Mediation*, 2009.

¹¹³Law Society (England and Wales) *Code of Practice For Family Mediation*, 2009.

¹¹⁴CEDR *Solve Code of Conduct for Neutrals*, 2008.

¹¹⁵College of Mediators *Code of Practice For Mediators*, 2017.

¹¹⁶Core Solutions Group *Code of Conduct for Mediators*, Scotland.

¹¹⁷Civil Mediation Council – *Draft Code of Good Practice for Mediators*, 2009.

(პოლანდია) მედიატორთა ქცევის კოდექსი,¹¹⁸ Cepani -ის (ბელგია) მედიატორთა ეთიკური ქცევის წესები¹¹⁹ და IMI-ის პროფესიული ქცევის კოდექსი.¹²⁰ ჩამოთვლილი,¹²¹ ისევე როგორც სხვა არანაკლები სამართლებრივი ღირებულების მქონე აქტები, განსაზღვრავენ მედიაციის ფუძემდებულ პრინციპებს. მათი ანალიზისა და ურთიერთშეჯერების შედეგად კი შესაძლებელია ითქვას შემდეგი: მათი უმრავლესობა გულისხმობს ნორმებს, რომლებიც ეხება მედიატორის კომპეტენციას, ნეიტრალურობას, თვითგამოხატვას, ხარისხს, კონფიდენციალურობას, მომსახურების რეკლამირებასა და ანაზღაურებას.¹²² ამას გარდა, სხვა პროცესების მსგავსად, მედიაციის საქმისწარმოებისას, ფუძემდებლურად უნდა ჩაითვალოს სამართლიანობის პრინციპი, რომელიც აწესებს შესაბამისობას მოქმედებასა და მის სოციალურ შედეგებს შორის.¹²³ აღნიშნულის გათვალისწინებით, ქვემოთ განვიხილავთ მითითებულ საბაზისო საკითხებს, რომელთა გათვალისწინებაც თითოეული იმ ქვეყნის შიდასახელმწიფოებრივ სამართალში მიიჩნევა მიზანშეწონილად, სადაც სახელმწიფო პოლიტიკის შესაბამისად მიმდინარეობს მედიაციის ინსტიტუციონალიზაცია და რაც თანაბარმნიშვნელოვან სტანდარტად განიხილება ზემოთ განხილული ორივე სახის - სასამართლო, თუ სასამართლოს გარე მედიაციის წარმოების პირობებში.

შესაბამისად, მოსამართლის მიერ მედიაციის წარმოებისას, ის უნდა განიხილებოდეს, როგორც მედიაციის მითითებული ეთიკური სტანდარტებით

¹¹⁸Code of Conduct for NMI Registered Mediators.

¹¹⁹Cepani (Belgium) Rules of Good Conduct.

¹²⁰IMI Code of Professional Conduct.

¹²¹ჩიტაშვილი ნ., მედიაციის ეთიკის რეგულირების ფარგლები და ეთიკის სტანდარტით ბოჭვის ადრესატები, სამართლის ჟურნალი, თსუ იურიდული ფაკულტეტი, გამოცემა 1, 2016 გვ. 28-29.

¹²²ცერცვაძე გ., მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი თბილისი, 2013, გვ.145.

¹²³ლობჟანიძე გ., სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია, თბილისი, 2017, გვ. 243.

ბოჭვის ადრესატი. განსახილველი პრინციპების ნაწილი თანხვედრაშია საყოველთაოდ აღიარებულ სამოსამართლო ღირებულებებთან და პრინციპებთან (მაგ. იხილეთ სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპები¹²⁴) რაც მოიცავს შემდეგ ფასეულობებს: დამოუკიდებლობა; მიუკერძოებლობა; კეთილსინდისიერება (კეთილსინდისიერების პრინციპის მრავალგვარმა ფუნქციამ გამოიწვია ის, რომ სამოსამართლო სამართალში იგი გამოყენებულ იქნა სამართლიანი შედეგების დადგომისათვის და ამავე დროს, აშკარად უსამართლო შედეგის თავიდან აცილებისათვის)¹²⁵; თანასწორი მოპყრობა; გულისხმიერება; კომპეტენტურობა; თუმცა, მედიაციის სასამართლო ფორმის განხორციელებისას, თუ დავუშვებთ სამოსამართლო და მედიატორის სახელმძღვანელო პრინციპების კოლიზიის შესაძლებლობას, უპირატესობა ერთმნიშვნელოვნად ამ უკანასკნელს უნდა მიენიჭოს.

➤ სამართლიანობა მედიაციის ფუნდამენტურ პრინციპად მიიჩნევა.¹²⁶ კლიენტები და მათი ადვოკატები კონკრეტულ საკითხთან მიმართებით გადაწყვეტილების მიღების პროცესში აფასებენ სწორედ იმას, თუ რამდენად აკმაყოფილებს არსებული შეთავაზება სამართლიანობის კრიტერიუმს.¹²⁷ თუმცა იმის დადგენა, თუ რა განსაზღვრავს სამართლიანობას, არის რთული.¹²⁸ დამკვიდრებული შეხედულების თანახმად, სამართლიანობა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ეფუძნება

¹²⁴ბანგალორის 2001 წლის სამოსამართლო ქცევის კოდექსი. განხილული უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარეთა მრგვალ მაგიდაზე, რომელიც გაიმართა ჰააგაში, მშვიდობის სასახლეში, 2002 წლის 25-26 ნოემბერს.

¹²⁵ იოსელიანი ა., კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში (შედარებითსამართლებრივი გამოკვლევა), ქართული სამართლის მიმოხილვა - სპეციალური გამოცემა, 2007, გვ. 12.

¹²⁶Shapira O., Conceptions and perceptions of fairness in mediation, mediation, South Texas Law Review, Issue 2, 2012, p. 282.

¹²⁷Welsch N., Perceptions of fairness in negotiation, Marquette Law Review, Issue 5, 2004, p. 766.

¹²⁸Shapira O., Conceptions and perceptions of fairness in mediation, South Texas Law Review, Issue 2, 2012, p. 282.

ინდივიდუალური სუბიექტის აღქმას.¹²⁹ შესაბამისად, იმის შეგრძნება, თუ რა არის სამართლიანი, შესაძლებელია განსხვავდებოდეს დროის, მდგომარეობისა და იმის გათვალისწინებით, თუ ვის ხელში მოიაზრება მისი შეფასების ბერკეტები.

ნებისმიერ შემთხვევაში, ეს პრინციპი განმტკიცებულია რიგ აქტებში¹³⁰ და მისი მნიშვნელობა უდავოა. ეს მრავლისმომცველი პრინციპია - სამართლიანობა ადრესატს ერთგვარად აკისრებს მიუკერძოებულობის ვალდებულებას; ამკვიდრებს ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის სტანდარტს; მეტიც, სამართლიანობის პრინციპი მოიცავს პროცესის ხარისხს; მხარეთა თანაბარი ჩართულობის შესაძლებლობას; მათი მხრიდან საუბრის, აზრის გამოხატვის თავისუფლებას; უფლებას მოუსმინონ მათ;¹³¹ სამართლიანობის პრინციპი მედიაშიც გამოხატავს სამართლის ზოგადსოციალურ არსს, სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილეების, პიროვნებასა და საზოგადოებას შორის კომპრომისის ძიების სწრაფვას.¹³² აღსანიშნავია, რომ სამართლიანობის პრინციპის განხორციელებას სასამართლო მედიაციის პროცესში, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მოსამართლის უფლებამოსილებების ზრდა, რამეთუ, მისი მონაწილეობა პროცესში უზრუნველყოფს უსამართლო გადაწყვეტილებების მიღების საფრთხის აღმოფხვრას.

- მხარეთა ნებაყოფლობითობა - ეს არის პრინციპი, რომელიც უზრუნველყოფს მხარეთა უფლებას, თავისუფალი დისკრეციის არსებობის პირობებში განსაზღვრონ საკუთარი ინტერესები. ნების ავტონომია - ეს,

¹²⁹Welsch N., Perceptions of fairness in negotiation, Marquette Law Review, Issue 5, 2004, p. 766.

¹³⁰Shapira O., Conceptions and perceptions of fairness in mediation, South Texas Law Review, Issue 2, 2012, p. 284.

¹³¹იქვე, გვ. 284 – 285.

¹³²ლომჯანიძე გ., სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია, თბილისი, 2017, გვ. 243.

ფაქტობრივად, არის დისპოზიციურობის საფუძველი.¹³³ აღნიშნული უფლება ვრცელდება არა მხოლოდ მხარეთა მიერ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, არამედ, მნიშვნელოვანია მედიაციის მოსამზადებელ სტადიასა და ყველა შემდგომ ეტაპზე.¹³⁴ ამასთან აღსანიშნავია, რომ თუკი მედიატორმა უნდა წახალისოს მხარეთა ნების ავტონომიასა და თვითგამორკვევაზე დამყარებული პროცესი, მან ასევე უნდა უზრუნველყოს, რომ მხარეები გადაწყვეტილებას იღებდნენ სათანადო ინფორმაციის ფლობისა და გაცნობიერების გათვალისწინებით.¹³⁵ მათ შორის მოსამართლემ, მის მიერ მედიაციის წარმოებისას, საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში უნდა განახორციელოს აღნიშნული პრინციპის რეალიზება.

➤ რა ფუნქცია აქვს მედიატორს მედიაციის პროცესში? ის ერთგვარად ვაჭრობს. ისინი ცდილობენ თანამშრომლობას, დათმობის მიღწევას, ისევე როგორც მხარეები აკეთებენ ამას. მეტიც, მედიატორები იბრძვიან პროცესის წარმატებისათვის. ხოლო ის, თუ რაში გამოიხატება პროცესის წარმატება, დგინდება კონკრეტული საქმის მახასიათებლების გათვალისწინებით და შესაძლებელია, მისი წარმატებულად შეფასებისათვის, ინდივიდუალურ შემთხვევებში, არც იყოს აუცილებელი მხარეთა შეთანხმების არსებობა. ნებისმიერ შემთხვევაში, ამ პროცესის წარმომადგენლები ისწრაფვიან, რომ იყვნენ მიუკერძოებელნი.¹³⁶ მათ მოეთხოვებათ აღნიშნული სტანდარტის დაცვა დარგში მოქმედი სამართლის თითქმის ყველა ინსტრუმენტის მოთხოვნათა

¹³³Gren N., The principles of mediation, Journal of Eastern European Law issue 24, 2016, p. 77.

¹³⁴Alfini J., Press B., Stulberg B., Mediation, Theory and Practice, Reporter's Notes, 3rd edition, LexisNexis, 2013, p. 617-619. მითითებულია: ჩიტაშვილი ნ., მედიაციის ეთიკის რეგულირების ფარგლები და ეთიკის სტანდარტით ბოჭვის ადრესატები, თსუ იურიდიული ფაკულტეტი, სამართლის ჟურნალი #1, 2016, გვ. 31.

¹³⁵Nolan-Haley J., Informed Consent in Mediation: A guiding Principle for Truly Educating Decision-making, Notre Dame Law Rev., Vol. 74, 1999, p. 775. მითითებულია: ჩიტაშვილი ნ., მედიაციის ეთიკის რეგულირების ფარგლები და ეთიკის სტანდარტით ბოჭვის ადრესატები, თსუ იურიდიული ფაკულტეტი, სამართლის ჟურნალი #1, 2016, გვ. 32.

¹³⁶Hoffman D., Paradoxes of mediation, Part 2 of 2, Dispute Resolution Magazine , Issue 2, 2003, p. 30.

შესაბამისად. მიუკერძოებლობის ვალდებულება მედიატორისადმი ვრცელდება ნებისმიერი ტიპის დავის მედიაციის წარმოებისას. მათ შორის, მოსამართლის მიმართ, სასამართლო/სასამართლოსმიერი მედიაციის წარმოების შემთხვევაში.

➤ მედიატორის მიერ მედიაციის პროცესის წარმართვა იმ შემთხვევაში დაიშვება, თუ მას აქვს საკმარისი განათლება, კომპეტენცია და გამოცდილება, რაც უზრუნველყოფს მხარეთა მოლოდინების დაკმაყოფილებას.¹³⁷ მედიატორი ვალდებულია ჩართული იყოს განგრძობად საგანმანათლებლო პროგრამებში უნარების გაუმჯობესებისა და ცოდნის ამაღლების მიზნით და უზრუნველყოს თავისი კვალიფიკაციის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა მხარეებისათვის. მეტიც - იმ შემთხვევაში, თუ პროცესის მიმდინარეობისას გამოვლინდება კონკრეტული პირის მიერ საქმის კომპეტენტურად წარმართვის შეუძლებლობა, ასეთ ვითარებაში, მან უნდა მიიღოს აუცილებელი ზომები – გავიდეს მედიაციის პროცესიდან, ან მოითხოვოს შესაბამისი დახმარება.¹³⁸ შესაბამისად, ცალსახაა, რომ სამართლებრივ სისტემებში მოსამართლე-მედიატორის ინსტიტუტის დანერგვისას, უპირობოდ მნიშვნელოვნად მიიჩნევა მოსამართლეთა სპეციალიზაციის სტანდარტების განსაზღვრა და მოსამართლე-მედიატორის საპატიო სტატუსის მოსამართლისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში მინიჭება, თუ დაკმაყოფილებული იქნება მედიატორთა მიმართ წარდგენილი ყველა სტანდარტი.

➤ კონფიდენციალურობა წარმოადგენს მედიაციაში მონაწილეობისათვის პოტენციური კლიენტის მოზიდვის ერთ-ერთ საშუალებას.¹³⁹ აღნიშნული

¹³⁷Hill N., Qualification Requirements of Mediator, Journal of Dispute Resolution, 1998, p. 37.

¹³⁸ჩიტაშვილი ნ., მედიაციის ეთიკის რეგულირების ფარგლები და ეთიკის სტანდარტით ბოჭვის ადრესატები, სამართლის ჟურნალი, თსუ იურიდული ფაკულტეტი, გამოცემა 1, 2016, გვ. 35.

¹³⁹Kotler P., Keller L., Marketing management, Pearson prentice hall, 12 th ed., Jersey, 2006, 19, figure 1.4. მითითებულია: Fierd R., Wood N., Marketing mediation ethically: The case of confidentiality, Queensland university of technology law and justice journal, vol 5, no. 2 2005, p. 145.

პრინციპის დაცვა მხარეებსა და მედიატორს შორის ურთიერთობის საყრდენს წარმოადგენს.¹⁴⁰ კონფიდენციალურობა - ფაქტის გამჟღავნებაზე უარის თქმის პრივილეგიაა და შექმნილია იმ ურთიერთობების „სიწმინდის შენარჩუნებისათვის“, რომლებიც ნდობაზეა დამყარებული და დაცვა სჭირდება.¹⁴¹ კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვის სავალდებულო ხასიათი მხარეებს აძლევს შესაძლებლობას, გულწრფელად და ღიად ისაუბრონ სადავო საკითხებთან დაკავშირებულ საჭიროებებზე. პროცესის წარუმატებლად დასრულების მიუხედავად,¹⁴² არ ეშინოდეთ იმისა, რომ მედიაციის პროცესში გამჟღავნებულმა ინფორმაციამ შესაძლოა მომავალში ისინი დააზარალოს.¹⁴³ სამეცნიერო მოსაზრებებისა და მიდგომების ურთიერთშეჯერებისას დგინდება, რომ აღნიშნული სტანდარტის შიდასახელმწიფოებრივ დონეზე რეგულირებისას, მნიშვნელოვანია კანონმდებელი ჩამოყალიბდეს შემდეგ საკითხებზე: კონკრეტულად რა სახის ინფორმაცია უნდა იქნეს დაცული; რა არის საჭირო კონფიდენციალურობის დასაცავად; ვის შეუძლია დაცვის მოთხოვნა; ვისგან და რისგან უნდა იყვნენ დაცული მხარეები.¹⁴⁴ ბუნებრივია ისიც, რომ სხვადასხვა ქვეყნის შიდასაკანონმდებლო აქტები ითვალისწინებს კონფიდენციალურობის პრინციპის განმამტკიცებელ მუხლებს. მაგალითად, ესტონეთის კანონმდებლობაში კონფიდენციალურობა დაცულია საპროცესო ღონისძიებებით და მედიატორს ვერ დააკისრებენ ვალდებულებას, მისცეს ჩვენება მედიაციასთან დაკავშირებით.¹⁴⁵ ლუქსემბურგის კანონმდებლობის შესაბამისად, მედიატორი ვერ იქნება მოწვეული სასამართლოში იმ

¹⁴⁰Roberts M., *Mediation in Family Disputes*, Ashgate Publishing Ltd., Burlington, 2014, p. 183.

¹⁴¹Kovach k., *Mediation Principles and Practice*, third edition, "THOMSON WEST", 2004, p. 263–264.

¹⁴²ოსტმილერი., სვენსონი რ., დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2014, გვ. 139.

¹⁴³Goldsmith C., Ingen-Housz A., Pointon H., *ADR in Business: Practice and Issues Across Countries and Cultures*, Vol. II, Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2011, p. 184.

¹⁴⁴იქვე, გვ. 185.

¹⁴⁵Palo D., Rundle O., *Mediation for lawyers*, Australia, CCH Australia limited, 2010, p. 183.

ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომელიც მან მედიაციის პროცესში შეიტყო.¹⁴⁶

რაოდენ კარგიც არ უნდა იყოს სრული კონფიდენციალურობა თეორიულად, აღნიშნული პრინციპის მოქმედებას უნდა გააჩნდეს ფარგლები. ლიტერატურაში დომინირებს მოსაზრება, რომ შემთხვევა, როდესაც გამონაკლისი უნდა არსებობდეს კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვისას, არის დანაშაულის საფრთხე, რომლის მაგალითებია: განცხადებები დანაშაულის თაობაზე და საზოგადოებრივი კეთილდღეობის წინააღმდეგ.¹⁴⁷ მაგალითად: ესპანეთის კანონმდებლობაში, კონფიდენციალურობის პრინციპის შეზღუდვის ერთ-ერთი საფუძველია სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლოს დასაბუთებული განჩინება. მსგავსი მიდგომის დამაფუძნებელი ნორმა მოქმედებს ესტონეთის კანონმდებლობაშიც, რომლის შესაბამისად, მედიატორი უფლებამოსილია გაუმჟღავნოს კონფიდენციალური ინფორმაცია საგამომიებო ორგანოებს, თუ სასამართლოს აქვს განჩინება მიღებული აღნიშნულის თაობაზე.¹⁴⁸ შესაბამისად, კონფიდენციალურობის პრინციპის რეგულირების ფარგლებთან დაკავშირებით საკითხის გადაწყვეტის გზა შემდეგია - აღნიშნული პრინციპის შიდასახელმწიფოებრივ დონეზე განმტკიცების აუცილებელობა, ცალსახაა, თუმცა, ამავდროულად, რელევანტურია მისი მოქმედების ფარგლების დადგენის საკითხი.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ კონფიდენციალურობის გარანტიების შექმნას პრაქტიკაში ხშირად დამატებითი შეთანხმების გაფორმების გზით ცდილობენ. ასეთ შემთხვევაში, მხარეებმა, რომლებსაც სურთ დაცულები იყვნენ როგორც თვითონ, ასევე მედიატორი, კონფიდენციალურობის

¹⁴⁶იქვე, გვ. 240.

¹⁴⁷Rosenberg P., keeping the lid on confidentiality: mediation privilege and conflict of laws, ohio state journal on dispute resolution. Vol. 10, No. 1, 1994, p. 161.

¹⁴⁸Palo D., Trevor B., EU mediation law and practice, Great Britain, Oxford university press, 2012, p. 330.

შეთანხმება უნდა შეასრულონ.¹⁴⁹ აღნიშნული შესაძლებელია შეფასდეს როგორც ეფექტიანი საშუალება - შესაძლოა მხარეებმა შეინარჩუნონ კონფიდენციალურობა არა იმიტომ, რომ ამას კანონი ავალდებულებს, არამედ იმიტომ, რომ ისინი თავად დაეთანხმნენ ამას.¹⁵⁰

კონფიდენციალურობის პრინციპი ერთ-ერთია, რაც სასამართლო (სასამართლო/სასამართლოსმიერ თუ სასამართლოსთან არსებულ) მედიაციას განასხვავებს სტანდარტული სასამართლო საქმისწარმოებისაგან. შესაბამისად, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მოსამართლე/მოსამართლე-მედიატორი სასამართლო მედიაციის პროცესში, მოიაზრება ეთიკური ბოჭკის მითითებული პრინციპის ადრესატად.

➤ უმნიშვნელოვანესია, რომ მედიაციის პროცესი წარიმართოს პატიოსნად, პროფესიონალურად და მხარეთა თვითგამოხატვის პრინციპის დაცვით. მედიატორი უნდა იყოს ვალდებული, უზრუნველყოს მედიაციის ბუნების შესახებ პროცესში ჩართულ პირთა ინფორმირება. ამგვარი ეთიკური პრინციპის არსებობა განსაზღვრავს მედიატორის პასუხისმგებლობის სტანდარტების დამკვიდრებასა და მხარეთა მიერ პროცესის ბოროტად გამოყენების საფრთხის თავიდან აცილების შესაძლებლობას.¹⁵¹ მედიატორის ანაზღაურების საკითხის მართებული რეგულირება აფუძნებს პროცესის საუკეთესო სტანდარტებთან შესაბამისობის წინაპირობებს. საერთო მოთხოვნა და კრიტერიუმი, რასაც ერთმნიშვნელოვნად აწესებენ არის ის, რომ ანაზღაურება უნდა იყოს გონივრული. პრაქტიკასა და თეორიაში ერთსულოვნებაა ასევე წარმატების ანაზღაურების (ე.წ. ბონუსის) აკრძალვასთან დაკავშირებით. ეს აკრძალვა

¹⁴⁹Kovach K., Mediation Principles and Practice, third edition, "THOMSON WEST", 2004, p. 272.

¹⁵⁰იქვე, გვ. 273.

¹⁵¹იქვე, გვ. 153.

ემსახურება იმ დაშვებას, რომ მედიატორს არ შეიძლება ჰქონდეს ინტერესი საქმის შედეგებთან დაკავშირებით.¹⁵²

აღნიშნული პრინციპი აგრეთვე თანაბარმნიშვნელოვნად ვრცელდება მოსამართლე-მედიატორთა მიმართ, თუკი ეროვნულსამართლებრივი სისტემა ითვალისწინებს შესაბამის ინსტიტუტს.

2.4.4. ეთიკის, როგორც სამართლებრივად არამზოჭავი სტანდარტების აღსრულების აუცილებლობა

ეთიკის რეგულირება პირდაპირ უკავშირდება შესაბამისი წესების აღსრულების უზრუნველყოფას. თუკი სახეზეა კონკრეტული რეგულაცია, აუცილებელია განისაზღვროს ადრესატის მხრიდან მისი გაუთვალისწინებლობის შედეგები; აღნიშნული მიდგომის არარსებობის შემთხვევაში, გართულებული სამართლებრივი ურთიერთობებისა და სამოქალაქო ბრუნვის პირობებში, შესაძლებელია ექვექცეშ დადგეს სამართლებრივი მოწესრიგების ფაქტის არსებობის მიზნობრიობა.

მედიაციის ინსტიტუტთან მიმართებით, ზემოხსენებულის მიუხედავად, მიდგომები არაერთგვაროვანია: ერთ - ერთი შეხედულებით, ეთიკის კოდექსის, როგორც ასეთის, დამტკიცება, თავისთავად უზრუნველყოფს მედიატორთა ამ წინდახედულებებისა და ქცევის სტანდარტებით შებოჭვას.¹⁵³ თუმცა განსხვავებული, დომინირებული და უფრო სარწმუნო მოსაზრების თანახმად, მედიაციის შემთხვევაშიც, წესების შესრულებისა და აღსრულებისათვის აუცილებლად მიიჩნევა პასუხისმგებლობის ზომების დადგენა. მაგალითად ისეთის, როგორიცაა: ლიცენზიის ჩამორთმევა, საქმიანობის შეზღუდვა, მედიატორთა ასოციაციების მიერ დისციპლინური

¹⁵²Kovach K., Mediation, “Thomson West”, 2003, p. 223-235.

¹⁵³Waldman E., Mediation Ethics, Cases and Commentaries, Jossey-Bass, A Wiley Imprint, United States of America, 2011, p. 10. მითითებულია: ჩიტაშვილი ნ., მედიაციის ეთიკის რეგულირების ფარგლები და ეთიკის სტანდარტით ბოჭვის ადრესატები, სამართლის ჟურნალი, თსუ იურიდიული ფაკულტეტი, გამოცემა 1, 2016, გვ. 28.

პასუხისმგებლობის დაწესება, საჭიროების შემთხვევაში სისხლის ან სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაკისრება.¹⁵⁴ აღსანიშნავია, რომ აღსრულების მექანიზმები თანაბარმნიშვნელოვნად უნდა გავრცელდეს მოსამართლე-მედიატორთა მიმართ, თუკი ეროვნულსამართლებრივი სისტემა ითვალისწინებს სასამართლო/სასამართლოსმიერი მედიაციის წარმოების შესაძლებლობებს.

2.5. მედიატორისადმი/მოსამართლე-მედიატორისადმი წარდგენილი მოთხოვნები, როგორც მედიაციის ფუნდამენტური მიზნებისა და ამოცანების უზრუნველყოფის მექანიზმი

დიდია იმ პროცესთა რაოდენობა, რომლებიც წარუმატებლად მთავრდება მხოლოდ იმიტომ, რომ პროცესზე არ არიან წარმოდგენილი შესაბამისი მონაწილე პირები.¹⁵⁵ ე.ი. შეთანხმების მიღწევა ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, იმყოფებიან თუ არა მოლაპარაკების ოთახში საჭირო ადამიანები.¹⁵⁶ თავად ცნება მონაწილე, ზოგადია და მედიაციის საქმისწარმოების მიზნებისათვის მოიცავს როგორც მედიატორს და მხარეებს, ასევე ნებისმიერ პირს, რომლის დასწრებაც გონივრულად მიიჩნევა რჩევის მისაღებად, რაიმე წვლილის ან თუნდაც ფსიქოლოგიური მხარდაჭერის აღმოჩენისათვის.¹⁵⁷ მოლაპარაკების შედეგებს თავის მხრივ, თითოეული მონაწილის როლი განსაზღვრავს. თუმცა უდავოა, რომ პროცესის მიზნების განხორციელება არსებითად და გამორჩეულად ეფუძნება მედიატორის

¹⁵⁴Bernand P., Garth B. (eds.), Kovach K., Enforcement of Ethics in Mediation in ABA Section of Dispute Resolution, Dispute Resolution Ethics, A Comprehensive Guide, 2002. იხ. ასევე: , Alfi ni J.J., Press Sh. B., Stulberg J.B., Mediation, Theory and Practice, Reporter's Notes, 3rd ed., LexisNexis, 2013, p. 435. მითითებულია: ჩიტაშვილი ნ., მედიაციის ეთიკის რეგულირების ფარგლები და ეთიკის სტანდარტით ბოჭვის ადრესატები, სამართლის ჟურნალი, თსუ იურიდიული ფაკულტეტი, გამოცემა 1, 2016, გვ. 29.

¹⁵⁵ Claiborne Z., Three Things to Know About Mediation Licensing Disputes, 2013, p. 1.

¹⁵⁶Amend J.. Implications For mediation of Patent Infringement Suits From Investors In Patentees Case, Published by law.com, 2014, p. 1.

¹⁵⁷Boulle L., Colatrella M., Picchioni A., Mediation Skills and Techniques, San Francisco, 2008, p. 27.

პროფესიული უნარ-ჩვევების, ქმედებებისა და პიროვნული მახასიათებლების შესაბამისობას საუკეთესო სტანდარტებთან.¹⁵⁸ აღნიშნულის გათვალისწინებით, ნაშრომის ქვეთავის ფარგლებში განხორციელდა მედიატორის პიროვნებასთან დაკავშირებული საკითხების კვლევა, მათ მიმართ ვალდებულებათა, მოთხოვნათა დადგენა. ასევე, მითითებული კრიტერიუმები თანაბარმნიშვნელოვნად მიიჩნევა სასამართლოს თუ სასამართლოს გარე მედიაციის წარმოების პირობებში. მათ შორის, იმ სამართლებრივ სისტემათა მასშტაბით, სადაც ეროვნული კანონმდებლობა ითვალისწინებს მოსამართლე-მედიატორის კონცეფციას, სასამართლო/სასამართლოსმიერი მედიაციის წარმოების შესაძლებლობას.

2.5.1. მედიატორის/მოსამართლე-მედიატორის ცოდნა და კომპეტენცია

რა ქმნის კარგ მედიატორს/მოსამართლე-მედიატორს? ამ კითხვაზე შესაძლებელია იმდენი პასუხი არსებობდეს, რამდენიც მედიატორი.¹⁵⁹ მათ მიმართ წარდგენილი მოთხოვნები ძირითადად სუბიექტურია, ხოლო შეფასება - ობიექტური.¹⁶⁰ და მაინც, სისტემატიზაციას ექვემდებარება გარკვეული კრიტერიუმები. მედიაციის პროცესისათვის დადებითი შედეგების მომტანად მიიჩნევა, თუ იგი ერკვევა დავის ბუნებაში.¹⁶¹ ამასთან, საკმარისია არა მხოლოდ ზოგადი ინფორმაციის ფლობა, არამედ, თითოეული სამართლებრივი მნიშვნელობის მქონე საკითხის, მისი გადაწყვეტის სპეციფიკის გააზრება. პროცესი უნდა წარიმართოს იმგვარად, რომ მიღწეული შეთანხმება შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლებრივ მიდგომებსა და ეროვნულ

¹⁵⁸Carbone M.. Mediation Strategies: A Lawyer's Guide To Successful negotiation, 2004, p. 1.

¹⁵⁹Smith A., Smock D.. Managing a mediation Process, Printed in the United States of America, 2008, p. 22.

¹⁶⁰Robinson M., Mediator certification: realizing its potentials and coping with its limitations; American Journal of mediation Vol. 2, 2007, p. 63.

¹⁶¹ Boulle L., Colatrella M., Picchioni A.. Mediation Skills and Techniques, San Francisco, 2008, p. 27.

კანონმდებლობას. მხოლოდ მხარეთა თანხმობა არ უნდა მიიჩნეოდეს შეთანხმების მიღწევისა და აღსრულების ერთადერთ წინაპირობად.¹⁶²

ნიშანდობლივია, რომ მითითებულ კრიტერიუმებთან შეუსაბამობის საფრთხე დიდწილად გამოირიცხება მოსამართლის მიერ სასამართლო მედიაციის წარმოების შესაძლებლობის საკანონმდებლო დონეზე დაშვების შემთხვევაში. მოსამართლე-მედიატორი აღჭურვილი იქნება სამართლის ცოდნითა და საკითხის კანონშესაბამისი გადაწყვეტის კომპეტენციით.

2.5.2. მედიატორის/მოსამართლე-მედიატორის პიროვნული უნარები

მედიატორის/მოსამართლე-მედიატორის კომპეტენციისა თუ ცოდნის შესაბამისობის დადგენა საუკეთესო სტანდარტებთან არ არის საკმარისი. მისი შერჩევისას გასათვალისწინებელია ისიც, თუ რამდენად აქვს განვითარებული პიროვნული უნარები, მაგალითად: სიტუაციებისა და ალტერნატივების ანალიზის უნარი; ადამიანების დარწმუნების უნარი; აქტიური მოსმენის უნარი; ღია შეკითხვების დასმის საფუძველზე ინფორმაციის შეგროვების უნარი; ეფექტიანი მხარდაჭერის უნარი; უნარი იმისა, რომ შეეძლოს საკითხების წამოჭრა მედიდური ტონის გამოყენების გარეშე; შეეძლოს მორიგების სხვადასხვა ალტერნატივების განსაზღვრა; გააჩნდეს თანადროულად რამდენიმე სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავების უნარი.¹⁶³ აქვე აღსანიშნავია, რომ ეფექტური კომუნიკაციის უნარი მედიატორის ფუნქციების წარმატებით განხორციელების საწინდარია. მისი გამოყენებით მედიატორი შეძლებს ჩაწვდეს დავის არსს და იმავდროულად, მხარეთა შორის ინფორმაციის ურთიერთგაცვლას შეუწყოს ხელი.¹⁶⁴ გამოცდილ მედიატორებს გავლილი აქვთ არაერთი მოსამზადებელი კურსი მოლაპარაკების

¹⁶²გურიელი ა., მედიატორისადმი დადგენილი მოთხოვნები სამოქალაქოსამართლებრივი დავების მედიაციის პროცესში, ჟურნალი სამართალი და მსოფლიო, 2015, გვ. 120.

¹⁶³Beer J., Packard C., The Mediator's Handbook, Forth edition, Printed in Canada, 2012, p. 35.

¹⁶⁴Cooley J., The Mediator's Handbook: Advanced practice Guide for Civil litigation, National institute for Trial Advocacy (U.S.), 2006, pp. 59 - 61.

სტრატეგიაში.¹⁶⁵ მედიატორი უნდა იყოს ერთგვარი მოდელი მხარეთათვის. იგი ადგენს საუბრის ტონს, განსაზღვრავს, თუ რა მიმართულებით უნდა წარიმართოს საუბარი და როგორ უნდა იყოს უზრუნველყოფილი მონაწილეების ურთიერთგაგება.¹⁶⁶ მედიატორს უნდა გააჩნდეს უნარი, განასხვავოს მხარეთა პოზიციები და ინტერესები ერთმანეთისაგან.¹⁶⁷

სასამართლო მედიაციის პროცესში მითითებული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შესაძლებლობებს, აგრეთვე, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ეროვნულსამართლებრივ დონეზე იმგვარი საკანონმდებლო რეგულაციის არსებობა, რომელიც აფუძნებს მოსამართლის მიერ სასამართლო მედიაციის პროცესის წარმართვის შესაძლებლობას, გამოიყენება სასამართლო/სასამართლოსმიერი მედიაცია. აღნიშნული დასკვნის საფუძველს იძლევა ის გარემოება, რომ მოსამართლეებს ნებისმიერ შემთხვევაში მოეთხოვებათ შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილება საკუთარი წმინდა სამოსამართლეო პრაქტიკის განხორციელების პროცესშიც.

2.5.3. მედიატორის/მოსამართლე-მედიატორის მიერ სავალდებულოდ განსაზღვრული ქმედებები

ჩვენი ნაშრომის მიზნებისათვის აუცილებელია განისაზღვროს იმ ქმედებათა ნუსხა, რომელთა განხორციელება საერთაშორისო განვითარების ტენდენციების შესაბამისად მიიჩნევა მედიატორის ვალდებულებად და რაც, მათ შორის, ვრცელდება მოსამართლის მიმართ, თუკი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა ითვალისწინებს მის მიერ სასამართლო მედიაციის პროცესის წარმოების სამართლებრივ წინაპირობებს.

¹⁶⁵Berman L., 12 Ways to Make Mediator Work Hard, Published in Advocate Magazine, 2009, p. 1.

¹⁶⁶Domenici K., Littlejohn S., Mediation on Empowerment in conflict Management, Printed in the United States of America, Second edition, 2001, p. 36.

¹⁶⁷Smith A., Smock D., Managing a mediation Process, Printed in the united states of America, 2008, p. 11.

მედიატორს უნდა გააჩნდეს პროცესის მონაწილე პირთა განსაზღვრის უნარი. უნდა შეაფასოს, თუ ვინ ისარგებლებს აღნიშნული სტატუსით მხარეთა და მათი ადვოკატების გარდა. მედიატორმა უნდა იცოდეს, რომ მითითებული საკითხის გადაწყვეტის განმსაზღვრელ წინაპირობას წარმოადგენს ის, თუ ვის შეუძლია წვლილი შეიტანოს კონფლიქტის გადაწყვეტაში. ეს არის სტრატეგიული და ამასთანავე, პრაქტიკული საკითხი.¹⁶⁸ შესაძლებელია, მხარე განიცდიდეს იმის საჭიროებას, რომ პროცესს დაესწრონ პირები, რომელთაც შეუძლიათ რჩევების მიცემა. ისინი შეიძლება ფლობდნენ რაიმე სახის ინფორმაციას, შეეძლოთ ფსიქოლოგიური მხარდაჭერის აღმოჩენა ან ფლობდნენ შეთანხმების მიღწევის რესურსს.¹⁶⁹

ერთ-ერთი ქმედება, რომელიც უნდა განახორციელოს მედიატორმა არის მხარეთათვის განმარტება, თუ რითი განსხვავდება მედიაცია სტანდარტული მოლაპარაკებებისაგან.¹⁷⁰ მხარეს უნდა ჰქონდეს ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მედიაცია რეალურად არ არის ახალი ინსტიტუტი, ეს არის ფიქრის ახალი მიმართულება,¹⁷¹ მოლაპარაკების ერთგვარი გაგრძელება,¹⁷² გადაწყვეტილების მიღების პროცესი, რომლის ფარგლებშიც მხარეები თანამშრომლობენ თითოეული მათგანისათვის დამაკმაყოფილებელი გადაწყვეტილების მიღების მიზნით. შესაბამისად, ისინი უნდა იცვნენ მზად იმისთვის, რომ მოუსმინონ პროცესის სხვა მონაწილეთა აზრს.¹⁷³ ამასთან, მედიატორმა მხარეებს უნდა განუმარტოს მედიაციის დადებითი შედეგები, რაც, არსებითად შემდეგი სახით განისაზღვრება: 1. მხარეთა კონტროლის შესაძლებლობა პროცესის

¹⁶⁸Boulle L., Colatrella M., Picchioni A., Mediation Skills and Techniques, San Francisco, 2008, p. 27.

¹⁶⁹Abramson H., Mediation Representation Advocating a Problem-solver in any Country or Culture, Second edition, Printed in the United States of America, 2010, p. 241.

¹⁷⁰Golann D., Mediating Legal Disputes Effective strategies for Neutrals and Advocates, Printed in the United States of America, 2009, p. 267.

¹⁷¹Erickson S., Mcknight M., The Practitioner's Guide to Mediation A Client-Centered Approach, Printed in the United States of America 2001, p. 3.

¹⁷²Abramson H., Mediation Representation Advocating as a Problem-solver in any Country or Culture, Second edition, Printed in the United States of America, 2010, p. 309.

¹⁷³Kovach K., mediation Principles and practice, Third edition, Printed in the United States of America, 2004, p. 154.

მიმდინარეობასა და მიღებული გადაწყვეტილების შინაარსობრივ მხარეზე. 2. ურთიერთობების შენარჩუნების მეტი ალბათობა. 3. კრეატიული და ადაპტირებული გადაწყვეტილების მიღების მიღწევა. 4. პრობლემის შედარებით სწრაფი გადაწყვეტა. 5. ხარჯების შემცირება. 6. სასამართლო რესურსის დაზოგვა.¹⁷⁴ 6. ინფორმაციის ფლობა მასზე, რომ დავის პროცესი შესაძლოა აღმოჩნდეს გამანადგურებელი, ხოლო შეთანხმება - სწრაფი და უმტკივნეულო.¹⁷⁵

მედიატორმა უნდა უზრუნველყოს მხარეთა ინფორმირება მედიაციის პროცესის სტანდარტული მიმდინარეობის თაობაზე. კერძოდ, მხარემ უნდა იცოდეს, რომ: 1. პირველ ეტაპზე, ადამიანები გამოხატავენ საკუთარ მოსაზრებებსა და ემოციებს, ხშირ შემთხვევაში ხმამაღლა. 2. შემდგომ ეტაპზე ისინი იწყებენ ინფორმაციის გაზიარებასა და ნათელყოფას. 3. ემოციური დამაბულობის მოხსნის შემთხვევაში, მხარეები წარმოაჩენენ, თუ რისი შეცვლა სურთ, განიხილავენ მორიგების შესაძლებლობებს, წყვეტენ საკითხებს. 4. საბოლოოდ, ისინი ხელს აწერენ მიღწეულ შეთანხმებას.¹⁷⁶ მხარემ უნდა იცოდეს, თუ რა მოხდება მედიაციის პირველ შეხვედრაზე; განასხვავებდეს საერთო და დახურულ შეხვედრებს; ფლობდეს ინფორმაციას მედიატორთა მიერ გამოყენებული ძირითადი ტაქტიკების თაობაზე. მხარეს უნდა განემარტოს, რომ პროცესის ნებისმიერ ეტაპზე აქტიური ჩართვისაგან თავშეკავება შესაძლებელია გახდეს რიგი შესაძლებლობების დაკარგვის წინაპირობა.¹⁷⁷

მედიატორმა მედიაციის მოსამზადებელ ეტაპზე უნდა უზრუნველყოს მხარეთა ინფორმირება პროცესის თითოეული მონაწილის როლისა და

¹⁷⁴Boulle L., Colatrella M., Picchioni A., Mediation Skills and techniques, San Francisco, 2008, p. 3.

¹⁷⁵Ware S., Principles of alternative dispute resolution, Second edition, Printed in the United States of America, 2003, p. 158.

¹⁷⁶Beer J., Packard C., The Mediator's Handbook, Printed in Canada, Forth edition, 2012, p. 7.

¹⁷⁷Melnick J., Lost Opportunities in Mediation, Westlaw Journal securities litigation and regulation, Vol. 13, Issue 4, 2013, p. 1.

უფლებამოსილებების ფარგლების თაობაზე. მათ შორის, თავად მედიატორის როლი მხარეებს უნდა განემარტოთ შემდეგნაირად: ის არის მომლაპარაკებელი. იგი არის პროცესის წამყვანი ფიგურა, რის გამოც ხშირად უწოდებენ „პროცესის მენეჯერებს“.¹⁷⁸ მისი როლი შეიძლება განისაზღვროს, როგორც მოდავე მხარეების დამხმარე.¹⁷⁹ მედიატორი მხარეებს ეხმარება დავის გადაჭრაში. იგი არ ადგენს წესებს, არ გასცემს სამართლებრივ კონსულტაციას.¹⁸⁰ მას შეაქვს წვლილი იმის გადაწყვეტაში, თუ ვინ მიიღებს მონაწილეობას მედიატორში, რა სახით ჩამოყალიბდება პროცესის გეგმა.¹⁸¹ იგი არის მეთოდისტი, რომელიც უზრუნველყოფს მხარეთა ინფორმირებას და ხსნის პროცესს. ახორციელებს ყველა საჭირო ქმედებას შეთანხმების უზრუნველყოფის მიზნით. აწარმოებს ურთიერთობას მხარეებთან, ნიშნავს შეხვედრებს, ამზადებს მედიაციის სხდომებს, განსაზღვრავს შესვენებების დროს.¹⁸² იმისათვის, რათა შედგეს ეფექტიანი მოლაპარაკება, ის წინასწარ შეისწავლის გართულებული სამართლებრივი ურთიერთობების წინაპირობებსა და პრობლემის არსს.¹⁸³ მას ევალება ვითარების შემსუბუქება, თუმცა, მისი უფლებამოსილება არ ითვალისწინებს მხარეთა იძულებას ან პროცესის მიმდინარეობაზე უხეში ზეგავლენის მოხდენას. მეტიც, შესაძლებელია ჩათვალოს, რომ მან უზრუნველყო საკითხის შესაბამისი გადაწყვეტის გზის მოძიება, მაგრამ თუ იგი ამ გადაწყვეტას მხარეებს თავს მოახვევს, აღნიშნული განიხილება,

¹⁷⁸Domenici K., Littlejohn S., Mediation Empowerment in Conflict Management, Printed in the United States of America, Second edition, Illinois, 2001, p. 33.

¹⁷⁹Moffi M., The Four Ways to Assure Mediator Quality, 2008, p. 17.

¹⁸⁰Greenwood M., How to Mediate Like a Pro 42 Rules for mediating Disputes, Printed in the United States of America, 2008, p. 11.

¹⁸¹Jernigan M., Lord R., The Mediator's Role in the Family Business, American Journal of mediation, Vol. 2, 2008, p. 55.

¹⁸²Greenwood M., How to Mediate Like a Pro 42 Rules for mediationg Disputes, Printed in the United States of America, 2008, p. 3.

¹⁸³Smith A., Smock D., Managing a mediation Process, Printed in the United States of America, 2008, p. 10.

როგორც პროფესიული ეთიკის უხეში დარღვევა.¹⁸⁴ მედიატორი ვერც იმ შემთხვევაში მოახდენს მხარის გადაწყვეტილებაზე ზეგავლენას, თუკი მას სურს პროცესის შეწყვეტა.¹⁸⁵ იგი განსაზღვრავს მხოლოდ შეთანხმებადი საკითხების ნუსხას, აფასებს, თუ რომელი მათგანი გადაიჭრება უფრო სწრაფად.¹⁸⁶ მხარეებს სთავაზობს არგუმენტირებულ, კომპრომისული ხასიათის შეთანხმებებს.¹⁸⁷

მკვლევართა მოსაზრებების ურთიერთშეჯერებისას დგინდება, რომ მედიატორის (და შესაბამისად - მოსამართლე-მედიატორის) როლის განმარტება მედიაციის პროცესში შესაძლებელია ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: 1. ის უზრუნველყოფს პროცესის მიმდინარეობას სამართლებრივი საკითხის გადაწყვეტის მიზნით. 2. ხელს უწყობს მხარეთა შორის ურთიერთგაგების ჩამოყალიბებას. 3. მოლაპარაკების ეფექტიანობის ხარისხის ზრდის მიზნით პროცესის მონაწილეებს უზრუნველყოფს რეკომენდაციებით. 4. იკვლევს მხარეთა მოსაზრებებისა და პოზიციების დასაბუთებულობას. 5. ეხმარება მხარეებს განსხვავებული ინტერესების აღქმაში, ცდილობს დაძაბულობის შემცირებას, აფუძნებს ურთიერთპატივისცემის პრინციპსა და უზრუნველყოფს ნდობის ჩამოყალიბებას. 6. ეხმარება მხარეებს პრობლემის გადაწყვეტის გეგმის მომზადების პროცესში.¹⁸⁸ ერთმნიშვნელოვანია ისიც, რომ მისი როლი არ შემოიფარგლება კონკრეტული უნარებისა და ხერხების ფლობით. პიროვნება, ჰუმანურობა და ცხოვრებისეული გამოცდილება, აგრეთვე, როლის ნაწილს წარმოადგენს.¹⁸⁹

¹⁸⁴Greenwood M., How to Mediate Like a Pro 42 Rules for mediating Disputes, Printed in the United States of America, 2008, p. 12.

¹⁸⁵ იქვე, გვ. 13.

¹⁸⁶ Stepp J., How does the mediation process work? 2003, p. 4.

¹⁸⁷Riskin L., Alternatives to the High Cost of litigation, Center for Public Resources, Vol. 12, issue 9, 1994, p. 112.

¹⁸⁸Jernigan M., Lord R., The Mediator's Role in the Family Business, American Journal of mediation, Vol. 2, 2008, p. 54.

¹⁸⁹Erickson S., Mcknight M., The Practitioner's Guide to Mediation A Client-Centered Approach, Printed in the United States of America, 2001, p. 60.

აღსანიშნავია, რომ ეროვნულსამართლებრივ დონეზე იმგვარი საკანონმდებლო რეგულაციის არსებობა, რომელიც აფუძნებს მოსამართლის მიერ სასამართლო მედიაციის პროცესის წარმართვის შესაძლებლობას, აგრეთვე, გამორიცხავს ზემოხსენებული, სავალდებულოდ განსახორციელებელი ქმედებების შეუსრულებლობასთან დაკავშირებულ რისკებს. მოსამართლის უნარები, ხერხები და ცხოვრებისეული გამოცდილება ქმნის თითოეული მითითებული ქმედების შესაბამისი სტანდარტით განხორციელების შესაძლებლობებს.

2.5.4. მედიატორთა/მოსამართლე-მედიატორთა სერტიფიცირება და მედიაციის პროვაიდერი სუბიექტების ჩართულობის აუცილებლობა მედიაციის ინსტიტუციონალიზაციის პროცესში

ბოლო დროს, სულ უფრო აქტუალური ხდება მედიატორთა სერტიფიცირების საკითხი. მათ შორის, ACR (Association For Conflict Resolution) გამოკვეთს რიგ მიზეზებს, რომელიც წარმოაჩენს აღნიშნულის აუცილებლობას. დომინირებული მოსაზრების შესაბამისად, მითითებული მიდგომის დამკვიდრება შესაძლებელია გამოიყენებოდეს, როგორც მედიატორთა კომპეტენციისა და პროფესიონალიზმის ხარისხის ზრდის ბერკეტი; აღნიშნული, აგრეთვე, შესაძლებელია შეფასდეს, როგორც მოქალაქეთა სასარგებლოდ უკეთესი შედეგების უზრუნველყოფის ერთგვარი გარანტი; მოქალაქეები ხდებიან დაცულნი იმ საფრთხეებისაგან, რაც შესაძლებელია არსებობდეს პროცესის არაკომპეტენტური ან არაეთიკური მედიატორის მიერ წარმართვის შემთხვევაში; ამასთან, მედიატორთა მიმართ სანდოობის ზრდა, თავის მხრივ, შესაძლებელია შეფასდეს, როგორც მედიაციის ინსტიტუტის განვითარების წინაპირობა.¹⁹⁰ ნიშანდობლივია ისიც, რომ უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში ჩამოყალიბდა ტენდენცია, რომლის შესაბამისად,

¹⁹⁰Robinson M., Mediator certification: realizing its potentials and coping with its limitations, American Journal of Mediation, Vol. 2, 2007, p. 52.

მედიატორებს ირჩევენ პროვაიდერი კომპანიების დახმარებით. მაგალითად, აშშ-ში, სამხრეთ კალიფორნიაში ფუნქციონირებს ორი ძირითადი ნაციონალური პროვაიდერი. ესენია: AAA და JAMS, ასევე, სამი კარგად ცნობილი რეგიონული პროვაიდერი: ADR Services, ARC და Judicate West.¹⁹¹

თავის მხრივ, სერტიფიცირების დანერგვა კომპლექსური პროცესია. თუმცა საუკეთესო სტანდარტების შესაბამისი პროგრამების დანერგვის შემთხვევაში დადებითი შედეგები გადაწონის სირთულეებს.¹⁹² აღსანიშნავია, რომ მათ შორის NMI-მა, Det Norske Veritas ინსტიტუტთან ერთად, შეიმუშავა მედიატორთა სერტიფიცირების ერთ-ერთი სამაგალითო სისტემა. განსახილველ შემთხვევაში, სერტიფიცირების პირობები შემდეგი სახით ჩამოყალიბდა: შესაბამისი ტრენინგ-კურსის გავლა; საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების ვალდებულება და დადებითი შეფასებების მიღება; ყოველწლიურად განსაზღვრული რაოდენობის მედიაციის პროცესების ჩატარების უზრუნველყოფა; უწყვეტი პროფესიული განათლების მიღება; პროფესიულ წრეებში აქტივობა.¹⁹³

ნაშრომის მიზნებისათვის მნიშვნელოვანია ის, რომ თუკი ეროვნულსამართლებრივი სისტემა ითვალისწინებს მოსამართლის მიერ მედიაციის წარმოების შესაძლებლობას, მათ მიმართ უნდა გავრცელდეს სერტიფიცირების სტანდარტები; მოსამართლე-მედიატორის სტატუსის მისაღებად, მოქმედმა მოსამართლემ უნდა დააკმაყოფილოს ყველა ის მოთხოვნა თუ სტანდარტი, რაც, შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შესაბამისად, მედიატორებს წარედგინებათ.

¹⁹¹Berman L., Mediations's Evolution in Social: Where It Has Been and Where It Is Going, Published in AdvocateMagazine, 2012, p. 4.

¹⁹²იქვე, გვ. 62.

¹⁹³Pel M., Referral to mediation A practical Guide For An Effective mediation Proposal, The Hague, 2008, p. 133.

2.6. ადვოკატის უფლებამოსილების ფარგლების განსაზღვრა, როგორც მედიაციის პრინციპების განხორციელების სამართლებრივი ინსტრუმენტი და მოსამართლე, როგორც მათ მიმართ წარდგენილი მოთხოვნების შესრულების გარანტი

იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებული შეხედულების თანახმად, მხარეთა წარმომადგენლები ადვოკატები არიან, რომლებიც აღჭურვილნი არიან განსაკუთრებული უფლებამოსილებებით და იცავენ მარწმუნებელთა კანონიერ ინტერესებს. ის, რომ წარმომადგენლის მეშვეობით გარიგების შედეგები წარმოდგენილ პირს ეხება, ემყარება მოქმედი პირების ნებას და კანონს, რომელიც აღიარებს ამ პირთა ნებას.¹⁹⁴ ადვოკატი ვალდებულია, კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები, რაც, უპირველეს ყოველისა, გულისხმობს ადვოკატის ვალდებულებას კლიენტის წინაშე, მის მიერ ნაკისრ მოვალეობებს მოეკიდოს სათანადო გულისხმიერებით. კერძოდ, კლიენტის უფლებების დაცვისა და რეალიზებისათვის იზრუნოს ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ პირობებში მყოფი მისი პროფესიის ჩვეულებრივი, საღად მოაზროვნე პირი და იმოქმედოს იმ რწმენით, რომ მისი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია კლიენტისათვის.¹⁹⁵

ადვოკატთა ჩართულობის შესაძლებლობას მედიაციის პროცესში ითვალისწინებს რიგი აქტებისა, მათ შორის Uniform Mediation Act (2001).¹⁹⁶ აღნიშნული აქტის მე-10 მუხლის შესაბამისად, ადვოკატს ან სხვა ინდივიდს, რომელსაც აქვს მინიჭებული უფლებამოსილება, არის დანიშნული მხარის მიერ, შეუძლია მხარესთან ერთად მიიღოს მონაწილეობა მედიაციის პროცესში.

მედიაციის პროცესში ადვოკატთა მონაწილეობის ერთ-ერთ საუკეთესო შედეგად მოიაზრება ის, რომ მათი ჩართულობის შედეგად, იქმნება

¹⁹⁴ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი სახელმძღვანელო, თბილისი, 2011, გვ. 422.

¹⁹⁵საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე ას-1331-1369-2014.

¹⁹⁶იხ. Mediate.com ბოლოს გამოხმობილია: 27.11.2018.

ურთიერთობის შედეგად მიღწეული შეთანხმების საუკეთესო ალტერნატივების (შემდგომში – BATNA) განსაზღვრის უკეთესი შესაძლებლობები. იურისტი ეხმარება კლიენტს, გამოარკვიოს მისი ქვეცნობიერი ინტერესი, ღირებულებები, საჭიროებები და პრინციპები.¹⁹⁷ ამასთან, იურისტს შეუძლია აღელვებული კლიენტი დაამშვიდოს, რაც შედეგობრივი თვალსაზრისით, აბალანსებს მხარეთა უთანასწორობას, შენარჩუნდება ნეიტრალურობა პროცესში.¹⁹⁸

მიუხედავად მედიაციის პროცესში ადვოკატთა მონაწილეობის თანმდევი სიკეთეებისა, მკვლევრები ყურადღებას ამახვილებენ მასზე, რომ ზოგიერთი იურისტი ანგარების, ან იურისტთა სტანდარტული, ვიწრო მსოფმხედველობის გამო, შესაძლებელია შეეცადოს კლიენტის ყურადღების გადატანას დავის გადაწყვეტის წინააღმდეგობრივ მეთოდზე.¹⁹⁹ აგრეთვე, ადვოკატებს, შესაძლებელია გაუჭირდეთ მედიაციის პროცესში წარმომადგენლის როლთან ადაპტაცია.²⁰⁰

აღნიშნულის გათვალისწინებით, მათ მიმართ წარდგენილი მოთხოვნები სამოქალაქოსამართლებრივი დავების მედიაციის პროცესში დამატებით ანალიზს ექვემდებარება. კერძოდ, საჭიროდ მიიჩნევა, როგორც ადვოკატისადმი წარდგენილი მოთხოვნების საკანონმდებლო დონეზე რეგლამენტაცია, აგრეთვე, დაწვრილებითი საკანონმდებლო მოწესრიგების არსებობა, მათ მიერ სავალდებულოდ განსახორციელებელი ქმედებების რეგულირების თვალსაზრისით. მართალია, ყველა ის ვალდებულება, რომელთა დაცვაც სახელმწიფოს შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი მოწესრიგების შესაბამისად ეკისრებათ ადვოკატებს, ვრცელდება მედიაციის პროცესში წარმომადგენლობის დროსაც, თუმცა, იკვეთება იმ მოთხოვნათა

¹⁹⁷Coltri L., *Alternative Dispute Resolution a Conflict Diagnosis Approach*, Second edition, University of Maryland, University College, 2010, p. 80.

¹⁹⁸Helm B., Scott S., *Advocacy in Mediation*, ციტირებულია: Kestner B., (Ed.) *Education and Mediation: Exploring the Alternatives*, American Bar Association, 1988, p. 382.

¹⁹⁹Coltri L., *Alternative Dispute Resolution a Conflict Diagnosis Approach*, Second edition, University of Maryland, University College, 2010, p. 80.

²⁰⁰Clark B., *Lawyers and mediation*, United Kingdom, 2012, p. 106.

განსაზღვრის აუცილებლობა, რაც, უშუალოდ მედიაციის პროცესში წარმომადგენლობის შემთხვევაში ამოქმედდება.

ამასთან, ადვოკატთა მიმართ წარდგენილი მოთხოვნები, განსაკუთრებულ აქტუალობას სასამართლო მედიაციის პროცესისათვის იძენს (იქნება ეს სასამართლო/სასამართლოსმიერი თუ სასამართლოსთან არსებული მედიაცია), რამეთუ, მედიაციის აღნიშნული ფორმის წარმოებისას, ადვოკატთა ჩართულობის ალბათობა, როგორც წესი, მეტია, ვიდრე, ამას ადგილი აქვს სასამართლოს გარე მედიაციის შემთხვევაში.

2.6.1. ადვოკატისადმი წარდგენილი მოთხოვნები

როგორც ამას The ABA Model Rules of Professional Conduct-ის ²⁰¹ 1.1 მუხლი განსაზღვრავს, ადვოკატმა უნდა უზრუნველყოს კლიენტი კომპეტენტური წარმომადგენლობით. კომპეტენტური წარმომადგენლობა, თავის მხრივ, ერთ-ერთ კომპონენტად მოიაზრებს სამართლის ცოდნას.²⁰² ე.ი. ადვოკატმა უნდა შეაფასოს, რამდენად გააჩნია მას ცოდნა განსახილველ საკითხთან მიმართებაში. იმ შემთხვევაში, თუ იგი არ არის გაცნობიერებული, ეს თავიდანვე უნდა გახდეს წარმომადგენლობითი პასუხისმგებლობის აღებაზე უარის თქმის საფუძველი. ამავე აქტის შესაბამისად, დადგენილია მიდგომა, რომლის თანახმად, ადვოკატმა უნდა აცნობოს კლიენტს, გააჩნია თუ არა პრაქტიკა სამართლის კონკრეტული მიმართულებით.²⁰³

ABA Model Rules of Professional Conduct-ის 1.1 მუხლი, აგრეთვე, აფუძნებს სტანდარტს, რომლის შესაბამისად, ადვოკატის მხრიდან, მედიაციის პროცესში წარმომადგენლად ჩართვის წინაპირობად, შესაბამისი უნარების არსებობა სახელდება. მითითებული რეგულირება ექვემდებარება კომპლექსურ განმარტებას და ჩამოყალიბდება შემდეგი სახით: ადვოკატის მიერ საკუთარი

²⁰¹ იხ. Americanbar.org ბოლოს გამოხმობილია: 27.11.2018

²⁰² The ABA Model Rules of Professional Conduct 1.1.

²⁰³ იქვე, მუხლი 7.4.

წარმომადგენლობითი ხასიათის უფლებამოსილების განხორციელებისას, მედიაციის პროცესში, საკმარისად არ მიიჩნევა მხოლოდ სამართლის ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილების არსებობა. ადვოკატი ვალდებულია, იცნობდეს მედიაციის სპეციფიკას, აცნობიერებდეს მისი გამოყენების თანმდევ შესაძლო დადებით თუ უარყოფით შედეგებს; გააჩნდეს შესაბამისი პიროვნული თუ პროფესიული მახასიათებლები; ნდობა მედიაციის პროცესის მიმართ. შესაბამისად, მედიაციის ინსტიტუციონალიზაციის კვალდაკვალ, ადვოკატთა საქმიანობის ხარისხის ასამაღლებლად თითოეულმა სახელმწიფომ შესაბამისი საკანონმდებლო პოლიტიკის განხორციელების გზით, უნდა უზრუნველყოს რეგულირების არსებობა, რათა, მიღწულ იქნას პროცესების ხარისხიანად წარმართვის მდგრადობა და მუდმივობა.

2.6.2. ადვოკატის მიერ სავალდებულოდ განსახორციელებელი ქმედებები

მედიაციის პროცესში ადვოკატთა მიერ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების არასრულფასოვანმა განხორციელებამ შედეგობრივი თვალსაზრისით, შესაძლებელია, შექმნას არა მხოლოდ კონკრეტული საქმის წარუმატებლობის საფრთხეები, არამედ, მედიაციის ინსტიტუტის დისკრედიტაციასთან დაკავშირებული რისკებიც. აღნიშნულის პრევენციის მიზნით, აუცილებლად მიიჩნევა დამატებითი ბერკეტების შექმნა, რაც გამოიხატება ადვოკატის მიერ სავალდებულოდ განსახორციელებელი ქმედებების განსაზღვრაში.

პირველ რიგში, ადვოკატს მოეთხოვება იყოს კარგი მსმენელი.²⁰⁴ მან უნდა ჰკითხოვს კლიენტს, თუ რა არის მისთვის მნიშვნელოვანი და რატომ. ეს შეკითხვა იძლევა მორიგების სხვადასხვა ალტერნატივათა განსაზღვრის შესაძლებლობას.²⁰⁵ მხარეთა პოზიციები, როგორც წესი, არის

²⁰⁴Glick T., Creative Mediation, North Charleston, 2012, p. 61.

²⁰⁵Thorpe W., Final Report of the ABA Section of Dispute Resolution Task Force on Improving Mediation Quality, American Journal of Mediation, Vol. 2, 2008, p. 14.

ურთიერთგამომრიცხავი, მაშინ, როდესაც ინტერესები შეიძლება იყოს შეთავსებადი და რიგ შემთხვევებში, იდენტურიც კი.²⁰⁶

როგორც დასაწყისშივე აღინიშნა, წარმომადგენლობა მედიაციის პროცესის ფარგლებში, განსხვავებულ კონცეპტუალურ ანალიზს მოითხოვს, რამეთუ, პროცესის ფუძემდებულური პრინციპების შეფასება ცხადყოფს, წარმომადგენლის ქცევის მაღალი სტანდარტების დადგენის აუცილებლობას. მათ შორის, მედიაციის პროცესში ადვოკატის ჩართულობით განისაზღვრება შეთანხმების პირობები. პირველ რიგში, დგინდება “Best Alternative to a Negotiated Agreement” (შემდგომში-BATNA). ამის შემდგომ, ჩამოყალიბდება შეთანხმების სხვა ალტერნატივები.²⁰⁷ რელევანტურია აღინიშნოს, რომ BATNA არის წარმოდგენა, რომელიც შექმნეს Roger Fisher-მა და William Ury -მ და წარმოადგენს შემდეგი ფრაზის შემოკლებას: „მოლაპარაკებელი შეთანხმების საუკეთესო ალტერნატივა.“²⁰⁸ BATNA-ს განსაზღვრა ნიშნავს იმის ცოდნას, თუ რა მოხდება მოლაპარაკების წარუმატებლად დასრულების შემთხვევაში. მისი შემუშავება მოითხოვს სამი ძირითადი მოქმედების გათვალისწინებას: 1. იმ ქმედებათა განსაზღვრა, რომელიც განხორციელდება შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში. 2. იდეათა დახვეწა და მათი მეტად პრაქტიკულ ალტერნატივად გარდაქმნა. 3. იმ ერთი შესაძლებლობის შერჩევა, რომელიც ყველაზე მიმზიდველ ალტერნატივად გამოიყურება. მნიშვნელოვანია დროის ფაქტორიც - ადვოკატმა BATNA-ს განსაზღვრა უნდა უზრუნველყოს მანამ, სანამ დაიწყება უშუალოდ მოლაპარაკების პროცესი. შესაძლო ალტერნატივების განსაზღვრა უნდა გახდეს ინტერესთა დაკმაყოფილების წინაპირობა.²⁰⁹

²⁰⁶Pel M., Referral to Mediation a Practical Guide for an Effective Mediation Proposal, The Hague, 2008, p. 103.

²⁰⁷გურიელი ა., ადვოკატის როლი სამოქალაქოსამართლებრივი დავების მედიაციის მოსამზადებელ ეტაპზე, ჟურნალი სამართალი და მსოფლიო. 2015, გვ. 170.

²⁰⁸Luecke R., Harvard Business Essentials Your Mentor and Guide to Doing Business Effectively Negotiation, Printed in the United States of America, 2003, p. 15.

²⁰⁹Ury W., Getting Past No, Negotiating your Way from Confrontation to Cooperation, Printed in the United States of America, 1991, p. 21.

ადვოკატთა ვალდებულება, აგრეთვე, მოიაზრებს ისეთი გარემოების დადგენას ყოველი საქმის ინდივიდუალიზაციის პირობებში, როგორიცაა „BOTTOM LINE.“ აღნიშნული ტერმინი განიმარტება, როგორც ის მინიმალური საბაზისო სტანდარტი, რომელიც კლიენტმა აუცილებლად უნდა მიიღოს და რომლის მიღწევის გარეშეც გამოირიცხება შეთანხმება.²¹⁰

აკადემიური სფეროს წარმომადგენლები ერთმნიშვნელოვნად თანხმდებიან იმაზეც, რომ მედიაციის პროცესში წარმომადგენლობის შემთხვევაში, ადვოკატის მიერ ერთ-ერთ სავალდებულო განსახორციელებელ ქმედებას წარმოადგენს კლიენტის მომზადება მედიაციის პროცესში მონაწილეობისათვის.²¹¹ აღნიშნული მოიცავს ადვოკატის ვალდებულებას, კლიენტს წარმოუდგინოს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რისი მიღწევაა შესაძლებელი და რის არა, მოქმედი საკანონმდებლო რეგულირების გათვალისწინებით.²¹² მან არ უნდა ჩაუნერგოს კლიენტს არარეალური მოლოდინები.²¹³ წარმომადგენლები, აგრეთვე, ვალდებულნი არიან მხარეებს მიაწოდონ ინფორმაცია მედიაციის პროცესუალური საკითხების შესახებ.²¹⁴ კლიენტს უნდა განემარტოს მედიატორის როლის მნიშვნელობაც²¹⁵ და იცოდეს ისიც, რომ ადვოკატი შეასრულებს თანამშრომლობით, პრობლემათა გადამჭრელის, როლს მითითებულ პროცესში.²¹⁶

²¹⁰Abramson H., Mediation Representation Advocating as a Problem-solver in any Country or Culture, Second edition, Printed in the United States of America, 2010, p. 338.

²¹¹Boulle J., Colatrella T., Picchioni P., Mediation Skills and Techniques, San Francisco, 2008, p. 345.

²¹²Pel M., Referral to Mediation a Practical Guide for an Effective Mediation Proposal, The Hague, 2008, p. 126.

²¹³Thorpe W., Final Report of the ABA Section of Dispute Resolution Task Force on Improving Mediation Quality, American Journal of Mediation, Vol.2, 2008, p. 14.

²¹⁴Riskin L., Westbrook E., Guthrie C., Reuben C., Robbenolt K., Welsh A., Dispute Resolution And Lawyers, Printed in the United States of America, Fourth edition, 2009, p. 446.

²¹⁵Mosten S., Representing Clients In Mediation Effectively Setting Up a Mediation, p. 3113. mostenmediation.com ბოლოს გამოხმობილია: 17.11.2018.

²¹⁶Abramson I., Mediation Representation Advocating as a Problem-solver in any Country or Culture, Second edition, Printed in the United States of America, 2010, p. 311.

აღსანიშნავია, რომ კვლევის ფარგლებში წარმოდგენილი, ადვოკატებისადმი წარდგენილი მოთხოვნების განხორციელების შესაძლებლობებს სასამართლო მედიაციის განხორციელებისას, მისი ავტორიტეტის გათვალისწინებით, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მოსამართლეთა როლი და მათი აქტიურობა.

3. მედიაციის ინსტიტუტისა და ამ პროცესში მოსამართლის უფლებამოსილების რეგულირების კონცეფციები უცხოურ სამართლებრივ სისტემებში

მსოფლიო გლობალიზაციისა და მზარდი უნიფიკაციის პირობებში, როდესაც სამართალი სულ უფრო ჰარმონიზაციისკენ მიემართება, შეუძლებელია იურიდიული ინსტიტუტების შესწავლა მხოლოდ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის საფუძველზე. საქართველოსთვის, რომელმაც ეპოქალური მნიშვნელობის ქარტეხილები გამოიარა, ყველაზე მნიშვნელოვანია იდეალებისკენ სწრაფვა და განვითარების დასავლურ სტანდარტზე გადასვლა. სამართლის განვითარება კი ამ პროცესის ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს.²¹⁷ სწორედ ამიტომ შედარებითსამართლებრივი მეცნიერული კვლევა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ქართული სამართლის, როგორც უნიფიკაციის ერთიანი პროცესის, ინტეგრალური ნაწილის, განვითარებისათვის. აღნიშნული მეთოდი ემსახურება ეროვნული სამართლის სრულყოფას, რომელიც სხვადასხვა სამართლებრივ სისტემაში დამკვიდრებული სამართლის ანალოგი ინსტიტუტებისა და ცნებების ურთიერთკავშირში შესწავლით მიიღწევა.²¹⁸

აღიარებული მიდგომის შესაბამისად, თანამედროვე მსოფლიოში მოქმედი ნაციონალური სისტემები შეიძლება დაიყოს სამართლებრივი ოჯახების მიხედვით. გამოყოფენ კონტინენტური ევროპისა და ანგლო-ამერიკული სამართლის ოჯახს. კონტინენტური ევროპის სამართლის ოჯახი მოიცავს

²¹⁷ გეგენავა დ. (რედ.), წინათქმა, კრებულში: ლადო ჭანტურია 50, საიუბილეო გამოცემა, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2013, გვ. 5. მითითებულია: ჩიტაშვილი ნ., შეცვლილი გარემოებების გავლენა ვალდებულების შესრულებასა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2014, გვ. 20.

²¹⁸ ჩიტაშვილი ნ., ბრალის მნიშვნელობა სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის, „სამართლის ჟურნალი“, #1, 2009, გვ. 145.

ნაციონალურ სამართლებრივ სისტემებს, რომელიც დასავლეთ ევროპაში ჩამოყალიბდა რომანული, გერმანული და კანონიკური ტრადიციების საფუძველზე. კონტინენტური ევროპის სამართლის ოჯახი აღინიშნება, როგორც Civil law. კონტინენტური ევროპის სამართლის სისტემაში შეიძლება გამოიყოს „რომანული სამართლისა“ და „გერმანული სამართლის“ ქვეყნები. რომანული სამართლის ქვეყნებში დიდია ფრანგული სამართლის გავლენა, ხოლო გერმანული სამართლის ჯგუფი ჩამოყალიბდა გერმანული იურიდიული მეცნიერების გავლენით. რომანული სამართლის ქვეყნებს, საფრანგეთის გარდა, მიეკუთვნება ბელგია, ლუქსემბურგი, მონაკო, ჰაიტი, იტალია, ესპანეთი, პორტუგალია, ნიდერლანდები. გერმანული იურიდიული მეცნიერების გავლენით ჩამოყალიბებულ სამართლის ოჯახს, გარდა გერმანიისა, განეკუთვნება ავსტრია, ლიხტენშტეინი, შვეიცარია, საბერძნეთი, საქართველო. ამავე ჯგუფს, გარკვეული ინდივიდუალური თავისებურებებით განეკუთვნება-იაპონია, სამხრეთ კორეა, ტაილანდი. გერმანული იურიდიული მეცნიერების დიდ გავლენას განიცდიან სკანდინავიის ქვეყნები-შვედეთი, ფინეთი, დანია, ნორვეგია, ისლანდია. ანგლოამერიკული სამართლის ოჯახში გამოყოფენ ინგლისური სამართლის ქვეყნებს და ამერიკულ სამართალს. ინგლისური სამართლის ქვეყნებს განეკუთვნება უელსი, ჩრდილოეთ ორლანდია (მაგრამ არა შოტლანდია), ირლანდიის რესპუბლიკა, კანადა, ავსტრალია, ახალი ზელანდია, ბრიტანეთის ყოფილი კოლონიები (ამ უკანასკნელთ განეკუთვნება ინდოეთი, პაკისტანი, ბანგლადეში და სხვა). ამერიკული სასამართლის ჯგუფს განეკუთვნება საკუთრივ ამერიკის შეერთებული შტატები.²¹⁹

რამდენადაც აღინიშნა, ნაშრომის მიზნებისათვის შედარებითსამართლებრივ ანალიზს უმნიშვნელოვანესი ადგილი ეთმობა, რამეთუ, თითოეულ განსახილველ შინაარსობრივ საკითხთან მიმართებაში

²¹⁹ ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბილისი, 2004, გვ. 212-213.

გაითვალისწინება წარმატებულ სამართლებრივ კულტურათა გამოცდილება. აღნიშნულის მიუხედავად, გამორჩეულად მნიშვნელოვნად ჩაითვალა სამი სხვადასხვა სამართლებრივი ოჯახის წევრ სახელმწიფოთა - ამერიკის შეერთებული შტატების, კანადისა და გერმანიის გამოცდილების ცალკეულად გამოყოფა მედიაციის ინსტიტუციონალიზაციის წარმატების, ამ პროცესში სასამართლო ხელისუფლების ჩართულობის, სხვა სახელმწიფოთა სამართალზე აღნიშნულ სამართლის სისტემათა ფარგლებში აღმოცენებული მიდგომების გავლენის ხარისხისა და მოსამართლეთა უფლებამოსილებების განსაზღვრულობის გამოცდილების მითითების მიზნით. ამასთან, მედიაციის ინსტიტუტის სრულყოფილი კვლევისათვის მნიშვნელოვანი იყო, ერთდროულად მსგავსი და კონცეფტუალური თვალსაზრისით წინააღმდეგობრივი რეგულირების ანალიზი. მართლწესრიგთა უმრავლესობა სამართლებრივი მოწესრიგებისადმი ხომ სტილურად განსხვავებული სამართლებრივი მექანიზმებით მიისწრაფვის. თუმცა უნიფიკაციის პროცესმა და ინტერნაციონალიზაციამ აღნიშნული განსხვავებულობა მნიშვნელოვნად შეამცირა, წინააღმდეგობები აღმოფხვრა და სამართლებრივი დაცვის ინსტრუმენტები ერთმანეთთან დაახლოვა.²²⁰

3.1. მედიაციის რეგულირება ამერიკის შეერთებული შტატების სამართლებრივ სივრცეში და მოსამართლის უფლებამოსილებების რეგულირების მახასიათებლები

წარმოდგენილი ნაშრომის მიზნებისათვის მნიშვნელოვნად მიიჩნევა ამერიკის შეერთებული შტატების გამოყოფა, რამეთუ, აღიარებული მიდგომით, მითითებულ სახელმწიფოში მედიაციის რეგულირების სპეციფიკა აკმაყოფილებს ინსტიტუტის წარმატებულად შეფასების ყველა სტანდარტსა

²²⁰ ზიტაშვილი ნ., შეცვლილი გარემოებების გავლენა ვალდებულების შესრულებასა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2014, გვ. 252.

და წინაპირობას.²²¹ ამერიკის გამოცდილება, აგრეთვე ცხადყოფს, მართლმსაჯულების ორგანოთა მონაწილეობის მნიშვნელობას მედიაციის ინსტიტუციონალიზაციის პროცესში, მედიაციას წარმოაჩენს, როგორც მართლმსაჯულების ერთიანი ჯაჭვის განუყოფელ ნაწილს, დავის გადაწყვეტის საშუალებას, რომლის წარმატებულმა ფუნქციონირებამ სასამართლო სისტემაში, განსაზღვრა სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტის ზრდა. ამასთან, სამართლის მკვლევართა უკანასკნელი მოსაზრებები ცხადყოფს მოსამართლის უფლებამოსილებათა განვრცობის შესაძლებლობებს სასამართლო მედიაციის წარმოებისას.

3.1.1. მედიაციის ისტორიული განვითარება და მიდგომათა უკანასკნელი ტენდენციები მოსამართლის უფლებამოსილებასთან დაკავშირებით სასამართლო მედიაციის წარმართვის პროცესში

დღეისათვის, ამერიკის შეერთებულ შტატებში, მეტად გავრცელებულია დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ორი ფორმა - არბიტრაჟი და მედიაცია, რომლებიც, მიუხედავად ინსტიტუციონალური განსხვავების არსებობისა, ზოგიერთი ადგილობრივი მკვლევარის მოსაზრების შესაბამისად, გარკვეული თვალსაზრისით, ერთმანეთს წააგავს.²²² ურთიერთმსგავსება მათ შორის საბუთდება იმით, რომ პირველი ბიძგი, რამაც განაპირობა მედიაციის სასამართლოსთან ინტეგრირება, იყო სასამართლოსთან ინტეგრირებული არბიტრაჟის არსებობა.²²³ აღნიშნულის მიუხედავად, დავის გადაწყვეტის მითითებულ საშუალებებს შორის განსხვავება აშკარაა. მაგალითად, აშშ-ს „დავის ალტერნატიული გადაწყვეტის წესების“ 1.3 მუხლი მედიაციას განსაზღვრავს, როგორც „არაშეჯიბრებით პროცესს“, მაშინ, როდესაც მსგავსი

²²¹Munroe C., Court-Based Mediation in Family Law Disputes: An Effectiveness Rating and Recommendations for Change , Probate Law Journal, Issues 2-3, 1996, p. 132.

ტერმინი აშშ-ში არ გამოიყენება, არც ერთი სხვა დავის გადაწყვეტის მეთოდის მიმართ.²²⁴

აშშ-ში მედიაცია, როგორც მხარეთა მორიგების მიზნით მესამე ნეიტრალური პირის (მედიატორის) დახმარებით წარმართული პროცესი, კოლონისტების დროიდან არსებობდა.²²⁵ თუმცა, მედიაცია, როგორც სასამართლოს მიერ შეთავაზებული დავის გადაწყვეტის ალტერნატივა, მე-20 საუკუნის 70-იან წლებში აღმოცენდა. სწორედ იმ დროს, როდესაც აშშ-ში სასამართლო ხელისუფლებისადმი უნდობლობამ და უკმაყოფილებამ იმატა.²²⁶ მას შემდეგ, მედიაციის პროცესის რეგულირება სხვადასხვა შტატში სხვადასხვა მიმართულებით წარიმართა, რაც მედიატორთა, მოსამართლეთა, აკადემიური წრეების წარმომადგენელთა განსხვავებული შეხედულებებისა და მიდგომების არსებობით იყო განპირობებული.²²⁷

ამ პერიოდის მოვლენებიდან განსაკუთრებული მნიშვნელობით ხასიათდება ფაუნდის კონფერენციის (Pound conference) სახელით ცნობილი ნაციონალური კონფერენცია, სადაც, მართლმსაჯულებისადმი მოსახლეობის უკმაყოფილების მიზეზებსა და სასამართლო სისტემის ეფექტიანობის საკითხს ორასზე მეტი მოსამართლე, მეცნიერი და ადვოკატთა კორპუსის წარმომადგენელი განიხილავდა.²²⁸

²²²Beaumont B., U.S. Systems of Court-Based ADR, Including Rent-a-Judge, James Cook University Law Review, 1994, p. 104.

²²³Winkle V, John R., Mediation: An Analysis of Indiana's Court-Annexed Mediation Rule, Indiana Law Review, Issue 4, 1992, p. 959.

²²⁴იქვე, გვ. 962.

²²⁵Goldsmith J., Ingen-Housz A., Pointon G., ADR in Business: Practice and Issues Across Countries and Cultures, Vol. II, Kluwer Law International, 2011, p. 423.

²²⁶Rogers N., McEwen C., Mediation: Law, Policy, Practice, The Lawyers Co-operative Publishing Company, Rochester, 1989, p. 34.

²²⁷Goldsmith J., Ingen-Housz A., Pointon G., ADR in Business: Practice and Issues Across Countries and Cultures, Vol. II, Kluwer Law International, 2011, p. 422.

²²⁸Hebert C., Introduction - The Impact of Mediation: 25 Years After the Pound Conference, Ohio State Journal of Dispute Resolution, Vol. 17, 2001-2002, p. 527.

კერძოდ, 1970-იან წლებში ადგილი ჰქონდა შემთხვევას, როდესაც ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის პრეზიდენტის, ჯასტინ სტენლის მეუღლე - მელინდას, წარმოეშვა დავა ერთ-ერთ შემსრულებელ კომპანიასთან. დეფექტური პროდუქციის შეცვლისა და ანაზღაურების მოთხოვნის უშედეგო მცდელობების შემდეგ, მან მიმართა იურისტ მეუღლეს. აღნიშნულით შთაგონებულმა ჯასტინ სტენლიმ დააარსა მცირე დავების გადაწყვეტის სპეციალური კომიტეტი (Special Committee on the Resolution of Minor Disputes), რომლის შექმნის მიზანს წარმოადგენდა დავის გადაწყვეტის ისეთი საშუალებების განსაზღვრა, რომელიც ხელს შეუწყობდა მცირე დავის მქონე დავების ეფექტიან გადაწყვეტას. სწორედ, აღნიშნული კომიტეტის ერთ-ერთ წევრს წარმოადგენდა პროფესორი ფრენკ სანდერი, რომელსაც გააჩნდა პრაქტიკული გამოცდილება დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალებების გამოყენებისა. მითითებული დროისათვის წარმოადგენდა არბიტრს კომერციული და შრომითი დავების გადაწყვეტის პროცესისათვის. აღნიშნული კონფერენცია ჩატარდა 1976 წელს, კერძოდ, 7-9 აპრილს, მინესოტაში.²²⁹

კონფერენციის ფარგლებში, პროფესორმა სანდერმა განავითარა მოსაზრება, რომლის შესაბამისად, უნდა განხორციელებულიყო სასამართლოს ტრანსფორმაცია, კერძოდ, ნაცვლად დაწესებულებისა, სადაც გადაწყვეტილება ერთპიროვნულად გამოაქვთ მოსამართლეებს, სასამართლო უნდა ჩამოყალიბებულიყო სივრცედ, რომელიც მოქალაქეებს შესთავაზებდა დავის გადაწყვეტის სხვადასხვა მექანიზმებს. პროფესორმა სანდერმა განავითარა მრავალსარკმლიანი სასამართლოს იდეა. ამასთან, საგულისხმოა მისი ინიციატივა, რომელიც მოიაზრებდა დავის სასამართლოში აღძვრის შემდეგ, სასამართლოს დახმარებით, მხარეთა მიერ დავის გადაწყვეტის ისეთი საშუალების არჩევას, რომელიც ყოველი საქმის ინდივიდუალური

²²⁹Johnson E., The Pound Conference Remembered, Dispute Resolution Magazine, 2012, p. 6.

მახასიათებლების გათვალისწინებით, ჩაითვლებოდა ყველაზე გონივრულად. საბოლოოდ, კომიტეტმა მხარი არ დაუჭირა სანდერის მითითებულ რეკომენდაციას. მის ნაცვლად, მხარი დაუჭირეს მოსაზრებას, შექმნილიყო დამოუკიდებელი ინსტიტუცია - ე.წ. „სამეზობლო სამართლის ცენტრი“ (Neighborhood Justice Center) იმისათვის, რომ ნაწილობრივ განხორციელებულიყო დასახული მიზანი და შესაძლებელი გამხდარიყო მოქალაქეთათვის დავის გადაწყვეტის სხვადასხვა ალტერნატივების შეთავაზება. აღნიშნული წარმოადგენდა 1976 წლის კონფერენციის ფარგლებში მიღებულ უმთავრეს რეკომენდაციას. მისი განხორციელება, აგრეთვე, გახდა მცირე დავების გადაწყვეტის სპეციალური კომიტეტის (Special Committee on the Resolution of Minor Disputes) პირველი დავალბა.²³⁰

მიუხედავად არგუმენტირებული და დასაბუთებული პოზიციის არსებობისა, პროფესორ სარდერის იდეა მრავალჯერ გახდა კრიტიკისა და განსჯის საგანი - არაერთგზის გამოითქვა შეხედულებები, რომლის შესაბამისად, მორიგება და მედიაცია სასამართლოს ხელს უშლის განმარტოს სამართლის ნორმები, ვერ უზრუნველყოფს სამართლიანობის დამკვიდრებას და მეტიც - შესაძლებელია ეწინააღმდეგებოდეს სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბების იდეას. კრიტიკოსთა შორის იყო იელის უნივერსიტეტის პროფესორი ოვენ ფიზი, რომელმაც 1984 წელს იელის უნივერსიტეტის სამართლის ჟურნალში გამოაქვეყნა სტატია „მორიგების წინააღმდეგ“.²³¹ მისი მოსაზრებით, მორიგების მეთოდი შესაძლებელია გამოიყენებოდეს მშვიდობის მისაღწევად, თუმცა, იგი ვერ უზრუნველყოფს თანასწორობის დამკვიდრებას. ავტორს მორიგების ალტერნატივა არ მიაჩნია სამართლისა და სამართლიანობის განხორციელების შესაძლებლობად.²³²

²³⁰ იქვე, გვ. 7.

²³¹ Fiss O., Against Settlement, The Yale Law Journal, Vol. 93, p. 1984.

²³² იქვე, გვ. 1985.

მიუხედავად წინააღმდეგობებისა, აშშ-ში, დღეისათვის მედიაცია გამოიყენება, როგორც სასამართლოსათვის მიმართვამდე, ასევე, პირველი ინსტანციის, აპელაციისა და შტატების უზენაეს სასამართლოებში საქმის მსვლელობისას. მის გამოყენებას მხარს უჭერს სხვადასხვა სამართლებრივი ინსტრუმენტები და სასამართლო აქტები, რომლებიც, ეტაპობრივად და თანმიმდევრულად შეიქმნა.²³³ რაოდენობრივი თვალსაზრისით, შტატების ნახევარზე მეტის მასშტაბით მოქმედებს სასამართლოსთან არსებული მედიაციის პროგრამები (ნაწილობრივ, ან ნებისმიერი ტიპის დავებთან მიმართებაში). ხოლო იმ შტატებში, სადაც არ მოქმედებს სავალდებულო მედიაცია, მოქმედებს სხვა ტიპის რეგულაციები, რომელიც, აგრეთვე, წახალისებს დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ფორმების გამოყენებას. მეტიც, მიმდინარე პერიოდში, აშშ-ში მედიაცია იმდენად გავრცელებულად ითვლება, რომ მისი აქტუალობის საილუსტრაციოდ მკვლევრებს მოჰყავთ ჰარვარდში ორგანიზებულ სამუშაო შეხვედრაზე როჯერ ფიშერის მიერ გამოთქმული კომენტარი, რომლის შესაბამისად, თავად სასამართლო წარმოება უნდა წარმოადგენდეს დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ ფორმას.²³⁴

მიმდინარე პერიოდში აშშ-ში მედიაცია ხორციელდება საჯარო და კერძო სექტორის მიერ. მედიაციის საჯაროსამართლებრივი სუბიექტები იქმნებიან კანონის შესაბამისად და მათი ავტორიზება ხორციელდება სასამართლოს ან ადმინისტრაციული ორგანოს საფუძველზე.²³⁵ აშშ-ში, მედიაციის პოპულარობის მზარდი ტენდენციების გათვალისწინებით, აქტიურად განიხილება სასამართლო მედიაციის ფარგლებში მოსამართლის უფლებამოსილების ზრდის საკითხი. მაგალითად, ოჰაიოს შტატში მოქმედი

²³³წულაძე ა., სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2016, გვ. 90.

²³⁴Chantilis P., Mediation U.S.A, University of Memphis Law Review, 1996, p. 1034.

²³⁵Comenaux A., Guide Implementing Divorce Mediation, In public Sector 21 Conciliation, CST, Rev. 1, 1983, p. 25.

მოსამართლე, აარონ პოლსტერი და ნიუ-იორკში მოქმედი მოსამართლე ჯერემი მაკარტნი ერთმნიშვნელოვნად ემხრობიან და ობიექტური საფუძვლების მითითებით ადასტურებენ, მოსამართლის აქტიურობის საჭიროებას მხარეთა მოლაპარაკების/მედიაციის წარმოების პროცესში. კერძოდ, მოსამართლე მაკარტნის შეფასებით, სასამართლო განხილვა, მით უფრო, გადაწყვეტილებების ზემდგომ ინსტანციებში გასაჩივრების შემთხვევაში, ქმნის დავის საბოლოოდ გადაწყვეტის გაჭიანურების რისკებს. ხოლო გადაწყვეტილების მიღების გაჭიანურება, თავის მხრივ, შესაძლებელია ნიშნავდეს მიუღწეველ სამართალს („Justice delayed is justice denied“). საინტერესოა ამავე მოსამართლის მოსაზრება პროცესის მიზნებთან და შედეგებთან დაკავშირებითაც. კერძოდ, მისი განმარტებით, მოსამართლის უმთავრესი გამოწვევა არის არა მხოლოდ ის, რომ ფორმალურად გადაწყდეს დავა, არამედ, მან მხარეთათვის გასაგები უნდა გახადოს, თუ რატომ დადგა ესა თუ ის შედეგი. საყურადღებოა მოსამართლე პოლსტერის განცხადება იმის თაობაზეც, რომ მდგომარეობა, რომლის შესაბამისად, სასამართლო გადაწყვეტილების მიღება ხორციელდება დაგვიანებით, დიდი ალბათობით, შესაძლებელია იწვევდეს რომელიმე (მათ შორის არაკეთილსინდისიერი) მხარის სარგებელს. ხოლო აღნიშნული, თავის მხრივ, აგრეთვე, შესაძლებელია გახდეს უსამართლობისა და უთანასწორობის საფრთხის წინაპირობა. ამავე მოსამართლის განცხადებით, იგი არ ფიქრობს, რომ უსამართლო გადაწყვეტილების არსებობა შესაძლებელია ქმნიდეს უკეთეს ვითარებას, ვიდრე გადაწყვეტილების არარსებობა, თუმცა, „უღიმღამო“ გადაწყვეტილების არსებობა, ნებისმიერ შემთხვევაში, შეიძლება იყოს უმჯობესი, ვიდრე გადაწყვეტილების არარსებობა. ამგვარი გადაწყვეტის საფუძვლად მითითებულია ის, რომ „უღიმღამო“ გადაწყვეტილების არსებობის შემთხვევაში, მხარეს მიეცემა მისი სააპელაციო წესით განხილვის საშუალება, რომელი შესაძლებლობაც გამოირიცხება გადაწყვეტილების არარსებობისას.

მოსამართლეთა მითითებული მსჯელობა ცხადყოფს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია, მათი მხრიდან გადაწყვეტილებების სწრაფი მიღების შესაძლებლობის რეალიზება.²³⁶

აშშ-ში მოსამართლეები თანხმდებიან იმაზეც, რომ მათ შორის სასამართლო საქმისწარმოების შემთხვევაში, დავების უმრავლესობა საჭიროებს მეტს, ვიდრე მათი მშრალი და ზედაპირული გადაწყვეტაა. დავების დიდი ნაწილი წარმოიქმნება მხარეთა ურთიერთობებიდან გამომდინარე. შესაბამისად, გარდა დავის ფორმალური გადაწყვეტისა, მხარეებს შესაძლებელია ესაჭიროებოდეთ ურთიერთობების აღდგენა. აღნიშნულის უზრუნველყოფა კი შეუძლებლად ჩაითვლება პროცესში მათივე აქტიური მონაწილეობის გარეშე. ადამიანების უმეტესობა აღნიშნავს, რომ მათ უნდათ „საქმის მოგება“, თუმცა, როდესაც ისინი აანალიზებენ სასამართლო პროცესებში ხანგრძლივი ჩართულობის რისკებს, უქრებათ აღნიშნულის სურვილი. შესაბამისად, მოსამართლისათვის, უფლებამოსილების არსებობა - უზრუნველყოს მოქალაქეთა ინტერესების გათვალისწინებით სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელება, უნდა გახდეს მათი პროფესიული კმაყოფილების მიზეზი. მათ შორის, მოსამართლე პოლსტერი აღნიშნავს, რომ მოსამართლეს უნდა შეეძლოს ყოველი კონკრეტული საქმის რიტმისა და დინამიკის შეგრძნება, იმისათვის რომ საქმის ინდივიდუალური მახასიათებლების გათვალისწინებით განსაზღვროს, როდის შეიძლება ჩაითვალოს მედიაციის გამოყენება საუკეთესო გადაწყვეტილებად და როდის არა.²³⁷ მოსამართლე მაკარტნის მოსაზრებით, ყველა საქმე, მართლაც ვერ გადაიჭრება მედიაციით. თუმცა, ერთადერთი გზა, რაც უზრუნველყოფს თავად მედიაციის გამოყენების შესაბამისობის დადგენას ყოველი საქმის ინდივიდუალიზაციის პირობებში, არის მოსამართლის ქმედითი მცდელობა.

²³⁶Miller S., Judicial Mediation: Two Judge's Philosophies, Litigation 38 Litig, 2012, p. 31.

²³⁷იქვე, გვ. 32.

დადებითად უნდა შეფასდეს მოსამართლე მაკარტნის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ თუკი გამოირიცხება მხარეთა თანხმობა მასზედ, რომ მედიაციის წარმართვა უზრუნველყოს საქმის განმხილველმა მოსამართლემ, ან/და თუკი მხარეები ეჭვქვეშ დააყენებენ მედიაციის პროცესში გაჟღერებული ინფორმაციის სასამართლო პროცესზე მათ საწინააღმდეგოდ გამოყენების დაუშვებლობის სტანდარტის შესრულებას, ასეთ შემთხვევაში, სასურველია, დავა განიხილოს სხვა მედიატორმა და არა საქმის განმხილველმა მოსამართლემ. მოსამართლე პოლსტერი ასევე აღნიშნავს, რომ მისი ხედვა მედიაციის პროცესში მოსამართლის უფლებამოსილების ფარგლების განვრცობასთან დაკავშირებით, არსებითად, განსაზღვრა მისი მეუღლის, როგორც მოქმედი ადვოკატის ფრაზამ: „მოსამართლეს რომ დაეხარჯა ორი საათი ამ დავის მორიგებით გადაწყვეტის მიზნით, დავა გადაწყდებოდა“. მართლაც, პოლსტერის განცხადებით, მოსამართლის პრაქტიკის განმავლობაში, მას მიეცა შესაძლებლობა გაეანალიზებინა, თუ რამდენად მნიშვნელოვანი შედეგების მიღწევა შეუძლია მოსამართლეს მხარეთა მედიაციის პროცესში ჩართვის შესაძლებლობის გამოყენების შედეგად. მისი განცხადებით, მოსამართლის მიერ წარმოებული მედიაცია არ არის უფრო ეფექტიანი იმიტომ, რომ მოსამართლე არის უფრო ჭკვიანი, ვიდრე მხარეთა იურისტები. თუმცა არის მოსამართლის პროფესიაში რაღაც ისეთი, რაც ქმნის სანდოობის მაღალ სტანდარტს.²³⁸

3.1.2. მედიაციის რეგულირება ფედერალურ დონეზე ინსტიტუტის ისტორიული განვითარების კვალდაკვალ

1980-იანი წლებიდან, სასამართლოს განტვირთვის მიზნით, აშშ-ის სასამართლოებმა საოჯახო და სამოქალაქო დავებზე მედიაციის გამოყენება დაიწყეს. ამ დროიდან, მედიაცია სასამართლოს განუყოფელ ნაწილად იქცა.

²³⁸იქვე, გვ. 33.

თავის მხრივ, 1990-იანი წლებიდან, აშშ-ის სასამართლო, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება, ყველანაირად უწყობდა ხელს მედიაციის საშუალებით ნებისმიერი კატეგორიისა და სირთულის დავის გადაწყვეტას.²³⁹ თუმცა, ხაზი უნდა გაესვას გარემოებას, რომ სასამართლო მედიაციის დანერგვისას, ამერიკული მართლმსაჯულების მიზანი მხოლოდ საქმეთა ნაკადის მართვა და სასამართლოში განხილვის მომლოდინე საქმეთა რაოდენობის შემცირება არ იყო, როგორც ეს ბევრ სხვა ევროპულ სახელმწიფოში ხდებოდა. აშშ-ში თავიდანვე ერთმნიშვნელოვნად განისაზღვრა, რომ მედიაციის მიზანი იყო მოქალაქეებს მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში სასამართლოს გარდა, დავის გადაწყვეტის სხვა ალტერნატიულ ფორმებზეც ჰქონოდათ წვდომა, რომელიც მათ მოთხოვნილებებზე უფრო მორგებული იქნებოდა.²⁴⁰

შეერთებული შტატების სასამართლოებში დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების ინსტიტუციონალიზაციის წერტილად 1990 და 1996 წლებს მიიჩნევენ, რადგან, 1990 წელს, საკანონმდებლო დონეზე შემუშავდა სამოქალაქო სამართლის რეფორმირების აქტი, (Civil Justice Reform Act) ხოლო 1996 წელს — პრეზიდენტ კლინტონის ადმინისტრაციის მიერ გამოიცა სამოქალაქო სამართლის რეფორმის ბრძანებულება (Executive Order № 12988, Civil Justice Reform).

არც ერთი ზემოაღნიშნული აქტი, დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ საშუალებებს შორის უპირატესობას ასევე არ ანიჭებდა რომელიმე ფორმას, თუმცა, მედიაციამ შეინარჩუნა დომინირებული ადგილი და 1997 წლისათვის საოლქო სასამართლოების უმეტესობას მედიაციის პროგრამა ჰქონდა შემუშავებული. 1998 წლის დავების გადაწყვეტის აქტით (Dispute Resolution

²³⁹Goldsmith J., Ingen-Housz A., Pointon G., ADR in Business: Practice and Issues Across Countries and Cultures, Vol. II, Kluwer Law International, 2011, p. 423.

²⁴⁰Smith S., Martinez J., An Analytical Framework for Dispute System Design, Harvard Negotiation Law Review, Vol. 14, 2009, p. 146.

Act) კი ყველა ფედერალურ სასამართლოს მედიაციის ცენტრის ცალკე განვითარება მოეთხოვა.²⁴¹ თუმცა მნიშვნელოვანია, რომ 1998 წლის დავების გადაწყვეტის აქტის (Dispute Resolution Act) მოთხოვნათა ადრესატებს არა მხოლოდ სასამართლოები, არამედ, ყველა სახელმწიფო უწყება წარმოადგენდა. ამასთან, იმ სასამართლოებს, სადაც უკვე ფუნქციონირებდა აღნიშნული ტიპის პროგრამები აქტის ამოქმედების დროისათვის, მიეცათ მითითება, შეეფასებინათ პროგრამის ეფექტიანობა. ეფექტიანობის დასაბუთების შემთხვევაში გაეგრძელებინათ მუშაობა,²⁴² ხოლო საჭიროების გამოვლენისას, განეხორციელებინათ მისი შესაბამისობის უზრუნველყოფა აქტის მოთხოვნებთან.

აღსანიშნავია, რომ 1998 წლის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ფედერალური აქტი განსაზღვრავს დავის ალტერნატიული საშუალებების დეფინიციას - დადგენილია, რომ აქტის მიზნებისათვის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალებები მოიცავს ნებისმიერ პროცესს ან პროცედურას, გარდა ისეთი სასამართლო პროცესისა, რა შემთხვევაშიც, საქმე ერთპიროვნულად განიხილება მოსამართლის მიერ, ან/და რომელშიც მონაწილეობს მესამე პირი, რომელიც ცდილობს საქმის გადაწყვეტას. მათ შორისაა მედიაცია, არბიტრაჟი, მინისასამართლო (Minitrial), ნეიტრალური მესამე პირის მიერ შეფასება (Early Neutral Evaluation) და სხვა.²⁴³ შესაბამისად, აშშ-ს შტატებს შემუშავებული აქვთ მედიაციის საკუთარი წესები, სადაც მედიაცია ერთმანეთისაგან განსხვავებულადაა რეგულირებული.

3.1.3. უნიფიცირებული აქტი

აშშ-ში მედიაციის ინსტიტუციონალიზაციის პარალელურად აქტუალური ხდებოდა უნიფიცირებული აქტის მიღების საკითხი. აღნიშნულ

²⁴¹Spencer D., Brogan M., Mediation Law and Practice, Cambridge University Press, New York, 2006, p. 29.

²⁴²Kovach K., mediation in a nutshell, printed in the united states of America, 2003, p. 109.

²⁴³Alternative dispute resolution act, 1998.

საჭიროებას საფუძვლად დაედო ის, რომ რიგ შემთხვევაში, სხვადასხვა შტატის მასშტაბით ადგილი ჰქონდა დავის გადაწყვეტის მითითებულ საშუალებასთან დაკავშირებული ფუნდამენტური პრინციპების, პრაქტიკული თუ ეთიკური საკითხების არაერთგვაროვან განმარტებას. შესაბამისად, 2001 წლის აგვისტოში, სახელმწიფო კანონმდებლობის რწმუნებულთა ნაციონალურმა კონფერენციამ (National Conference of Commissioners on Uniform State Law), მედიაციის უნიფიცირებული აქტი შეიმუშავა.²⁴⁴ აღნიშნული აქტის შესაბამისად, დარეგულირდა მედიაციასთან დაკავშირებული რიგი აქტუალური საკითხები.

კერძოდ, აქტი შედგება თექვსმეტი ნაწილისგან. მეორე ნაწილის შესაბამისად განისაზღვრება ისეთი საკითხები, როგორიცაა: მედიაციის ცნება, მონაწილეთა კომუნიკაციის ფორმა მედიაციის პროცესში, მედიატორის პიროვნება, მედიაციის პროცესის მონაწილე მხარე და პირი, რომელიც არ მიიჩნევა მხარედ, თუმცა, პროცესში მონაწილეობს. ამავე ნაწილის შესაბამისად განისაზღვრება ოქმისა და ხელმოწერის ცნებები. აქტის მესამე ნაწილის შესაბამისად დადგენილია მოდელური კანონის მოქმედების სფეროს ფარგლები. კერძოდ, მოდელური კანონის მოქმედების სფეროში ექცევა თითქმის ყველა ტიპის მედიაციის პროცესი, თუ მხარეები შეთანხმდებიან აღნიშნულზე, ან თუ პროცესი ინიცირებულია სასამართლოს, ადმინისტრაციული ორგანოს ან სხვა სახელისუფლებო ორგანოს მხრიდან. უნიფიცირებული აქტის შესაბამისად განისაზღვრება, თუ რა ტიპის მოლაპარაკების პროცესი არ მიიჩნევა მედიაციად და დგინდება ე.წ. “Privilege” სტატუსი, რაც შემდეგ დატვირთვას ატარებს: 1) მედიაციის მონაწილე მხარეს ენიჭება უფლებამოსილება, არ გაამჟღავნოს მედიაციის პროცესში მიღებული ინფორმაცია და აქვს შესაძლებლობა, იგივე მოსთხოვოს სხვა მონაწილე პირსაც. 2) იდენტური უფლებებით სარგებლობენ მედიაციის სხვა მონაწილე პირებიც

²⁴⁴ იხ. Uniformlaws.org ბოლოს გამოხმოილია: 23.11.2018.

(რომლებიც მხარეს არ წარმოადგენენ).²⁴⁵ ამასთან, აქტი ითვალისწინებს “Privilege” სტატუსიდან გამონაკლისი შემთხვევების არსებობასაც. მოდელური კანონის მეშვიდე ნაწილი ეძღვნება მედიატორის საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს. აქტის მერვე ნაწილი აყალიბებს კონფიდენციალურობის დათქმას მედიაციის პროცესის მიმართ. ხოლო მეცხრე ნაწილი განსაზღვრავს ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებულ საკითხებს. მეათე ნაწილი ეძღვნება მედიაციის პროცესში წარმომადგენლების მონაწილეობასთან დაკავშირებულ რეგულირებას.

აღსანიშნავია ისიც, რომ მითითებულ - 2001 წლის უნიფიცირებულ აქტში 2003 წელს განხორციელდა ცვლილებები, რომლის უმთავრეს მიზეზს 2002 წელს გაერთიანებული ერების საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისიის მიერ „საერთაშორისო სავაჭრო მორიგების შესახებ“ მიღებულ მოდელურ კანონთან თანხვედრის უზრუნველყოფა წარმოადგენდა.²⁴⁶

3.1.4. მედიაციისა და ამ პროცესში მოსამართლის უფლებამოსილების რეგლამენტაცია შტატების მაგალითზე

მიმდინარე დროისათვის სასამართლო მედიაციის პროგრამები აშშ-ს ყველა შტატის მასშტაბით უნიფიცირებული აქტით არ რეგულირდება. მედიაციის ინსტიტუტთან დაკავშირებული ფუძემდებლური საკითხების მომწესრიგებელი სამართლებრივი ინსტრუმენტების შესაბამისად, სასამართლოებს უფლებამოსილება ენიჭებათ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში თვითონ შეიმუშაონ მედიაციის ინსტიტუტის დანერგვისა და განვითარების სქემა. მეტიც, უნიფიცირებული მედიაციის აქტი მიმდინარე დრომდე მხოლოდ თორმეტმა შტატმა მიიღო.²⁴⁷ აღნიშნულის

²⁴⁵ცერცვაძე გ., მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი თბილისი, 2013, გვ. 40.

²⁴⁶წულაძე ა., სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2016, გვ. 95.

²⁴⁷იქვე, გვ. 98. აქტი იხ. <http://www.uniformlaws.org/> ბოლოს გამოხმობილია: 27.11.2018.

გათვალისწინებით, ქვეთავის ფარგლებში აშშ-ს მასშტაბით შედარებითსამართლებრივი თვალსაზრისით მნიშვნელოვნად მიჩნეული მიდგომები განიხილება.

მაგალითად, კოლორადოს შტატის მასშტაბით დამკვიდრებული მიდგომები რელევანტურია იმ თვალსაზრისით, რომ აქ მოსამართლეებს გააჩნიათ დისკრეციული უფლებამოსილება, სავალდებულო სასამართლო მედიაციას დაუქვემდებარონ ნებისმიერი დავა. ამასთან, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალებების ადმინისტრირების ხარისხზე შტატის მასშტაბით, პასუხისმგებელია დავის გადაწყვეტის ოფისი (Office of Dispute Resolution-ODR), რომელიც, აქტიურად თანამშრომლობს მოსამართლეთა და ადვოკატთა კორპუსთან დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების გამოყენების განვრცობისა და ინსტიტუციონალიზაციის მიზნით.²⁴⁸

დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალებების რეგულირების თვალსაზრისით, დელავერის შტატის მასშტაბით მოქმედებს „დელავერის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის აქტი“. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული აქტი ითვალისწინებს სავალდებულო სასამართლო მედიაციის წარმოებას ყველა იმ შემთხვევაში, თუ დავის საგანი აღემატება 100 000 აშშ დოლარს. აღსანიშნავია ისიც, რომ დელავერის მასშტაბით სასამართლოები მოქმედებენ დამოუკიდებლად და თითოეულს გააჩნია უფლებამოსილება, თავად მოახდინოს პროგრამების იმპლემენტაცია.²⁴⁹

წარმოდგენილი ნაშრომის ფარგლებში განხილული ფრენკ სანდერის იდეის განხორციელება პირველად კალიფორნიის სასამართლოებმა დაიწყეს იმ მიზნით, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მოდავე მხარეებისათვის დავის, მათთვის ყველაზე ხელსაყრელი გადაწყვეტის მექანიზმი

²⁴⁸იქვე, 1043.

²⁴⁹Chantilis, P., Mediation U.S.A, University of Memphis Law Review, 1996, p. 1046.

შეეთავაზებიან, იქნებოდა ეს დავის სასამართლო წესით განხილვა, მედიაცია თუ სხვა სამართლებრივი ინსტრუმენტი.²⁵⁰ მოქმედი რეგულირების შესაბამისად, კალიფორნიის შტატში სავალდებულო მედიაციას მრავალი ტიპის დავა ექვემდებარება, მათ შორის, საოჯახო დავები.²⁵¹ 1980 წელს, კალიფორნიაში მიიღეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 4607 მუხლი, რომელიც ამოქმედდა 1981 წლის 1 იანვარს და რომლის შესაბამისად დაწესდა სავალდებულო მედიაცია ბავშვის მეურვეობა/მზრუნველობასთან დაკავშირებულ დავებზე.²⁵² მედიაციისათვის მიმართვა სავალდებულოა სადაზღვევო დავებზეც. მითითებულ შემთხვევებში მხარეებს არ გააჩნიათ ალტერნატივა. სარჩელის აღძვრის შემდეგ, საქმე ექვემდებარება სამედიაციო ცენტრისათვის გადაცემას.²⁵³

ფლორიდის შტატი ერთ-ერთია მათ შორის, სადაც დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სრულყოფილი პროგრამები მრავალი წელია ფუნქციონირებს (კერძოდ - 1988 წლიდან). მითითებული შტატის დონეზე, აგრეთვე, განმტკიცებულია არაერთი მარეგულირებელი აქტი. მათ შორის, ფლორიდაში მოქმედებს სტატუტი, რომელიც განსაზღვრავს მედიატორის იმუნიტეტის გარკვეულ ფორმას. (ე.წ. Mediator Immunity). კერძოდ, 1989 წელს ამოქმედდა ნორმა, რომლის შესაბამისად, სასამართლო მედიატორებს მიენიჭათ მოსამართლის იმუნიტეტი.²⁵⁴ ფლორიდის სტატუტები მოსამართლეებს თავად აძლევს მითითებებს, თუ როდის გამოიყენონ დისკრეცია საქმის მედიაციის პროგრამისათვის გადაცემის შესახებ და როდის არა. თუ დავა შეეხება

²⁵⁰Martinez J., Purcell S., Shaked-Gvili H., Mehta M., Dispute System Design: a Comparative Study of India, Israel and California, Cardozo Journal of Conflict Resolution, Vol.14, Issue 3, 2013, p. 811.

²⁵¹Kendal D., Pre-Litigation Compulsory Mediation: A Concept Worth Negotiation, University of La Verne Law Review, 2010, p. 168.

²⁵²Kuhn S., Mandatory Mediation: California Civil Code Section 4607 Comment, Emory Law Journal, 1984, p. 734.

²⁵³Hopt K., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, p. 1268.

²⁵⁴Schulz J., mediator Liability in Canada: An Examination of Emerging American and Canadian Jurisprudence, Ottawa Law Review, 2001, p. 272.

მატერიალური ზიანის ანაზღაურებას, ერთი მხარის შუამდგომლობის შემთხვევაშიც, საქმე დაუყოვნებლივ უნდა გადაეცეს სამედიაციოდ. ამასთან, ფლორიდის სამოქალაქო საპროცესო წესების 1.710 (ა)²⁵⁵ წესით, მედიაციის პროცესი პირველი სესიის ჩატარებიდან ორმოცდახუთ დღეში უნდა დასრულდეს. გაგრძელება დასაშვებია სასამართლოს ნებართვით ან, თუ ორივე მხარე მედიატორს მსგავსი თხოვნით მიმართავს. ფლორიდის კანონმდებლობით, თუ სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე მიიჩნევს, რომ საქმის მედიაციისათვის გადაცემა გამართლებულია, მაშინ, მხარეები ვალდებული არიან, დაემორჩილონ მის გადაწყვეტილებას.²⁵⁶

საბოლოოდ, საკითხის განზოგადების მიზნით უნდა აღინიშნოს, რომ არსებითი წინაპირობები, რომელმაც აშშ-ში მედიაციის წარმატებულად დანერგვა და განვითარება უზრუნველყო, ასეთია:

- პილოტური პროგრამით დაწყება და წარმატების შემთხვევაში თანმიმდევრულად, ყველაზე მოთხოვნად სფეროებში სავალდებულო მედიაციის ინსტიტუტის დანერგვა.
- საზოგადოებაში მედიაციის შესახებ ცნობიერების გაზრდა და მედიაციის პროგრამაში მონაწილე მხარეების ფინანსური წახალისების უზრუნველყოფა.
- მაღალპროფესიული უნარ-ჩვევების მქონე კადრების დასაქმება.
- დაინტერესებული პირის ჩართულობის უზრუნველყოფა მედიაციის პროგრამების შემუშავების პროცესში.
- მართლმსაჯულების სფეროში მნიშვნელოვანი მოთამაშეების _ ბანკების, სადაზღვევო კომპანიებისა და სახელმწიფო უწყებების ჩართულობის

²⁵⁵Florida Rules of Civil Procedure, Rule 1.710(a), მითითებულია: წულაძე ა., სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2016, გვ. 104.

²⁵⁶წულაძე ა., სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2016, გვ. 104.

გათვალისწინება რეფორმების განხორციელების პროცესში და ასეთის არსებობის შემთხვევაში მათი შენიშვნების გათვალისწინება.

- მედიატორთა ტრენინგისა და სერტიფიცირების საკითხის ხარისხის უზრუნველყოფა და კონტროლი.
- პროცესში მონაწილე და ჩართული პირების ანგარიშების, შეფასებებისა და მოხსენებების საფუძველზე მიღწეული შედეგების რეგულარული ანალიზი.²⁵⁷
- სასამართლო ხელისუფლების აქტიური მონაწილეობა ქმედითი ინსტრუმენტალური ინფრასტრუქტურის დანერგვისას შიდასახელმწიფოებრივ სისტემაში.

3.2. კანადის მედიაციის მოდელი და მოსამართლის უფლებამოსილების განმსაზღვრელი სისტემის ფორმირება სასამართლო მედიაციის პროცესში

კანადა ერთ-ერთია იმ სახელმწიფოთა შორის, რომლებიც დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალებების ინსტიტუციონალიზაციის წარმატებითა და სიძლიერით გამოირჩევიან. მათ შორის, კანადის მასშტაბით, უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა არბიტრაჟის როლი, რაც, არსებითად, განაპირობა მიზანმიმართულმა სახელმწიფო პოლიტიკამ - განხორციელდა არაერთი საკანონმდებლო რეფორმა სასამართლოში განსახილველი დავების შემცირებისა და არბიტრაჟის ინტიტუტის მხარდაჭერის მიზნით. იდენტური ან/და უფრო ძლიერი სახელმწიფო მხარდაჭერა გამოიხატა მედიაციის ინსტიტუტის მიმართაც. ჩვენი კვლევის მიზნებისათვის კანადის გამოცდილება განსაკუთრებული აქტუალობის მქონედ შეფასდა და გამოიყო, რამეთუ, აღნიშნული სახელმწიფო მოწინავეა სასამართლო მედიაციის ფორმის -

²⁵⁷Martinez J., Purcell S., Shaked-Gvili H., Mehta M., Dispute System Design: a Comparative Study of India, Israel and California, Cardozo Journal of Conflict Resolution, Vol.14, Issue 3, 2013, p. 825.

სასამართლო/სასამართლოსმიერი მედიაციის (Judicial mediation) წარმატებული ფუნქციონირების თვალსაზრისით. ამ კონკრეტულ შემთხვევაში შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა უშვებს მოსამართლის მიერ მედიაციის წარმართვის შესაძლებლობას, რომლის ანალოგი ინსტიტუტის დანერგვა რეკომენდირებულია საქართველოში წარმოდგენილი ნაშრომის ფარგლებში.

3.2.1. მედიაციის დამკვიდრებისა და განვითარების ტენდენციები

ტერიტორიული მოწყობის თვალსაზრისით, კანადის ტერიტორია იყოფა პროვინციებად და ტერიტორიებად. ქვეყნის შემადგენლობაში შედის ათი პროვინცია და სამი ტერიტორია.²⁵⁸ თითოეულ პროვინციასა და ტერიტორიას გააჩნია საკუთარი საკანონმდებლო ბაზა. ფედერალური მთავრობის ადგილსამყოფელად განსაზღვრულია ოტავა, რომელიც მდებარეობს ონტარიოში. ფედერალურ და ადგილობრივ მთავრობებს შორის უფლებამოსილებების გამიჯვნის ფუძემდებლური საკითხები გათვალისწინებულია 1867 წლის კონსტიტუციით. ჩვენი კვლევის ფარგლებში განსახილველი საკითხები, რომელიც შეეხება მედიაციას, ძირითადად, ექვემდებარება ადგილობრივ - პროვინციების დონეზე მოწესრიგებას.

კანადის მასშტაბით მიღებულია ორივე ფორმის სასამართლო მედიაციის წარმოება - გამოიყენება როგორც სასამართლოსთან არსებული (Court-annexed mediation), ასევე სასამართლო/სასამართლოსმიერი მედიაცია (Judicial

²⁵⁸1867 წლისათვის კანადა შედგებოდა ორი პროვინციისაგან - ონტარიოსა და კვებეკისგან, მოგვიანებით ქვეყნის შემადგენლობაში სხვა ტერიტორიებიც შევიდა. 1870 წელს ქვეყნის შემადგენლობაში შევიდა დიდი ბრიტანეთის კოლონია, რესპუბლიკის მიწა, ახლანდელი ჩრდილო-დასავლეთი ტერიტორიები. მოგვიანებით კანადის შემადგენლობაში სხვა ტერიტორიებიც შევიდა, მათ შორის ჩრდილოური კანადური არქიპელაგის კუნძულებიც. კანადის ადმინისტრაციული დაყოფა შემუშავდა 1867 წლის კონსტიტუციაში, მაშინ როდესაც ქვეყანამ დიდი ბრიტანეთის განდომინიონის სტატუსი მიიღო. ფართობის მხრივ ყველაზე დიდი ტერიტორიები უკავიათ ნუნავუტის და ჩრდილო-დასავლეთი ტერიტორიას. იხ. Wikipedia.org ბოლოს გამოხმობილია: 27.11.2018

Mediation/Dispute Resolution).²⁵⁹ ამასთან, სასამართლო მედიაციის პროგრამები ამ დროისათვის გამოიყენება როგორც ონტარიოში, აგრეთვე, კანადის სხვადასხვა პროვინციებში.

დღეისათვის, მედიაციის გამოყენების საკითხი სასამართლო სამართალწარმოებისას კანადის ხუთი პროვინციის მასშტაბით განისაზღვრება. ამასთან, საკითხის მარეგულირებელი ძირითადი სახელმძღვანელო წყაროები და მათი შინაარსი შემდეგი სახით ყალიბდება: 1. ონტარიოში დადგენილია სავალდებულო მედიაცია გარკვეული წინაპირობების არსებობისას (ონტარიოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 24.1 მუხლი (R.R.O. 1990, Reg. 194)). 2. ნოვა სკოტიაში, 2005 წელს, მიიღეს კომერციული მედიაციის შესახებ აქტი, რომლის მიზანია, კომერციული დავების გადაწყვეტის თვალსაზრისით, მედიაციის პოპულარიზაციის ხელშეწყობა Commercial Mediation Act (S.N.S. 2005, c. 36). 3. ბრიტანეთის კოლუმბიაში მოქმედებს აქტი „Notice to mediate (general) regulation (B.C. Reg. 4/2001), რომელიც, აგრეთვე, უშვებს სავალდებულო სასამართლო მედიაციის გამოყენების შესაძლებლობას. 4. სასკაჩევანში მიღებულია Queen's Bench Act (S.S. 1998, c. Q-1.01), რომელიც, აწესებს სავალდებულო მედიაციას სამოქალაქო სამართლებრივი დავების გადაწყვეტისას მანამ, სანამ, საქმე სასამართლო განხილვას დაექვემდებარება. 5. ალბერტას პროვინციის სასამართლოებში, სამოქალაქო სამართლებრივი დავების გადაწყვეტის თვალსაზრისით, მოქმედებს მედიაციის წესები, (Alta. Reg. 271/1997) რომელიც სასამართლოს ანიჭებს შესაძლებლობას, დავა დაუქვემდებაროს მედიაციის საშუალებით განხილვას ნებისმიერ დროს, მას შემდეგ, რაც სარჩელი იქნება აღძრული.²⁶⁰

²⁵⁹Richler J., Court-Based Mediation in Canada, Judges' Journal, 2011, p. 14.

²⁶⁰Murabit A., Overview of mandatory mediation programs in Canada, 2015, p. 3. იხ. <http://www.strathmore.edu>. ბოლოს გამოხმობილია: 27.11.2018. მითითებული აქტები იხ. Ontario.ca ბოლოს გამოხმობილია: 27.11.2018.

3.2.2. სასამართლო/სასამართლოსმიერი მედიაციის (Judicial mediation) კონცეფცია და მისი სამართლებრივი მახასიათებლები

როგორც აღვნიშნეთ, კანადის მასშტაბით დამკვიდრებულია სასამართლო/სასამართლოსმიერი მედიაცია (Judicial Dispute Resolution/Judicial mediation). ე.ი. მიდგომა, რომლის შესაბამისად, მოსამართლეები თავად ითავსებენ მედიატორის როლს მედიაციის პროცესში.²⁶¹ მიუხედავად იმისა, რომ ეს ალტერნატივა რეგულირების არც ერთ ეტაპზე, არც ერთი მნიშვნელობით არ ატარებდა სავალდებულო ხასიათს, დროთა განმავლობაში, უფრო და უფრო მეტი მოსამართლე საკუთარი ინიციატივით ჩაერთო ამ პროცესში. ისინი იწყებდნენ მედიაციის შეთავაზებას საერთო სასამართლოების განსჯად საქმეებზე. ამ თვალსაზრისით, მოსამართლეთა გააქტიურება ონტარიოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მხრიდანაც აღინიშნა. თუმცა, საკითხის აქტუალობა მხოლოდ მოსამართლეთა ინტერესით არ შემოიფარგლება - ჩართულობა, ეტაპობრივად გაიზარდა მხარეთა მხრიდანაც. მითითებული ტენდენციის გამომწვევ მიზეზად სახელდება უშუალოდ მედიაციის, როგორც ინსტიტუტის თანმდევ, ჩვენს ნაშრომში განხილული დადებითი შედეგები და ის გარემოება, რომ მოლაპარაკების/მედიაციის პროცესში, მოსამართლის მონაწილეობა ატარებს ავტორიტეტულ და დამარწმუნებელ ეფექტს, რაც, თავის მხრივ, არსებითად განსაზღვრავს მედიაციის ეფექტიანობას. შესაბამისად, მიმდინარე დროისათვის, მაგალითად - ალბერტას პროვინციაში აღნიშნული მექანიზმისათვის მიმართვა, დასაშვებია სასამართლო საქმისწარმოების ნებისმიერ სტადიაზე. არსებობს მოსაზრება, რომ ამ პროცესმა, შესაძლებელია, მიიღოს მინი - სასამართლოს ფორმაც.²⁶²

²⁶¹Richler J., Court-based mediation in Canada, Judges' Journal, Issue 3, 2011, p. 16.

²⁶²იქვე, 17.

საქმისწარმოების პროცესში მოსამართლეთა სამოქმედო ტაქტიკის სპეციფიკის თვალსაზიარით აღსანიშნავია, რომ ამ პროცესის ეფექტიანობის უზრუნველყოფის მიზნით, არაერთი მეთოდი თუ ხერხი გამოიყენება. მათ შორის, ერთ-ერთი შემდეგია: პროცედურის დასასრულს, მხარეთა და მათი წარმომადგენლების სიტყვის მოსმენის შემდეგ, მოსამართლე აცხადებს სავარაუდო გადაწყვეტილების შინაარსს. გადაწყვეტილება გამოცხადების დროისათვის არ არის მბოჭავი ხასიათის, თუმცა, უნდა ჩამოყალიბდეს იმგვარად, რომ მხარეებზე მოახდინოს ძლიერი ფსიქოლოგიური ზეგავლენა, რაც, მათ უბიძგებს მორიგებისაკენ.²⁶³ ამავდროულად, მეთოდის გამოყენებისას, მოსამართლე აუცილებლად განმარტავს, რომ მორიგებას არ გააჩნია სავალდებულო ხასიათი.²⁶⁴ აღნიშნულის განმარტება, აუცილებელ პირობად მიიჩნევა პროცესის სამართლებრივ ფარგლებში წარმართვისათვის. მათ შორის იმ მიზნით, რომ მოქალაქეებს ჰქონდეთ ინფორმაცია - მედიაცია არ არის ინსტიტუტი, რომელიც მათ სასამართლოსათვის მიმართვის უფლებას ან/და სამართლიანი სასამართლოს პრინციპის განხორციელებას შეუზღუდავთ.

ამის გათვალისწინებით, სასამართლოსმიერი მედიაციის ფორმას მხარეები, უმეტეს შემთხვევაში, აფასებენ როგორც პოზიტიურ გამოცდილებას, მორიგების ფაქტის დადგომისა და მისი საერთო შედეგების მიუხედავად.²⁶⁵ აღნიშნული პროცესის პრინციპები შეიძლება ჩაითვალოს დემოკრატიული იდეოლოგიის გამოხატულებად, რადგან ის ქმნის საუბრის შესაძლებლობას და ალბათობას, მიღწეულ იქნეს იმგვარი შედეგები, რომელიც ვერ განხორციელდებოდა სხვა პროცესის წარმოებისას. სწორედაც - მედიაციის ფუნდამენტური ღირებულებებია: გარემოება, რომ მხარეებს წახალისებენ მიიღონ მონაწილეობა პროცესში; ის, რომ მედიაცია წარმოადგენს მხარეთა

²⁶³ Reg S., Court-Based Alternatives, Resource News, Issue 2, 1987, p. 22.

²⁶⁴ იქვე, გვ. 23.

²⁶⁵ Landerkin, H., Pirie, A., What's the Issue: Judicial Dispute Resolution in Canada, Law in Context: A Socio-Legal Journal, 2004, p. 28.

თვითპასუხისმგებლობაზე დაფუძნებულ პროცესს; ის, რომ ამ გზით ხორციელდება მშვიდობის ხელშეწყობა, ეხმიანება ფუნდამენტურ უფლებებსა და ღირებულებებს.²⁶⁶

ამასთან, იმ მოსამართლეებისა და სხვა კრიტიკოსთა არგუმენტების საპასუხოდ, რომლებიც ეჭვქვეშ აყენებენ მედიატორისა და მოსამართლის უფლებამოსილებების შეთავსების საკითხს, კანადაში მკვლევრები მიუთითებენ ხერხებს, რომლის შესაბამისად, თვალსაჩინო ხდება აღნიშნულის შესაძლებლობა და რომელთა გამოყენებამ, მნიშვნელოვნად განსაზღვრა პროცესის წარმატება აღნიშნულ სახელმწიფოში. მაგალითად, პროცედურული საკითხები შეიძლება გადაიჭრას შემდეგი გზით: ნაცვლად მოლაპარაკების ოთახში გადანაცვლებისა, შესაძლებელია, მედიაციის წარმოება სასამართლო დარბაზში ან მოსამართლის სხვა სამსახურეობრივ სივრცეში გაგრძელდეს. ამასთან, მოსამართლეთა ეჭვები, მათი მხრიდან მედიატორის შესაბამისი უნარების დაკმაყოფილების თაობაზე, შესაძლებელია, აღმოიფხვრას სასამართლოსმიერი მედიაციის თაობაზე ამომწურავი და დროული ინფორმაციის მიღებით. აღსანიშნავია ისიც, რომ მოსამართლის მიერ, მედიაციის წარმოების შემთხვევაში, გამოირიცხება მორიგების იძულებით მიღწევის საფრთხე. მეტიც, სამეცნიერო წრეებში გავრცელებული მოსაზრებების შესაბამისად, მოსამართლის სამოსამართლეო გამოცდილება, უნარი შეაფასოს მხარეთა სუსტი და ძლიერი მხარეები, თავად მხარეებსაც დაეხმარებათ უკეთ შეაფასონ საკუთარი პოზიციები და განსაზღვრონ სამართლიანი შედეგები.²⁶⁷ აღნიშნული, თავის მხრივ, გამოკვეთს მედიაციის პროცესის მოსამართლის მიერ წარმოების უპირატესობებს.

კრიტიკოსები ხშირად ავითარებდნენ მოსაზრებას იმის თაობაზეც, რომ დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების, მათ შორის მედიაციის

²⁶⁶იქვე, გვ. 31.

²⁶⁷იქვე, გვ. 32.

განვითარებამ და მით უფრო, მოსამართლეთა მონაწილეობამ აღნიშნულ პროცესში, შესაძლებელია განაპირობოს სასამართლოს ავტორიტეტის დაცემა. ამის საპირისპიროდ, გასათვალისწინებელია არგუმენტი, რომ სტანდარტული სასამართლო საქმისწარმოება უნდა განიხილებოდეს, როგორც დავის გადაწყვეტის უკიდურეს შემთხვევაში გამოსაყენებული საშუალება და ვერც ერთი საზოგადოება ვერ შეძლებს განვითარებას იმ პირობებში, თუ მხარეთა შორის არსებული დავის გადაწყვეტის ბერკეტი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იქნებოდა, მხოლოდ მესამე პირების ხელთ.²⁶⁸

3.2.3. მოსამართლის უფლებამოსილება სასამართლო მედიაციის ვადების განსაზღვრისას

კანადაში პროვინციების მასშტაბით, ძირითადად, არ არის განსაზღვრული შეზღუდვები მედიაციის წარმოების ვადებთან დაკავშირებით. გამონაკლისია, მაგალითად, ბრიტანეთის კოლუმბია, სადაც მედიაცია არ უნდა აღემატებოდეს 60 (სამოც) დღეს, მას შემდეგ, რაც, მხარის მიერ სასამართლოში სარჩელი აღიძვრება. ონტარიოში მედიაცია არ უნდა აღემატებოდეს 90 (ოთხმოცდაათ) დღეს, მას შემდეგ, რაც, მხარის მიერ სასამართლოში სარჩელი აღიძვრება; ალბერტაში, მედიაცია არ უნდა გაგრძელდეს მხარეთა ახსნა-განმარტებების პროცედურის დასრულების შემდეგ; სასკაჩევანში, მედიაცია არ უნდა აღემატებოდეს 3 (სამ) თვეს მას შემდეგ, რაც მხარის მიერ სასამართლოში სარჩელი აღიძვრება.²⁶⁹

ამავე თვალსაზრისით, მოსამართლის აქტიურობის ფარგლებთან მიმართებაში დამკვიდრებული მიდგომებიდან აღსანიშნავია, რომ: ბრიტანეთის კოლუმბიაში, შესაძლებელია, სასამართლო მედიაციის ვადის

²⁶⁸Gold N., Prospects, Problem and Potential: An Assessment of Trends and Issues regarding Mediation in Canada, Journal of Arbitration Studies, 1997, p. 87.

²⁶⁹Gerald W., IBA mediation sub-committee on the UNCITRAL MODEL LAW on international commercial conciliation ("MLICC"), Vancouver, Canada, p. 2. იხ. Ibanet.org. ბოლოს გამოხმობილია: 27.11.2018

გაგრძელება მხარეთა თანხმობის ან/და სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე; სასკაჩევანში, მხარის განცხადების საფუძველზე, სასამართლოს ენიჭება მედიაციის დროის შეცვლის უფლებამოსილება; ონტარიოში, სასამართლოს გააჩნია უფლებამოსილება, გაზარდოს ან შეამციროს სასამართლო მედიაციისათვის განკუთვნილი დრო იმ გარემოების გათვალისწინებით, თუ, რამდენად კომპლექსური ხასიათისაა დავა, რამდენი მხარეა მის წარმოებაში ჩართული, ხასიათდება თუ არა საკითხი განსაკუთრებული სამართლებრივი სირთულით. აღნიშნულ პროცესში, მნიშვნელობა ენიჭება, აგრეთვე, იმ გარემოებას, იქონიებს თუ არა გავლენას სამედიაციო ვადის გაზრდა ან შემცირება პროცესის საბოლოო შედეგზე. ალბერტაში, სასამართლო უფლებამოსილია გაზარდოს მედიაციის დრო, როგორც აღნიშნული ვადის ამოწურვამდე, ისე მისი ამოწურვის შემდგომ.²⁷⁰

შესაბამისად დგინდება, რომ კანადის სახელმწიფოში, მითითებული თვალსაზრისით, რეგულირება არ ითვალისწინებს გაუმართლებელ შეზღუდვებს - მიუხედავად ვადების ფორმალური განსაზღვრულობისა, მხარეთა სურვილისა და აღნიშნულის თაობაზე სასამართლოს თანხმობის შემთხვევაში, დასაშვებად მიიჩნევა, სასამართლო მედიაციის ვადის გაგრძელება. როგორც წესი, აღნიშნულის საფუძველად მიიჩნევა - პროცესში ჩართულ მხარეთა გაზრდილი რაოდენობა; გადასაწყვეტი საკითხის კომპლექსური ხასიათი; იმ საკითხის შეფასება, დავის საბოლოოდ გადაწყვეტის თვალსაზრისით, იქონიებს თუ არა მნიშვნელობას გარემოებები, რაც დამატებითი დროის განმავლობაში გახდება ცნობილი.²⁷¹

²⁷⁰იქვე, გვ. 3.

²⁷¹Richler J., Court-Based Mediation in Canada, Judges' Journal, 2011, p. 15.

3.2.4. სახელმწიფოებრივი მასშტაბის სამედიაციო პროგრამები, როგორც სასამართლო სისტემის ინტეგრალური ნაწილი

სამართლებრივი რეგულირების არსის გაანალიზება შეუძლებელი იქნება იმ პროგრამების შესწავლის გარეშე, რომელიც, აგრეთვე, საფუძვლად დაედო მედიაციის წარმატებულ ინსტიტუციონალიზაციას. შესაბამისად, ყურადღება გამახვილდება იმ პროექტთა ნაწილზე, რომელიც წარმატებით განხორციელდა, რომელთა იმპლემენტაციამ ასევე მნიშვნელოვნად განსაზღვრა მოქალაქეთა სამართლებრივი ცნობიერების ჩამოყალიბება და რომლებიც შიდასახელმწიფოებრივ სისტემაში მიჩნეულ იქნენ მოსამართლეთა/სასამართლოთა ჩართულობით განხორციელებულ ქმედით ინსტრუმენტებად:

1994 წელს, ონტარიოს სასამართლოსა და გენერალური პროკურატურის მიერ, ინიცირებული იქნა ორწლიანი საპილოტე პროგრამა. აღნიშნული პროგრამა, შინაარსობრივი თვალსაზრისით იყო ერთგვარი შეთავაზება იმ პირების მიმართ, რომლებიც პროგრამის ამოქმედების დროისათვის ტორონტოს მასშტაბით ჩართულნი იყვნენ სამოქალაქოსამართლებრივ დავებში. პროგრამის ფარგლებში განსაკუთრებული აქცენტი კეთდებოდა შრომით, სამშენებლო, უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ და კომერციული ხასიათის დავებზე. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში საქმეს მოხალისეობრივ საწყისებზე განიხილავდა შესაბამისი ოფიცერი (Dispute Resolution Officer) ან საქმის განმხილველი მოსამართლე, რომელთაც სავალდებულოდ უნდა ჰქონოდათ გავლილი მომზადების შესაბამისი კურსი მედიაციის მიმართულებით. იმ შემთხვევაში, თუ მხარეები შეჯერდებოდნენ საქმის სხვა მედიატორისათვის გადაცემის თაობაზე, მათ დაეკისრებოდათ ვალდებულება, დაეფარათ დამატებითი ხარჯები. პროგრამის ფარგლებში

დავის გადაწყვეტის შეუძლებლობის შემთხვევაში, საქმე ექვემდებარებოდა სასამართლოში სტანდარტული სამართალწარმოების გზით განხილვას.²⁷²

1997 წლის 31 იანვარს, ონტარიოში, ამოქმედდა სამოქალაქოსამართლებრივი დავების სავალდებულო მედიაციის პროგრამა. პროგრამის მიზნად დასახელდა მართლმსაჯულებასთან მოქალაქეთა წვდომის უზრუნველყოფა, მხარეთა პასუხისმგებლობის ზრდა პროცესის შედეგებთან დაკავშირებით, ხარჯებისა და დროის რესურსის დაზოგვა. პროგრამის ფარგლებში თითოეულ მედიაციის პროცესს უძღვებოდა კერძო სექტორის მედიატორთა რეესტრიდან შერჩეული მედიატორი. ამასთან, ჩამოყალიბდა დავის ალტერნატიული გადაწყვეტის კომიტეტი, რომელიც აერთიანებდა სასამართლოს წარმომადგენლებს, ადვოკატებსა და მედიაციის სერვისის პროვაიდერ ორგანიზაციებს. განისაზღვრა კომიტეტთა ფუნქციები - მათ დაევალოთ მედიატორთა რეესტრის წარმოება, მომსახურების ფასების განსაზღვრა, მედიატორთა საქმიანობის მონიტორინგი, საჩივრების არსებობის შემთხვევაში, ადეკვატური რეაგირების უზრუნველყოფა. მითითებული პროგრამის ფარგლებში სამოქალაქოსამართლებრივი საქმეები ავტომატურად ექვემდებარებოდა მედიაციის საშუალებით განხილვას. ხოლო, წარუმატებელი მცდელობის არსებობისას, სასამართლო წესით სამართალწარმოებას.²⁷³

1980-იან წლებში, სასკაჩევანის პროვინციაში, ადგილი ჰქონდა ე.წ. „ფერმერთა კრიზისს“. აღნიშნულის განმაპირობებელ მიზეზად მიჩნეულ იქნა მოვალეთა გადახდისუუნარობა, რის შემდეგაც, იქმნებოდა იპოთეკით/გირავნობით დატვირთული ქონების იპოთეკარის/მოგირავნის საკუთრებაში გადასვლის საფრთხეები. ამასთან, მას შემდეგ, რაც იპოთეკართა საკუთრებაში გადავიდა უზრუნველყოფის საშუალებად გამოყენებული

²⁷²Gold N., Prospects, Problem and Potential: An Assessment of Trends and Issues regarding Mediation in Canada, Journal of Arbitration Studies, 1997, p. 92.

²⁷³იქვე, გვ. 92-93.

უძრავი ქონება (მიწები), ბევრი ავლენდა გაყიდვის სურვილს, თუმცა, დაბალი იყო მყიდველთა რიცხვი. შედეგად, სასკაჩევანში მედიაცია სწორედ აღნიშნული საკითხის გადაწყვეტის მიზნით გამოიყენეს. ხოლო, მას შემდეგ, რაც პრაქტიკულად დადასტურდა მედიაციის შედეგიანობა, ადგილობრივი მთავრობის გადაწყვეტილებით მან მიიღო სავალდებულო ხასიათი. შედეგად, 1988 წელს, სასკაჩევანში ამოქმედდა კანადის მასშტაბით ერთ-ერთი პირველი სავალდებულო სასამართლო მედიაციის პროექტი. ხოლო, 1994 წელს, განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შესაბამისად, მედიაცია განისაზღვრა, როგორც სასამართლო სამართალწარმოების ნაწილი. რეგულაცია, საოჯახო დავების წარმოების შემთხვევაში მხარეებს ავალდებულებდა მონაწილეობა მიიღოთ მედიაციის სესიაში. მედიაციაში მონაწილეობა, აგრეთვე, ატარებდა სავალდებულო ხასიათს სხვა ტიპის დავების წარმოების დროსაც. თუმცა, ასეთ ხასიათს იძენდა მხოლოდ პაექრობის ეტაპის შემდეგ. მითითებულ რეგიონში, პროგრამაში მონაწილე პირების 90 %-მა გამოთქვა დადებითი მოსაზრება. სასკაჩევანის სავალდებულო სასამართლო მედიაციის პროგრამა, ერთ-ერთია მათ შორის, რომელიც ადასტურებს მედიაციის ინსტიტუტის ეფექტიანობას, რაც, გამოიხატება დავების წარმატებით დასრულებასა და მონაწილეთა კმაყოფილების მაღალი მაჩვენებლის არსებობით.²⁷⁴

1992 წელს, ალბერტა ბეთერის ბიზნეს ბიუროს მიერ, დაარსდა დამოუკიდებელი, კერძო სამართლის იურიდიული პირი, რომელმაც სახელი მოიპოვა დავების გადაწყვეტის ცენტრის (Dispute Settlement centre (BBB)) სტატუსით. ცენტრი თანამშრომლობს ალბერტას პროვინციის სასამართლოსთან და მოდავე მხარეებს უფასოდ სთავაზობს დავის ალტერნატიულ გადაწყვეტას. იმ შემთხვევაში, თუ მხარეები დათანხმდებიან მედიაციას და იგი წარმატებით დასრულდება, ხდება სარჩელის გამოხმოება.

²⁷⁴იქვე, გვ. 93.

დავის გადაწყვეტის შეუძლებლობის შემთხვევაში, ინიშნება საქმის სტანდარტული განხილვა სამოქალაქო სამართალწარმოების ფარგლებში.²⁷⁵ თავის მხრივ, მითითებული გამოცდილება, ერთმნიშვნელოვნად, ადასტურებს სასამართლოებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების ურთიერთთანამშრომლობის შედეგიან პრაქტიკას. აღნიშნული, შესაძლებელია შეფასდეს, როგორც მედიაციის სასამართლო და სასამართლოს გარე ფორმების, ჰიბრიდული ფორმა, რაც ხელს უწყობს როგორც სასამართლოს უფლებამოსილებების ზრდას მედიაციის პროცესში, აგრეთვე, სასამართლოს გარე მედიაციის პოპულარიზაციას, დავის გადაწყვეტის მშვიდობიანი გზების კულტურის დამკვიდრებასა და სასამართლოს გარდაქმნას სივრცედ, რომელიც მოქალაქეებს სთავაზობს დავის გადაწყვეტის მრავალფეროვან მექანიზმებს.

3.3.მედიაციის მომწესრიგებელი სისტემის ფორმირება გერმანულ სამართალში და მოსამართლის უფლებამოსილების ფარგლები სასამართლო მედიაციის წარმოებისას

გერმანული სამართლის მიმართ კვლევის ინტერესი განპირობებულია იმ ფაქტით, რომ გერმანული დოქტრინა, XIX საუკუნიდან მოკიდებული დღეის ჩათვლით, იმდენად სრულყოფილი აღმოჩნდა, რომ იგი თეორიული წყარო გახდა არა მარტო თავად გერმანული კანონმდებლობისათვის, არამედ სხვა ხალხებისათვისაც და მათ შორის ქართველებისათვის. ამ დოქტრინისათვის დამახასიათებელი აბსტრაქტული აზროვნების სტილი კარგად მოერგო ქართულ ცნობიერებას.²⁷⁶ ამასთან, მედიაცია გერმანიაში განიხილება როგორც მართლმსაჯულების სისტემის ინტეგრალური, განუყოფელი ნაწილი.

²⁷⁵იქვე, გვ. 94.

²⁷⁶სურგულაძე ი., ხელისუფლება და სამართალი, გერმანულიდან თარგმნა და შესავალი წერილი დაურთო ო. გამყრელიძემ, თბილისი, 2002. მითითებულია: ჩიტაშვილი ნ., შეცვლილი გარემოებების გავლენა ვალდებულების შესრულებასა და მხარეთა შესაძლო მეორად

გერმანიის რესპუბლიკა, ტრადიციულად, გამოირჩევა ძლიერი სასამართლო სისტემით.²⁷⁷ შესაბამისად, მედიაციის ინსტიტუციონალიზაციის პროცესთან დაკავშირებული საერთო შედეგი, რაც გამოიხატა სავალდებულო მედიაციის დომინირებაში ნებაყოფლობით მედიაციასთან მიმართებით, ერთგვარ კანონზომიერებად უნდა შეფასდეს. აღნიშნული ინსტიტუტები გერმანიის ფედერაციაში ერთმანეთისგან გამიჯნულია. მედიაციის აქტი, სწორედ, დამოუკიდებელად მოქმედ მედიაციის ინსტიტუტების საქმიანობას აწესრიგებს,²⁷⁸ რომელიც, მედიაციის შესახებ 2008 წელს მიღებულ #52/EC ევროპულ რეგულაციასთან შესაბამისობაშია. გერმანელმა კანონმდებელმა სასამართლოსგან დამოუკიდებელად მოქმედი სამედიაციო ინსტიტუტები სცნო დავის გადაწყვეტის ეფექტიან საშუალებად. ამასთან, მომრიგებელი მოსამართლის ფუნქციების გაზრდის, დახვეწისა და მოდერნიზებით, ასევე შეინარჩუნა მომრიგებელი მოსამართლის ინსტიტუტი.²⁷⁹ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, მედიაციის თანამედროვე მოდელი გასული საუკუნის ბოლოდან იღებს სათავეს. ე.ი. სასამართლო მედიაცია გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკაში ევროპული დირექტივის და გერმანიის მედიაციის აქტის მიღებამდეც არსებობდა. აღსანიშნავია ისიც, რომ გერმანიამ დაიგვიანა ევროპული დირექტივის ქვეყნის შიდა კანონმდებლობაში იმპლემენტაცია,²⁸⁰ თუმცა, აღნიშნული განაპირობა მკაფიოდ გამოხატულმა სახელმწიფოებრივმა მისწრაფებამ, უზრუნველყოფილიყო შემუშავებული რეგულაციების შესაბამისობა გერმანულ სამართლებრივ სივრცესთან.

მოთხოვნებზე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2014, გვ. 27.

²⁷⁷ Esplugues C., Marquis L., New developments in civil and commercial mediation, 2015, p. 291.

²⁷⁸ Act for the Encouragement of Mediation and other Extrajudicial Conflict Resolution Procedures, ob.: <https://eur-lex.europa.eu/>.

²⁷⁹ Esplugues C., Iglesias J. L., Palao G., Civil and Commercial Mediation in Europe: National Mediation Rules and Procedures, Vol. I, Intersentia, Cambridge, 2013, p. 185. მითითებულია: წულაძე ა., სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2016, გვ. 52.

²⁸⁰ Koenig S., Germany in Palo G.D., Trevor M.B., EU Mediation-Law and Practice, Oxford University Press, Oxford, 2012, p. 131.

მედიაციის ფორმების თვალსაზრისით, გერმანიაში დამკვიდრებულია მედიაციის გამოვლინების სამივე განხილული ფორმის ალტერნატივა: ა) სასამართლოსთან არსებული მედიაცია (Court-annexed Mediation), ბ) სასამართლო/სასამართლოსმიერი მედიაცია (Judicial Mediation), რომელმაც თავის მხრივ, გარდაქმნა განიცადა, გ) სასამართლოს გარე/კერძო მედიაცია (Private mediation).

3.3.1. სასამართლო/სავალდებულო მედიაცია

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, მედიაციის მარეგულირებელი კანონმდებლობა გაყოფილია ფედერალურ და ადგილობრივ დონეებად. 1999 წელს მიღებულ „სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესავლის“ 228 (EGZPO) მე-15 მუხლის განმარტებით ბარათში, რომელიც, მედიაციის რეგულირებას ეხებოდა, აღინიშნა, რომ ფედერალური ხელისუფლების ნებაა, მხარის ადგილობრივ ორგანოებს მედიაციის ინსტიტუტის გაცნობის შემდეგ, თავად მიეღოთ გადაწყვეტილება, ყოფილიყო თუ არა სავალდებულო მედიაცია მათ ტერიტორიაზე.²⁸¹ აღნიშნულმა გადაწყვეტილებამ, ერთი მხრივ, განსხვავებული პრაქტიკა განავითარა სხვადასხვა ფედერალურ მხარეში, ხოლო, მეორე მხრივ, გერმანია იმ რამდენიმე ქვეყანას მიაკუთვნა, რომლებიც ითვალისწინებდნენ სასამართლო პროცესამდე სავალდებულო მედიაციის ინსტიტუტის გავლით კონფლიქტის რეგულირების მცდელობას. კერძოდ, EGZPO-ს მუხლი 15(ა) მოსამართლეებს დავის სავალდებულო მედიაციაზე გადამისამართების შესაძლებლობას აძლევდა, თუმცა, ამის გაკეთებას ყველა შემთხვევაში არ ავალდებულებდა.²⁸² ვინაიდან, კანონმდებელმა, ფედერალური მხარის წარმომადგენლობითი ორგანოების უფლებამოსილებად დატოვა სავალდებულო მედიაციის თავიანთ ტერიტორიაზე შემოღების საკითხი, 2012

²⁸¹Hopt J. K., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, p. 525.

²⁸²Espilugus C., Iglesias J. L., Palao G., Civil and Commercial Mediation in Europe: National Mediation Rules and Procedures, Vol. I, Intersentia, Cambridge, 2013, p. 175.

წლის იანვრის მონაცემებით, 16-დან 11-მა ფედერალურმა მხარემ მიიღო სავალდებულო მედიაცია საკუთარ ტერიტორიაზე.²⁸³

საბოლოოდ, 2012 წლამდე, საოჯახო და შრომითი დავების გარდა, გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის კანონმდებლობა იძლეოდა სავალდებულო მედიაციის პროცესის დანიშვნის შესაძლებლობას სამოქალაქო სამართლის ნებისმიერი კატეგორიის დავებისას. სავალდებულო მედიაციისათვის საქმის გადაცემა არ ხდებოდა მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში: შეგებებული სარჩელის შეტანისას; დავის განახლების შემთხვევაში; გამარტივებული სამართალწარმოების საშუალებით განხილვად საქმეებზე; გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით შეტანილ სარჩელებზე (განცხადებებზე).²⁸⁴ აღნიშნული მიდგომის შენარჩუნება დიდწილად განაპირობა იმ გარემოებამ, 2007 წელს გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციურად ცნო EGZPO-ს მე-15 მუხლის (ა) ქვეპუნქტი, რაც ქმნიდა მითითებულ შესაძლებლობას, და დაადგინა, რომ მთავარია, მორიგება არ ქცეულიყო დავის გადაწყვეტის ერთადერთ საშუალებად, რისი რისკიც, მოცემულ შემთხვევაში არ არსებობდა.²⁸⁵

თუმცა, 2012 წელს, მედიაციის ახალი აქტის შემუშავებისას, სავალდებულო მედიაციის საკითხმა დიდი დებატები გამოიწვია გერმანულ იურიდიულ საზოგადოებაში.²⁸⁶ იდეის მოწინააღმდეგეთა სიმრავლის გამო, საბოლოოდ, კანონმდებელმა უარი თქვა მასზე და ნებაყოფლობითი მედიაციის მოდელი აირჩია. დღეისათვის, გერმანული კანონმდებლობა არ იცნობს სავალდებულო

²⁸³წულაძე ა., სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2016, გვ. 55.

²⁸⁴იქვე, გვ. 56.

²⁸⁵Bundesverfassungsgericht, Neue juristische Wochenschrift – Rechtsprechungspreport (NJW-RR), 2007, p. 1073. მითითებულია: წულაძე ა., სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2016, გვ. 55.

²⁸⁶Filler E., Commercial Mediation in Europe, “Kluwer Law International”, Alphen aan den Rijn, 2012, p. 91.

მედიაციის ცნებას,²⁸⁷ გარდა, მომრიგებელი მოსამართლის ინსტიტუტისა, რომელიც, მართალია, იყენებს მედიაციის ტექნიკას, მაგრამ, ვინაიდან, პროცესი ხასიათდება მტკიცებულებების შეფასებით, იმართება სასამართლო დარბაზში და მოსამართლე უძღვება პროცესს, ითვლება, რომ იგი სასამართლოს შემადგენელი ნაწილია.

აღნიშნულის მიუხედავად, ფედერალური სასამართლოს დონეზე რიგი სახის სარჩელები, მაინც ექვემდებარებიან სავალდებულო მედიაციის მეშვეობით განხილვას. კერძოდ, , დავის საგნის ღირებულება არ აღემატება 750 ევროს, როდესაც სახეზეა სამეზობლო დავა, ან თუ დავა ეხება იმ სახის დეფიციტს, რომელიც მედიის მეშვეობით არ გაცხადებულა, ან თუ დავა პირთა შორის უფლებრივ თანასწორობას ეხება, ასეთ შემთხვევაში, სახეზეა სავალდებულო სასამართლოსთან არსებული სამედიაციო დავის წინაპირობა და საქმე გადამისამართდება მედიაციაში, თუმცა, ეს ვერ განიხილება, როგორც სასამართლოსთვის მიმართვის ხელისშემშლელი მედიაცია, რადგან, სარჩელი მითითებული დროისათვის წარდგენილია და სასამართლოს საქმე წარმოებაში აქვს მიღებული.²⁸⁸

3.3.2. მომრიგებელი მოსამართლის კონცეფცია გერმანულ კანონმდებლობაში

როგორც აღინიშნა, საქმის განმხილველ მოსამართლე-მედიატორს მოდავე მხარეთა თანხმობის გარეშე, გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (EGZPO) 278-ე მუხლის შესაბამისად, შეუძლია დანიშნოს მომრიგებელ მოსამართლესთან შეხვდრა, ხოლო, თავის მხრივ, მომრიგებელ მოსამართლეს შეუძლია საქმის მასალების სამართლებრივი ასპექტების შეფასება, მოდავე მხარეებისათვის მედიაციის პროცესზე პირადად გამოცხადების მოთხოვნა და

²⁸⁷Hopt K., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, p. 550.

²⁸⁸Tutzel S., Wegen G., Wilske S., Commercial Dispute Resolution in Germany, 2nd Ed, C.H.Beck, Munchen, 2016, p. 197.

თუ მხარე არ შეასრულებს მომრიგებელი მოსამართლის მოთხოვნებს, მას შეუძლია დააჯარიმოს კიდევ იგი.²⁸⁹ ე.ი. სასამართლოსთან არსებული მედიაციის საპირისპიროდ, მრავალ გერმანულ მიწაზე, პოპულარულია სასამართლო მედიაციის ფორმა, როდესაც, მოსამართლეს თავად აქვს უფლება თუ ჩათვლის საქმეს სამედიაციო მიზნებისთვის შესაფერის დავად, საქმე გადასცეს თავის კოლეგა მოსამართლეს, რომელსაც მედიატორის ფუნქცია ექნება და შეუთანხმებლობის შემთხვევაში, ამ დავასთან, როგორც დავის განმხილველ მოსამართლეს, არ ექნება შემხებლობა, ხოლო პროცესი რჩება კონფიდენციალური.²⁹⁰ მრავალი მოსამართლე მედიაციაში ფასიან კურსებს გადის, რათა შეასრულოს მეტად საპატიო მედიატორის ფუნქცია სასამართლო მედიაციის პროცესში. თუმცა, ამ კატეგორიის მედიატორებს, სხვა ტერმინით მოიხსენიებს კანონმდებელი (Guterichter²⁹¹) და მათ მიჯნავს კერძო მედიატორებისგან, რათა კერძო მედიაციის ცენტრებს ხელი არ შეეშალოთ, დანერგვასა და განვითარებაში.²⁹²

მკვლევართა შეფასებით, ზუსტი სტატისტიკის მოხმობა მედიაციის ეფექტიანობის თაობაზე შეუძლებელია, რამეთუ, ამ მიმართულებით პროექტები მრავალია. თუმცა, მაგალითად, საქსონიაში, მომრიგებელი მოსამართლეები უძღვებიან 2400 მედიაციის პროცესს, რომელთაგან 80 % წარმატებით სრულდება.²⁹³ ამასთან, მომრიგებელი მოსამართლის მიერ საქმის

²⁸⁹იქვე, გვ. 551.

²⁹⁰Greger R., Gerichtsinterne Mediation, The Rabel Journal of Comparative and International Private Law, Max –Planck-Institute fur auslandisches und internationals Privatrecht, Band 74, Heft 1, Mohr Siebeck, 2010, p. 793. მითითებულია: ყანდაშვილი ი., საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2018, გვ. 206.

²⁹¹Moltmann-Willisch A., Der Richter als Mediator-das erweiterte Guterichtermodell in der Zivilgerichtsbarkeit in Haft F., von Schlieffen K.G., Handbuch Mediation, C.H.Beck, Munchen, 3 Auflage, 2016, 1199, p. 1200.

²⁹²ყანდაშვილი ი., საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2018, 206.

²⁹³Esplugues C., Marquis L., New developments in civil and commercial mediation, 2015, p. 292.

გადაწყვეტის შემთხვევაში, პროცესი არის უფასო.²⁹⁴ იმ შემთხვევაში, თუ მომრიგებელი მოსამართლის ხელშეწყობით დავა ვერ გადაწყდება, ის საქმეს უგზავნის მოსამართლეს შესაბამისი მიზეზების საჭიროების დასაბუთების გარეშე.²⁹⁵ პრაქტიკულად, აღნიშნული ინსტიტუტის ეფექტიანობა არამხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოებში, არამედ, სააპელაციო ინსტანციებშიც გამოვლინდა, რისი მიზეზიც, პირველ ინსტანციაში საქმის დასრულებამდე საკუთარი პოზიციების მიმართ მხარეთა არარეალისტური დამოკიდებულებაა. მედიაციის პროცესის დადებითი მხარეების წარმოჩენის მიზნით, გერმანიის სასამართლოებში ჩამოყალიბდა ტრადიცია (საგულისხმოა, რომ წინასწარ არ იყო კანონმდებლობით გათვალისწინებული), რომლითაც გამართულ სასამართლო მედიაციის პროცესებს უძღვება ის მოსამართლე, რომელიც საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიმღები არ არის.²⁹⁶ დღეისათვის, თექვსმეტივე ფედერალური მხარე მოქალაქეებს სთავაზობს მომრიგებელი მოსამართლის სერვისს, არა მხოლოდ სამოქალაქო, არამედ, ადმინისტრაციულ დავებზეც. მედიაციის გერმანული მოდელის თავისებურებად, სწორედ, სასამართლოში მოსამართლეების მიერ გამართული მედიაციის პროცესები ითვლება, რის გამოც, მომრიგებელი მოსამართლეების ინსტიტუტს, სწორედ, „გერმანულ მოდელს“ უწოდებენ.²⁹⁷ ამასთან, მკვლევართა მოსაზრებით, გერმანიაში მედიატორის ფუნქცია სასამართლო ხელისუფლების განუყოფელი, ინტეგრალური ნაწილია. მეტიც, მოსამართლეთა მიერ მედიაციის

²⁹⁴იქვე, გვ. 304.

²⁹⁵იქვე, გვ. 302.

²⁹⁶Espilugus C., Iglesias J. L., Palao G., Civil and Commercial Mediation in Europe: National Mediation Rules and Procedures, Vol. I, Intersentia, Cambridge, 2013, p. 182.

²⁹⁷De Palo G., Trevor B. M., EU Mediation: Law and Practice, Oxford University Press, Oxford, 2012, p. 134. მითითებულია: წულაძე ა., სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2016, გვ. 54.

განხორციელება მეტად ეფექტიანად მიიჩნევა რამეთუ სხვა ყველაფერთან ერთად, მათში მეტადაა გამოხატული დამოუკიდებლობის პრინციპი.²⁹⁸

3.3.3. სასამართლოს გარე მედიაცია

როგორც აღინიშნა, გერმანიაში სასამართლოს გზით დავის მოგვარება საკმაოდ მიმზიდველი, იაფი და სწრაფი საშუალებაა. რაც, თავის მხრივ, არც თუ ისე დიდ სივრცეს უტოვებს დავის გადაწყვეტის კერძო, ალტერნატიულ საშუალებებს.²⁹⁹ გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკაში, დამოუკიდებელ კერძო სამედიაციო ცენტრებს ჯერ კიდევ არ დაუკავებიათ მნიშვნელოვანი ადგილი მართლმსაჯულების სფეროში, რაც, სტატისტიკური მონაცემებითაც³⁰⁰ დასტურდება. 2010 წელს, სასამართლოში 1.6 მილიონ სამოქალაქო სამართლის დავაზე იქნა შეტანილი სარჩელი, საიდანაც, სასამართლოს გარე/კერძო მედიატორს, მხოლოდ 2500 საქმე გადაეცა. ამ მონაცემის არსებობა სხვადასხვა მიზეზითაა განპირობებული. პირველ რიგში იმით, რომ სასამართლო წარმოება გერმანიაში არც თუ ძვირი პროცედურაა და უფასო სამართლებრივი დახმარებით მოქალაქეთა ფართო წრეს შეუძლია ისარგებლოს. ამასთან, პირველი ინსტანციის სასამართლოები ეფექტიანად მუშაობენ და გადაწყვეტილებას სარჩელის შეტანიდან რამდენიმე თვეში აბარებენ მოქალაქეებს. მოსამართლეები სარგებლობენ მაღალი ნდობით, ობიექტური და მიუკერძოებელი ავტორიტეტით, მით უფრო, როცა ისინი თავად გამოდიან ზემოთ განხილული - მომრიგებელი მოსამართლეების (სასამართლო მედიატორების) როლში.³⁰¹

²⁹⁸ Malte J., Bargen V., In-Court Mediation in Germany: A Basic Function of the Judiciary, 2014, pp. 77-95.

²⁹⁹ წულაძე ა., სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2016, გვ. 71.

³⁰⁰ Hopt J. K., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, p. 566.

³⁰¹ იქვე.

4. სასამართლო მედიაციის მოდელი საქართველოში და მოსამართლის უფლებამოსილებასთან დაკავშირებული ხარვეზული საკანონმდებლო რეგულირების მოწესრიგების აუცილებლობა

ხელისუფლებასა და მოქალაქეს შორის ურთიერთობის შინაარსი დამოკიდებულია სახელმწიფოს მახასიათებლებზე. დემოკრატიულ სახელმწიფოში ეს საკითხი მნიშვნელოვანი გამოწვევაა და ბოლომდე გადაუწყვეტელი დილემა. სახელმწიფო ხალხისთვის არის შექმნილი. მისი ფუნქციონირების მნიშვნელოვანი ელემენტია არა მარტო დემოკრატიული ლეგიტიმაცია, არამედ, „მოქალაქეებთან სიახლოვე“ და „მოქალაქეებზე ორიენტირებულობა“.³⁰² რამდენადაც აღინიშნა, სხვადასხვა სახელმწიფოში სასამართლო მედიაციის პროცედურის წარმართვაში ხელისუფლების ორგანოების ჩარევის ინტენსივობა განსხვავებულია. თუმცა, სამართლიანობის მიღწევის როგორი ეფექტიანი საშუალებაც არ უნდა იყოს დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნებისმიერი საშუალება, მათი საკანონმდებლო დონეზე განმტკიცების შემთხვევაში, სახელმწიფო ვალდებულია შექმნას იმგვარი პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს ამგვარი პროგრამების საუკეთესო სახით იმპლემენტაციას.³⁰³

შესაბამისად, ვინაიდან, წარმოდგენილი საკვალიფიკაციო ნაშრომის არსებითი მიზანია, წვლილი შეიტანოს სამოქალაქო სასამართლებრივი დავების სასამართლო მედიაციის პროცესში მოსამართლეთა როლთან დაკავშირებული საკითხების კვლევაში, ქართულ სამართალში დავების გადაწყვეტის ისტორიული გამოცდილების კვლევის შემდგომ შევისწავლეთ სასამართლო

³⁰²ხუბუა გ., ყალიჩავა კ., ადმინისტრაციული მეცნიერების სახელმძღვანელო, თბილისი, 2018, გვ. 174.

³⁰³Vieira L., Designing a Court-Annexed Mediation Program for Civil Cases in Brazil: Challenges and Opportunities, Pepperdine Dispute Resolution Law Journal, 2015, p. 2.

მედიაციის გამოვლინების ფორმა. გაანალიზდა საკანონმდებლო რეგულირება და მედიაციის საპილოტე პროექტის შედეგები. განხორციელდა საკანონმდებლო ხარვეზების იდენტიფიცირება და შეთავაზებული იქნა გადაწყვეტის საუკეთესო გზები. საკვლევი საკითხის სპეციფიკის გათვალისწინებით, საყურადღებოა ნაშრომში განხილული საერთაშორისო პრაქტიკა - მით უფრო იმ პირობებში, რომ მიუხედავად საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული და დაცული მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპისა, საფრანგეთის, გერმანიის, რუსეთისა და კონტინენტური ევროპის სხვა ქვეყნების კანონმდებლობები შეიცავს ნორმებს, რომელიც ხაზს უსვამს ინკვიზიციური სამართალწარმოების ნიშნების არსებობას, რაც, რიგ შემთხვევებში, ქმნის მოსამართლის ეფექტიანი აქტიურობის შესაძლებლობებს. ამასთან, საქართველოს საპროცესო კანონმდებლობა უნდა იხრებოდეს მოსამართლის როლის გააქტიურებისაკენ, საქმის სწორად და სამართლიანად გადაწყვეტისაკენ. სამოქალაქო საქმისწარმოების ნებისმიერ ეტაპზე სიმართლის გარკვევა მხოლოდ არბიტრის როლით ძნელია, რის გამოც, ვერ ამოიწურება მართლმსაჯულების ნამდვილი მიზანი.³⁰⁴ მოსამართლის უფლებამოსილების ზრდა სასამართლო მედიაციის პროცესში უზრუნველყოფს სასამართლო სისტემაში დავის გადაწყვეტის სწრაფი და ეფექტური მექანიზმების დანერგვას, რაც, თავის მხრივ, ემსახურება მართლმსაჯულებისადმი მოსახლეობის უკმაყოფილების მიზეზების აღმოფხვრას და სასამართლო სისტემის მიმართ სამართლის სუბიექტთა ნდობის მაღალი ხარისხის ჩამოყალიბებას.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ნაშრომის თავში განხორციელებული კვლევა ითვალისწინებს საქართველოში სასამართლო მედიაციის გამოვლინების ორი ალტერნატიული ფორმის - სასამართლოსთან არსებული

³⁰⁴მერებაშვილი ი., სასამართლოში საქმეთა განხილვისას მხარეთა შეჯიბრებითობისა და მოსამართლეთა აქტიურობის პრინციპების მოქმედება, თბილისი, 2009, გვ. 19.

მედიაციის (Court-annexed Mediation) და სასამართლო/სასამართლოსმიერი მედიაციის (Judicial Mediation) განვითარების პერსპექტივების წარმოჩენას, მოსამართლის უფლებამოსილებების ფარგლების განსაზღვრულობის საუკეთესო გადაწყვეტის გზების იდენტიფიცირებას.

4.1.მორიგებითი დავების გადაწყვეტის გამოცდილება ქართულ სამართალში, როგორც მედიაციის ინსტიტუციონალიზაციის ისტორიული წინაპირობა

მედიაცია ქართული სინამდვილისათვის ნოვაციად არ შეიძლება ჩაითვალოს, ვინაიდან, ისტორიულად, საქართველოში სადავო საკითხის გადასაწყვეტად ხშირად მიმართავდნენ ავტორიტეტულ პიროვნებას.³⁰⁵ საერთო კანონზომიერებაა, რომ სასამართლო წარმოებას, განვითარების პირველ საფეხურზე, აქვს მხარეთა შემრიგებლური, სამედიატორო ხასიათი. მას შემდეგ, რაც სახელმწიფო წარმოიშვა, სახელმწიფოს სახელით მოქმედი მოსამართლის საქმიანობა მოგვაგონებდა შუამავლის მოქმედებას.³⁰⁶ დადგენილია, რომ სასამართლოების უძველესი ფორმა სამედიატორო სასამართლო იყო. ასეთი სასამართლოები მოქმედებდა გვაროვნული წყობილების პერიოდში. გვარში წარმოშობილ კონფლიქტებს გვარის უფროსი წყეტდა, ხოლო გვარებს შორის უთანხმოების მოსაგვარებლად მიმართავდნენ მედიატორებს. მედიატორებს მოდავე მხარეები ირჩევდნენ, რათა, საქმე მშვიდობიანად მოგვარებულიყო და თავიდან აეცილებინათ სისხლისღვრა და ომები. ამრიგად, სამედიატორო სასამართლოს ძირითადი დანიშნულება იყო მხარეთა მშვიდობიანი მორიგება.³⁰⁷

³⁰⁵ცერცვაძე გ., მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი თბილისი, 2013, გვ. 132.

³⁰⁶ნადარეიშვილი გ., ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბილისი, 2005, გვ. 59.

³⁰⁷მეტრეველი ვ., ქართული სამართლის ისტორია, თბილისი, 2009, გვ. 395.

ცნობილია, რომ აღმოსავლეთ საქართველოში, რუსეთთან შეერთების წინ, გამოიყენებოდა ბჭეთა ანუ მედიატორთა სასამართლო. ბჭეები მხარეების მიერ არჩეული მოსამართლეები იყვნენ, რომლებიც მხოლოდ ჩვეულებითი სამართლის მიხედვით განიხილავდნენ დავებს. მხარეებს შეეძლოთ აერჩიათ ორ-ორი, სამ-სამი ან მეტი ბჭე. ბჭეები საქმეებს განიხილავდნენ სანივთო ურთიერთობების სფეროში, ვალდებულებით დავებს ურთიერთანგარიშსწორების შესახებ, მემკვიდრეობით დავებს. ბჭეთა სასამართლო ყოველთვის კოლეგიალური იყო. იგი ჩვეულებით სამართალს ეყრდნობოდა, ბჭე-მედიატორთა სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა. თუმცა, ეს არ გამორიცხავდა საქმის ხელმეორედ განხილვის შესაძლებლობას. სასამართლო პროცესი, როგორც წესი, მიმდინარეობდა ზეპირად, წერილობითი სახით გადაწყვეტილებათა გაფორმება სავალდებულო არ იყო. ამასთან, ბჭედ შესაძლებელია არჩეულიყო ნებისმიერი პირი, როგორც საერო, ისე სასულიერო.³⁰⁸ ბჭე-მედიატორთა ინსტიტუტი მოქმედებდა იმერეთშიც.³⁰⁹

ნიშანდობლივია, რომ „ბექა აღბუღას სამართლის წიგნი“, რომელიც შედგენილია XIII-XIV საუკუნეებში და შეტანილია ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულში (ვახტანგ ბატონიშვილის ბრძანებით შექმნილი საკოდიფიკაციო კომისიის მიერ 1705-1708 წლებში შედგენილი კანონთა კრებული. კრებულის მეშვიდე ნაწილს შეადგენს “სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა”, რომელიც შეიცავს შესავალსა და 270 მუხლს. ვახტანგის სამართლის წიგნის ძირითადი წყაროა ქართული ჩვეულებითი სამართალი) მე-6 ნაწილად მიუთითებს „შუათაბრჭობის“ შესახებ, რაც მკვლევართა შეფასებით, შუაკაცთა მეშვეობით შეთანხმების მიღწევას და დაზავებას გულისხმობს. „შუადასხმულნი“, „შუაეთაშესვლით“, „შუათადახედვით“ - ეს ის

³⁰⁸იქვე, გვ. 410.

³⁰⁹იქვე, გვ. 413.

ტერმინებია, რომლებიც არა სამეფო ხელისუფლების ნების გამომხატველ, არამედ, იმ არასასამართლო ფუნქციის მატარებელ პირთა აღსანიშნავად გამოიყენება, ვისაც მხარეები ირჩევენ კონკრეტული საქმის განსახილველად.³¹⁰ ბჭის საქმიანობა ბეჭა-აღბუღას სამართალში ბჭობად ან განბჭობად იწოდება.³¹¹

ამავე - ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნში შემავალი ბერძნული სამართლის ქართული ვერსიაც იცნობს მედიატორს, ბჭის სახელწოდებით: „უკეთუ ორსა კაცსა საჩივარი ჰქონდეს მოსამართლესთანა და არც ხელმწიფისა, არც პატრიარქისა, არც მიტროპოლიტისა, არც მოსამართლის საჩივარი და სამართალი არ მოინდომონ, და იმ ორთა ერთი კაცი გამოირჩიონ და იმასთან მივიდნენ, მოახსენონ, რომე ერთი საჩივარი გვაქვსო და რომელსაც თქუნ სამართალს გუიზამ, იმას ვჯერვართო, იმ მოსამართლეს ეწოდების ბჭე“ (მუხლი 136).³¹²

ივანე სურგულაძეც მიიჩნევს, რომ ვახტანგის სამართლის წიგნში, განსხვავებული შინაარსით არის ნახსენები მოსამართლე და ბჭე. ავტორი მიუთითებს სამართლის წიგნის მე-3 მუხლზე, სადაც საუბარია მოსამართლეზე და 215-ე მუხლზე, სადაც საუბარია ბჭეზე. ივანე სურგულაძის მოსაზრებით, 215-ე მუხლში კანონმდებელი ბჭეს ეხება და მის საქმიანობას განსხვავებულად აღწერს, ვიდრე მოსამართლის საქმიანობას: „მაშასადამე, ბჭე გაგებულია აქ როგორც შუამავალი მედიატორე“ – ამტკიცებს იგი.³¹³ თუმცა, ვახტანგის სამართლის წიგნის მიხედვით, „ბჭეს დადგენისათვის“ ხელმწიფემ უნდა უბრძანოს. იმისდა მიუხედავად, რომ „ბჭე“ ამ შემთხვევაში „დადგენილ“

³¹⁰ ტყემალაძე ს., მედიაცია საქართველოში: ტრადიციიდან თანამედროვეობამდე, თბილისი, 2016, გვ. 16.

³¹¹ ონიანი ს., „ტერმინ „ბჭის“ მნიშვნელობისათვის ძველ ქართულ სამართალში“, თსუ იურიდიული ფაკულტეტის სამართლის ჟურნალი #2, 2013, გვ. 16.

³¹² იქვე, გვ. 16-17.

³¹³ სურგულაძე ი., საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, თბილისი, 1952, გვ. 346-347.

მოხელედ ჩანს, ივ. სურგულაძე მას მაინც შუამავლის, შემარიგებელი მოსამართლის ფუნქციას ანიჭებს.³¹⁴

მიხეილ კეკელიას მიაჩნია, რომ ვინაიდან, ბერძნული სამართლის მთარგმნელად კვიპრიანე სამთავნელი ითვლება (ერისკაცობაში კოზმა არაგვის ერისთავი), მას, როგორც ჩვეულებითი სამართლის ფართოდ გამომყენებული კუთხის მკვიდრს, კარგად უნდა სცოდნოდა მოდავეთა მიერ ამორჩეული სასამართლოს იურიდიული ბუნება და მისი სახელწოდებაც. ამიტომ 136-ე მუხლში აღწერილი ბერძნული აირეტოსკრიტე თარგმნა არა სიტყვასიტყვით – „გამორჩეული მოსამართლე“, არამედ, ქართველ მთიელთა ჩვეულებით სამართალში დამკვიდრებულ ბჭედ.³¹⁵ ასე რომ, კანონმდებლობაში, პირველად, სწორედ ამ ტერმინით მოხვდა მხარეთა მიერ გამორჩეული დავის განმხილველი პირისათვის ბჭის მიკუთვნება, ხოლო, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნმა, მასზე ადრე შედგენილი ქართული სამართლის ძეგლების ტრადიცია განაგრძო და სიტყვა ბჭე არა შუაკაცის, არამედ მეფის მოხელე მოსამართლის აღსანიშნავად გამოიყენა.³¹⁶

მე-19 საუკუნის ძეგლში - „საქართველოს ჩვეულებითი სჯული“, აგრეთვე, საუბარია ბჭე მედიატორების ინსტიტუტზე.³¹⁷ ისიდორე დოლიძე, იკვლევს რა „ჩვეულებით სჯულს“, აღნიშნავს, რომ მე-60 მუხლში მითითებულია მოსამართლეთა სხვადასხვა კატეგორია: მედიატორი, ბჭე, მოსამართლე. ხაზგასასმელია, რომ მედიატორის ამორჩევა ხდებოდა მხარეთა მიერ. მოსამართლეთა დანიშვნა კი ხელმწიფის ბრძანებით.³¹⁸

³¹⁴ტყემალაძე ს., მედიაცია საქართველოში: ტრადიციიდან თანამედროვეობამდე, თბილისი, 2016, გვ. 16.

³¹⁵კეკელია მ., ტერმინ ბჭის შინაარსისათვის ქართული სამართლის წიგნებში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, №4, თბილისი, 1973, გვ. 166.

³¹⁶იქვე, გვ. 167.

³¹⁷ცერცვაძე გ., მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი თბილისი, 2013, გვ. 15.

³¹⁸დოლიძე ი., საქართველოს ჩვეულებითი სჯული, თბილისი, 1960, გვ. 133-134.

მნიშვნელოვანია ასევე მიეთითოს ილია ჭავჭავაძის მოსაზრება მედიაციის თვისობრივი მახასიათებლებისა და სოციალური მნიშვნელობის შესახებ, რაც, მკაფიოდაა წარმოჩენილი ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის დაკვეთით ჩატარებული კვლევის ფარგლებში. რამდენადაც ცნობილია, კავკასიაში 1868 წელს გატარდა სასამართლო რეფორმა. ეს პერიოდი ცნობილია იმითაც, რომ ამ დროს, ილია ჭავჭავაძე მოღვაწეობდა ჯერ, როგორც მომრიგებელი, შუამავალი, (შუაკაცად, როგორც თვითონ უწოდებს) და რეფორმის შემდგომ, როგორც მომრიგებელი მოსამართლე.³¹⁹ სწორედ ამ პერიოდში გაუქმდა ბატონყმობა საქართველოში და მომრიგებელი შუამავალის ვალდებულებებშიც შედიოდა ურთიერთობების მოწესრიგება ყმობიდან გათავისუფლებულ გლეხებსა და მემამულეებს შორის. (სიგელების შედგენა, მიწის ნაკვეთის სიდიდისა და მასზე გადასახადის მოცულობის განსაზღვრა, მემამულეთა და გლეხთა ნებაყოფლობითი მორიგების გაფორმება და დამოწმება და ა.შ.). მასვე შეეძლო იმ საჩივრების განხილვა, რომლებიც სასოფლო მმართველობის წესების დარღვევასთან იყო დაკავშირებული. მომრიგებელ მოსამართლეს, დებულებით, რომელიც 1866 წ. 22 ნოემბერს შევიდა ძალაში, მის სამოქმედო უბანზე მინიჭებული ჰქონდა ერთპიროვნული სასამართლო ხელისუფლება. მას ექვემდებარებოდა როგორც სამოქალაქო ხასიათის დავები, ისე სისხლის სამართლის დანაშაულებანი და გარდახდომილებანი, რაც, განსაზღვრული იყო წესდებებით სამოქალაქო და სისხლის სამართლის სამართალწარმოების შესახებ.³²⁰ აღნიშნულ ინსტიტუტთან დაკავშირებით, ილიას მიდგომას ნათლად წარმოაჩენს 1886 წლის 19 აპრილს გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებული სტატია „მომრიგებელი

³¹⁹ საზოგადოებრივ-ლიტერატურული მოძრაობა XIX საუკუნის 60-70-იან წლებში, გვ. 39, ხელმისაწვდომია: http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/3003/1/KartuliLiteraturisIstoria_Tomi_IV.pdf ნანახია 09.11.2016 წ. მითითებულია: ტყემალაძე, ს., მედიაცია საქართველოში: ტრადიციიდან თანამედროვეობამდე, თბილისი, 2016, გვ. 18. იხ. undp.org.

³²⁰ იხ. ბლოგი, „იურისტი ილია ჭავჭავაძე“, ხელმისაწვდომია <http://www.tabula.ge/ge/tablog/93203-iuristi-ilia-chavchavadze> ნანახია: 09.11.2016 წ. მითითებულია: ტყემალაძე, ს., მედიაცია საქართველოში: ტრადიციიდან თანამედროვეობამდე, თბილისი, 2016, გვ. 18. იხ. undp.org..

სასამართლოების შესახებ“, სადაც ის დიდი მნიშვნელობის მქონედ აფასებს ოცდაათი მომრიგებელი მოსამართლის დამატებას ქართული მართლმსაჯულებისათვის. კერძოდ, ავტორი წერდა: „რაც უფრო ცხოვრება წინ მიდის, ურთიერთობა კაცთა შორის მით უფრო რთული ხდება, ალებ-მიცემობა ცხოველდება და მომრიგებელის სასამართლოს მნიშვნელობაც ჰმატულობს. სასამართლოს საქმეები ემატება და მცირე რიცხვი სასამართლოებისა ვეღარ აკმაყოფილებს ადგილის მართლმსაჯულების საჭიროებას. ხოლო თუ მართლმსაჯულება ისე ხელმოკლეა, რომ ვერა სწვდება ადგილის საჭიროებას, თუ ამ ხელმოკლეობის გამო ყველას არ შეუძლიან ადვილად და სწრაფად მიჰმართოს მართლმსაჯულებას სიმართლის აღსადგენად, ცხოვრება სანატრელის გზით ვეღარ იწარმოებს, ყოველდღიური მიმდინარეობა მისი შეფერხდება და ეს შეფერხება, უწინარეს ყოვლისა, დაეტყობა ხალხის ეკონომიკურ ყოფა-ცხოვრებას და ზნეობრივს მდგომარეობას. ხალხს სწრაფი და მარტივი, უფორმალურო სამართალი სჭირია. დარღვეულ უფლებასა მსწრაფლ აღდგინება უნდა“.³²¹

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით დგინდება, რომ საქართველოს ისტორიაში მორიგებისა და მედიაციის ინსტიტუტის ერთგვარი გამოცდილება არსებობს. იკვეთება მოსამართლის მომრიგებლური ფუნქციის პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, დროთა განმავლობაში მასთან დაკავშირებული საკითხების საკანონმდებლო დონეზე სრულყოფილი რეგულირება, რაც, მათ შორის, მოიცავს სასამართლო/სასამართლოსმიერი მედიაციის კონცეფციის საკანონმდებლო რეგლამენტაციასა და სასამართლოსთან არსებული მედიაციის პროცესში მოსამართლის უფლებამოსილების ზრდას, ერთგვარ კანონზომიერებად უნდა შეფასდეს.

³²¹ჭავჭავაძე ი., მომრიგებელი სასამართლოების შესახებ, გაზეთი ივერია #86, თბილისი, გვ. 1886.

4.2. სასამართლო მედიაციის მომწესრიგებელი საკანონმდებლო რეგლამენტაციის ანალიზი მედიაციის დამკვიდრებული ფორმისა და არსის განსაზღვრის თვალსაზრისით

მედიაციის სუბსტანციის აღქმა და მისი სამართლებრივი რეგულირება საქართველოში ჩანასახოვან ეტაპზეა. ინსტიტუტის მარეგულირებელი სისტემური საკანონმდებლო აქტ(ებ)ი საქართველოში არ არსებობს, გარდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში არსებული ფრაგმენტული რეგულირებისა, სასამართლო მედიაციის თაობაზე. თუმცა, არსობრივად, ის წარმოადგენს სასამართლო მედიაციის გამოვლინების მხოლოდ ერთ-ერთ განხილულ ფორმას - სასამართლოსთან არსებულ მედიაციას (Court-annexed mediation), რამეთუ, ქართულ რეალობაში მოსამართლე ან/და სასამართლო მოხელე მედიატორის უფლებამოსილებით არ სარგებლობს. შესაბამისად, დგინდება, რომ საქართველოს კანონმდებლობა და პრაქტიკა არ იცნობს სასამართლო/სასამართლოსმიერი მედიაციის (Judicial mediation) ინსტიტუტს. სასამართლო მედიაციის ცნება მოიაზრებს მართოდენ თბილისის საქალაქო სასამართლოსთან არსებული მედიაციის ცენტრით მომსახურების შესაძლებლობას. სასამართლო მედიაციის ფორმების განუსაზღვრელობასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ხარვეზი მედიაციის ინსტიტუტის განვითარების სრულად შემაფერხებელ გარემოებად უნდა შეფასდეს. ამასთან, აღნიშნული, უფრო ართულებს მოსამართლის უფლებამოსილების ფარგლების დადგენის საკითხს ცალკეული ფორმების განხორციელების შემთხვევაში.

შესაბამისად, კვლევის მიზნების გათვალისწინებით, ერთ-ერთი ფუნდამენტური რეკომენდაცია, რაც, თავის მხრივ, საფუძვლად დაედება ნაშრომის შემდგომ ნაწილში ჩამოყალიბებულ შენიშვნებს, შემდეგია:

სასამართლო და სასამართლოს გარე/კერძო მედიაციის ურთიერთგამიჯვნის პარალელურად, რელევანტურად მიგვაჩნია საკანონმდებლო დონეზე აისახოს სასამართლო მედიაციის ორი, ნაშრომში

განხილული - სასამართლო/სასამართლოსმიერი და სასამართლოსთან არსებული მედიაციის ურთიერთგანსხვავებული ფორმები. რაც ხელს შეუწობს, როგორც საქართველოს პრაქტიკაში თანამედროვე პერიოდამდე დანერგილი-სასამართლოსთან არსებული მედიაციის განვითარებას, აგრეთვე, სასამართლო/სასამართლოსმიერი მედიაციის აღმოცენების პერსპექტივას.³²²

საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით, ცვლილება, მისი მიღების შემთხვევაში უნდა აისახოს საქართველოს კანონში მედიაციის შესახებ, რომელიც მიმდინარე დროისათვის მხოლოდ კანონპროექტის სახით არსებობს. ამასთან, მის საფუძველზე, საჭირო, შესაბამისი ცვლილებები უნდა აისახოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში. მიზანშეწონილი იქნება სასამართლო მედიაციის ცნებისა და მისი გამოვლინების შესაძლო ფორმების შემდეგი სახით განმარტება:

- სასამართლო მედიაცია - მედიაცია, რომელიც ხორციელდება სარჩელის სასამართლოში წარდგენის შემდეგ, სასამართლოსთან არსებული მედიაციის ან სასამართლო/სასამართლოსმიერი მედიაციის ფორმით.
- სასამართლოსთან არსებული მედიაცია - მედიაცია, რომელიც ხორციელდება სარჩელის სასამართლოში წარდგენის და მისი წარმოებაში მიღების შემდეგ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით და რა შემთხვევაშიც სასამართლოს მიერ საქმის გადაცემა ხორციელდება სასამართლო მედიატორისათვის.
- სასამართლო/სასამართლოსმიერი მედიაცია - მედიაცია, რომელიც ხორციელდება სარჩელის სასამართლოში წარდგენის და მისი წარმოებაში მიღების შემდეგ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით და რა შემთხვევაშიც საქმე შესაძლებელია

³²²მედიაციის ფორმების გამიჯვნის აუცილებლობასთან დაკავშირებით იხ. ი. ყანდაშვილის სადისერტაციო ნაშრომი: საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასამართლო ფორმები, 2018.

დაექვემდებაროს მედიაში სპეციალიზირებული მოსამართლის (მოსამართლე-მედიატორის) მიერ განხილვას.

ამასთან, ცნებათა ურთიერთგამიჯვნის პარალელურად, აუცილებლად მიიჩნევა ადეკვატური ცვლილებების საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ასახვა.

4.3.თბილისის საქალაქო სასამართლოს მედიაციის პროგრამის პრაქტიკული ასპექტების ეფექტიანობის შეფასება

მედიაციის საკანონმდებლო დონეზე განმტკიცების შემდეგ (2012 წლის 1 იანვარი), 2012 წლის 7 მაისს, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, იუსტიციის უმაღლეს სკოლას, თბილისის საქალაქო სასამართლოს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ დავების ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნულ ცენტრს, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასა (GIZ) და მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გამლიერების პროექტს (JILEP) შორის გაფორმებული მემორანდუმი სასამართლო მედიაციის ამოქმედების მიზნით გადადგმულ პირველ მცდელობას წარმოადგენს. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე, თბილისის საქალაქო სასამართლოში შეიქმნა სასამართლო მედიაციის საპილოტე პროექტი და შეირჩნენ კანდიდატები ბრიტანული კომპანიის - დავების ეფექტიანი გადაწყვეტის ცენტრის (CEDR) დახმარებით შექმნილი მედიაციის სასწავლო კურსის გასავლელად.

თბილისის სასაქალაქო სასამართლოს მედიაციის საპილოტე პროექტმა მედიაციის პროცესების განხორციელება 2013 წლის დეკემბრიდან დაიწყო. 2018 წლის ნოემბერამდე, სამედიაციოდ, სულ 164 საქმე იქნა გადაცემული (2013 წელს - 3 საქმე; 2014 წელს - 13; 2015 წელს - 27; 2016 წელს - 24; 2017 წელს - 51; 2018 წლის ნოემბრის თვემდე - 46). მათ შორის, პროცენტული

თვალსაზრისით საქმეთა 60 % მორიგებით დასრულდა; მორიგების გარეშე - საქმეთა 40 %. მიმდინარეობს 17 საქმის განხილვა.³²³

მოყვანილი სტატისტიკური მონაცემები შემდეგი დასკვნის საფუძველს იძლევა: სასამართლოსთან არსებული მედიაციისათვის საქმეთა გადაცემის ტენდენცია წლების მიხედვით არის მზარდი, თუმცა, თუ გავითვალისწინებთ საქართველოს საერთო სასამართლოთა სისტემაში განსახილველი სამოქალაქოსამართლებრივი დავების სიჭარბეს³²⁴ ერთმნიშვნელოვნად დგინდება, რომ სასამართლო მედიაციისათვის დაქვემდებარებული დავების შეფარდება თითოეული წლის განმავლობაში განსახილველი დავების ოდენობასთან, არც თუ დამაკმაყოფილებელია. რაც შეეხება პროცესის შედეგიანობას, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებებს, რომ მედიაცია ახალი ინსტიტუტია, ამ მიმართულებით საკანონმდებლო ბაზა სრულყოფას საჭიროებს და ამასთანავე რეგულირების მიღმა დარჩენილი ინსტიტუტის ფუნდამენტური პრინციპები და ღირებულებები, ცალსახაა, რომ გადაცემულ საქმეთა 60% -ის წარმატებით დასრულება მისაღებ შედეგად უნდა შეფასდეს.

³²³სტატისტიკური მონაცემები წარმოდგენილია 2018 წლის 12 ნოემბრის მდგომარეობით.

³²⁴სტატისტიკური მონაცემების თანახმად, თბილისის საქალაქო სასამართლოში 2013 წელს შევიდა 19 388 საქმე. მათ შორის მხარეთა მორიგებით (სასამართლო მედიაციისათვის საქმის გადაცემის გარეშე) დასრულდა 12 11 საქმე; 2014 წელს შევიდა 23249 საქმე. მათ შორის მხარეთა მორიგებით (სასამართლო მედიაციისათვის საქმის გადაცემის გარეშე) დასრულდა 1374 საქმე; 2015 წელს შევიდა 28282 საქმე. მათ შორის მხარეთა მორიგებით (სასამართლო მედიაციისათვის საქმის გადაცემის გარეშე) დასრულდა 1439 საქმე; 2016 წელს შევიდა 40340 საქმე. მათ შორის მხარეთა მორიგებით (სასამართლო მედიაციისათვის საქმის გადაცემის გარეშე) დასრულდა 2450 საქმე; 2017 წელს შევიდა 37542 საქმე. მათ შორის მხარეთა მორიგებით (სასამართლო მედიაციისათვის საქმის გადაცემის გარეშე) დასრულდა 3266 საქმე;

4.4. მედიაციის განვითარების სამართლებრივი და პრაქტიკული ტენდენციები

მედიაციის სამეცნიერო კვლევა დღის წესრიგში აყენებს სამართლებრივი კულტურისა და მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლების აუცილებლობას, რისი მიღწევის მცდელობაც საქართველოში განხილული-საბაზისო ღონისძიებების განხორციელების გზით დაიწყო.

მედიაციის ინსტიტუციონალიზაციის პროცესის კვლევისას, გარდაუვალ აუცილებლობას წარმოადგენს საქართველოს მედიატორთა ასოციაციისა და მედიაციის ცენტრის საქმიანობის აღნიშვნა. საქართველოს მედიატორთა ასოციაციის შექმნის მთავარ საფუძველს საქართველოში მოღვაწე მედიატორებისა და ამ სფეროთი დაინტერესებული პირების გაერთიანება წარმოადგენს. აღნიშნული მიზნების მისაღწევად, ასოციაცია დაფუძნების დღიდან, თანამშრომლობს როგორც სახელმწიფო ორგანოებთან, ასევე საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან.³²⁵ ამავე ფასეულობების დამკვიდრებას ეხმიანება მედიაციის ცენტრის შემქმნელთა მიზანი.³²⁶

მედიაციის ინსტიტუციონალიზაციის პროცესში უმნიშვნელოვანესია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრის როლი, რომელიც დაფუძნებულია 2011 წლის 10 ოქტომბერს, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ მიღებული და წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებული გადაწყვეტილების საფუძველზე. ცენტრის მისიად განისაზღვრა: საქართველოში დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების დანერგვისა და განვითარების ხელშეწყობა, პრაქტიკული, კლინიკური და

³²⁵საქართველოს მედიატორთა ასოციაცია 2015 წელს დაფუძნდა და დღეის მდომარეობით ორასამდე მედიატორსა და მედიაციით დაინტერესებულ პირს აერთიანებს. იხ. <http://mediation.ge>

³²⁶იხ. kartlosinews.files.wordpress.com.

პროფესიული უნარების დახვეწა ქართველ სტუდენტებში და სხვა.³²⁷ აღნიშნული ცენტრის ორგანიზებითა და დარგის საუკეთესო სპეციალისტთა მონაწილეობით, დღემდე არაერთი ტრენინგი, საჯარო ლექცია და საქმიანი შეხვედრა ჩატარდა. მედიაციის სფეროს მეცნიერ-მკვლევრებისათვის უზრუნველყოფილია მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურა.³²⁸

მედიაციის ინსტიტუტის ეროვნულ სამართლებრივ სისტემაში დანერგვის პროცესში, მისი ფუნქციის გათვალისწინებით, აგრეთვე, უნდა გამოიყოს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის როლი და დანიშნულებაც, რამეთუ, ეს არის ერთადერთი, კანონის დონეზე შექმნილი³²⁹ და მოქმედი გაერთიანება, რომელიც დღეისათვის აერთიანებს ცხრა ათასამდე ადვოკატს. მაგალითად, ფინეთში, სწორედ, ადვოკატთა ასოციაცია წარმოადგენდა იმ მამოძრავებელ ძალას, რომელმაც უზრუნველყო სახელმწიფოს მასშტაბით მედიაციის ინსტიტუტის დანერგვა და განვითარება. ფინეთის ადვოკატთა ასოციაციამ, 1998 წელს, დანერგა მედიაციის წესები, განახორციელა მედიაციის დისკუსიების საჯარო განხილვა, მედიაციასთან დაკავშირებული აქტივობები ჩართო საკუთარი პროგრამების ფარგლებში.³³⁰ საქართველოში ადვოკატთა ასოციაციის მხრიდან, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალების-მედიაციის ინსტიტუტის მხარდაჭერა გამოვლინდა 2018 წლის 12 იანვარს, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების სახით, რომლის შესაბამისად, დაფუძნდა მედიაციის განვითარების კომიტეტი საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ბაზაზე.³³¹ ამასთან, ადვოკატთა ასოციაციამ, კერძოდ, მისმა მმართველმა

³²⁷ იხ. <http://ncadr.tsu.ge/>

³²⁸ მაგ. ინგლისურენოვანი ტრენინგი მედიაციასა და მოლაპარაკებებში, ტრენინგი კომერციულ მედიაციაში, ტრენინგი მედიაციაში პროფერსორ-მასწავლებლებისთვის; საჯარო ლექცია მედიაციაში აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში; საჯარო ლექცია მედიაციაში სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში და სხვა. იხ. <http://ncadr.tsu.ge/>

³²⁹ იხ: საქართველოს კანონი „ადვოკატთა შესახებ“, მუხლი 1.

³³⁰ Esplugues C., Marquis L., New developments in civil and commercial mediation, 2015, p. 276.

³³¹ იხ. gba.ge

ორგანომ, აღმასრულებელი საბჭოს სახით, 2017 წლის 10 იანვარს, მიიღო გადაწყვეტილება და ასოციაციის განგრძობადი იურიდიული განათლების პრიორიტეტად 2017-2018 წლებში, ადვოკატებისათვის მედიაციის სწავლება მიიჩნია, რაც იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებში მედიაციის სწავლების უპრეცედენტო ნაბიჯად შეიძლება მივიჩნიოთ.³³²

შიდასახელმწიფოებრივ ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების თვალსაზრისით, აღსანიშნავია, ევროკავშირის სასამართლო მხარდაჭერის პროექტის, გაეროსა და გაერთიანებული სამეფოს საელჩოს მხარდაჭერით ორგანიზებული კონფერენცია „თბილისის მედიაციის დღეები“.³³³ ღონისძიების მიზნად მიეთითა მედიაციის, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალების განვითარებისა და მისი, როგორც საქართველოს სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემის განუყოფელ ნაწილად ქცევის ხელშეწყობა.

აღსანიშნავია, USAID-ის მიერ, ჯერ კიდევ 2015 წელს განხორციელებული კვლევა,³³⁴ რომლის ფარგლებშიც აღინიშნა საქართველოს სასამართლოებში სრულყოფილი და თანმიმდევრული დავის გადაწყვეტის სისტემის შექმნის შესაძლებლობა და რაც ემსახურება სასამართლო სისტემაში დავის გადაწყვეტის საშუალებების ერთიანი ჯაჭვის ფორმირების პერსპექტივის წარმოჩენის მიზანს.

ნებისმიერ შემთხვევაში, მომავალშიც საქართველოს მასშტაბით მედიაციის ინსტიტუციონალიზაციის პროცესთან დაკავშირებული გამოწვევების დაძლევის თვალსაზრისით აუცილებელ წინაპირობად უნდა მიეთითოს არასამთავრობო ორგანიზაციების, ააიპ საქართველოს მედიატორთა ასოციაციის, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ჩართულობა. ამასთან, პრიორიტეტად უნდა განისაზღვროს მჭიდრო თანამშრომლობა საქართველოს

³³²იხ. gba.ge

³³³იხ. <https://eeas.europa.eu>

³³⁴Zalar A., report on mediation in Georgia, 2015, p. 34.

საერთო სასამართლოებთან. მათ შორის, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირთა (მაგ. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრის სპეციალისტების) მიერ პროგრამების ორგანიზება მოსამართლეთა/სასამართლოს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, რაც უზრუნველყოფს როგორც უშუალოდ მათ ინფორმირებას, აგრეთვე მომავალში სახელმწიფოს მასშტაბით ამოქმედებული მედიაციის პროგრამების გამართულ ფუნქციონირებას და ერთიანი, გამართული სისტემის ფორმირებას, რომლის ფარგლებშიც მათ შორის მოსამართლეებიც აღიჭურვებიან სასამართლო მედიაციის წარმოების უფლებამოსილებითა და უნარებით.

მისი მნიშვნელობის გათვალისწინებით, გამორჩეულად უნდა შეფასდეს მედიაციის შესახებ კანონპროექტის შემუშავების ფაქტი, რაც, შესაძლებელია განისაზღვროს, როგორც ეროვნული ინსტიტუტის დაახლოების მცდელობა დემოკრატიულ ღირებულებებზე ორიენტირებულ სტანდარტებთან.³³⁵ მედიაციის შესახებ კანონპროექტის შესაბამისად, გაითვალისწინება მედიაციისა, მედიატორისა და მედიაციის ინსტიტუტთან დაკავშირებული სხვა ცნებების განმარტების შესაძლებლობა; დადგინდა მედიაციის პრინციპები და მედიატორის არჩევა/დანიშვნის წესი; მისი შერჩევისას გასათვალისწინებელი გარემოებები; მედიატორის საქმიანობის ანაზღაურების წესი; დაიგეგმა სასამართლო და კერძო მედიაციის ფორმების დანერგვა, რა დროსაც ორივე ფორმის შედეგად წარმოებული მედიაციის საბოლოო შედეგი-სამედიაციო მორიგება დაექვემდებარება სასამართლოს ძალით აღსრულებას, რაც, შეესაბამება მედიაციის შესახებ ევროდირექტივის სტანდარტებს.

³³⁵კანონზე მომუშავე ჯგუფი შეიქმნა UNDP-ს საქართველოს ოფისის ტექნიკური მხარდაჭერით და დაკომპლექტდა დარგში მოღვაწე სპეციალისტებისგან, რომელთაც შეიმუშავეს კანონის პროექტი, რომელიც UNDP-საქართველოს ოფისის მიერ გადაეცა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შემდგომი რეაგირებისათვის.

გათვალისწინებულია საჯარო სამართლის იურიდიული პირის ფორმით საქართველოს მედიატორთა ასოციაციის დაფუძნების საკითხი, რომელიც განახორციელებს მედიატორთა თვითრეგულირებას; დადგინდა რიგი პროცესუალური საკითხებიც, რაც აგრეთვე, დადებით მოვლენად უნდა შეფასდეს.³³⁶ აღნიშნული კანონპროექტის შემუშავება უპირობოდ უმნიშვნელოვანესი ფაქტია, თუმცა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შემდეგ, რომელთა შესაბამისად, მედიაცია პირველად განმტკიცდა საკანონმდებლო დონეზე, ის წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის პირველ მცდელობას, მედიაციის ინსტიტუციონალიზაციის პროცესში გადადგმული აქტივობების თვალსაზრისით. შესაბამისად, მისი ამოქმედების შემთხვევაშიც, აუცილებელია ინსტიტუტთან დაკავშირებული ფუძემდებლური საკითხების სამართლებრივი მოწესრიგების უზრუნველყოფის მიმართულებით მუშაობის გაგრძელება. ხშირად კანონები ვერ აღწევს სასურველ შედეგს და მხოლოდ ცალკეული სამართლის ინსტიტუტის დამკვიდრების სურვილის დეკლარირებას ახდენს.³³⁷

4.5.სასამართლო მედიაციის საკანონმდებლო რეგულირებასთან დაკავშირებული გამოწვევები, სასამართლოს კოორდინაციის შესაძლებლობა სასამართლოს გარე მედიაციის პროვაიდერ პირებთან და მოსამართლის უფლებამოსილების ფარგლების სამართლებრივი ბუნების რეგულირება, როგორც არსებული ინსტიტუციონალური გამოწვევების დაძლევის წინაპირობა

სხვადასხვა სამართლებრივ კულტურათა მასშტაბით, მედიაციის ინსტიტუციონალიზაციის პროცესების კვლევის შედეგად ვლინდება, რომ

³³⁶ იხ. მედიაციის შესახებ კანონის პროექტი. ხელმისაწვდომია: parliament.ge.

³³⁷ კერესელიძე დ., ჯეპლაკის საქმიანობა იურიდიულ ცნებათა ერთიანი სისტემის ჩამოყალიბება, ქართული სამართლის მიმოხილვა, N 4. 2003, გვ. 444.

გამოიხატება მედიაციის რეგულირების ორი ძირითადი მოდელის არსებობა: სახელმწიფოები, რომელთა მასშტაბით მედიაციის პროცესი ვრცელ რეგულირებას (ე.წ. Extensive regulation) ექვემდებარება და ქვეყნები, სადაც, მედიაცია ვიწრო რეგულირების (ე.წ. Restrained regulation) საგანია. ვრცელი მოწესრიგების მაგალითებად მიიჩნევიან საფრანგეთს, იაპონიასა და ავსტრიას, ხოლო ვიწრო რეგულირების მაგალითია ნიდერლანდები.³³⁸ ავსტრიაში, სამოქალაქო საქმეების მედიაციის შესახებ მიღებულია ცალკე კანონი - „სამოქალაქო სამართლის მედიაციის აქტი“, ³³⁹ ცალკე რეგულირების სახით არის მიღებული „სამოქალაქო სამართლის მედიაციის მედიატორთა ტრეინინგ რეგულაციები“. ³⁴⁰ ისეთი საკითხიც კი, როგორცაა, საზღვართშორისი მედიაციის ³⁴¹ ასპექტები, ცალკე კანონით რეგულირდება, რასაც „ევროკავშირის მედიაციის აქტი“ ³⁴² უწოდეს. აღნიშნული, ავსტრიის სამართლებრივ სისტემას, მედიაციის მიმართულებით, წარმოაჩენს როგორც ერთ-ერთ მოწინავეს. რეგულირების ნებისმიერი მეთოდის გამოყენებისას, მიიჩნევა, რომ სასამართლო მედიაციის პროცესში სასამართლოს უფლებამოსილებების გადაწყვეტა განისაზღვრება კონკრეტულ სახელმწიფოში სასამართლო ხელისუფლების „მოწიფულობისა“ და განვითარების ხარისხით. ³⁴³

ნაშრომის ამ თავის ფარგლებში ყურადღება გამახვილდა იმ გამოწვევებზე, რომელიც ამ დროისათვის არსებობს სასამართლო მედიაციის ინსტიტუტთან მიმართებაში; საკითხებზე, რომელთა რეგულირების პერსპექტივის განხორციელება დამოკიდებულია სახელმწიფო პოლიტიკაზე;

³³⁸Klaus J., Steffek f., Mediation: Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, 2013, p. 614.

³³⁹Zivilrechts-Mediations-Gesetz.

³⁴⁰Zivilrechts-Mediations-Ausbildungsverordnung.

³⁴¹cross-border mediation.

³⁴²Bundesgesetz über bestimmte Aspekte der grenzüberschreitenden Mediation in Zivil und Handelssachen in der Europäischen Union (EU-Mediations-Gesetz-EU-MediatG), BGBl.I 2011/21.

³⁴³Klaus J., Steffek f., Mediation: Principles and Regulation in Comparative Perspective, , Oxford University Press, 2013, p. 614.

ხოლო, შესაბამისი ნების არსებობის შემთხვევაში, აუცილებლად მიიჩნევა საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება. ნაშრომის შესავალში დასახული მიზნებიდან გამომდინარე, უპირატესი მნიშვნელობა ენიჭება მოსამართლის როლსა და უფლებამოსილების ფარგლებს, რამეთუ, მითითებული საკითხის მართებული რეგულირება მჭიდროდ უკავშირდება თითოეული გამოწვევის დაძლევის შესაძლებლობებს. მსჯელობა, ერთის მხრივ, დაეფუძნა მოსამართლის როლის გააქტიურების პრინციპს სასამართლოსთან არსებული მედიაციის წარმოებისას (რამეთუ სასამართლო მედიაცია საქართველოში მიმდინარე პერიოდში მხოლოდ აღნიშნული ფორმით ვლინდება), ხოლო, მეორეს მხრივ, სასამართლო/სასამართლოსმიერი მედიაციის ინსტიტუტის დანერგვის კონცეფციას (რამეთუ სასამართლო მედიაციის მითითებული ფორმა საქართველოში მიმდინარე დრომდე არ არის დაფუძნებული). მითითებული საკითხების სამართლებრივი მოწესრიგება განაპირობებს, როგორც მედიაციის ინსტიტუციონალიზაციის პროცესში დახარჯული სახელმწიფო რესურსების შედეგიანობას, აგრეთვე, მოქალაქეთათვის დავის გადაწყვეტის სწრაფი, ეფექტიანი და მრავალფეროვანი მექანიზმების შეთავაზებას, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს მართლმსაჯულების ერთიანი, მოქნილი სისტემის ფორმირებასა და სასამართლო ხელისუფლების მიმართ ნდობის ხარისხის ამაღლებას. მიღებული რეკომენდაციები პასუხობს შეკითხვას: „რა არის საჭირო ხალხის კეთილდღეობისა და საჯარო ღირებულებების რეალიზებისთვის“.³⁴⁴ ხომ არ შეიძლება ასეთად მივიჩნიოთ სასამართლოს ჩამოყალიბება სივრცედ, რომელიც მოქალაქეებს შესთავაზებს დავის მშვიდობიანი გადაწყვეტის სხვადასხვა მექანიზმებს.

³⁴⁴ხუბუა გ., ყალიჩავა კ., ადმინისტრაციული მეცნიერების სახელმძღვანელო, თბილისი, 2018, გვ. 484.

4.5.1. სასამართლოსთან არსებულ მედიაციასთან დაკავშირებული საკითხების სამართლებრივი მოწესრიგების აუცილებლობა და მოსამართლის უფლებამოსილების ფარგლები აღნიშნულ პროცესში

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული რეგულაციის თანახმად, სასამართლო მედიაციის წამოწყება (რომელიც პრაქტიკაში მოიაზრებს სასამართლოსთან არსებული მედიაციის წარმოებას) შესაძლებელია ნებისმიერ დავაზე, მხარეთა თანხმობის შემთხვევაში, ხოლო მოსამართლის განჩინებით: ა) საოჯახო დავებზე, გარდა შვილად აყვანისა, შვილად აყვანის ბათილად ცნობისა, მშობლის უფლების შეზღუდვისა და მშობლის უფლების ჩამორთმევისა; ბ) სამემკვიდრეო სამართლებრივ დავებზე; გ) სამეზობლო სამართლებრივ დავებზე.³⁴⁵ შესაბამისად, შესაძლებელია ითქვას, რომ საქართველოში დაშვებულია შუალედური მიდგომა, რაც მოიცავს სავალდებულო მედიაციის ერთ-ერთი ფორმის, სასამართლოსთან არსებული მედიაციის გავრცელების შესაძლებლობას, მხოლოდ კანონმდებლობით გათვალისწინებულ კატეგორიის საქმეებზე. ამ თვალსაზრისით სასამართლო შებოჭილია: იმ შემთხვევაში, თუ დავის კატეგორია არ განეკუთვნება მითითებულს, მოსამართლეს არ გააჩნია უფლებამოსილება მხარეები დაავალდებულოს, მონაწილეობა მიიღონ სასამართლო მედიაციის პროცესში. ეს წესი მოქმედებს იმის მიუხედავად, თუ რამდენად გამართლებულად მიაჩნია მოსამართლეს სასამართლო მედიაციის პროცესის საშუალებით დავის გადაწყვეტა. აღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილი იქნება მოსამართლის უფლებამოსილების ფარგლების გაზრდა, რათა, მას გააჩნდეს შესაძლებლობა, მხარეებს დაავალდებულოს დავის სასამართლოსთან არსებული მედიაციის საშუალებით გადაწყვეტა, ამის შესახებ ორივე მხარის თანხმობის არარსებობის მიუხედავად. ამავდროულად, აუცილებელია კანონმდებლობით განისაზღვროს კონკრეტული, ობიექტური

³⁴⁵ იხ. Matsne.gov.ge ბოლოს გამოხმობილია: 25.11.2018

კრიტერიუმები, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც, მოსამართლეს მიენიჭება აღნიშნული შესაძლებლობა. მათ შორის, კრიტერიუმად უნდა დადგინდეს ერთ-ერთი მხარის თანხმობის არსებობა მაინც. აუცილებელია დაკონკრეტდეს, რომ მითითებული მიდგომა უნდა დაიშვებოდეს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში და თითოეულ საქმესთან მიმართებაში საკითხი უნდა გადაწყდეს ინდივიდუალურად, საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით. რეგულირება სრულად უნდა გამორიცხავდეს ამ შესაძლებლობის მხარეთა ინტერესების საზიანოდ, საქმის სასამართლო განხილვის გადადების მიზნით გამოყენებას, რაც უნდა აისახოს სასამართლოს მიერ დასაბუთების მაღალი სტანდარტით შემუშავებულ განჩინებაში. აღსანიშნავია, რომ იდენტური შინაარსის რეგულირებით ხასიათდება, მაგალითად, ნორვეგიის კანონმდებლობა, რომელიც მედიაციის დარგში მოწინავედ მიიჩნევა და სადაც, თუ სასამართლო დარწმუნდა, რომ დავა მედიაციის ფორმატში უნდა გადაწყდეს, მხარეების წინააღმდეგობის მიუხედავად, მოსამართლეს შეუძლია საქმე გადასცეს სასამართლო მედიაციას.³⁴⁶

➤ შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში უნდა განხორციელდეს საკანონმდებლო ცვლილება. 187³ მუხლის 1 ნაწილს უნდა დაემატოს „ე“ პუნქტი შემდეგი სახით: სასამართლოსთან არსებული მედიაცია ერთ-ერთი მხარის თანხმობის შემთხვევაში, საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით შესაძლებელია გავრცელდეს ნებისმიერ სხვა დავაზე - მოსამართლის მოტივირებული განჩინების საფუძველზე.

სასამართლოსთან არსებული მედიაციის პროცესში, მოსამართლის უფლებამოსილების ფარგლების დადგენისას, გასათვალისწინებელია შემდეგი

³⁴⁶ყანდაშვილი ი., საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2018, გვ. 49 .

საკითხიც: საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მოქმედი რეგულაციის შესაბამისად, 187⁵ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო მედიაციის ვადა შეადგენს ორმოცდახუთ დღეს. ამ ვადის განმავლობაში მედიატორმა მხარეებთან უნდა გამართოს არანაკლებ, ორი შეხვედრისა. მხარეთა შეთანხმებით, აღნიშნული ვადა შეიძლება გაგრძელდეს დამატებით ორმოცდახუთი დღით. ამ თვალსაზრისით, რეგულირების არსებობის ფაქტი ცალსახად გამართლებულია - რეგლამენტაცია არაკეთილსინდისიერ მხარეს არ მისცემს სასამართლო მედიაციის პროცესის სამართლიანი სასამართლო განხილვის თავიდან აცილების მიზნით გამოყენების შესაძლებლობას. თუმცა, პრაქტიკაში შესაძლებელია არსებობდეს შემთხვევები, როდესაც მხარეებს სურთ მორიგება, სახეზე იყოს პროცესის შედეგიანად დასრულების ყველა ობიექტური საფუძველი, თუმცა კონკრეტული გარემოების დადგომამდე/კონკრეტულ ვადამდე, მათ არ ჰქონდეთ შესაძლებლობა, მორიგდნენ, რაც ცხადყოფს, არსებული რეგულირების ხარვეზს. ამ შემთხვევაში, უნდა დადგინდეს, რა უფრო მნიშვნელოვანია: ის, რომ ორმოცდახუთ დღეში გაირკვეს მხარეები მორიგდნენ თუ არა, თუ, ორმოცდამეათე დღეს მხარეებმა მიაღწიონ შეთანხმებას. შესაბამისად, მოსამართლის თანხმობის შემთხვევაში, რომელიც ობიექტურად შეაფასებს ამის აუცილებლობას, მხარეებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა საკუთარი ინიციატივით გააგრძელონ სასამართლოსთან არსებული მედიაციის ფარგლებში შეთანხმების მისაღწევად განსაზღვრული ვადა. მხარეებისათვის ასეთი უფლების მინიჭებით, მათი ნების ავტონომია გარკვეულ მნიშვნელობას იძენს სავალდებულო მედიაციის დროსაც.³⁴⁷

განსახილველ საკითხთან მიმართებით გადაწყვეტა შემდეგი სახით ჩამოყალიბდება: მოსამართლის უფლებამოსილების ფარგლები უნდა

³⁴⁷ცერცვაძე გ., მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი თბილისი, 2013, გვ. 64.

ითვალისწინებდეს შესაძლებლობას, ყოველი კონკრეტული საქმის ობიექტური მახასიათებლებიდან გამომდინარე, განისაზღვროს სასამართლო მედიაციის ვადები. ამ შემთხვევაში, აუცილებლად მიიჩნევა შესაბამისი ცვლილებების საკანონმდებლო დონეზე ასახვა. თუმცა, ბუნებრივია, დაუშვებლად მიიჩნევა სასამართლო მედიაციის განუსაზღვრელი ან/და არაგონივრულად ხანგრძლივი ვადით გაგრძელება - სასამართლოს ამგვარი უფლებამოსილება უნდა იყოს პირობადადებული. მოიაზრებდეს მხოლოდ შესაძლებლობას, მოსამართლემ სასამართლოსთან არსებული მედიაციის პროცესის ვადები განსაზღვროს ინდივიდუალური მიდგომის საფუძველზე, ყოველი კონკრეტული საქმის ფაქტობრივ, ობიექტურ გარემოებებზე დაყრდნობით; კანონმდებლობით ასევე უნდა დაზუსტდეს, რომ დაუშვებლად მიიჩნევა სასამართლოს მხრიდან მინიჭებული უფლებამოსილებით სარგებლობა მხარეთა თანხმობის არარსებობის პირობებში.³⁴⁸

ნაშრომის ამ ქვეთავში განხილული და მითითებული საკითხების რეგლამენტაციის დასაბუთებულობას ადასტურებს სამართლის დოქტრინაში დამკვიდრებული მიდგომაც, რომელთა შესაბამისად, სამართლებრივი მოწესრიგების სფეროში უნდა შედიოდეს ურთიერთობები, რომლებიც საზოგადოების წევრების ინდივიდუალური და ზოგადსოციალური ინტერესებით არიან განსაზღვრული.³⁴⁹ მოსამართლის უფლებამოსილებების რეკომენდირებული მიმართულებით ზრდის შედეგები, მართლაც, საზოგადოების წევრების ინდივიდუალურ და ზოგადსოციალურ მოთხოვნებს დააკმაყოფილებს.

➤ ამის გათვალისწინებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსში უნდა განხორციელდეს საკანონმდებლო ცვლილება და მუხლი 187⁵ რომელიც

³⁴⁸გურიელი ა., მოსამართლის უფლებამოსილების ფარგლები სასამართლო მედიაციის ინსტიტუტის გამოყენებასთან მიმართებაში, ჟურნალი სამართალი და მსოფლიო, 2017, გვ. 115.

³⁴⁹ლობჟანიძე გ., სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია, თბილისი, 2017, გვ. 291.

სასამართლო მედიაციის ვადას განსაზღვრავს, ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

1. სასამართლო მედიაციის ვადა შეადგენს 45 დღეს, მაგრამ არანაკლებ 2 შეხვედრისა.
2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ვადა მხარეთა შეთანხმებით და მოსამართლის თანხმობით შეიძლება გაგრძელდეს შეთანხმებული ვადით.

4.5.2. სასამართლო/სასამართლოსმიერი მედიაციის დანერგვის პერსპექტივა საქართველოში

დღევანდელ საქართველოში არსებული რეგულირების შესაბამისად მედიატორისათვის, საქმის გადაცემის შესახებ განჩინება არ საჩივრდება.³⁵⁰ აღნიშნული უნდა შეფასდეს მართებულ პოზიციად და შინაარსობრივი თვალსაზრისით, იგივე მიდგომა უნდა შენარჩუნდეს საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების შემთხვევაშიც. თუმცა, მითითებული რეგულაციის არსებობის პარალელურად აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ სასამართლო მედიაციის დამკვიდრება და წარმატებული ფუნქციონირება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მედიატორის პიროვნებაზე.

საკვალიფიკაციო კვლევის ფარგლებში ერთმნიშვნელოვნად განისაზღვრა მედიაციის პროცესში მედიატორისადმი წარდგენილი მოთხოვნები. ამასთან დადგინდა, რომ მითითებული კრიტერიუმების დაუკმაყოფილებლობასთან დაკავშირებული საფრთხეები მცირდება იმ პირობებში, როდესაც ეროვნული კანონმდებლობა ითვალისწინებს სასამართლო/სასამართლოსმიერი მედიაციის წარმოების შესაძლებლობას, დანერგილია მოსამართლე-მედიატორის ინსტიტუტი. აღნიშნული მკაფიოდ

³⁵⁰ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 187¹ (2).

წარმოჩინდა იმ სახელმწიფოთა მასშტაბით, სადაც დანერგილია შესაბამისი კონცეფცია; სწორედ, მიდგომის ეფექტიანობა გახდა რიგ სახელმწიფოთა მასშტაბით სასამართლო მედიაციის შესაბამისი ფორმის აღმოცენებისა და დანერგვის წინაპირობა.

ამასთან, როდესაც განიხილება ის, თუ ვინ შეიძლება იყოს მედიატორი, უნდა მიეთითოს ზემოთ განხილული - გერმანიის, კანადისა და სხვა სახელმწიფოთა პრაქტიკა, სადაც, აღნიშნული საკითხების რეგულირება კომპლექსურობით ხასიათდება და მოქალაქეებს აქვთ წვდომა საქმისწარმოებისა და მედიატორის ტიპის რიგ ალტერნატივებზე. მათ შორის, დამკვიდრებულია მოსამართლის მიერ სასამართლო მედიაციის წარმოების სამართლებრივი კულტურა, რაც სრულყოფს მართლმსაჯულების განმახორციელებელი სისტემის ერთიან ჯაჭვს.

შედარებითსამართლებრივი თვალსაზრისით, ერთ-ერთ სახელმწიფოდ, სადაც საკითხი აგრეთვე კომპლექსური რეგულირებით ხასიათდება, უნდა გამოიყოს კორეის რესპუბლიკა. აქ სასამართლო მედიაციის პროცესის წარმოების ოთხი ტიპი არსებობს: პირველ შემთხვევაში, საქმეს აწარმოებს ე.წ. მოსამართლე-მედიატორი, რომელიც სპეციალიზირებულია კონკრეტულად მედიაციის პროცესში. მეორე ალტერნატივის შესაბამისად, მოსამართლე საქმეს განსახილველად, საჭიროებისამებრ, გადასცემს სასამართლო სისტემაში მუდმივად დასაქმებულ პირს - სასამართლო მედიატორს. აღსანიშნავია, რომ სასამართლო მედიატორების სისტემა აღნიშნულ სახელმწიფოში დაინერგა 2009 წელს, დავების მეტად სწრაფად და ეფექტიანად გადაწყვეტის მიზნით. ამასთან, აღნიშნული პირის კვალიფიკაცია უნდა იყოს სტანდარტთან შესაბამისი. მისთვის უფლებამოსილების მინიჭება ხორციელდება ე.წ. სასამართლოთა ადმინისტრაციის მიერ, ორი წლის ვადით. მუდმივი სასამართლო მედიატორი, ამავდროულად, არ შეიძლება წარმოადგენდეს პრაქტიკოს იურისტს. მესამე ალტერნატივის შესაბამისად,

მედიატორ მოსამართლეს ეძლევა უფლებამოსილება, მხარეთა სურვილის შემთხვევაში, საქმე განსახილველად გადასცეს მედიატორთა შემადგენლობას. მეტიც, იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულს მხარე მოითხოვს, საქმის კოლეგიალური განხილვა სავალდებულო ხასიათს ატარებს. შემადგენლობა, როგორც წესი, შედგება უფროსი მედიატორისაგან და ორი თანამედიატორისაგან. რაც შეეხება სასამართლო მედიაციის მეოთხე ალტერნატივას, აღნიშნულ შემთხვევაში, პირველი ინსტანციის მოსამართლეს ექმნება შესაძლებლობა თავად უზრუნველყოს მედიაციის ჩატარება. მითითებულ შემთხვევაში, მას ენიჭება მედიატორი მოსამართლის იდენტური უფლებამოსილება.³⁵¹

ნიშანდობლივია, რომ როგორც ამას ავსტრალიის სამართლის ასოციაციაც აღნიშნავს, (Australian law reform commisiion) სამართლებრივ სახელმწიფოში, სასამართლო სისტემა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს დემოკრატიული წყობილების ფორმირების პროცესს.³⁵² შესაბამისად, მოსამართლის უფლებამოსილების ფარგლების მართებული განსაზღვრა მედიაციის პროცესში, ერთ-ერთ პრიორიტეტად მიიჩნევა. ამ სახელმწიფოში მოსამართლის როლმა არსებითი ცვლილება განიცადა ბოლო წლების განმავლობაში. როგორც თეორეტიკოსები და მოსამართლეები აღნიშნავენ, თანამედროვე მოსამართლე არ უნდა იყოს მეოცე საუკუნის მოსამართლის იდენტური. კერძოდ: გარდა წმინდა სამართლებრივი საკითხებისა, უნდა იყოს გაცნობიერებული მენეჯერულ მართვაში, ინტერესდებოდეს პროცესის შედეგებით და გარკვეულ დონეზე მაინც იყოს ჩახედული ე.წ. „თერაპიულ იურისპუდენციაში“. ამავდროულად, აუცილებლად მიიჩნევა, თანამედროვე მოსამართლე იყოს სპეციალიზებული დავის ალტერნატიული გადაწყვეტის

³⁵¹Park N., Court-Annexed Mediation in Korea, Asia Pacific Law Review, 2009, p. 155.

³⁵²Richler J., Court-based mediation in Canada, Judges' Journal , Issue 3, 2011, p. 14.

მეთოდებში.³⁵³ ამის გათვალისწინებით, ავსტრალიაში, ისევე როგორც კანადასა და ბევრ ევროპულ სახელმწიფოში, განხორციელდა ფუნდამენტური ცვლილებები მოსამართლის როლთან დაკავშირებით და მოსამართლეთა ნაწილმა მოახდინა დავის ალტერნატიული გადაწყვეტის მეთოდების ინტეგრირება მოსამართლის ფუნქციებთან.³⁵⁴ რამეთუ, ძალზედ მნიშვნელოვანია მედიაციის შესაძლებლობის ეფექტური მექანიზმი შემუშავებული იყოს უშუალოდ სასამართლო საქმისწარმოების პროცესში, როდესაც მხარეებს შეეთავაზებათ დავის ალტერნატიული საშუალებით, დავის მცირე დროში და ფინანსურად კიდევ უფრო მომგებიანი მექანიზმით გადაწყვეტის შესაძლებლობა.³⁵⁵

გასათვალისწინებელია ფინეთის გამოცდილებაც - აღნიშნულმა სახელმწიფომ, 2011 წელს, მიიღო კანონი „სასამართლო მედიაციისა და სამედიაციო შეთანხმების სასამართლოში დამტკიცების შესახებ“, რითაც, აღასრულა ევროპული დირექტივის მოთხოვნები, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ფინეთში ჯერ კიდევ 2006 წლიდან მოქმედებს სასამართლოსმიერი მედიაცია, რომლის მაგალითზე მოქმედი მოსამართლეები გამოდიან მედიატორის როლში და მოდავე მხარეებს შორის მიმდინარე კონფლიქტის მშვიდობიანად დასრულებას უწყობენ ხელს.³⁵⁶ სასამართლო მედიაცია ფინეთის მაგალითზე შესაძლებელია, როგორც მხარეთა ინიციატივით სარჩელის აღძვრით, სასამართლოსთვის მიმართვის გზით, ასევე, უშუალოდ მიმდინარე სასამართლო დავის მსვლელობისას, როდესაც მხარეთა თანხმობის საფუძველზე სასამართლო დავას გადასცემს მედიატორ მოსამართლეს. უფრო მეტიც, მხარეებს აქვთ სრული შესაძლებლობა მედიაციის ინიცირების

³⁵³Sourdin T., Five Reasons Why Judges Should Conduct Settlement Conferences Monash University Law Review, Issue 1, 2011, p. 145.

³⁵⁴იქვე, გვ. 149.

³⁵⁵Cortes P., The New Regulatory Framework for Consumer Dispute Resolution, Oxford University Press, Oxford, 2016, p. 59.

³⁵⁶Taivalkoski P., Finland in Palo G.D., Trevor M.B., EU Mediation-Law and Practice, Oxford University Press, Oxford, 2012, p. 97.

სტადიაზე თავად შეარჩიონ ის მოსამართლე, რომელიც სურთ მხარეებს მედიატორის რანგში იხილონ საკუთარი კონფლიქტის შეთანხმებით დასრულების მიზნებისათვის.³⁵⁷ ამასთანავე, ფინეთში მოქმედებს სასამართლოსთან არსებული მედიაცია. სასამართლო საქმისწარმოების ეტაპზე, მხარეებს შეუძლიათ მოითხოვონ დავის შეჩერება და საქმის მედიაციაში გადამისამართება, რა დროსაც მხარეები თუ სასამართლოსმიერი მედიაციის ფორმას არ აირჩევენ, მოსამართლეს შეუძლია საქმე გადასცეს სასამართლოსთან არსებულ სამედიაციო ცენტრს, ან მხარეთა შერჩევით დამოუკიდებელ მედიატორს.³⁵⁸ ამასთანავე, ფინეთის მასშტაბით, კერძო მედიაციაში მიღწეული შეთანხმებების აღსრულების საკითხი დაკავშირებულია მიღწეული შეთანხმებების სასამართლოს მიერ დამტკიცების პროცედურასთან.³⁵⁹

აღსანიშნავია, რომ 2013 წელს გატარებული ცვლილებების შედეგად, სასამართლო/სასამართლოსმიერი მედიაცია, როგორც მედიაციის ფორმა, საბერძნეთშიც დაინერგა და მოსამართლეებს მიენიჭათ უფლებამოსილება, შეითავსონ მედიატორის ფუნქცია და უფლებამოსილებები.³⁶⁰ ამასთან, საბერძნეთში გაკოტრების საქმისწარმოების დავები, კოლექტიური შრომითი და სამომხმარებლო დავები ექვემდებარება სავალდებულო მედიაციის გზით გადაწყვეტას.³⁶¹

ნორვეგიაშიც, მედიატორის ფუნქცია, შესაძლებელია, შეითავსოს მოსამართლე-მედიატორმა, ხოლო მის მიერ წარმოებული მედიაციის პროცესები შესაძლებელია ჩატარდეს სასამართლოს შენობის გარეთ. მხარეთა მოთხოვნის საფუძველზე, მოსამართლე-მედიატორს შესაძლებელია დაენიშნოს

³⁵⁷იქვე, გვ. 99.

³⁵⁸იქვე, გვ. 111.

³⁵⁹იქვე, გვ. 98.

³⁶⁰Esplugues C., Marquis L., *New Developments in Civil and Commercial Mediaion*, Springer International Publishing, London, 2015, p. 318.

³⁶¹Anthimos A., *Greece in* Palo G.D., Trevor M.B., *EU Mediation-Law and Practice*, Oxford University Press, Oxford, 2012, p. 150.

ასისტენტი. მედიატორი, რომელიც არ სარგებლობს მოსამართლე-მედიატორის სტატუსით, ინიშნება სასამართლოს მიერ განსაზღვრული ანაზღაურებით.³⁶² ამასთან, აღსანიშნავია, რომ ნორვეგიაში მოქმედებს მედიაციის ექვსი ფორმა, რომელთაგან სამი სწორედ სასამართლო/სასამართლოსმიერი მედიაციის გამოვლინების ფორმებს ითვალისწინებს.³⁶³

შვედეთის სამართლებრივ სისტემაშიც გამორჩეული წარმატებით სარგებლობს სასამართლო/სასამართლოსმიერი მედიაციის პროცედურები, რაც, ერთის მხრივ, მისმა წარმატებულმა შედეგებმა, ხოლო მეორეს მხრივ იმან განსაზღვრა, რომ აღნიშნული პროცედურები მხარეთათვის უფასოა და არ იწვევს დამატებითი ხარჯების გაღების აუცილებლობას. აღნიშნული მიდგომის განხორციელებამ შვედეთის სასამართლო სისტემა მართლმსაჯულების განმახორციელებელი ორგანოდან გარდაქმნა უწყებად, სადაც კონფლიქტები მშვიდობიანი გზით შეიძლება გადაწყდეს.³⁶⁴

ნაშრომის ფარგლებში განვითარებული შედარებით სამართლებრივი ანალიზი იძლევა შემდეგი რეკომენდაციების შემუშავების შესაძლებლობას:

სასამართლოსთან არსებულ მედიაციის პროცესში მოსამართლის უფლებამოსილებების ზრდის პარალელურად, მიზანშეწონილად მიიჩნევა საქართველოში სასამართლო/სასამართლოსმიერი მედიაციის დანერგვა, რაც ითვალისწინებს შესაბამისი სპეციალიზაციის მქონე პირთა, მოსამართლე-მედიატორთა ინსტიტუტის შემოღებას და მხარეთა არჩევანის შემთხვევაში, მათ მიერ სასამართლო მედიაციის ჩატარების შესაძლებლობას.

ე.ი. მხარეთა თანხმობისა და შესაბამისი სტატუსის/კვალიფიკაციის დაკმაყოფილების შემთხვევაში, რაც უნდა მოიაზრებდეს მოქმედი

³⁶²Skoghoy T., Mediation in Norway – An outline, 2018, p. 1-3. ხელმისაწვდომია: <https://svw.no>.

³⁶³Nylund A., The future of civil litigation: Access to courts and court-annexed mediation in the Nordic countries, 2014, p. 97-119.

³⁶⁴Dahlqvist A., Mediation in the Swedish Courts: Change by EU Directive? 2014, pp. 137-155.

მოსამართლის მიერ მედიატორებისადმი წარდგენილი მოთხოვნების უპირობო დაკმაყოფილებას, საქმის განხილველ ან სხვა ნებისმიერ, მოსამართლე-მედიატორის სტატუსის მქონე მოსამართლეს უნდა მიენიჭოს სასამართლო მედიაციის წარმართვის შესაძლებლობა. თუმცა, თუკი მის მიერ ნაწარმოები მედიაცია შეთანხმებით არ დასრულდება, იმავე მოსამართლეს, საერთაშორისო სამართლებრივ სივრცეებში დამკვიდრებული უნიფიცირებული მიდგომების შესაბამისად, არ უნდა გააჩნდეს იმავე საქმის განხილვისა და გადაწყვეტის შესაძლებლობა. მითითებული ცვლილების საკანონმდებლო დონეზე ასახვის შემთხვევაში, მოსამართლის მიერ სასამართლო მედიაციის წარმოება, საქმის სტანდარტული სასამართლო წესით განხილვის შემთხვევაში, უნდა გახდეს მისი აცილების საფუძველი. აღნიშნული მიდგომის დამაფუძნებელი ნორმები, მისი მიღების შემთხვევაში, უნდა აისახოს საქართველოს კანონპროექტში მედიაციის შესახებ. ამასთან:

- ცვლილება უნდა შევიდეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: მოსამართლემ არ შეიძლება განიხილოს საქმე ან მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში, თუ ის ამ საქმეში მონაწილეობდა მედიატორად ან/და მოსამართლე/მედიატორად.

ზემოაღნიშნული მიდგომის განხორციელებამ, რაც გამოიხატება სასამართლოსმიერი მედიაციის/მოსამართლე-მედიატორის ინსტიტუტის აღმოცენებასა და დამკვირებაში, სასამართლო მედიაციის პროცესში შესაძლებელია შექმნას მხარეთა ინფორმირებულობის მაღალი ხარისხი, რაც თავის მხრივ მოიცავს მედიაციის პროცესის ფარგლებში სამართლიანობის მიზნის მიღწევის მეტ ალბათობას.³⁶⁵ მეტიც, აღნიშნული უზრუნველყოფს საზოგადოების ცნობიერების ტრანსფორმაციას და იმ უპირობო ჭეშმარიტების

³⁶⁵Nolan-Haley J., Alternative dispute resolution in a nutshell, printed in the united states of America, 2001, p. 111.

გაზიარებას, რომ ADR არის არა ალტერნატივა მართლმსაჯულების, არამედ, ალტერნატიული მართლმსაჯულება.³⁶⁶ მითითებული რეგულაციის არსებობა, მისი შესაძლო თანმდევი შედეგების გათვალისწინებით შესაძლებელია განიხილებოდეს როგორც ღირებული სამართლებრივი მექანიზმი, რამეთუ, როგორც ამას სამართლებრივი რეალიზმის მიმდევრები ემხრობიან (მაქს ვებერი, ფილიპ ჰეკი) სამართლის ღირებულებას განსაზღვრავს არა კანონის აბსტრაქტური შინაარსი, არამედ სამართლის რეალური მოქმედება.³⁶⁷ წარმოდგენილი რეკომენდაცია, აგრეთვე, სრული სიზუსტით ეხმიანება მკვლევართა მოსაზრებას მასზედ, რომ სახელმწიფო აპარატი ორიენტირებული უნდა იყოს მოქალაქისათვის მაღალი დონის მომსახურების გაწევაზე. ეს მოითხოვს არამარტო სათანადო სერვისების დანერგვას, არამედ, მომხმარებლის ინტერესებზე ორიენტირებული საქმისმწარმოებელი თანამშრომლების შერჩევასაც.³⁶⁸ ხელისუფლების თითოეულ შტოს უნდა გააჩნდეს საკმარისი უფლებამოსილება, რომ განახორციელოს მასზე დაკისრებული ფუნქციები. გარდა ამისა, ხელისუფლებათა დანაწილებამ, მაქსიმალურად უნდა უზრუნველყოს ეფექტური მართვა.³⁶⁹ სასამართლო ხელისუფლების მითითებული უფლებამოსილებით აღჭურვა ერთმნიშვნელოვნად უზრუნველყოფს მოსამართლეთა ეფექტური აქტიურობის შესაძლებლობას, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს სასამართლო სისტემის მიმართ ნდობის ზრდის ხელშეწყობას, მით უფრო, მართლმსაჯულების განმახორციელებელ ორგანოთა იმ გამოწვევების ფონზე, რაც საქართველოში მიმდინარე პერიოდში არსებობს. სახელმწიფო ხომ თავის საკანონმდებლო პოლიტიკას ახორციელებს საზოგადოების მოთხოვნების

³⁶⁶Brown H., Marriott A., *Adr Principles and Pracice*, third edition, Sweet & Maxwell, Thomson Reuters, 2011, p. 1.

³⁶⁷ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბილისი, 2004, გვ. 182.

³⁶⁸ხუბუა გ., ზომერმანი კ., საჯარო მმართველობის სამართლებრივი საფუძვლები, თბილისი, 2016, გვ. 75

³⁶⁹ხუბუა გ., ყალიჩავა კ., ადმინისტრაციული მეცნიერების სახელმძღვანელო, თბილისი, 2018, გვ. 141.

შესწავლისა და საზოგადოებრივი განვითარების ტენდენციის შემეცნების საფუძველზე. კანონის შექმნის ან სხვა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტის ძირითადი იმპულსია მნიშვნელოვანი პრობლემის გადაჭრა, მწვავე სოციალური მდგომარეობა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოების უმეტესი ნაწილისა და მთლიანად სახელმწიფოსათვის. კანონმდებლის ტექნიკა იმაში გამოიხატება, რომ საზოგადოებამ დროულად და ზუსტად, ადეკვატური სამართლებრივი საშუალებებით მოახდინოს რეაგირება საზოგადოებრივ ურთიერთობაზე.³⁷⁰

ამასთან, სასამართლო მედიაციის ფორმის - სასამართლო / სასამართლოსმიერი მედიაციის ინსტიტუციონალიზაციის შემთხვევაშიც, ისევე როგორც სასამართლოსთან არსებული მედიაციის წარმოებისას, მიზანშეწონილად მიიჩნევა, რომ მოსამართლის/მოსამართლე-მედიატორის უფლებამოსილების ფარგლები ითვალისწინებდეს შესაძლებლობას, ყოველი კონკრეტული საქმის ობიექტური მახასიათებლებიდან გამომდინარე, განისაზღვროს სასამართლო მედიაციის ვადები. ამ შემთხვევაშიც, სასამართლოს ამგვარი უფლებამოსილება უნდა იყოს პირობადადებული. მოიაზრებდეს მხოლოდ შესაძლებლობას, მოსამართლემ სასამართლოსმიერი მედიაციის ვადები განსაზღვროს ინდივიდუალური მიდგომის საფუძველზე, ყოველი კონკრეტული საქმის ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით; სწორედ მითითებული მიდგომის საფუძველზე, დადგინდა ზემოთ, რომ შესაბამისი შინაარსის ცვლილება უნდა გავრცელდეს „სასამართლო მედიაციასთან მიმართებაში“ (რაც თავის მხრივ მოიცავს როგორც სასამართლოსთან არსებული, აგრეთვე სასამართლო/სასამართლოსმიერი მედიაციის ფორმებს).

³⁷⁰ლობჟანიძე გ., სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია, თბილისი, 2017, გვ. 331.

4.5.3. პროცესის მონაწილეთა ეთიკური ბოჭვის საკითხის განსაზღვრის მნიშვნელობა სასამართლო მედიაციის პროცესში და მოსამართლე, როგორც ეთიკური სტანდარტების მოთხოვნათა ადრესატი

კვლევის ფარგლებში მკაფიოდ განისაზღვრა, რომ საერთაშორისო სამართლებრივ სივრცეში აღიარებულ აქტთა უმრავლესობა გამოყოფს ეთიკურ ფასეულობებს, რომლებიც შეეხება მედიატორის კომპეტენციას, ნეიტრალურობას, თვითგამოხატვას, ხარისხს, კონფიდენციალურობას, მომსახურების რეკლამირებასა და ანაზღაურებას.³⁷¹ ამას გარდა, სხვა ინსტიტუტების მსგავსად, მედიაციის პროცესშიც ფუძემდებლურად შეფასდა სამართლიანობის უნივერსალური პრინციპი. აღნიშნული პრინციპების საკანონმდებლო დონეზე განმტკიცება ფასდება როგორც აუცილებლობა, რამაც, უნდა უზრუნველყოს მედიაციის წარმატებული ფუნქციონირება დავის გადაწყვეტის საშუალებათა ერთიან სისტემაში და რასაც, გარკვეულწილად, ითვალისწინებს საქართველოს კანონის პროექტი მედიაციის შესახებ.

განსახილველ საკითხთან მიმართებით აღსანიშნავია, რომ მაგალითად, აშშ-ში 1991 წელს დავების გადაწყვეტის ცენტრის, სასამართლოს ადმინისტრირების ინსტიტუტისა და 18-წევრიანი მრჩეველთა საბჭოს თანამშრომლობის ფარგლებში სავალდებულო მედიაციის განმახორციელებელი სასამართლოს ეთიკური ვალდებულების განმტკიცების მიზნით, მიღებულ იქნა აშშ-ს ეროვნული სტანდარტები სასამართლო მედიაციის პროგრამებისათვის. კერძოდ, მითითებული აქტი³⁷² შედგება 16 მუხლისაგან და აწესრიგებს შემდეგ საკითხებს: მოქალაქეთა წვდომის

³⁷¹ცერცვაძე გ., მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი თბილისი, 2013, გვ. 145.

³⁷²National Standards for Court-Connected Mediation Programs, Center for Dispute Settlement and Institute of Judicial Administration, 1992. მითითებულია: ჩიტაშვილი ნ., მედიაციის ეთიკის რეგულირების ფარგლები და ეთიკის სტანდარტით ბოჭვის ადრესატები, სამართლის ჟურნალი, თსუ იურიდიული ფაკულტეტი, გამოცემა 1, 2016, გვ. 41.

შესაძლებლობა მედიაციასთან; სასამართლოთა პასუხისმგებლობა მედიაციის ხარისხთან დაკავშირებით; სასამართლოს ვალდებულება უზრუნველყოს მოსამართლეები, სასამართლო პერსონალი და მოქალაქეები მედიაციასთან დაკავშირებული საკითხების თაობაზე; სასამართლოს მიერ მედიაციისათვის გადასაცემი საქმეების შერჩევის პრინციპი; სავალდებულო ჩართულობა მედიაციის პროცესში; მედიატორთა კვალიფიკაციასთან დაკავშირებული საკითხები; მედიატორთა შერჩევა; მედიატორთა ეთიკური სტანდარტები; ადვოკატთა როლი მედიაციის პროცესში; კომუნიკაცია მედიატორსა და სასამართლოს შორის; სასამართლო მედიაციის პროგრამების დაფინანსებისა და მედიატორთა ანაზღაურების საკითხი; მედიაციის პროცესში მიღებული შეთანხმების აღსრულება; მედიატორის პასუხისმგებლობა; შეფასება;

რა თქმა უნდა, მედიაციის ყველაზე ძლიერი სპეციალისტებიც კი თანხმდებიან იმაზე, რომ მედიაციის ინსტიტუტი ვერ გადაწყვეტს საზოგადოებაში არსებულ ყველა პრობლემას; მეტიც, ზოგიერთ შემთხვევაში მხარეთა მიერ გამოირიცხება შეთანხმების ნებისმიერი ფორმით მიღწევა, იქნება ეს მედიაციის პროცესში მიღებული კონსენსუსი თუ სხვა.³⁷³ თუმცა, თითოეული ინსტიტუტის საკანონმდებლო დონეზე განმტკიცება, რაც 2011 წელს სასამართლო მედიაციასთან მიმართებაში საქართველოში განხორციელდა, ქმნის მისი რეგულირების, ანალიზის, კვლევისა და საერთაშორისო განვითარების ტენდენციებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის აუცილებლობას. შესაბამისად, მედიაციის შესახებ კანონის ამოქმედების პარალელურად, საქართველოში მიზანშეწონილად მიიჩნევა სამართლებრივი აქტის - მედიაციის ეთიკის კოდექსის მიღება, რომელიც სისტემურად განსაზღვრავს პროცესის თითოეული მონაწილის - მათ შორის, მოსამართლეთა ქცევის სტანდარტებს, ეთიკურ ფასეულობებსა და აღნიშნული ეთიკური პრინციპების ფარგლებს.

³⁷³Rosenberg J. D., In defence of mediation, Arizona Law Review , Issue 3, 1991, p. 467.

საკანონმდებლო ტექნიკის დასახვეწად, საქართველომ სასურველია გაიზიაროს მედიაციის რეგულირების თვალსაზრისით მოწინავე სამართლებრივი კულტურის სახელმწიფოთა გამოცდილება და გამოყენებული იქნას რეგულირების ზემოაღნიშნული-ვრცელი მოდელი, რაც მოიაზრებს მედიაციის ეთიკის კოდექსის ცალკეული აქტის სახით მიღებას, რომელიც სრულად ამოწურავს ინსტიტუტის ფუნქციონირების პრინციპებს, მათი მოქმედების ფარგლებს და ადრესატებზე გავრცელების სპეციფიკას, რომელთა შორის იქნება მოსამართლე.

4.5.4. მედიაციის პროგრამების იმპლემენტაციის აუცილებლობა სასამართლო სისტემაში და სასამართლო მედიაციის განმახორციელებელ სუბიექტთა კოორდინაციის შესაძლებლობა სასამართლოს გარე მედიაციის პროვაიდერ პირებთან

საკითხის კომპლექსური ანალიზი ცხადყოფს, რომ მედიაციას გააჩნია ხანგრძლივი ისტორია. ხორციელდება სხვადასხვა საშუალებებისა თუ ბერკეტების გამოყენებით და მასში ჩართულნი არიან სხვადასხვა ინსტიტუციები.³⁷⁴ მათ შორის უდავოა ის, რომ დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები კავშირშია სასამართლოსთან.³⁷⁵

ამასთან, როგორც ნაშრომის ფარგლებში აღინიშნა - მედიაციის ნებაყოფლობითობის საკითხის იდეა, ე.წ. „სურვილის ფაქტორში“ მდგომარეობს, რაც შეიძლება შეიზღუდოს სამედიაციო ცენტრისადმი მიმართვის თვალსაზრისით, მაგრამ ყოველთვის დაცული უნდა იყოს თვით მედიაციის პროცესში გადაწყვეტილების მიღების დროს. რამდენადაც მედიაციის პროცესში მესამე ნეიტრალური პირის შეთავაზება არ არის მხოლოდ, ერთი მხრივ, მასზე უარის თქმის უფლება, ხოლო მეორე მხრივ,

³⁷⁴Esplugues C., New developments in civil and commercial mediation, Volume 6, 2015, p. 5.

³⁷⁵Brown H., Marriott A., Adr Principles and Practice, third edition, Sweet & Maxwell, Thomson Reuters, 2011, p. 75.

მხარეებისათვის მედიაციის პროცესში გადაწყვეტილების ნებაყოფლობით მიღების უფლება, სავალდებულოდ, დასაცავია.³⁷⁶

საქართველოში მედიაციის დანერგვასა და განვითარებაში მნიშვნელოვანია სასამართლოს როლი და ფუნქცია. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში სასამართლო მედიაცია მხოლოდ დამკვიდრების პროცესშია (ფუნქციონირებს სასამართლო მედიაციის ერთ-ერთი ფორმა - სასამართლოსთან არსებული მედიაცია, ხოლო სასამართლო/სამართლოსმიერი მედიაცია რეგულირების მიღმაა დარჩენილი) გადამწყვეტია სასამართლომ გადადგას შესაბამისი ნაბიჯები მედიაციისადმი მომხმარებლის ინტერესის ზრდის თვალსაზრისით.³⁷⁷

ამასთან, ნებისმიერი სამართლებრივი სისტემის და მათ შორის ქართული სამოქალაქო სამართლის უმთავრესი ამოცანაა სასამართლო მედიაციასთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგება არა მხოლოდ საკანონმდებლო, არამედ, პრაქტიკულ დონეზე, რაც გამოიხატება შესაბამისი სტანდარტების მედიაციის პროგრამების იმპლემენტაციით და რაც უზრუნველყოფს სისტემის სრულყოფილ ფორმირებას. რამეთუ, როგორც ეს შედარებითსამართლებრივმა კვლევამ ცხადყო, მოწინავე სამართლებრივი კულტურის მქონე სამართლებრივი სისტემები საკანონმდებლო ბაზის სრულყოფის პარალელურად, სულ უფრო ესწრაფვიან აღნიშნულის უზრუნველყოფას. შესაბამისად, უცხოურ სამართლებრივ სისტემებში დამკვიდრებული რეგულირებისა და განხორციელებული პროექტების არსის მახასიათებლების გათვალისწინებით, ქმედით მექანიზმად შეფასდება ეტაპობრივად, საქართველოს მასშტაბით მოქმედ სასამართლოებში, მათ შორის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში სასამართლო მედიაციის პროგრამების დანერგვა, რაც ერთმნიშვნელოვნად, ხელს შეუწყობს

³⁷⁶წულაძე ა., სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2016, გვ. 20.

³⁷⁷De Palo G., Trevor B.M., EU Mediation, Oxford University Press, Oxford, 2012, p. 44.

ინსტიტუტის სრულყოფას, დავის გადაწყვეტის მშვიდობიანი ფორმების გამოყენებას, რათა, მხარეებმა გართულებული ურთიერთობები თუ შეუსრულებელი ურთიერთვალდებულებები აქციონ ხელშესახები სარგებლიანობის მიღების შესაძლებლობად. აღიარებულია, რომ სასამართლო უნდა იყოს არამარტო კომპეტენტური და ობიექტური არამედ იაფი, ხელმისაწვდომი და ობიექტური.³⁷⁸

აღნიშნულის პარალელურად, ერთგვარ გამოწვევად უნდა შეფასდეს იმ ალტერნატიული აქტივობების განსაზღვრა, რომელთა განხორციელებაც შესაძლებლად მიიჩნევა სამოქალაქო სექტორის მიერ, საზოგადოებაში „მშვიდობის“ დამკვიდრების მიზნით.³⁷⁹ საკანონმდებლო ბაზის სრულყოფისა და სასამართლო მედიაციის პროგრამების ამოქმედების საჭიროების დადასტურების შემდეგ, იკვეთება შემდეგი საკითხის განხილვის შესაძლებლობა - ხომ არ იქნება შესაძლებელი სასამართლო და სასამართლოს გარე მედიაციის გადაკვეთის წერტილის დადგენა იმ მიზნით, რომ შესაძლებელი გახდეს მოქალაქეთათვის დავის გადაწყვეტის კიდევ ერთი შესაძლო, მოდიფიცირებული ფორმის შეთავაზება.

➤ ჩვენი დისერტაციის ფარგლებში ნაწარმოები შედარებითსამართლებრივი კვლევის ანალიზი ცხადყოფს, რომ ასეთი საშუალება შეიძლება არსებობდეს და ის შესაძლებელია ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: თუკი სასამართლო მედიაციის (იქნება ეს სასამართლოსთან არსებული თუ სასამართლოსმიერი მედიაცია-მისი დამკვიდრების შემთხვევაში) წარმოების პროცესში გამოვლინდება, რომ კონკრეტულ განსახილველ შემთხვევაში პროცესის ეფექტიანობას გაზრდიდა არა სასამართლო, არამედ სასამართლოს გარე მედიაციის წარმოება რომელიმე სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციის (კერძო სამართლის იურიდიული პირის)

³⁷⁸ხრუსტალი ვ., საქართველოს მართლმსაჯულებაში არსებული ზოგიერთი აქტუალური პრობლემის შესახებ, სამართალი და მსოფლიო, თბილისი, 2015, გვ. 44.

³⁷⁹Fritz J., Moving toward a just peace, Ohio, 2014, p. 286.

მიერ, დასაშვები უნდა იყოს მითითებული დავის მხარეთა მიერ შერჩეულ, შესაბამისი სერვისის მიმწოდებელ ორგანიზაციაში/მედიატორთან გადამისამართება. რელევანტურია აღინიშნოს, რომ მითითებული მიდგომის განხორციელების შემთხვევაში, შესაძლებელი გახდება რიგი დადებითი შედეგების მიღწევა. ერთის მხრივ, კერძო სამართლის იურიდიული პირები წვლილს შეიტანენ სახელმწიფოს მასშტაბით დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალებების ინსტიტუციონალიზაციის პროცესში; ხოლო მეორეს მხრივ, სასამართლოს მიერ ინდივიდუალური დავების მათთან, როგორც კერძო სამართლის პირებთან გადამისამართების შემთხვევაში, განხორციელებული საქმიანობის პროპორციულად, მათ გაუჩნდებათ დადგენილი წესით შემოსავლის მიღების შესაძლებლობა.³⁸⁰

მნიშვნელოვანია, რომ უნდა დადგინდეს ამგვარი მიდგომის განხორციელების წინაპირობები, რომელთაგან თუნდაც ერთ-ერთის არარსებობა გამორიცხავს მისი გამოყენების შესაძლებლობას. კერძოდ: ერთის მხრივ, მითითებულ ინიციატივას უნდა ემხრობოდეს დავის მონაწილე ორივე მხარე; ხოლო მეორეს მხრივ, აღნიშნულის განხორციელებისათვის აუცილებლად მიიჩნევა საქმის განმხილველი მოსამართლის თანხმობა, რომელიც გადაწყვეტილებას მიიღებს დავის სპეციფიკისა და მხარეთა დამოკიდებულების ობიექტური შეფასების საფუძველზე საკითხის მიმართ. მითითებული რეგულირება, აგრეთვე, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მოსამართლის როლისა და უფლებამოსილებების ფარგლების გაფართოებას სამოქალაქო სამართლებრივი დავების მედიაციის პროცესში.

³⁸⁰აქვე, მედიაციის პროვაიდერ ორგანიზაციებზე მსჯელობისას, მისი მნიშვნელობის გათვალისწინებით ხაზგასასმელია ADR სტანდარტების დამდგენი აქტი (A Draft of Principles of ADR Provider Organizations, CRP-Georgetown Commission on Ethics and Standards in ADR), რომელიც ვრცელდება მედიაციის როგორც საჯარო, ასევე კერძო პროვაიდერების მიმართ და განსაზღვრავს მათ სამოქმედო პრინციპებს.

ზემოაღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინების შემთხვევაში, რაც უნდა აისახოს მედიაციის შესახებ კანონში და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXI თავის ფარგლებში, ხელი შეეწყობა მედიაციის ინსტიტუციონალიზაციის პროცესს; სახელმწიფოს მასშტაბით მედიაცია განისაზღვრება როგორც სამოქალაქო სამართლის სისტემის ინტეგრალური, განუყოფელი ნაწილი, ისევე როგორც ეს განხორციელდა სხვა წარმატებულ სახელმწიფოთა (მაგალითად ავსტრალიის) მასშტაბით.³⁸¹ ამასთან, აღნიშნული შესაძლებელია შეფასდეს, როგორც კერძო და საჯარო სექტორის თანამშრომლობის (PPP: Public-Private Partnership) ერთ-ერთი ფორმა, რომელიც თავის მხრივ, საჯარო ამოცანების განხორციელების ერთ-ერთი ყველაზე მოქნილ ფორმად მიიჩნევა.³⁸² მოცემულ შემთხვევაში, ხელისუფლებისათვის სარგებელი შეიძლება იყოს საჯარო სიკეთის განხორციელება კერძო სექტორის მიერ, რომელიც უკეთესად მართავს კონკრეტულ რისკს; ხოლო კერძო სექტორისთვის მოდელის უპირატესობები შეიძლება გამოიხატოს თანადაფინანსებაში, საგადასახადო შეღავათების დაწესებაში და ა.შ.³⁸³ ხელი შეეწყობა სასამართლოს ჩამოყალიბებას სივრცედ, რომელიც მოქალაქეებს შესთავაზებს დავის გადაწყვეტის სხვადასხვა მექანიზმებს, იქნება მოსამართლის ეფექტიანი აქტიურობის შესაძლებლობა, რაც შედეგობრივად უზრუნველყოფს სასამართლო სისტემის წინაშე მიმდინარე დროისათვის არსებული გამოწვევების დაძლევას.³⁸⁴

4.5.5. მედიაციის პროცესში წარმომადგენლობის შემთხვევაში ადვოკატის როლთან დაკავშირებული საკითხების სამართლებრივი

³⁸¹Wolski B., On mediation, legal representatives and advocates, UNSW Law journal, 2015, p. 5.

³⁸²ხუბუა გ., ყალიჩავა კ., ადმინისტრაციული მეცნიერების სახელმძღვანელო, თბილისი, 2018, გვ. 161.

³⁸³იქვე, გვ. 162.

³⁸⁴ სასამართლოთა გადატვირთულობა განსახილველი საკმეებით, სამართლის სუბიექტთა უკმაყოფილება სასამართლოთა ფუნქციონირებით და სხვა.

რეგულირების საჭიროება და მოსამართლე, როგორც ამ მოთხოვნათა შესრულების გარანტი

როგორც ეს კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა, მედიაციის ინსტიტუციონალიზაციის კვალდაკვალ აქტუალური ხდება შიდასახელწიფოებრივ დონეზე ადვოკატთა წარმომადგენლობასთან დაკავშირებული საკითხების საკანონმდებლო დონეზე მოწესრიგება.

ამ თვალსაზრისით, მიზანშეწონილია ჩვენი ნაშრომის ფარგლებში შემოთავაზებული რეკომენდაციის გათვალისწინება და რეგლამენტაცია საკანონმდებლო დონეზე, რომლის შესაბამისად, მოსამართლეს მიენიჭება სასამართლო მედიაციის პროცესის წარმართვის შესაძლებლობა და დამკვიდრდება სასამართლოსმიერი მედიაციის/მოსამართლე-მედიატორის ინსტიტუტი, რომელიც თავის მხრივ, შეამცირებს წარმომადგენელთა მიერ მითითებული ვალდებულებების შეუსრულებლობის რისკებს, რამეთუ, მოსამართლის მონაწილეობა პროცესში ყოველთვის ავტორიტეტულია. როგორც აღინიშნა - ეს არ ხდება იმიტომ, რომ მოსამართლე არის უფრო ჭკვიანი, ვიდრე სხვა პირები, თუმცა არის მოსამართლის პროფესიაში რაღაც ისეთი, რაც ქმნის სანდოობისა და ქმედების მაღალ სტანდარტებს.³⁸⁵

³⁸⁵Miller S., Judicial Mediation: Two Judge's Philosophies, Litigation 38 Litig, 2012, p. 33.

5. დასკვნა

ნაშრომის ფარგლებში დადასტურდა, რომ სამოქალაქოსამართლებრივი დავების სასამართლო მედიაციის პროცესში მოსამართლის როლთან და მის უფლებამოსილებებთან დაკავშირებული მოქნილი სამართლებრივი მექანიზმების არსებობა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მედიაციის ფუძემდებლური პრინციპებისა და არსობრივი მახასიათებლების განხორციელების შესაძლებლობებს. ამასთან, აღნიშნული საკითხი სამართლის სუბიექტთა ინტერესების დაკმაყოფილებისა და დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების მდგრადი განვითარების წინაპირობაა. მითითებული თვალსაზრისით, ჯეროვანი საკანონმდებლო რეგულაციების არსებობის პირობებში, შესაძლებელია განხორციელდეს ის მიზნები, რაც დასაწყისშივე საფუძვლად დაედო მედიაციის ინსტიტუციონალიზაციის პროცესს. შესაბამისად დადგინდა, რომ საქართველოში არასრულყოფილი საკანონმდებლო ბაზის არსებობის პირობებში, მოსამართლის უფლებამოსილებებთან დაკავშირებული საკითხები სამოქალაქოსამართლებრივი დავების სასამართლო მედიაციის პროცესში გადასინჯვასა და ანალიზს ექვემდებარება. მოსამართლის როლის მეცნიერული ანალიზი სამოქალაქოსამართლებრივი დავების სასამართლო მედიაციის პროცესში უნდა დაფუძნებოდეს როგორც საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტების კვლევას, ასევე, მედიაციის ინსტიტუტის სპეციფიკის გათვალისწინებით, მისი არსებითი მახასიათებლების განსაზღვრას, რადგან მედიაციის ფუძემდებლური მახასიათებლების კვლევის გარეშე შეუძლებლად ჩაითვალოს დასახული მიზნების განხორციელება. შესაბამისად, შესავალის შემდგომ, ნაშრომის მეორე თავის ფარგლებში, ჩამოყალიბდა მედიაციის ცნება და გამოიკვეთა მისი ძირითადი ნიშნები, რაც, თავის მხრივ, სასამართლო მედიაციის პროცესში მოსამართლის როლის განმსაზღვრელ წინაპირობებად შეფასდა. ყურადღება გამახვილდა მედიაციის

ორი ძირითადი ფორმის - სასამართლო/სავალდებულო და სასამართლოს გარე/კერძო მედიაციის გამიჯვნის საკითხზე, რომლებიც მნიშვნელოვნად უახლოვდებიან ერთმანეთს რიგი ფუძემდებლური სახელმძღვანელო პრინციპებით, მაგრამ განსხვავდებიან როგორც არსობრივი თვალსაზრისით, აგრეთვე თანამდევი სამართლებრივი შედეგებით. რაც განსაკუთრებით აქტუალურია ჩვენი კვლევის მიზნებისათვის, განისაზღვრა სასამართლო მედიაციის გამოვლინების ორი შესაძლო ფორმა - სასამართლოსთან არსებული და სასამართლო/სასამართლოსმიერი მედიაცია, რომელთაგან საქართველოში დამკვიდრებული პრაქტიკა მხოლოდ სასამართლოსთან არსებული მედიაციის კონცეფციას იცნობს. დადგინდა მედიაციის ურთიერთმიმართება დავის გადაწყვეტის სხვა საშუალებებთან - სასამართლოსა და არბიტრაჟთან, გამოიკვეთა მოსამართლის გამორჩეული სამართლებრივი ბუნება სასამართლოს მედიაციის პროცესში. კვლევის საფუძველზე მედიაცია შეფასდა როგორც ეთიკურ ფასეულობებზე დაფუძნებული პროცესი. ამავე დროს, ვინაიდან, მედიაცია ინტერდისციპლინურ სფეროსთან დაკავშირებული კატეგორიაა, მივედით დასკვნამდე, რომ მასზე, რომელიმე მომიჯნავე პროფესიული ეთიკის სტანდარტების ავტომატური გავრცელება, არ იქნება გამართლებული. ნაშრომის შესავალშივე გამოკვეთილი მიზნის შესაბამისად, ჩამოყალიბდა მისი წარმოებისას სახელმძღვანელო პრინციპთა ნუსხა, რაც, არამხოლოდ თეორიული მნიშვნელობის მატარებელია, არამედ, პროცესის მონაწილეთა ინტერესების განხორციელებისა და დაცვის ქმედით საშუალებად განიხილება; დადასტურდა, რომ სასამართლო მედიაციის ფორმის - სასამართლოსმიერი მედიაციის განვითარების შემთხვევაში საქართველოში, რაც დაუკავშირდება მოსამართლე-მედიატორის ინსტიტუტის დანერგვას, მოსამართლე-მედიატორთა მიმართ უნდა გავრცელდეს როგორც ზოგადი სამოსამართლეო, აგრეთვე, მედიაციის პრინციპები.

ამავე თავის ფარგლებში შედარებითსამართლებრივი მეთოდის საფუძველზე განხორციელდა მედიაციის პროცესში მედიატორისადმი/მოსამართლე-მედიატორისადმი წარდგენილი მოთხოვნების ანალიზი, რომელთა უზრუნველყოფაც პროცესის ფუძემდებლური პრინციპების განხორციელების ერთ-ერთ ინსტრუმენტად დასახელდა; დადგინდა მედიატორისადმი წარდგენილი მოთხოვნები მედიაციის წარმოების პროცესში და მოსამართლე განხილულ იქნა როგორც მედიატორი; დადასტურდა სასამართლო მედიაციის საქართველოში მიმდინარე დრომდე დაუმკვიდრებელი ფორმის - სასამართლო/სასამართლოსმიერი მედიაციის ინსტიტუტის დანერგვის პერსპექტივა; გამოვლინდა, რომ მოსამართლე-მედიატორის სტატუსის მისაღებად (აღნიშნული ინსტიტუტის დანერგვის შემთხვევაში) მოსამართლეთა მიმართ ანალოგიური მოთხოვნები უნდა გავრცელდეს, რაც მედიატორებს წარედგინებათ.

ამასთან, მსოფლიო გლობალიზაციის პირობებში, მაშინ როდესაც სამართალი სულ უფრო უნიფიკაციისაკენ მიემართება, შეუძლებლად ჩაითვალა მედიაციის, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტის შესწავლა მხოლოდ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის ანალიზის საფუძველზე. ამის გათვალისწინებით, კვლევის ფარგლებში განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა შედარებითსამართლებრივ მეცნიერულ მეთოდს. ქართული სამართალი განისაზღვრა როგორც მსოფლიო სამართლებრივი სივრცის უნიფიკაციის ერთიანი პროცესის ინტეგრალური ნაწილი. თითოეულ საკითხთან მიმართებით გაანალიზდა სამართლის შესაბამის დარგში, მოწინავე სამართლებრივი კულტურის სახელმწიფოთა თეორიული თუ პრაქტიკული გამოცდილება, განსახილველ საკითხებთან დაკავშირებული კონცეფციები. გამოკვეთილად დაეთმო ყურადღება სამი სხვადასხვა სამართლებრივი ოჯახის წევრ სახელმწიფოთა - ამერიკის შეერთებული შტატების, კანადისა და

გერმანიის გამოცდილების განხილვას მედიაციისა და ამ პროცესში მოსამართლის როლის რეგულირების თვალსაზრისით. აღნიშნული განხილვა შემდეგ ობიექტურ გარემოებებს დაეფუძნა: ერთის მხრივ, მითითებული სამართლებრივი სისტემები გამოირჩევიან მედიაციის სამართლებრივი კულტურის მაღალი ხარისხით და შესაბამისად, სხვა რიგ სახელმწიფოთა მასშტაბით გაითვალისწინეს მათი გამოცდილება; ხოლო მეორეს მხრივ, სამართლის შესაბამის დარგში აღნიშნულ სახელმწიფოთა გამოცდილების კვლევა, მიუხედავად მათი კუთვნილებისა სხვადასხვა სამართლის ოჯახებისადმი და ერთი შეხედვით წინააღმდეგობრივი სისტემური რეგულირებისა, წარმოაჩენს მედიაციის ინსტიტუციონალიზაციის, განვითარებისა და აღნიშნულ პროცესებში სასამართლო ხელისუფლების ჩართულობის მნიშვნელობას, მოსამართლეთა როლის რეგულირების ტენდენციებს.

შესაბამისად, შესაძლებელია ითქვას, რომ ნაშრომის ფარგლებში განხორციელებული მეცნიერული კვლევა გლობალურ ანალიზზეა ორიენტირებული, რა შემთხვევაშიც დასკვნები მიღებული იქნა სამართლებრივ სისტემაში დამკვიდრებული ანალოგიური ინსტიტუტების განხილვის და შესწავლის გზით. განსახილველ საკითხებთან მიმართებაში მსოფლიოს მასშტაბით მიმდინარე ტენდენციებმა და უნიფიკაციის პროცესმა მიდგომათა შორის განსხვავებულობა მნიშვნელოვნად შეამცირა, წინააღმდეგობები აღმოფხვრა და სამართლებრივი რეგულირების სტანდარტები რიგ სახელმწიფოებში ერთმანეთთან დაახლოვა. შესაბამისად, ქვემოთ შეთავაზებული რეკომენდაციები ეხმიანება საერთაშორისო სამართლებრივ სივრცეებში დამკვიდრებულ მიდგომებს. მათი გათვალისწინების შემთხვევაში სასამართლოს მიერ სამოქალაქო სამართლებრივი საქმის გადაწყვეტა სამართლის სუბიექტთა მიერ შესაძლებელია ჩაითვალოს უკიდურეს შემთხვევაში გამოსაყენებელ

სამართლებრივ ინსტრუმენტად, რომელიც ამოქმედდება მხოლოდ იმ ეტაპზე, როდესაც სხვა საშუალებები ვერ უზრუნველყოფს მხარეთა საუკეთესო ინტერესების რეალიზებას.

საკვალიფიკაციო ნაშრომის ფარგლებში ცალსახად განისაზღვრა, რომ სამართლის მხარდი უნიფიკაციის პროცესის კვალდაკვალ, რელევანტურია ნაციონალური კანონმდებლობის სრულყოფა მედიაციის, როგორც სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების შედეგად ლეგიტიმირებული ინსტიტუტის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის დახვეწის თვალსაზრისით. ამასთან, ვინაიდან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული მარეგულირებელი ნორმები საკითხის ფრაგმენტული მოწესრიგებით ხასიათდება და არსებული რეალობა პრაქტიკულად უგულებელყოფს მედიაციის ფუნდამენტური პრინციპების განხორციელების შესაძლებლობას, საჭიროდ მივიჩნიეთ არა ეპიზოდური, არამედ საფუძვლიანი საკანონმდებლო ცვლილებების შეთავაზება. აღნიშნული მოიაზრებს ქართული სამართლის ინსტიტუტის დასაბუთებულ დაახლოებას და მისი შესაბამისობის უზრუნველყოფას წამყვან, დემოკრატიულ ღირებულებებზე ორიენტირებულ სამართლებრივი სისტემების სტანდარტებთან.

ნებისმიერ შემთხვევაში, ქართულ სამართალში სასამართლო მედიაციის საკანონმდებლო მოწესრიგებისა და პრაქტიკის ანალიზმა გამოავლინა არაერთი მნიშვნელოვანი ხარვეზი, როგორც შინაარსობრივი/მატერიალური, ისე პროცესუალური თვალსაზრისით. მათგან, შესავალში აქცენტირებული მიზნების გათვალისწინებით უპირატესი მნიშვნელობა მიენიჭა მოსამართლის როლისა და უფლებამოსილების ფარგლების რეგულირების საკითხს, მასთან დაკავშირებული კონცეფციების, სამართლებრივი მახასიათებლების მოწესრიგებასა და შესაბამისობის უზრუნველყოფას საერთაშორისო სამართლებრივი სისტემების უნიფიცირებულ მიდგომებთან. მოსამართლის

როლის გააქტიურებასთან დაკავშირებული სამართლებრივი წინაპირობებისა და თანამდევი შედეგების ინტერპრეტაცია შესაძლებელი გახდა უცხოური სამართლებრივი სისტემებით განსაზღვრული კონცეფციების სამართლებრივი ბუნების დამოწმებისა და საუკეთესო პრაქტიკის განზოგადების საფუძველზე. თითოეული რეკომენდაცია ეხმიანება დემოკრატიის პრინციპს, რომლის შესაბამისად, სახელმწიფო მმართველობის ცენტრში უნდა იდგეს ადამიანი. მართლმსაჯულების ორგანოში დასაქმებულმა პირებმა უნდა განახორციელონ ხალხის დემოკრატიულად ლეგიტიმირებული ნება. სახელმწიფო მმართველობის ერთადერთი და უზენაესი მიზანი შეიძლება იყოს მხოლოდ ადამიანი.³⁸⁶

დასკვნის სახით შესაძლებელია ითქვას, რომ კვლევის მიზანი მიღწეულია. კვლევისას დასახული მიზნების გათვალისწინებით, დასაბუთებულია მოსამართლის უფლებამოსილებების გამოკვეთისა და ზრდის აუცილებლობა სასამართლოსთან არსებული მედიაციის პროცესში; ამასთან დადგინდა, რომ საქართველოს რეალობაში სასამართლო მედიაციის ფორმის - სასამართლო/სასამართლოსმიერი მედიაციის ინსტიტუტის დანერგვა უზრუნველყოფს ისეთი სახელმწიფოებრივი ინტერესის მიღწევას, როგორიცაა მართლმსაჯულების განმახორციელებელ სუბიექტთა ერთიანი ჯაჭვის გაუმჯობესება, საზოგადოების ნდობის ზრდა სასამართლო სისტემის მიმართ. ყოველივე აღნიშნული, წაახალისებს სასამართლო სისტემის სრულყოფას, სასამართლო მედიაციის პროცესში მოსამართლის უფლებამოსილების დადგენის გზით. წარმოდგენილია არაერთი სამეცნიერო სიახლე. მიღებული შედეგები შესაძლებელია შემდეგი სახით განისაზღვროს:

- უპირველეს ყოვლისა, საქართველოში მედიაციის შესახებ კანონით (პროექტის მიღების შემთხვევაში) რეგულირებას უნდა დაექვემდებაროს

³⁸⁶ხუბუა გ., ყალიჩავა კ., ადმინისტრაციული მეცნიერების სახელმძღვანელო, თბილისი, 2018, გვ. 138.

სასამართლო მედიაციის ცნება, იმგვარი ინტერპრეტაციით, რაც თავის მხრივ წარმოაჩენს მისი გამოვლინების შესაძლო ფორმების არსებობას. ამასთან, უნდა დადგინდეს განსხვავება სასამართლო მედიაციის ორ ფორმას - სასამართლოსთან არსებულ (Court-annexed mediation) და სასამართლო/სასამართლოსმიერ (Judicial mediation) მედიაციას შორის. თეორიასა თუ პრაქტიკაში ტერმინთა ურთიერთაღრევის რისკის თავიდან აცილების მიზნით, ტერმინი - სასამართლო მედიაცია უნდა აერთიანებდეს მისი გამოვლინების ორივე ფორმას; ხოლო სასამართლო მედიაციის ფორმები საკანონმდებლო დონეზე უნდა განისაზღვროს სასამართლოსთან არსებული და სასამართლო/სასამართლოსმიერი მედიაციის სახელწოდებით. აღნიშნული, აგრეთვე, ხელს შეუწყობს მოსამართლის უფლებამოსილების რეგულირებას თითოეული ფორმის განხორციელებისას. ამასთან, ცნებათა ურთიერთგამიჯვნის პარალელურად, აუცილებლად მიიჩნევა ადეკვატური ცვლილებების საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ასახვა. ტერმინთა განმარტება შემდეგი სახით უნდა ჩამოყალიბდეს:

- სასამართლო მედიაცია - მედიაცია, რომელიც ხორციელდება სარჩელის სასამართლოში წარდგენის შემდეგ, სასამართლოსთან არსებული მედიაციის ან სასამართლო/სასამართლოსმიერი მედიაციის ფორმით.
- სასამართლოსთან არსებული მედიაცია - მედიაცია, რომელიც ხორციელდება სარჩელის სასამართლოში წარდგენის და მისი წარმოებაში მიღების შემდეგ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით და რა შემთხვევაშიც, სასამართლოს მიერ საქმის გადაცემა ხორციელდება სასამართლო მედიატორისათვის.
- სასამართლო/სასამართლოსმიერი მედიაცია - მედიაცია, რომელიც ხორციელდება სარჩელის სასამართლოში წარდგენის და მისი წარმოებაში მიღების შემდეგ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით

დადგენილი წესით და რა შემთხვევაშიც საქმე შესაძლებელია დაექვემდებაროს მედიაში სერტიფიცირებული მოსამართლის მიერ განხილვას.

- მოსამართლის უფლებამოსილების ფარგლები უნდა ითვალისწინებდეს შესაძლებლობას, ყოველი კონკრეტული საქმის ობიექტური მახასიათებლებიდან გამომდინარე, დადგინდეს სასამართლო მედიაციის ვადები. ამ თვალსაზრისით, აუცილებლად მიიჩნევა შესაბამისი ცვლილებების კანონმდებლობაში ასახვა. თუმცა დაუშვებლად უნდა იქნეს მიჩნეული მედიაციის განუსაზღვრელი ან/და არაგონივრულად ხანგრძლივი ვადით გაგრძელება - სასამართლოს ამგვარი უფლებამოსილება უნდა მოიაზრებდეს შესაძლებლობას, მოსამართლემ სასამართლო მედიაციის პროცესის ვადები განსაზღვროს ინდივიდუალური მიდგომის საფუძველზე, ყოველი კონკრეტული საქმის ფაქტობრივ, ობიექტურ გარემოებებზე დაყრდნობით; კანონმდებლობის შესაბამისად ასევე უნდა დაზუსტდეს მითითებული თვალსაზრისით მოსამართლის უფლებამოსილების ფარგლები. კერძოდ, დაუშვებლად უნდა იყოს მიჩნეული სასამართლოს მხრიდან მითითებული უფლებამოსილებით სარგებლობა მხარეთა თანხმობის არარსებობის პირობებში.
- ამის გათვალისწინებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსში უნდა განხორციელდეს საკანონმდებლო ცვლილება და მუხლი 187⁵ რომელიც სასამართლო მედიაციის ვადას განსაზღვრავს, ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:
 1. სასამართლო მედიაციის ვადა შეადგენს 45 დღეს, მაგრამ არანაკლებ 2 შეხვედრისა.
 2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ვადა მხარეთა შეთანხმებით და მოსამართლის თანხმობით, შეიძლება გაგრძელდეს შეთანხმებული ვადით.

მითითებული რეკომენდაცია უნდა გავრცელდეს სასამართლო მედიაციის ნებისმიერი ფორმის წარმოების შემთხვევაში.

- გამონაკლის შემთხვევებში, თუ მოსამართლე ობიექტურ გარემოებებზე დაყრდნობით მიიჩნევს, რომ მის წარმოებაში არსებული, კონკრეტული დავის გადაწყვეტა მეტად ეფექტური იქნება სასამართლო მედიაციის საშუალებით, თუმცა, აღნიშნულის თაობაზე არ არსებობს ორივე მხარის თანხმობა, ამ პირობის არარსებობის მიუხედავად, უნდა იყოს შესაძლებელი საქმის სასამართლო მედიაციის ფორმის - სასამართლოსთან არსებული მედიაციისათვის გადაცემა. მეორეს მხრივ, იმ მიზნით რომ გარანტირებული იყოს ამ შესაძლებლობის მხოლოდ ადეკვატური მიზნით გამოყენება, რეგულირება უნდა ითვალისწინებდეს დათქმას, რომლის შესაბამისად, მოსამართლემ გადაწყვეტილების მიღების პროცესში უნდა გაითვალისწინოს მხარეთა პრიორიტეტული ინტერესები. ამავდროულად, აუცილებელია კანონმდებლობით განისაზღვროს კონკრეტული კრიტერიუმები, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც მოსამართლეს მიენიჭება აღნიშნული შესაძლებლობა. მათ შორის, კრიტერიუმად უნდა დადგინდეს აღნიშნულის თაობაზე ერთ-ერთი მხარის თანხმობა მაინც. რეგულირება უნდა გამორიცხავდეს ამ შესაძლებლობის მხარეთა ინტერესების საზიანოდ გამოყენებას.
- შესაბამისად, სასამართლო მედიაციის ფორმების გამიჯვნასა და ადეკვატური ცვლილებების საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ასახვასთან ერთად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში უნდა განხორციელდეს ცვლილება. 187³ მუხლის 1 ნაწილს უნდა დაემატოს „ე“ პუნქტი შემდეგი სახით: სასამართლოსთან არსებული მედიაცია ერთ-ერთი მხარის თანხმობის შემთხვევაში, საქმის ფაქტობრივი

გარემოებების გათვალისწინებით, შესაძლებელია, გავრცელდეს ნებისმიერ სხვა დავაზე - მოსამართლის მოტივირებული განჩინების საფუძველზე.

- გარდა მოსამართლის უფლებამოსილების ზრდისა პრაქტიკაში მიმდინარე დრომდე დანერგილი სასამართლო მედიაციის ფორმის - სასამართლოსთან არსებული მედიაციის პროცესში, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობასა და მედიაციის შესახებ კანონში (პროექტის მიღების შემთხვევაში) განსახორციელებელი ცვლილებების შესაბამისად უნდა დამკვიდრდეს მოსამართლე-მედიატორის ინსტიტუტი, განხორციელდეს სასამართლო მედიაციის ფორმის-სასამართლოსმიერი მედიაციის საკანონმდებლო რეგლამენტაცია. ამისათვის სპეციალიზებულ მოსამართლე-მედიატორს უნდა მიენიჭოს შესაძლებლობა, საკუთარი ინიციატივისა და მხარეთა თანხმობის შემთხვევაში, თავად წარმართოს სასამართლო მედიაციის პროცესი, შეითავსოს მედიატორის ფუნქცია. შესაბამისად, იმ საკითხის გადაწყვეტა, თუ ვინ წარუძღვება სასამართლო მედიაციის პროცესს, საქმის განმხილველი მოსამართლე (თუ იგი სარგებლობს მოსამართლე-მედიატორის სტატუსით), თუ სასამართლოსთან არსებულ მედიაციის პროგრამაში ჩართული მედიატორი, უნდა იყოს დამოკიდებული მხარეთა ნებასა და მოსამართლის გადაწყვეტილებაზე. მხარეთა თანხმობის შემთხვევაში მოსამართლის როლი და უფლებამოსილება არ უნდა იყოს შეზღუდული. მით უფრო იმ პირობებში, რომ აღნიშნულ შემთხვევაში, გამოირიცხება მედიატორის კვალიფიკაციის შეუსაბამობასა და სამართლებრივი ცოდნის არქონასთან დაკავშირებული რისკები, მოსამართლე თავისი პროფესიული კომპეტენციის გათვალისწინებით სრულყოფილად შეაფასებს სამართლებრივ პრობლემას და დამატებით მედიატორის კვალიფიკაციის ფლობის შემთხვევაშიც, მას ხელეწიფება გადაწყვეტის საუკეთესო გზების მოძიება. ამ მიმართულებით უნიფიცირებული სტანდარტის შესაბამისად, მოსამართლე-მედიატორის

მიერ მედიაციის წარმოების შემთხვევაში, თუკი მედიაცია შეთანხმებით არ დასრულდება, მის მიერ უნდა გამოირიცხოს დავის შემდგომი განხილვისა და გადაწყვეტის შესაძლებლობა. დავა განსახილველად უნდა გადაეცეს სხვა მოსამართლეს. აუცილებლად მიიჩნევა ადეკვატური ცვლილებების საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ასახვა. ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, შესაბამისი მოცემულობა უნდა გახდეს მოსამართლის აცილების საფუძველი.

- კერძოდ, ცვლილება უნდა შევიდეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: მოსამართლემ არ შეიძლება განიხილოს საქმე ან მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში, თუ ის ამ საქმეში მონაწილეობდა მედიატორად ან/და მოსამართლე/მედიატორად.
- მიმდინარე პერიოდისათვის, საქართველოს რეალობაში სამართლის მითითებულ დარგში რეგულირების არარსებობის გათვალისწინებით, აგრეთვე, აუცილებლად მიიჩნევა მედიატორისადმი წარდგენილი მოთხოვნების, მათ მიერ სავალდებულოდ განსახორციელებელი ქმედებებისა და ნორმათა დარღვევის შემთხვევაში, პასუხისმგებლობის საკითხის დასმა. მედიაციის შესახებ კანონით (პროექტის მიღების შემთხვევაში) უნდა განისაზღვროს, რომ მოსამართლე-მედიატორის ინსტიტუტის ამოქმედებასთან ერთად, ამ სტატუსის მისაღებად, მოქმედმა მოსამართლემ უნდა დააკმაყოფილოს მედიატორთა მიმართ წარდგენილი ყველა სტანდარტი.
- ნაშრომის ფარგლებში შემოთავაზებული რეკომენდაციის გათვალისწინება და რეგლამენტაცია საკანონმდებლო დონეზე, რომლის შესაბამისად მოსამართლეს მიენიჭება სასამართლო მედიაციის პროცესის წარმართვის შესაძლებლობა, თავის მხრივ, შეამცირებს წარმომადგენელთა მიერ

მედიაციის პროცესში კვლევის ფარგლებში გამოკვეთილი ეთიკური ვალდებულებების შეუსრულებლობასთან დაკავშირებულ რისკებს, რამეთუ, მოსამართლის მონაწილეობა პროცესში ყოვეთვის ატარებს ავტორიტეტულ ხასიათს და სასამართლოს გარე მედიაციისაგან განსხვავებით, შესაძლებელია, თავისთავად უზრუნველყოს პროცესის მონაწილეთა და მათ შორის, ადვოკატთა ეთიკური ქცევა.

- საქართველოში მიზანშეწონილია ცალკეული საკანონმდებლო აქტის სახით ამოქმედდეს მედიაციის ეთიკის კოდექსი, რომელიც, სასამართლო თუ სასამართლოს გარე მედიაციის წარმოების შემთხვევაში, განსაზღვრავს პროცესის მონაწილეთა ქცევის საბაზისო სტანდარტებს. ამასთან, აუცილებელია მკაფიოდ განისაზღვროს მედიაციის ეთიკის კოდექსის ადრესატების ვინაობა. უნდა დადგინდეს, რომ სტანდარტების დაწესება გულისხმობს როგორც მედიატორის, ასევე მხარეების, მათი წარმომადგენლებისა და მედიაციის პროვაიდერი ორგანიზაციების ეთიკური ბოჭვის ფარგლების განსაზღვრას. და რაც განსაკუთრებით აქტუალურია - მედიაციის ეთიკის კოდექსში დასამკვიდრებელი საბაზისო პრინციპები თანამბარმნიშვნელოვნად უნდა გავრცელდეს მოსამართლის მიმართ, სასამართლო მედიაციის წარმოების შესაძლებელობის საკანონმდებლო დონეზე რეგლამენტაციის შემთხვევაში.
- სასამართლო და სასამართლოს გარე მედიაციასთან დაკავშირებული კანონმდებლობის მოწესრიგებისა და იმ გამოწვევებთან გამკლავების შემთხვევაში, რაც აგრეთვე განხილულ იქნა ნაშრომის ფარგლებში, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული მოქალაქეთათვის დავის გადაწყვეტის კიდევ ერთი შესაძლო, მოდიფიცირებული ფორმის შეთავაზება, რაც შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: თუკი სასამართლო მედიაციის პროცესში გამოვლინდება, რომ კონკრეტულ განსახილველ შემთხვევაში, პროცესის ეფექტიანობას გაზრდიდა არა სასამართლო, არამედ სასამართლოს გარე

მედიაციის წარმოება რომელიმე პროვაიდერი ორგანიზაციის მიერ, დასაშვებია უნდა იყოს საქმისმწარმოებელი მოსამართლის მიერ მითითებული დავის მხარეთა მიერ შერჩეულ, შესაბამისი სერვისის პროვაიდერ ორგანიზაციაში/მედიატორთან გადამისამართება, სასამართლოს გარე/კერძო მედიაციის წარმოების მიზნით. შემოთავაზებული რეგულაცია არ შეიძლება შეესაბამებოდეს ყველა შემთხვევას და მისი გამოყენება ეფექტურად ჩაითვლება მხოლოდ მაშინ, თუკი, მხარეები მოლაპარაკების კონკრეტულ ეტაპზე ჩათვლიან, რომ სასამართლოს ფორმალური გარემო შესაძლებელია დამაბრკოლებელი აღმოჩნდეს შეთანხმების მიღწევის პროცესისათვის. აღნიშნული, ერთის მხრივ, გაზრდის მოსამართლის უფლებამოსილებას სასამართლო მედიაციის ორივე ფორმის განხორციელებისას, ხოლო მეორეს მხრივ, ხელს შეუწყობს მოქალაქეთა ინტერესების განხორციელებას.

ცალკე ანალიზს ექვემდებარება ის გარემოება, რომ გარდა მითითებული საკანონმდებლო ცვლილებებისა, შესაბამისი პროგრამებისა და ნოვაციური მეთოდების სისტემური ერთობლიობისა, მედიაციის ინსტიტუციონალიზაციის აუცილებელ წინაპირობად მიიჩნევა მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლება, რათა თითოეულმა მათგანმა შეძლოს იმ შესაძლებლობების ეფექტიანი გამოყენება, რომელსაც მათ სახელმწიფო შესთავაზებს. აღნიშნულ პროცესშიც რელევანტურად მიიჩნევა მოსამართლეთა ჩართულობა, რაც შესაძლებელია მოიცავდეს სასამართლოთა ორგანიზებით და მოსამართლეთა აქტიური მონაწილეობით რიგი აქტივობების - მრგვალი მაგიდების, სემინარებისა და გასვლითი შეხვედრების ორგანიზებას. სამართლის ინსტიტუტების კვლევის საფუძველზე მიღებული მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინების შემთხვევაში ხელი შეეწყობა მოქალაქეთათვის მართმასაჯულების განმახორციელებელი ერთიანი,

სრულყოფილი სისტემის დანერგვას, დავების სწრაფ და ეფექტიან გადაწყვეტას რაც გამოწვევას წარმოადგენს ქართულ რეალობაში.

კვლევის შედეგები და განსაზღვრული საკანონმდებლო რეკომენდაციები შესაძლებელია გახდეს საქართველოს ნაციონალური კანონმდებლობის სრულყოფის წყარო.

მათმა განხორციელებამ შესაძლებელია ხელი შეუწყოს მოქალაქეთა ინტერესებზე მორგებული სამართლის ინსტიტუტების დანერგვას, თანამედროვე სამართლებრივი სივრცისათვის დამახასიათებელი ღირებულებათა სისტემის ამსახველი საკანონმდებლო ბაზის ფორმირებას. ამასთან, რეკომენდირებული ინსტრუმენტების არსებობა სასამართლოს ხელში მხარეთა საუკეთესო ინტერესების განხორციელებისა და სამართლის უზოგადესი პრინციპის - სამართლიანობის მიღწევის მექანიზმად იქცევა, აღმოიფხვრება როგორც სამოქალაქო სამართლებრივი დავების სასამართლო მედიაციის პროცესში არსებულ გამოწვევებთან და რისკებთან დაკავშირებული პრობლემატიკა, აგრეთვე ხელი შეეწყობა სასამართლო სისტემის სრულყოფას. ნაშრომის ფარგლებში საკითხები განხილულია არა ფრაგმენტულად, არამედ ერთიან სისტემაში. თითოეული საკითხის შეფასებისას ავტორი ესწრაფვის ისეთი დასკვნების ფორმულირებას, რომლებიც მნიშვნელოვანია სახელმწიფოში დავის გადაწყვეტის ერთიანი ჯაჭვის წარმატებული ფუნქციონირებისათვის, მართლმსაჯულების განხორციელების ერთიანი სისტემის სრულყოფისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

ქართულ ენაზე:

- გეგენავა დ., წინათქმა, კრებულში: ლადო ჭანტურია 50, საიუბილეო გამოცემა, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2013.
- გურიელი ა., ადვოკატის როლი სამოქალაქოსამართლებრივი დავების მედიაციის მოსამზადებელ ეტაპზე, ჟურნალი სამართალი და მსოფლიო. 2015.
- გურიელი ა., ეთიკური ბოჭვის ფარგლები სამოქალაქოსამართლებრივი დავების სასამართლო მედიაციის პროცესში, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ჟურნალი მაცნე, 2018.
- გურიელი ა., მედიატორისადმი დადგენილი მოთხოვნები სამოქალაქოსამართლებრივი დავების მედიაციის პროცესში, ჟურნალი სამართალი და მსოფლიო, 2015.
- გურიელი ა., მოსამართლის უფლებამოსილების ფარგლები სასამართლო მედიაციის ინსტიტუტის გამოყენებასთან მიმართებაში, ჟურნალი სამართალი და მსოფლიო, 2017.
- დოლიძე ი., საქართველოს ჩვეულებითი სჯული, თბილისი, 1960.
- იოსელიანი ა., კეთილსინდისიერების პრინციპი სახელმწიფოებო სამართალში (შედარებითსამართლებრივი გამოკვლევა), ქართული სამართლის მიმოხილვა - სპეციალური გამოცემა, 2007.
- კეკელია მ., ქართული ჩვეულებითი სამართალი, ტ. 4, მთავარი გამომცემლობა მეცნიერება, თბილისი, 1993.
- ლობჯანიძე გ., სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია, თბილისი, 2017.
- მამაიაშვილი თ., მორიგება, როგორც სამოქალაქო საქმის წარმოების დამთავრების საფუძველი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2017.
- მერებაშვილი ი., სასამართლოში საქმეთა განხილვისას მხარეთა შეჯიბრებითობისა და მოსამართლეთა აქტიურობის პრინციპების მოქმედება, თბილისი, 2009.
- მეტრეველი ვ., ქართული სამართლის ისტორია, თბილისი, 2009.
- ნადარეიშვილი გ., ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბილისი, 2005.
- ონიანი ს., „ტერმინ „ბჭის“ მნიშვნელობისათვის ძველ ქართულ სამართალში“, თსუ იურიდიული ფაკულტეტის სამართლის ჟურნალი #2, 2013.

- ოსტმილერი., სვენსონი რ., დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, მერიდიანი, თბილისი, 2014.
- სურგულაძე ი., საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის”, თბილისი, 1952.
- სურგულაძე ი., ხელისუფლება და სამართალი, გერმანულიდან თარგმნა და შესავალი წერილი დაურთო ო. გამყრელიძემ, თბილისი, 2002.
- ტყემალაძე ს., მედიაცია საქართველოში: ტრადიციიდან თანამედროვეობამდე, თბილისი, 2016.
- ფოგელი ჯ., გონებასისავსე და მოსამართლეობა, აშშ-ს ფედერალური სასამართლო ცენტრი, 2016.
- ყანდაშვილი ი., საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასამართლო ფორმები, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იურიდიული ფაკულტეტი, თბილისი, 2018.
- ჩიტაშვილი ნ., ბრალის მნიშვნელობა სახელმწიფოებო პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის, სამართლის ჟურნალი #1, 2009.
- ჩიტაშვილი ნ., მედიაციის ეთიკის რეგულირების ფარგლები და ეთიკის სტანდარტით ბოჭვის ადრესატები, სამართლის ჟურნალი, თსუ იურიდიული ფაკულტეტი, გამოცემა 1, 2016.
- ჩიტაშვილი ნ., შეცვლილი გარემოებების გავლენა ვალდებულების შესრულებასა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2014.
- ცერცვაძე გ., მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, თბილისი, 2011.
- წულაძე ა., სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2016.
- ჭავჭავაძე ი., მომრიგებელი სასამართლოების შესახებ, გაზეთი ივერია #86, თბილისი, 1886.
- ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი სახელმძღვანელო, თბილისი, 2011.
- ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბილისი, 2004.

- ხუბუა გ., ზომერმანი კ., საჯარო მმართველობის სამართლებრივი საფუძვლები, თბილისი, 2016.
- ხუბუა გ., ყალიჩავა კ., ადმინისტრაციული მეცნიერების სახელმძღვანელო, თბილისი, 2018.

უცხო ენაზე:

- Abramson H., Mediation Representaion, Second Edition, Oxford University Press, New York, 2011.
- Abramson I., Mediation Representation Advocating as a Problem-solver in any Country or Culture, Second edition, Printed in the United States of America, 2010.
- Alexander N., Global Trends in Mediation: Riding the Third Wave, Centrale für Mediation, Otto Schmidt Verlag DE, 2003.
- Alexander N., Four Mediation Stories from Across the Globe, RabelsZeitschrift für Auslanisches und Internationals Privatrecht (the Rabel Journal), No. 4, 2010.
- Alfini J.J., Press Sh. B., Stulberg J.B., Mediation, Theory and Practice, Reporter's Notes, 3rd ed., LexisNexis, 2013.
- Amend J.. Implications For mediation of Patent Infringement Suits From Investors In Patentees Case, Published by law.com, 2014.
- Anthimos A., Greece in Palo G.D., Trevor M.B., EU Mediation-Law and Practice, Oxford University Press, Oxford, 2012.
- Bannink F., Solution Focused Mediation, Trial Excellence, 2008.
- Bartlett F., Mortensen R., Tranter K., Alternative Perspectives on Lawyers and Legal Ethics, Reimagining the Profession, Routledge Research in legal Ethics, London and New-York, 2011.
- Beaumont B., U.S. Systems of Court-Based ADR, Including Rent-a-Judge, James Cook University Law Review, 1994.
- Beer J., Packard C., The Mediator's Handbook, Printed in Canada, Forth edition, 2012.
- Benzidi S., Med-Arb: How to Mitigate the Risk of Setting aside or Refusal of Recognition and Enforcement of a Med-Arb Award, American Journal of Mediation, 2017.
- Bernand P., Garth B. (eds.), Kovach K., Enforcement of Ethics in Mediation in ABA Section of Dispute Resolution, Dispute Resolution Ethics, A Comprehensive Guide, 2002.

- Berman L., 12 Ways to Make Mediator Work Hard, Published in Advocate Magazine, 2009.
- Berman J., Mediation's Evolution in Social: Where it has been and where it is going, Published in Advocate Magazine, 2012.
- Bethel T., Wrongful Discharge: Litigation or Arbitration, Journal of Dispute Resolution, 1993.
- Blackshaw I., TMC Asser Instituut (La Haye), Sport, Mediation and Arbitration, T.M.C. Asser Press, Hague, 2009.
- Boulle L., Colatrella M., Picchioni A.. Mediation Skills and Techniques, San Francisco, 2008.
- Brown H., Marriott A., ADR Principles and Practice, third edition, Sweet & Maxwell, Thomson Reuters, 2011.
- Bundesverfassungsgericht, Neue juristische Wochenschrift – Rechtsprechungsreport (NJW-RR), 2007.
- Carbone M., Mediation Strategies: A Lawyer's Guide To Successful negotiation, 2004.
- Chantilis P., Mediation U.S.A, University of Memphis Law Review, 1996.
- Choy Y., Court-Annexed Mediation Practice in Malaysia: What the Future Holds, University of Bologna Law Review, 2016.
- Claiborne Z., Three Things to Know About Mediation Licensing Disputes, 2013.
- Clark B., Lawyers and mediation, United Kingdom, 2012.
- Coltri L., Alternative Dispute Resolution a Conflict Diagnosis Approach, Second edition, University of Maryland, University College, 2010.
- Comenau A., Guide Implementing Divorce Mediation, In public Sector 21 Conciliation, CST, Rev. 1, 1983.
- Cooley J., The Mediator's Handbook: Advanced practice Guide for Civil litigation, National institute for Trial Advocacy, 2006.
- Cortes P., The New Regulatory Framework for Consumer Dispute Resolution, Oxford University Press, Oxford, 2016.
- Dahlqvist A., Mediation in the Swedish Courts: Change by EU Directive? 2014.
- Dendorfer R., Lack J., The Interaction between Arbitration and Mediation: Vision v Reality, Dispute Resolution International journal, 2007.
- De Palo G., D'Urso L., Trevor M., Branon b., Canessa R., Cawyer B., Florence R., "Rebooting" the Mediation Directive: Assessing the Limited Impact of its Implementation and Proposing Measures to Increase the Number of Mediations in

- the EU, Directorate General for Internal Policies, European Parliament's Committee on Legal Affairs, Brussels, 2014.
- Domenici K., Littlejohn S., *Mediation Empowerment in Conflict Management*, Printed in the United States of America, Second edition, 2001.
 - Douglas K., *The role of lawyers in mediation: Insights from mediators at Victoria's civil and administrative tribunal*, Monash university law review, 2014.
 - Eidenmüller H., *Verhandlungsmanagement durch Mediation*, in Henssler L.K (Hrsg) *Mediation in der Anwaltspraxis*, Deutscher Anwaltverlag, 2.Aufl, 2004.
 - Eisele G., *No to Mandatory Court-Annexed ADR From the Bench*, Thomas law journal litigation, 1991.
 - Erickson S., Mcknight M., *The Practitioner's Guide to Mediation A Client-Centered Approach*, Printed in the United States of America, 2001.
 - Espilugus C., Iglesias J. L., Palao G., *Civil and Commercial Mediation in Europe: National Mediation Rules and Procedures*, Vol. I, Intersentia, Cambridge, 2013.
 - Esplugues C., Louis M., *New Developments in Civil and Commercial Mediation, Global Comparative Perspectives*, IusComparatum, Springer International Publishing Switzerland, 2015.
 - Filler E., *Commercial Mediation in Europe*, "Kluwer Law International", Alphen aan den Rijn, 2012.
 - Fisher R., Ury W., *Getting To Yes: Negotiating Agreement without Giving In*, 1993.
 - Fiss O., *Against Settlement*, The Yale Law Journal, Vol. 93, 1984.
 - Folberg G., *Mediation The Roles of Advocate and Neutral*, Second edition, Printed in the United States of America, 2011.
 - Folberg J., Rosenberg J., Barrett R., *Use of ADR in California Courts: Findings & Proposals*, University of San Francisco Law Review, Vol 26, 1992.
 - Fritz J., *Moving torward a just peace*, Ohio, 2014.
 - Furlan F., Blumstein E., Hofstein N., *Ethical Guidelines for Attorney-Mediators: Are Attorneys Bound by Ethical Codes for Lawyers When Acting as Mediators?*, 14 J. Am. Acad. Matrimonial Law, 1997.
 - Gitchell L., Plattner A., *Mediation: A Viable Alternative to Litigation for Medical Malpractice Cases*, DePaul Journal of Health Care Law, 1999.
 - Gläßer U., Schroeter K., *Gerichtliche Mediation: Grundsatzfragen, Etablierungsverfahren und Zukunftsperspektiven*, Nomos, 2011.
 - Glick T., *Creative Mediation*, North Charleston, 2012.

- Goldberg S., Green E., Sander F., Litigation, Arbitration or Mediation: A Dialogue, ABA Journal, 1989.
- Greger R., Gerichtsinterne Mediation, The Rabel Journal of Comparative and International Private Law, Max –Planck-Institute für ausländisches und internationales Privatrecht, Band 74, Heft 1, Mohr Siebeck, 2010.
- Glen N., The principles of mediation, Journal of Eastern European Law, 2016.
- Gläßer U., Schroeter K., Gerichtliche Mediation: Grundsatzfragen, Etablierungsverfahren und Zukunftsperspektiven, Nomos, 2011.
- Greenwood M., How to Mediate Like a Pro 42 Rules for mediating Disputes, Printed in the United States of America, 2008.
- Gold N., Prospects, Problem and Potential: An Assessment of Trends and Issues regarding Mediation in Canada, Journal of Arbitration Studies, 1997.
- Goldsmith J., Ingen-Housz A., Pointon G., ADR in Business: Practice and Issues Across Countries and Cultures, Vol. II, Kluwer Law International, 2011.
- Golann D., Mediating Legal Disputes effective strategies for Neutrals and Advocates, Printed in the United States of America, 2009.
- Goyder B., Mediation and the law, University of Durham, Student Law Journal, 1992.
- Hames S., Negotiation, Closing Deals, Settling Disputes, and Making Team Decisions, Printed in the United States of America, 2012.
- Hanks M., Perspectives on Mandatory Mediation Forum: Appropriate Dispute Resolution, University of New South Wales Law Journal, 2012.
- Hebert C., Introduction - The Impact of Mediation: 25 Years After the Pound Conference, Ohio State Journal of Dispute Resolution, Vol. 17, 2001-2002.
- Hildebrand A., The United Kingdom in EU Mediation, De Palo G., Trevor B.M., Oxford University Press, Oxford, 2012.
- Hill N., Qualification Requirements of Mediator, Journal of Dispute Resolution, 1998.
- Hoffman D., Paradoxes of mediation, Part 2 of 2, Dispute Resolution Magazine, Issue 2, 2003.
- Hopt K., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013.
- Hughes P., Mandatory Mediation: Opportunity or Subversion, Windsor Yearbook of Access to Justice, 2001.

- Jacqueline N., Mediation Exceptionality Symposium - Against Settlement: Twenty-Five Years Later, Fordham Law Review, 2009.
- Jernigan M., Lord R., The Mediator's Role in the Family Business, American Journal of mediation, Vol. 2, 2008.
- Johnson E., The Pound Conference Remembered, Dispute Resolution Magazine, 2012.
- Jun G., Mediation, Arbitration and Litigation: Dispute Resolution in the People's Republic of China, UCLA Pacific Basin Law Journal, 1996.
- Kallipetis M., Mediation ethics in Europe, Dovenschmidt Quarterly law journal, Issue 2, 2014.
- Kendal D., Pre-Litigation Compulsory Mediation: A Concept Worth Negotiation, University of La Verne Law Review, 2010.
- Kestner B., (Ed.) Education and Mediation: Exploring the Alternatives, American Bar Association, 1988.
- Katsh E., Rifkin J., Online dispute resolution, San – Francisco, 2001.
- Koenig S., Germany in Palo G.D., Trevor M.B., EU Mediation-Law and Practice, Oxford University Press, Oxford, 2012.
- Koumpli V., Some considerations on the position of vulnerable parties in mediation, Collection of Papers, Faculty of Law, Nis 70 Collection Paper, 2015.
- Kalish M., Mediation - Free of Charge Pro Bono In Action, Business Law Today, 2005.
- Kotler P., Keller L., Marketing management, Pearson prentice hall, 12 th ed., Jersey, 2006.
- Kovach K., lawyer ethics in mediation: Time for a requirement of good faith, Dispute resolution magazine, 1997.
- Kovach K., mediation in a nutshell, printed in the united states of America, 2003.
- Kovach K., Mediation, "Thomson West", 2003.
- Kovach K., Mediation, Principles and Practice, 3rd ed., Thomson West, United States of America, 2004.
- Kuhn S., Mandatory Mediation: California Civil Code Section 4607 Comment, Emory Law Journal, 1984.
- Kwan Lun M.I., Alternative Dispute Resolution of Shareholder Disputes in Hong Kong., Cambridge University Press., Cambridge, 2017.
- Landerkin, H., Pirie, A., What's the Issue: Judicial Dispute Resolution in Canada, Law in Context: A Socio-Legal Journal, 2004.

- Leviton C., Greenstone L., Elements of Mediation, Printed in the United States of America, 2004.
- Lindblom P.H., Progressive Procedure, Iustus, 2017.
- Luecke R., Harvard Business Essentials Your Mentor and Guide to Doing Business Effectively Negotiation, Printed in the United States of America, 2003.
- Martinez J., Purcell S., Shaked-Gvili H., Mehta M., Dispute System Design: a Comparative Study of India, Israel and California, Cardozo Journal of Conflict Resolution, Vol.14, Issue 3, 2013.
- Mehta A., resolving environmental disputes in hush-hush world of mediation: A guideline of confidentiality, Georgetown Journal of legal ethics, Vol. 10 No 3, spring, 1997.
- Merriam Webster's Collegial Dictionary 398 (10th ed., 1993).
- Melnick J., Lost Opportunities in Mediation, Westlaw Journal securities litigation and regulation, Vol. 13, Issue 4, 2013.
- Mildon, M., Cooling Conflict in the Cool Classroom, LawNow Journal, 2002.
- Miller S., Judicial Mediation: Two Judge's Philosophies, Litigation 38 Litig, 2012.
- Moore C., The Mediation Process: Practical Strategies for Resolving Conflicts, San Francisco, 2003.
- Moltmann-Willisch A., Der Richter als Mediator-das erweiterte Guterichtermodell in der Zivilgerichtsbarkeit in Haft F., von Schlieffen K.G., Handbuch Mediation, C.H.Beck, Munchen, 3 Auflage, 2016.
- Moffi M., The Four Ways to Assure Mediator Quality, 2008.
- Murabit A., Overview of mandatory mediation programs in Canada, 2015.
- Murray O., The mediation handbook effective strategies for litigators, revised edition, 2010.
- Munroe C., Court-Based Mediation in Family Law Disputes: An Effectiveness Rating and Recommendations for Change, Probate Law Journal, Issues 2-3, 1996.
- Nolan-Haley J., Informed Consent in Mediation: A guiding Principle for Truly Educating Decision-making, Notre Dame Law Rev., Vol. 74, 1999.
- Nolan-Haley J., Alternative dispute resolution in a nutshell, printed in the united states os America, 2001.
- Nylund A., The future of civil litigation: Access to courts and court-annexed mediation in the Nordic countries, 2014.

- Palo D., Trevor B., EU mediation law and practice, Great Britain, Oxford university press, 2012.
- Palo D., Rundle O., Mediation for lawyers , Australia, CCH Australia limited, 2010.
- Pepper R., Mandatory Mediation: Ontario's Unfortunate Experiment in Court-Annexed ADR, Advocates' Quarterly, 1998.
- Park N., Court-Annexed Mediation in Korea, Asia Pacific Law Review, 2009.
- Pel M., Referral to Mediation a Practical Guide for an Effective Mediation Proposal, The Hague, 2008.
- Perelshteyn S., Mediator or Judge: California's Mandatory Mediation Statute in Child Custody Disputes, Pepperdine Dispute Resolution Law Journal, 2017.
- Reg S., Court-Based Alternatives, Resource News, Issue 2, 1987.
- Richler J., Court-based mediation in Canada, Judges' Journal , Issue 3, 2011.
- Riskin L.. Alternatives to the High Cost of litigation, Center for Public Resources, Vol. 12, issue 9, 1994.
- Riskin L., Westbrook E., Guthrie C., Reuben C., Robbenolt K., Welsh A., Dispute Resolution And Lawyers, Printed in the United States of America, Fourth edition, 2009.
- Roberts M., Mediation in Family Disputes, Ashgate Publishing Ltd., Burlington, 2014.
- Rogers N., McEwen C., Mediation: Law, Policy, Practice, The Lawyers Co-operative Publishing Company, Rochester, 1989.
- Robinson M., Mediator certification: realizing its potentials and coping with its limitations; American Journal of mediation Vol. 2, 2007.
- Rosenberg P., keeping the lid on confidentiality: mediation privilege and conflict of laws, ohio state journal on dispute resolution. Vol. 10, No. 1, 1994.
- Rosenberg J. D., In defence of mediation, Arizona Law Review , Issue 3, 1991.
- Roth M., Gherdane D., in Hopt&Steffek, Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Ch.4, A (3), 2012.
- Sourdin T., Five Reasons Why Judges Should Conduct Settlement Conferences Monash University Law Review, Issue 1, 2011.
- Steffek F., Mediation, in The Max Planck Encyclopedia of European Private Law, Vol. II, Basedow J., Hopt J.K., Zimmermann R., Stier A., Oxford University Press, Oxford, 2012.
- Stepp J., How does the mediation process work? 2003.

- Shapira O., Conceptions and perceptions of fairness in mediation, mediation, South Texas Law Review, Issue 2, 2012.
- Smith A., Smock D., Managing a mediation Process, Printed in the united states of America, 2008.
- Rovine A., Contemporary Issues in International Arbitration and Mediation, The Fordham Papers, 2015.
- Scherpe J.M., Marten B., Mediation in England and Wales: Regulation and Practice in Hopt K.J., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013.
- Schulz J., mediator Liability in Canada: An Examination of Emerging American and Canadian Jurisprudence, Ottawa Law Review, 2001.
- Sherill J., Ethics for lawyers representing clients in mediation, Americal journal for mediation, 2012.
- Skoghoy T., Mediation in Norway – An outline, 2018.
- Smith S., Martinez J., An Analytical Framework for Dispute System Design, Harvard Negotiation Law Review, Vol. 14, 2009.
- Spencer D., Brogan M., Mediation Law and Practice, Cambridge University Press, New York, 2006.
- Taivalkoski P., Finland in Palo G.D., Trevor M.B., EU Mediation-Law and Practice, Oxford University Press, Oxford, 2012.
- Thorpe W., Final Report of the ABA Section of Dispute Resolution Task Force on Improving Mediation Quality, American Journal of Mediation, Vol.2, 2008.
- Trams K., Die Mediationsvereinbarung-eine vertragsrechtliche Analyse, Tectum Verlag, 2008.
- Tutzel S., Wegen G., Wilske S., Commercial Dispute Resolution in Germany, 2nd Ed, C.H.Beck, Munchen, 2016.
- Steffek F., Mediation und Güterichterverfahren, Zeitschrift für Europäisches Privatrecht, (ZEuP) #3, Verlag C.H.Beck, München, 2013.
- Ulrich H., in Klowait J., Gläßer U., MediationsGesetz, Handkommentar, Nomos, Baden-Baden, 2014.
- Ury W., Getting Past No, Negotiating your Way from Confrontation to Cooperation, Printed in the United States of America, 1991.
- Vieira L., Designing a Court-Annexed Mediation Program for Civil Cases in Brazil: Challenges and Opportunities, Pepperdine Dispute Resolution Law Journal, 2015.

- Waldman E., *Mediation Ethics, Cases and Commentaries*, Jossey-Bass, A Wiley Imprint, United States of America, 2011.
- Ware S., *Principles of alternative dispute resolution*, Second edition, Printed in the United States of America, 2003.
- Ward E., *Mandatory Court-Annexed Alternative Dispute Resolution in the United States Federal Courts: Panacea or Pandemic Symposium: Transatlantic Perspectives on Alternative Dispute Resolution*, St. John's Law Review, 2007.
- Welsch N., *Perceptions of fairness in negotiation*, Marquette Law Review, Issue 5, 2004.
- Weil R., *Mediation in a Litigation Culture: The Surprising Growth of Mediation in New York*, 2011.
- Willis T., Wood W., *Alternative Dispute Resolution in Golden J., Lamm C., International Financial Disputes, Arbitration and Mediation*, Oxford University Press, Oxford, 2015.
- Wilson B., *Mediation Ethics: An Exploration of Four Seminal Texts*, 12 Cardozo journal Conflict Resolution, 2010-2011.
- Winkle V, John R., *Mediation: An Analysis of Indiana's Court-Annexed Mediation Rule*, Indiana Law Review, Issue 4 , 1992.
- Wolski B., *On mediation, legal representatives and advocates*, UNSW Law journal, 2015.
- Young M., *Rejoice! Rejoice! Rejoice, Give Thanks and Sing: ABA, ACR and AAA Adopt Revised Model Standards of Conduct for Mediators*, Appalachian Journal of Law, Vol. 5, 2006.
- Zalar A., *Managing Judicial Change Through Mediation – Part 1*, ADR Bulletin, Vol. 6, No. 8, 2004.

საკანონმდებლო აქტები

ქართულ ენაზე

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 1997.
- ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, 2002.
- ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ მორიგების პროცედურის წარმართვის შესახებ დებულება, 2018.
- საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მედიაციის განვითარების კომიტეტის დებულება, 2018.
- ბანგალორის სამოსამართლო ქცევის კოდექსი, 2001.

კანონპროექტები

საქართველოს კანონპროექტი მედიაციის შესახებ

უცხოურ ენაზე

- The ABA Model Rules of Professional Conduct, 1983.
- A Draft of Principles of ADR Provider Organizations, CRP-Georgetown Commission on Ethics and Standards in ADR, 2002.
- Alberta regulation Mediation rules of the provincial court – civil division, 1997.
- Alternative dispute resolution act, 1998.
- CEDR Solve Code of Conduct for Neutrals, 2008.
- Cepani (Belgium) Rules of Good Conduct, 2000.
- Civil Justice Reform Act, 1990.

- Civil Mediation Council – Draft Code of Good Practice for Mediators, 2009.
- Code of Conduct for NMI Registered Mediators, 2001.
- Commercial Mediation Act of Nova scotia, 2005.
- Directive 2008/52/EC of the European parliament and of the council of 21 May 2008, on certain aspects of mediation in civil and commercial matters, 2008.
- European Code of Conduct for Mediators, 2004 .
- Florida Rules of Civil Procedure, 2015.
- Law Society (England and Wales) Code of Practice For Civil/Commercial Mediation, 2009.
- Law Society (England and Wales) Code of Practice For Family Mediation, 2009.
- National Standards for Court-Connected Mediation Programs, Center for Dispute Settlement and Institute of Judicial Administration, 1992.
- Ontario Civil Procedure Code, 1990.
- The Queen's Bench Act of Saskatchewan, 1998.
- UNCITRAL Model Law on International Commercial Conciliation, 2002.
- UNCITRAL Model Law on International Commercial Mediation and International Settlement Agreements Resulting from Mediation, 2018.
- Uniform Mediation Act, 2001.
- Core Solutions Group Code of Conduct for Mediators, Scotland, 2017.
- US Presidential (Executive) Order # 12988, 1996.

სასამართლო გადაწყვეტილებები

- საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე №28/4963-14.
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე № 28/5422-15.
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე №ას-433-675-08.
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 22 სექტემბრის განჩინება საქმეზე: №ას-790-747-2015.
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1331-1369-2014.
- “კალიფორნიის ვუდსაიდი ჰოუმსი რივერსადის (პირველი ინსტანციის) უმაღლესი სასამართლოს წინააღმდეგ“, Woodside Homes of California v. The Superior Court of Riverside, 107 Cal. APP. 4th Dist., 2003.
- „ემწიგდენი დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ“, Ashingdane vs. The United Kingdom, Judgment of the European Court of Human Rights, Application No. 8225/78, 1985, para., 57.

ინტერნეტ რესურსები :

www.parliament.ge

www.matsne.gov.ge

www.eur-lex.europa.eu

www.strathmore.edu

www.ec.europa.eu

www.uncitral.org

www.uniformlaws.org

www.mediate.com

www.gba.ge

www.eeas.europa.eu

www.mostenmediation.com

www.americanbar.org

www.ontario.ca

www.dailyjournal.com

www.law.com

www.strathmore.edu

<https://svw.no>

www.ontario.ca

www.ibanet.org

www.alabamaadr.org